# ივერია

1879

№ 1 იანვარი.

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა
1879

I. მეფე დიმიტრი თავდადებული ილიას ჭავჭავაძისა . . . . . . . 5

II. ქალი მამულის ერთგული (მოთხრობა მურრეისა) თარგმანი *** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 33

III. მწყვდიადი, ლექსი (თარგმანი) ზურაბ მოენიძისა . . . . . . 79

IV. მწიგნობრობის საქმე. მ. პეტრიძისა. . . . . . . . . 81

V. ცხოვრება და კანონი. წერილი მეხუთე ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 102

VI. ხევსურული ლექსები, შეკრებილნი დ. როსტომაშვილის მიერ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 116

VII. ფიქრი და შენიშვნა.

ჩვენის მწერლობის თაობაზედ—ახალი და ძველი—ცოცხალი და მკვდარი—რაში არსებობს ნიშანი ავისა და კარგისა—ნატვრა ახალ წლის გამო ნ. დავითიშვილისა . . . . . . . . . . . . . 118

VIII. შინაური მიმოხილვა.

აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ—ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა—ჩვენი სხვერპლი და ძმათა შემოერთება—ჩვენის განათლების საქმე—ჩვენის ხალხის სწავლების საქმე—რა არის შკოლა—ქართული საზოგადოება სწავლის გავრცელებისათვის—შარშანდელი მასწავლებელთა კრება—„Тифлисскій Вѣстник"-ის და „დროების" ღვაწლი—უფ. სტრელეცკი და ხითაროვი—უფ. იანოვსკი.—თავად-აზნაურთა შკოლა—სამღვდელოების განკარგების ნიშნები—სამღვდელოთა წოდების ქალთა განათლების საქმე—ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე—ჩვენის სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა. . . . . . . . . . . . . . 136

5 972

# ივერია

გამოდის თვეში ერთხელ, თითო წიგნად.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის ქვემოდამ, და აგრეთვე თვით რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4.

ფ ა ს ი:

ტფილისში მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 11 მან.
ექვსის თვით — 5 მ. და 50 კ.

გარეშე მცხოვრებთათვის: მთელის წლით — 12 მან.
ექვსის თვით — 6 მ. და 50 კ.

# ႨႥႤႰႨႠ

ႱႠႮႭႪႨႲႨႩႭ ႣႠ ႱႠႪႨႲႤႰႠႲႳႰႭ

ႯႳႰႬႠႪႨ

---

წელიწადი მესამე.

№ 1.

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა.
1879



Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Января 1879 г.

## მეფე დიმიტრი თავ-დადებული *).

(უძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს).

უქმე დღე იყო, ტაძრის-მშვიდე და დამაშვრალი
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და უყურებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა-მეფანდურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა
„ეჰ, რას უყურებთ? დაიძახა უმაწვილმა ბიჭმა:
შინაც მლაცვს ჰკუმლავსთ დღე — მუდამის ჭირს, ვაგლახობას!..
აქ მაინც ცოტად ფერთა გაშალოს გულის წადილმა....
ბრმა-მეფანდურევ, გვითხარ რამე, მამაშვილობას!
„გვითხარი რამე, ბერო-გვეცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშოროს კარგის ამბითა...
კარგს მოქმედს ტუჯეთ ჭრჩების ნატკივარი გული ჩაგრული,
გული გაზდილი ვაებითა, წვით და დაგვითა."
ბრმა-მეფანდურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
მიჭსწვდა, აიღო თვის უბრალო ფანდური ხელში,
დაჰკრა ფანდურსა და დამღერა ნელისა ხმითა:

### I

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
ბეტუვით გულის გასათბოსსა,—
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ ქართველნი წინა დროსა,—
იმ დროს როცა . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . .

*) თორმეტი მუხლი დაბეჭდილი იყო ჟარშან „ივერიაში."

როცა მამულის შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.
   შვილნო, თქვენი წინაპარნი
ეგრე გულ-ქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ;
   შვილის ყოლა გლეხს, თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
   ტკბილად ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით, ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.
   უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.
   მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელშიც!..
ტრფობა ჰქონდა გულში აბჯრად,
და სატევრად ხმალი ხელში.
   ეგრედ, შვილნო, აქ სცხოვრობდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
   მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი....
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მათს მოწამეთ თქვენ წინ არი....

## II

„ეხლა რა ვართ? მწველელ-ფურად
თავი ჩვენი გარდვიქციეთ....
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ....
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით....
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზათ და ხიდათ გავედებით.
წინა კაცი უკანისა
ხიდიაო ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დავჰსძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

## III

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად;
მხარ-ბეჭ პრტყელი, ტან-მაღალი,
ჯირითში, თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.

კაცი იყო, მეფე-კაცი
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარედ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა;

მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა;

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა,
წავა, იმას შეჰსჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩელსა არ ითაკილებდა.

ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად ჰძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ლოცულობდა.

IV

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა;

ერთხელ ყეინს აემალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გაიყვანა
ნახევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასხვითა....
ყაყი-კაცის წესი არის,
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.
შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და გადგომილი;
ძმას ძმის მკალი აწეხინეს,
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.
დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.
ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
სადა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

## V

ურჯული მიდგა ჩვენს მეფეზედ....
—„რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო."
გაუგზავნა მოციქული,
—„გამოცხადდი ჩემ წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავადენო."
დაგვიღონდა მეფე ქველი,
მიხვდა იმ ურჯულოს წადილს,
ისიც იცის იმ ღვთის-რისხვას
ჯარით სიმრავლე შეჰსწევს ძალის.

რა ჰქნას? თვითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი ეცემდეს,
კლდეც რომ იყოს, გასტეხს მტერი.
დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა....
—„წავალ, მომკლავს და არ წავალ
ამიოხრებს ქვეყანასა,“
ბოლოს ბძანა:—„თავს მოვუყრი
მღვდელთ-მთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა ერთხელ ჭრაო
წესია მეფეთ ქებულთა,
ვნახოთ ერთი რას მეტყვიან,
წავლას თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ,
მეფის თუ ქვეყნის დამხობას?“

VI

„ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელ-მთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი
წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ დიდმა და პატარამ
თაყვანი ჰსცა ბატონს უმუხლად
ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით, ყურებითა.

უბძანა თუ: — „დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთან.
ის დღეა დღეს, ან მე ვიყო
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.
„შეიტყობდით, მომივიდა
ყეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.
„თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
სადა კი ფეხს დავადგამო,
ავადენ ნაცარ-ტუტასა.
„თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ? მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება."

## VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიდნენ და თაყვანი სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.
— „მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!...
თუ შენ მოგკლეს, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!
„თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი ქონება....
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არ ვინ დაგვებადება.

„მოვიდეს რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლის მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.
„მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!
„ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
„სირცხვილია ერისათვის
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შეუდრეკელსა,
„ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამოვლს შვილის-შვილამდე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააწვდეს."

## VIII

„ახლა წადგა სპასალარი...
—„მეფევ, რაც ჰსთქვეს მართალია:
შენ წაჰვიდე, შენ იქ მოგკლან,
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!
„თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის?
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!... მამებს უთქვამთ,—
სახელით, ან სიკვდილი

„ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!...
მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი.“
ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული,
დიდხანს იყო დაღონებით
ეგრე თავ-ჩაკიდებული......

## IX

«ბოლოს ბძანა: — „ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი....
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით რა მადლი არი!
„ათი ერთზედ რომ მოვიდეს
მუქარას მტერს შევანანებ,
რა ვქნა, — ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხარ და ვალალებ.
„ჩვენი კაცი ერთი ასსაც
ვიცი არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოდ გამიწყდება;
„მერმე უკაცურს ქვეყანას
დასწვავს, დაჰბუგავს, დაანგრევს;
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს;
„ხატებს მამათ სალოცავსა
წამურტლავს და შეგვიგინებს;
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძაღლ'ა და ღორს ათრევინებს;

„ქალწულთ ქალზედ ძალით მივა,
წაჭბილწავს, ნამუსს დაუმხობს;
ორსულ დედა-კაცებს კიდევ
მუცელსა ხანჯლით დაუპობს;
„დედას თავის ძუძუთა შვილს
კბილითა დახვლევინებს;
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალეწინებს.

X

„ამდენი სული უბრალო
ტანჯვით ამოწყდებიან;
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.
„ქვეყნის ამოდენა ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება.
„ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩუნე
და ერი კი წყალს მივეცი.
„მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი....
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს გადუგდოს თავის ცხვარი...
„სირცხვილს ამბობთ, — რა სირცხვილი?!
მე ვემდევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

„თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავ-დადებას
მე ერთს მთელის ერისათვის!...
„არა! წავალ, არ დავდგები,
დე აღსრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა."

## XI

— „შენ რას ბძანებ, მღვდელ-მთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს მწარად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასწირად?"
ატირდა და მოახსენა:
— „ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს....
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.
„მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შეჰსცოდავს ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
„მეფევ, რა კი ბედმან დაგდო
შენ ეს მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური....
„ვჰსტირ და გირჩევ თავ-გაწირვას
რაკი რომ ეს დღე გვეწია,—
მოყვასთათვის თავ-დადება
ქრისტე ღმერთის ანდერძია.

„ვჰსტირ და ვირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დაჰსთმო სულისათვის,
შეგდავება არ დაჰკარგო
წუთის სოფლის გულისათვის!...“

## XII

„მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელ-მთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული.
—„დიდებულნო, ხომ ისმინეთ
რაც ჰსთქვა წმინდა მღვდელ-მთავარმა!...
მოყვასთათვის თავ-დადება
გვიბძანა მაცხოვარმა.
„ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!...
წავალ და თუ ღმერთს ჰსწადიან,
ერისათვის თავსა დავჰსდებ.
„მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეს,
ღარიბს ისე მოუარეთ,
რომ მდიდარს არ შეჰნატროდეს;
„გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.
„თუ დავბრუნდი თქვენს სამსახურს
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და სული ჩემი
შეავედრეთ მაღალს ღმერთსა.“

ატირდა და ატირა
ყველა კაცი იქა მდგომი;
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.
მართალს კაც-კაცს ის ამშვენებს
როცა გულითაც ლხინია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდ-სულოვნობის შვილია.

## XIII

„ბძანა და მისწრაფულ დაიმალა
დიდებულთა იგი ჰკრებს...
უხმო მხლებელთ და უბძანა
წასასვლელად მომზადება,
ჰსთქვა და ურდოს კიდეც წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა, გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.
გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჭინჭველა იფუსფუსებდნენ
შინა-ყმანი სასახლისა.
ხმა გავარდა ქალაქშიაც
„მეფე ჩვენთვის ჰსდებს თავსაო,
„უშლიდნენ, არ დასძალა,
ვერ გულადაცებ ხალხსაო.“
შეიძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეცა ერთმანეთსა;
მოზღვავდა, დაიგრიალა
და მიაწყდა სასახლესა.

მივიდნენ, ნახეს, მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით
მოედანი სასახლისა.
წინად ბარგით გაეგზავნათ
ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალთად იყო
ტურფად კაზმულ, დარახტული.

## XIV

„თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა
ყველა ასე კარგნი იყვნენ.
წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა;
საამოა გაწყობილის
ვაჟ-კაცების რაზმის მზერა!
კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დაჰსდებდა
მათს სიკეთეს, სიტურფესა.
მარქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ გარეთა ატარებდნენ,
მათი მხედნი დიდებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.
იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰგვრიდა.
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო თითო სოფლად ჰღირდა.

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული,
უკეთეს ვერ ინატრებდა
კაცის უძღომელი გული.
მეფისა იყო ის ცხენი
თამამი თითქო ვეფხვია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერ ვის ჩაედგა ფეხია.
ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი როგორც მშველია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა
თუ არ ბატონის ხელია.
ცეცხლს აფქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, ჰსჭექდა, ჰმრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა ჰსცემდა.

## XV

გამობძანდა ბოლოს მეფეც
თან გამოჰყვნენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.
მეფეს ახლდა მხარ მარჯვნივა
გულ-მწუხარე მღვდელ-მთავარი
და მხარ-მარცხნივ შუბლ—შეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.
მღვდელ-მთავარი ჰსწუხს და ვაებს
მეფის თავ-გადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.

ხალხიც დაჰხვდა თავის მეფეს
ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა
მათთვის გულის-ტკივილითა.
უბძანა თუ: — „რასა ჰსწუხართ?
„იქმნას, რაც კი საქნელია!..
„ერისათვის თავ-დადება
„მეფისათვის სახელია;
„რაც მომივა, მოწივიდეს,
„მე იმისთვის არ ვინაღვლო...
„თქვენ ჭირს დავხსნით... დღეს ვიქმნე
„მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო."
ხმა ჩაუწყდა, ვეღარ რა ჰსთქვა,
მოეგუბა თვალში ცრემლი...
თქმულა, ქვასაცა მაგარსა
გაჰსტეხს ტყვიის ლბილი ცრემლი.
მოუმატა ხალხმაც სულთქმა,
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში
ობლისა და ქვრივ-ოხრისა.

XVI

უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაირღვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერი-კაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,
მკერდზედ ჰსცემდა თოვლივითა
მოხუცებულს თეთრი წვერი.

მოვიდნენ და გაანჩხრეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხლტნენ
თუმც უგავარჯენის დაუჭინა.
ის ამ ქვეყნის აღარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში.
მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

## XVII

„მოახსენა: — «ჰე, მეფეო,
«ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა!
«მე ხომ მხედავ, გარდავსრულვარ,
«სამარიდამ გამდევ ხმასა.
«მეფევ, კისრად აგიღია
«ტვირთი ჩვენის შავი-ბედის,
«ბედისწერას მიჰსცემიხარ
«უბედურის ჩვენის ქვეყნის.
«ვიცით, რომ არ შეშინდება
«გული მეფის დიმიტრისა,
«როცა ნდომობს თავ-გაწირვას
«დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა;
«მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
«ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
«მამობასა ვიღა უზამს
«შენგან დაობლებულ ქართველთ?
«ერს ოფლის მღვრელს და ტვირთ მძიმეს
«ჭირსა ლხინათ ვიღა გვიქცევს?
«წუთის სოფლის მძიმე უღელს
«შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?

«ამას ვჰსტირით, რომ მიდიხარ
«და აობლებ შენსა ერსა;
«ჩვენს ბედსა და მშვიდობასა
«ველარ მოუმართავ ხელსა;
«ჩემებრ უძლურს, გაჭირებულს
«მწეთ ვეღარ მიეშველები;
«ღარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
«პატრონათ არ ეყოლები!..

## XVIII

«ნუ ჰსწუხართო!.. განა, მეფევ,
«ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?!
«რკინაც იყოს, მაინც დაჰსდნეს
«ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.
«გულს რად გვიკლავ? რად მიჰსდიხარ?
«ნუ თუ, მეფევ, ხსნა არ არი!..
«ქუდზედ კაცი დაუძახე,
«მოაგროვე სპა და ჯარი.
«ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
«ვინც კია, ყველა დევია....
«ბევრჯელ უნახავს ქართველის მტერს,
«რომ ცოტაც ბევრის მძლევია.
«აჰა, მეფევ, ორი ბიჭი
«მხრებში რომ ამომჯდომია,
«ორივ ჩემი შვილი არი,
«ერთი მეორის მჯობია, —
«მიირთვი და ინაცვალე,
«ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
«ომში, მეფევ, გაჩვენებენ
«რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე.

«შეჰკრიბე დიდი, პატარა,
«გაუძეხ წინამძღოლათა,
«მტერს წინ დახვდი... ვინც უკუდგას
«დედამც შეერთოს ცოლათა!
«ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
«ბევრი რამ გარდაჰხედია,
«მაგრამ უშიშრად მტრისა წინ
«არ წაუხრის ქედია;
«ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
«უომრად ნუ დავმარცხდებით;
«თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ
«სახელითა და დიდებით!...

## XIX

«უბძანა თუ: — «ბეროკაცო,
«მესმის შენი ერთგულება...
«შაბაშ ქართველს!... გული თურმე
«სამარემდე გულათ ჰრჩება.
«მაგრამ გეტყვი, ჯარს არ შევკრებ,
«არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
«მარტო ჩემის გულისათვის
«მტერს არ შევაკლავ ათასსა.
«ჩვენის ქვეყნის შავი-ბედი
«როგორც ტაროსი იცვლება,
«დრო მოვა და თქვენი თავი
«უფრო მეტად დაჰსჭირდება.
«მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
«გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა;
«თუ თქვენ მე არ გემეტებით,
«მე რად გაგიმეტო თქვენა?...

«განა თვითონ ქრისტე-ღმერთსა
«გადარჩენა არ ძალ-ედვა,
«არ ინება და ქვეყნისთვის
«ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა.

XX

«მაშ რად არის მეფე მეფედ,
«თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
«თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის
«ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.
«არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
«და ხალხს შეჰსწიროს დღენია,
«მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
«სახელი არ დარჩენია.
«არ დავიშლი, ვჰსთქვი და კიდეც
«თავი უნდა გავსწირო,
«ისე მოვჰკვდე, რომ ჩემ გამო
«დედა შვილზედ არ ვატირო.
«წავალ მეთქი!... თუ ღმერთს უნდა
«მოხდეს იგი, რაც მიმელის...
«მაგრამ ჯავრი თან მიმყვება,
«საყვარელის ჩემის ქვეყნის.
«ეჰ, რაც ჰსურდა არ დაჰსცალდა
«ჩემს წყურვილსა სულისასა!...
«აწ იქმნას ის, რაც ჰსწადიან
«განგებასა უფლისასა.
«თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
«ხოცვა, ჟლეტა, სრვა და რბევა...
«მე კი... მეყოს, თუ გამყვება
«თქვენი ლოცვა და კურთხევა.»

## XXI

თითქო ზეცით ზარი იყო,
თითქო ღმერთი მოევლინა, —
ხალხი პირ-ქვე მყის დაემხო
საკვირველის მეფის წინა,
თურმე დიდებას მადლისას,
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
ვით დიდს ბოროტს, ისე დიდს მადლს
თავისი ზარი ჰქონია.

## XXII

„მეფეს ერი შეეცოდა,
ჰსთქვა: — „მეც ვწუხარ რომ გშორდებით...
„ღმერთს ვჰსთხოვ იყვნეთ ჩემს შემდეგა
„მშვიდობით და გამარჯვებით.
„ნურას გიკვირთ რომ ქვეყნისთვის
„მეფე თქვენი თავს არ ზოგავს!
„ამასა იქმს ყველა, ვინც კი
„ჭკუით ჰსჭრის და გულით ზომავს.
„მე მივდივარ!... მეფე თქვენი
„დიდს და მცირეს გეთხოვებით,
„რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,
„რაც შეგცოდეთ, შემინდევით."
ბძანა და ცხენიც მოართვეს,
ზედ მოახტა ვეფხვსავითა;
ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.
მტერსაც კი რომ დაენახა,
თვალი გაუშტერდებოდა;

მისებრი ცხენზედ მოხდენა
ბევრს ვაჟ-კაცს ენატრებოდა.
გამოეთხოვა ყველაკას,
ვინც კი შინ, სახლში რჩებოდა,
სხვა კი ამხედრდა დიდ-კაცი,
ყველა ვინც უნდა ჰხლებოდა.
ამხედრდა თვით მღვდელ-მთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეევედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.
წაბძანდა და თან იახლა
ის ამალა და მხედრობა.
უკან მიჰსტირს ერი, ბერი,
გლეხობა თუ დიდ-კაცობა.

## XXIII

„მინამ მეფე მიმავალი
ურდომდინა მივიდოდა,
იმისი მისვლის იმედი
ყეენსა გადაჰსწყვეტოდა, —
ებძანა თავის სარდლისთვის:
— „შეჰკრიბე ჯარი-ლაშკარი,
„წადი, დიმიტრი მომგვარე
„ან ცოცხალი ანუ მკვდარი;
„თუ არა, იმის ქვეყანას
„შეესიე და მოსრეო,
„სულ ძირს დაეც რაც წინ შეგხვდეს,
„ქალაქი, თუ სიმაგრეო“.
წინ შეხვდა მეფეს ეს ჯარი
მრავალი და უთვალავი,

მაშინვე მიხვდა, აქაო
ამბავია რაღაც ავი.
   უხმო მხლებელთ და უბძანა:
—„ფიცსა გთხოვთ და უნდა მამცეთ:
„თუ უკადრისი მაკადრონ,
„თქვენ არავინ ხმა არ გასცეთ.
   „თავს დაიხოცთ, ვერას უზამთ,
„ჯარია მოზღვავებული,
„თქვენს სიკვდილსაც არ იკმარებს,
„თქვენგნით გაბოროტებული,—
   „წავა და ხალხს ამოგვიჟლეტს,
„აგვიოხრებს ქვეყანასა...
„ნუ თუ მთელს ხალხს ანაცვალებთ
„ვაჟ-კაცთა თავილობასა!?
   „ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას
„რაც ჩემს თავზედ განგებულა!
„სადაც არა ჰსჯობს, გაცლა ჰსჯობს
„ბრძენთაგანაც ასრე იქმნულა.
   „კვლავ ფიცსა გთხოვთ: სისხლს ნუ დაღვრით,
„ნურარ დამიმძიმებთ სულსა!...
„განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
„ჩემის სისხლს უქმად დასთხეულსა".

## XXIV

   „რას იქმოდნენ? მიჰსცეს ფიცი
გამწყრალთა, გაბრაზებულთა,
სირცხვილის ჯამა ირჩიეს,
ქვეყნისთვის დავალებულთა.
   ბევრმა იკრა გულში ხელი,
ჰსთქვა გულ-მწარედ: „ვაი დედას!

„დრო მოგვივა და ამ თათრებს
„არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენას!“
ბატონმა ბძანა: — „ვინა ხართ?
„წადით, ჰკითხეთ რა ჰსწადიან?
„თუ მე უნდივართ, აქა ვარ,
„ჰქმნან ის, რასაც მიქადიან...“
მალე დაბრუნდა უკანვე
მეფის კაცი-მოციქული,
მოახსენა: — „სარდალს უთხარ,
„მეფევ, შენი ბრძანებული.
„მითხრა: — მეფე შეხი გვინდა,
„თუ მოგვყვეს თავის ნებით,
„არას ვერჩით თქვენს ქვეყანას,
„აქედამვე დავბრუნდებით.“
იამა, ბძანა: — მადლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება,
და ცოდვილი ჩემი სისხლი
ამაოთ არ დაიღვრება“.
თვით წაბძანდა სარდლისაკენ,
მის წინ შეაყენა ცხენი,
უბრძანა თუ: — „მე ვარ მეფე,
„რაც გნებოს, იგი ჰქმენი.
მიჰსცვივდნენ უკადრისათა
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი.

## XXV

მიჰგვარეს ყეინს ურჯულოს,
სისხლ-მსმელს ადამიანისას;

სალერწყული აქმადა
ვით კრავის წინ მხეცსა ტყისას.
გაწყრა:— „როგორ გაბედეთ,
„არ გადუდეთ ჩემს მოსისხლეს?
„ჰსთქვი პასუხი და იცოდე
„შენი განკითხვის დღეა დღეს.
„იცოდე: რომ წინვე მითქვამს,
„თავი უნდა მოეკვეთოს!
„ამის შეცვლა თვითონ ღმერთმაც
„ჩემმაც მე ვერ შემომბედოს.
„მინამ მოვკლავ, მსურს აქ ჩემ წინ
„შეინანო ბრალი შენი,
„აქ ჩემ ფეხთ წინ აღიარო
„შენცა შენი სიმუხთლენი."
მეფემ უთხრა:— „შენისთანა
„ჩემი არა გამკითხველია!
„ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
„ძალა ადამრთის მჯობნელია.
„შენ წინ მოთქმა რას მიქვიან?
„რას მიქვიან შენანება?
„ჩემი გამკითხველი არი
„ნამუსი და ჩემი ნება.
„ჰქმენ რაც გინდა!... მე არ გკითხავ
„რად გწადს მომკვეთო თავი...
„სვავს ვინა ჰკითხავს: სისხლს რად სვამ,
„სვავო, რათა ხარ სვავიო?..
გაწყრა ყეენი ამაყი,
ეს როგორ გამიბედაო,
უბძანა, ჰკვეთეთ და ჰსჭრეთ
ბნელეთს სასჯელით ეგაო.

წაიყვანეს მეფე ჩვენი
და საბნელეთში ჩააგდეს;
შემოარტყეს გარს მცველები,
კარს კლიტეები დაადეს.

## XXVI

„სასჯელი დაუგვიანა
იმ ღვთის-მგმობელმა თათარმა,
მინამ მოაკვლევინებდა,
ჰსცემა, ჰგვემა და აწამა;
აწამა ვით სვავმა მტრედი
მეფე იგი საკვირველი
და ვერ გაძღა მის წვალებით
ის უღვთო და სისხლის-მსმელი.
ერთხელ მეფე, ნაწამები
ძლიერად და ულმობელად, —
ბნელში ეგდო ძალ-მიხდილი
უპატრონოდ, უზრუნველად.
როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ლოცვითა
და ცრემლები გადმოჰყარა.
მოჰსთქვამდა თუ: — „ღმერთო, ღმერთო!
„გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.
„მე არა გთხოვ მანდ წამებას
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სჯულისთვის შეიწირო.

„ღმერთო, ღმერთო!... თვალწინ მიდგა
დიდ-ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი“:

## XXVII

„უეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაჭედილი;
ორი ვიღაც შემოვიდა
ფეხ-აკრეფით როგორც ჩრდილი.

მივიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა, მისნი იყვნენ,
და ჩაიკრა ორივ გულსა.

მოახსენეს: — „შევისყიდეთ,
„და გავტეხეთ ქრთამით კარი...
„ყველა მზაა!... თავს უშველე,
„აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.

„ნუღარ იცდი...თუ არ ეხლავ,
„მერე გვიანღა იქნება:
„ხვალ თავს გჭრიან, — ასეა
„ყეენისა თურმე ნება.“

უბძანა თუ: — „ადრეც მითქვამს,
„არ გადვირჩენ სხვისით თავსა,
„ჩემმაგიერ არ დავღუპავ
„ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

„ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვება
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!...

„არა, არ გიქ... ტუტილია
„თაითბირი და ქველა რჩევა!...“

ბევრს ევედრნეს და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათს ხვეწნას და მუდარათს!

## XXVIII

„გათენდა დღე ხატით ამხდელი,
ვაი იმა დღის დამსწრესა!
ტყვე-მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავთ-საკვეთისა.

ხალხი თამაშათ მოსული
ვით ჯინჭველა ირეოდა,
თვით ვეზირიც ყეენისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.

ვეზირს გვერდით ედგა ჯალათი
ერთი რაღაც საზარელი,
იდლიამდის დაუმკლავა
ძარღვიანი ტლანქი ხელი.

ამ ორს შუა ჩააყენეს
ფერ მიხდილი წვალებითა...
დადგა მეფე... ღმერთს შეხედა
ნაღვლიანი სავსე თვალებითა.

მერე თვალი იმავ ნაღვლით
მოედანს შემოატარა...
ისე ყოიფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა

შეკრთა როგორც ხორციელი
უმისოთაც ქანც—წყვეტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა
როგორც ერთი დაბნედილი.

მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული...
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული.

გაოცდა და მიიხედა,
ნახა თვისნი დიდებულნი!...
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.

მღვდელ-მთავარიც მათთან იყო,
თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათის ცოდვით და ვაებით
ქვებიც კი ატირდებოდნენ.

თავისიანთთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაიერი,
სახლი კარი, თვისი-ტომი,
ქვეყანა და თავის ერი.

ეჰა, გატყდა რკინის გული!
მეფე მაგითი იძლია!
ამას კი ველარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა ჰსძლია!...

მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა:—დამიხსენი!...
რაც გადამხდა, იგიც კმარა!...

ჰსთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა!
— ოჰა, ჯალათო!" — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.

მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დაჰსცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა.

ილია ჭავჭავაძე.

# ქალი მამულის ერთ-გული.

## შემთხვევა საფრანგეთ-გერმანიის ომიანობის დროს

(მოთხრობა გრენვილ მურრეისა).

## I

ერთხელ დილით, ოკტომბრის თვეში, წელსა 1870-ს, ერთს ძველს, წარჩინებულს და გამოჩენილს საფრანგეთის ქალაქს ლ—ნს ასეთი საზარელი და საშინლად სათაკილო საქმე გარდახდა: გამარჯვებული მტრის ლაშქარი შესვლით და დიდის ამბით და დიდებით ეს უცხო ქვეყნის ჯარი ჯამასთი, ამ ქალაქ ლ-ის ქუჩებში გაბმით და ნადიმად მიდიოდა, ეს სამწუხარო ამბავი ერთის თვის წინათაც შესაძლო იყო, რომ მომხდარიყო, მაგრამ ეს ქალაქი ისეთის მამულის მოყვარეობით, ისეთის მამაცობით და სახელოვან-მამულიშვილურ საქმეებით იყო ძველადვე გამოჩენილი, რომ იმის მშვიდობის-მყოფელნი მცხოვრებნი მოქალა-ქენი, რომელთაც სამხედრო საქმისა და სწავლისა არა გაეგებოდათ რა, უკანასკნელ დღემდის ებრძოდნენ და არა სჯეროდათ, რომ მტრის ჯარი ქალაქ ლ-ში შემოვიდოდა და იმედოვნებდნენ რომ, რომელიმე სასწაული ამისთანა სამარცხვინო და სათაკილო თავ-გარდასავალიდამ დაიხსნიდა. ხოლო, უბედურმა სამხედრო ბედმა კი იცოდა, რომ ეს ქალაქი მტრის ჯარს სრულებითაც წინ ვერ დაუდგებოდა და თავს ვერ გაიმაგრებდა, ქალაქის ციხე და სიმაგრენი, რითაც ამ ოთხ საუკუნის წინად ქალაქმა ლ-მა გამოიარა ისტორიაში დიდად ღირს-შესანიშნავი ზედ-მოსევა და მის ჟამს გაუძლო და მტერს არ დასნებდა, დიდი ხანი იყო რაც დაენგრიათ და ქვა-ქვაზედაც აღარ გაეშვათ; ამ სიმაგრეების ნაცვლად ათგვარი ახალი სიმაგრენი აღარა აეშენებინათ, ამიტომაც და უფრო იმ აზრით,

რათა მოქალაქენი გადარჩენილიყვნენ სრულიად ცუდ-უბრალოდ ყუმბარების სროლას და ქალაქს დიდი ზიანი არ მოსვლოდა, ამ ქალაქის მეციხოვნე ჯარი ქალაქიდამ გავიდა და მოეცალა, რადგანაც ერთის ომის შემდეგ იმედი დაჰკარგა, რომ აურიცხველს მტერს ომს გაუსწორებდა.

ესრედ, პრუსიელების ჯარი, გაბრწყინვალებული თოფებისა და ჩაჩქნების ბრწყინვით, მძიმედ ნელ-ნელა და გამბით იძროდა ამ პატივ-ცემულ ძველ ქალაქის ვიწრო ქუჩებში. მოღრუბლული, ჯანღიანი და უგემური დილა იყო; მუქი ფერის მუნდირები, დაქანცულნი პირისახენი გამარჯვებულთა, ხმა გაკმენდილი სიჩუმე ხალხისა, რომელიც ქუჩებში ორ-პირად, მჭიდროდ და ჯგუფად მოგროვილიყვნენ საყურებლად და სობოროს ზარის რეკის მწუხარე ხმა (რადგანაც ვიღასაც ახაფლავებდნენ), — ეს სანახავი საერთოდ უფრო მცხედრის გასვენების სურათს მიემსგავსებოდა, ვიდრე გამარჯვებულის ჯარის დიდებით სვლასა. და მართლადაც ეს პრუსიელები სწორედ გამარჯვებულნი იყვნენ და იმათ სახის მეტყველებას დიდებულება, თავმომწონების ამპარტავნება, და ზვიადობა ეწერა. იმათს მძიმეს და გაბედვით სვლას, იმათს უშვერს ბღვერას და იარაღის წკარუნ-ჩხარუნსა, აშკარად ეტყობოდა, რომ აი, ეს-ეს არი მზათ არიან ყოველ-წამს ხელახლად ომი და სისხლის ღვრა აჰსტეხონო. ეს ძლიერ ნათლად ეტყობოდათ, რომ თამაშათ გამოსულს ხალხს, მათს მაყურებლებს, ამაზედ ეჭვი არა ჰქონდა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ უპირველესი გრძნობა, რომელიც იმ დროს ქუჩებში ხალხს საერთოდ ემჩნეოდა, იყო მარტოდ ცნობის და თამაშის ნახვის წადილი და არა გაბოროტება და ჯავრი. იმის წინა დღით, ამ ქალაქის მერმა იფიქრა, ვაი-თუ დამარცხებულმა ჩვენმა ხალხმა გამარჯვებულ მტრის ჯარი შეურაცხ ჰყოსო, ან რამე უპატიურება მიაყენოსო და ამის გამო მტრის ჯარმა ეს ჩვენი ხალხი ულმობლად დასაჯოსო, — ამ აზრით შეშინებულმა მერმა ადრევე ყველა ქუჩებში, კედლებზე გააკვრევინა განცხადება და პროკლამაციები, რომლითაც ქალაქის მცხოვრებლებს ევედრე-

ბოდა, რომ ისინი დინჯათ, უშფოთველად დახვედროდნენ მტერს და არასიერით არ გამოეჩინათ თავიანთი ჯავრი და გაბოროტება პრუსიელებზედ. მაგრამ მერმის ამ გვარი სიფრთხილე მეტი იყო. უამისოთაც ხალხი ისე გულ-გრილად უყურებდა თითქო არ ესმისო, თუ მართლა რა სამარცხვინო იყო იმისთვის ეს ამბავი. იქნება პირველს წამში, როდესაც მოწინავენი ჯარისა, ულახები, მუზიკით Wacht am Rhein-ის ხმაზედ, მიდიოდნენ, მაშინ კი ზოგიერთს მცხოვრებს სახეზედ ფერმა გადაჰკრა და ამ ხალხში ცოტათი ჩოჩქოლი ჩამოვარდა, მაგრამ ამავე ხალხმა ისევ მალე თვალი შეაჩვია პირ-და-პირ მტრის ჯარის ყურებას და ყოველი სიბოროტე და ჯავრი მალე გაიქრო გულში. ჯარის ერთი გუნდი მეორეზედ ერთგვარად მოდიოდა, და ამ ერთ ნაირად ჯარის სვლამ ერთს საათს შემდეგ ხალხი ცქერით ისე მოაბეზრა, რომ თამაშის ნახვის სურვილი გაუწყალდაო და ეს ხალხი იმისთანა ჩვეულებრივს გუნებაზედ მოვიდა, როგორც სევრწილი ხალხს სჭირს, როცა ერთი უბრალო სასაცილო მიზეზიღა უნდა, რომ იმავ წამს დაიწყოს კისკისი, ხარხარი და ოხუნჯობა. ამ გვარი მიზეზიც მალე გამოუტყვრათ. ერთს ჯარის-კაცს ცხენი წაუსხლტა, წაიქცა და შუა ქუჩაში ღრმად ჩათხრილ ღრანტეში ჩავარდა, ამას ზედ მიჰყვა ტყაპა-ტყუპით მეორე და მესამეც, რომელთაც წაქცევის უმალვე თოფები ხელიდამ გაჰსცვივდათ და მთელ რაზმში არეულობა ჩამოაგდეს. მთელ ხალხს წასქდა გულიანი კისკისი. ერთმა ვილაცამ, უფრო გამბედავმა კაცმა მოსწრებით წამოიძახა, რომ გამარჯვებულნი ტალახში ურრაობენო; ხალხმა ამაზედ უფრო დაიწყო სიცილი და ხარხარი. ამის შემდეგ ხალხის ხუმრობას, დაცინვას და თავ-საცილს სხვა და სხვა საგანზედ მტრის შესახებ ბოლო აღარა ჰქონდა. ამ საფრანგეთის ხალხს თითქო აღარ ეუცხოვებოდა და არ აბოროტებდა ის ამბავი, რომ მათი ქალაქი მტრის ხელში ჩავარდა, და გულ-დაჯერებული იყო, რომ მძიმე ხარჯს დაადებენ მტერსა მარტო იმ მიზეზით, რომ ხმამა ჯარის-კაცმა თავი სასაცილოდ გაიხადა. ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაც თავის მამულის უბედურების დღეს, ამისთანა

ცუდ უბრალო, წარა-მარა რამე მიზეზი აწუხებდეს! სხვაფრივ კი პრუსსიელების შესვლამ ქალაქ ლ—ში კარგა ჩაიარა. მაყურებელი ხალ-ხი თუმცა ჩუმად და ჩურჩულით მაინც ჰკიცხავდა და დასცინოდა მათ მუნდირებს, ჯარის გამართულობას და უფრო მეტადრე — იმათ უთავ-ბოლო და წარ-მარა სამხედრო წესებს.

ხოლო ამ ხალხში მარტოდ ერთად-ერთი სულდგმულიღა იყო და მარტო იგი არა თანაუგრძნობდა ხალხის საერთო მიდრეკილებასა. ეს იყო ახალ-გაზდა, ოცის-წლის გასათხოვარი ქალი. — იმ დილით ოთხის საათის წინ, მინამ პრუსსიელების ჯარი შემოვიდოდა, ერთი საუცხოვოდ მოხდენილი ეტლი შემოვიდა ქალაქ ლ—ში. ჯერ პირველად აივნიან-ხანის წინ დადგა, მერე არტახების მკეთებლის წინ და ბო-ლოს, ეს ეტლი სამკაულის ნივთების დუქნისთან გაჩერდა. ამ ეტლ-ში მსხდომნი: მოხუცი კაცი და ახალ-გაზდა გასათხოვარი ქალი, რო-გორც ეტყობოდა, ყველასაგან პატივ-ცემულნი იყვნენ. რასაკვირველია, რომ ამის მიზეზი ერთის მხრით იყო ჰერცოგის ნიშანი, ეტლის კა-რებზედ გამოხატული, მაგრამ ამასთანვე ესეც უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს ახალ-გაზდა ქალი ისეთი ტურფა და მშვენიერი რამ იყო, რომ იმის წინაშე ყველა მუხლს მოიდრეკდა, თუნდაც ჰერცოგის ქალიც არ ყოფილიყო. ზოგიერთი ისეთი პირის-სახეა, რომ ყველა კაცს თავის-კენ მიიზიდავს და ამ საერთოდ თაყვანის-ცემის უფლებას ვერავინ უარს ვერ ჰყოფს. ამ ქალის სახე ერთი ამ გვარი სახე იყო. ამ სა-ხის მნახველი — ღარიბი კაცი ღვთად გადაიქცეოდა და მხნე, ვაჟ-კაცი უფრო უდიდეს ღვაწლისათვის და გამარჯვებისათვის თავს გაიმეტებდა. მაგრამ, მეორეს მხრით კი, ღმერთმა ნუ ქნას, კაცმა ამისთანა სახის ქალი შეიყვაროს, თუ თვითონ ქალიც არ შეიყვარებს! ამისთანას კაცს სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაექცევა, რადგანაც ვეღარ დაივიწყებს ამ მშვენიერს და სათუთო სახესა თავის დღეში. დიახ, თავის დღეში, თავის დღეში ვეღარ დაივიწყებს!...

ჰერცოგი, პირ-ხმელი, გამხდარ-გამხდარი მოხუცი კაცი იყო სამოც-და-ათის წლისა, ერთი ფეხით კოჭლობდა და მომსხო ჯოხ-

ზედ დაბეჭდილი დადიოდა. ეს იყო ნამდვილი საფრანგეთის ლეგიტი-მისტი *). ეს თუმცა პირ-დაღრეჯილი და მიუკარებელი კაცი არ იყო, მაგრამ ახალ აზრებს და იდეიებს არა თანა-უგრძნობდა და ერიდებოდა საზოგადოებას, რომლისაც არც არა ესმოდა რა და არც პატივსა სცემდა, ამაყად ეჭირა შორს თავი და არასფერში არ ერეოდა. თავის ხასიათი, აზრები და სხვა იმას სახეზედვე ეწერა და სახიდამ ისე ამოიკითხავდით, როგორც გაშლილ წიგნიდამ. საერთოდ ყველასთან ერთნაირად პირ-დაღრეჯილი და თავ-დაჭერილი იყო; ყველას ერთნაირად ცივად მოექცეოდა ხოლმე, თუმცა პატივის-მცემი და ძალიან თავაზიანიც იყო, ლაპარაკი ტკბიანი იცოდა და ქვეშ-ქვეშობით დაიცინებოდა. კიდეც ხოლმე, თითქო წინადვე დარწმუნებული იყო, რომ მასთან მემუსაიფე ერთს რასმეს სიბრიყვეს წამოროხავდა. მეტი იქნება გვსთქვათ, რომ თუმცა ოკტომბრის თვეში წ. 1870-სა საფრანგეთში რესპუბლიკა დაარსებული იყო, მაგრამ ვერავინ ვერა ბედავდა ჰერცოგი ჰერცოგობით არ ეხსენიებინა.

კოროლისა და იმპერატორების ტახტიდამ გადმოგდება შეიძლებოდა, შეიძლებოდა თვით ტახტების გაუქმებაც და სახელმწიფო-წყობის გამოცვლაცა, მაგრამ ჰერცოგი ბრესსაკი კი ყოველთვის ჰერცოგ ბრესსაკად რჩებოდა.

— ყოველდღეერს, თქვენს ციხე-დარბაზში მე გაახლებთ, ბატონო ჰერცოგო, მოახსენა სამკურნალო ნივთების დუქნის პატრონმა, მდაბლად თავის დაკვრით და წელამდის გააცილა თავისი სახელოვანი მუშტარი.

— იმედი მაქვს, უფ. გალიუშო, უპასუხა ჰერცოგმა და თავის ლამაზად მოპრანჭულ ხელზედ—მოსამსახურის შემწეობით ჩაბძანდა ეტლში.

— და რაც შეიძლებოდეს მალე კი გამოგზავნეთ, უფ. გალიუშო, დაუმატა ახალ-გაზრდა ქალმა.

*) ლეგიტიმისტი — მონარხიის მსურველია და მოწადინეა, რომ საფრანგეთის ტახტზედ ბურბონის გვარის კაცი იჯდეს.

— მაშინვე, როცა გზა გაიხსნება ისე, რომ ქუჩებში სიარული შეიძლებოდეს, მდაბლად თავის დაკვრით მოახსენა ვაჭარმა: ეხლა შუადღეა და ნახევარ საათის შემდეგ ქალაქში ჯარია შემოსასვლელი. იმავ საათს სივითების გამოგზავნა, მგონია, საფათერაკო იქნება.

— მე მეგონა, რომ ჯარის შემოსვლა დანიშნული იყო ორ საათზე, გაოცებით ჰსთქვა ღერცოგმა:—მე განგებ ისე გავიანგარიშე, რომ თავის დროზე შინ დავბრუნდები და ჩემის თვალით არაფერს არ დავინახავ-მეთქი.

— წუხელ-ღამე მიიღეს ბატონო, ჰერცოგო, ახალი ბძანება, რომ ჯარის დასახვედრად ჩვენები დღეს თორმეტ საათისათვის მომზადდნენ.

გალიუშს მიზეზი არა ჰქონდა ომიანობა შეჰსძულებიყო, რადგანაც იმ ომიანობამ საკმაოდ გაუვრცელა ვაჭრობა, კარგი სარგებლობაც მოუტანა და გალიუშის აზრით, რასაკვირველია, ვაჭრობა იყო უპირველესი საგანი კაცისათვის. მაგრამ, რადგანაც ღერცოგი ბრესსა-კი იქა ბძანდებოდა, და სრულობით ვაჭრობის აზრით არ უყურებდა მტრის ჯარის შემოსვლას, გალიუში თავის ვალად ჰრაცხდა ეჩვენებინა, რომ ქალაქ ლ-ს მცხოვრებლებს ძველად განთქმული მამულის ერთგულობა და სიყვარული ჯერ არ გაჰქრობიათ, და ამიტომაც ნაღვლიანის სახით ზედ დაატანა:

— დღევანდელი დღე ქალაქ ლ-სათვის საზარელი, შავი დღეა, ბატონო ჰერცოგო. სხვათა-შორის მეც უნდა დავიყენო ჩემს სახლში ექვსი ავაზაკი. მე დღეს დილით მივიღე სია, თუ ვის სახლში რამდენ კაცს აყენებენ. აბა იფიქრეთ, მთელი ექვსი ავაზაკი პრუსსიელი.

გალიუშმა თავის-თავს ძალას ატანდა, და ფარისევლობით უნდოდა, რომ მწარეთ ამოეოხრა, მაგრამ როგორღაც ვერ მოუვიდა.

— ეხლა ჩვენ რა უნდა ვქნათ? ჰკითხა ღერცოგმა თავის ქალსა:—მეტი გზა არ არის, მთელი ნახევარი დღე აქ უნდა მოვემწყვდიოთ, ვეღარსად წავალთ.

— თუ ბატონი ღერცოგი ინებებს და მიკადრებს, დიდი ბედნიერება და პატივი იქნება ჩემთვის, ჰსთქვა მარდად გალიუშმა: — ჩემი სასტუმრო ოთახი ამ დუქნის ზევიდამ არის და ფანჯრები იმ ქუჩას ზედ დასცქერიან, რომელზედაც ჯვარი გამოივლის. ფანჯრიდამ კაი კარგად დასჭხედია და უცხო სანახავიც იქნება.

— ღმერთმა გვაშოროს! წამოიძახა ღერცოგმა ტუჩების კბენით და იმის პირი-სახეს მწვავის ტკივილის ფერმა გადაჰკრა მაშინ, როდესაც ამის ქალს კი თვალებმა მრისხანებით ბრიალი დაუწყო.

— მე... მე იმის თქმა კი არ მინდოდა, რომ საჭიროა მტრის ჯვრის ნახვა და ცქერა, ეს მეტის-მეტი გულ-საკლავი სანახავი იქნებოდა, — წარმოსთქვა მედუქნემ და ცდილობდა თავის შეცდომის ჩაფუჩეჩებას.

— მე მართლად მსურდა თქვენთვის მეთხოვნა, რომ პატივი გეცათ ჩემთვის, მობძანებულიყავით ჩემს ქოხში, დაგებედნიერებინეთ და მოგერთვათ რაც ღმერთს უბოძებია ჩემ საწყალ... გალიუშს უეცრად ენა დაება და სიტყვა ველარ დაასრულა. ამ დროს ქუჩის ბოლოში ძალზე საყვირის ხმა მოისმა. გალიუშმა იმავ წამსვე მოახსენა: ეს იმის ნიშანია, რომ გზიდამ და ქუჩებიდამ ყოველი ეტლი და ცხენოსნები ჩამოეცალნოთ და ჯვარს გზა მისცენო და მართლაც, ერთი ორი წამის შემდეგ ულანების ერთმა დასმა გვერდით ჩამოურბინათ. ერთმა ჯარის-კაცმა, ჰერცოგის ეტლზედ მჯდომით მოსამსახურეებს უბძანა, ეტლი იქით გვერდზე, ვიწრო ქუჩისაკენ მიაყენეთო; ცხენების გამრეკმა — ინგლისელმა ხმა-კრინტი არ ამოიღო, დამორჩილდა და ეტლი იქით მიაყენა, ხოლო ღერცოგის ხელზედ-მოსამსახურემ კი — ძველმა საფრანგეთელმა, ველარ მოითმინა, დაიწყევლა და მრისხანე სიტყვები მიაყარა: ამას ულანებმა ყურიც არ ათხოვეს. ამ სახით ღერცოგის ეტლი პატარა ვიწრო ქუჩისაკენ მიდგა და ამ რიგ მიზეზით ჰერცოგი და იმისი ქალი თავიანთ უნებურად შეიქმნენ მაყურებლად იმ სამწუხარო სანახავისა, რომელიც გულს უკლავს, როგორც მამულის ერთ-გულს შვილს, ისე ნამდვილ ვაჟ-კაცსა.

ჰერცოგი ხმა-ამოუღებლივ ეტლის ზურგს წყნარად მიეყუდა და ყველაფერს თვალი მოარიდა; არა დაჰინახო რაო. ქალმა ჯერ პირველად მამას მიჰბაძა, და არ ინდომა აქედ-იქით ყურება, მაგრამ უცებ რაღაც უჩინარმა და მიმზიდველმა ძალამ შეაგულიანა, ეტლის ფანჯრიდამ გადაახედა და დააწყებინა ყურება. უყურებდა ყველაფერს: პრუსიელების ჯარსაც და ხალხსაც, მაგრამ მწვავის ტკივილით კი ხვითქ-ხვითქათ მდუღარე ცრემლი გადმოზდიოდა ლოყებზე, და მთელი ტანი ისე უთრთოდა, თითქო აცივ-აცხელებსო.

არავინ, ვისაც კი ეს საშინელი დღე არ გამოუვლია, ვერ წარმოიდგენს რას ჰგრძნობს მამულის-მოყვარე ადამიანი, როცა ხედავს რომ გამარჯვებული მტერი მამულს ფეხ-ქვეშ უთელავს! პრუსიელების დიდის ყოფით შემოსვლის მნახველმა ჰერცოგის ქალმა გულში გაიფიქრა, რომ ამ თავ-ლაფის დასხმას თავის დღეში არ დავივიწყებო და ამ ძირამდე დალეულმა ფიალამ სირცხვილისამ სამუდამოდ დამხამა ჩემი სიცოცხლეო. სხვა არა რაიმე საკუთარის თავის უბედურება ასე თავს-ზარს არ დასცემდა. დედა მოუკვდა და ისე არ შეწუხებულა და თვით მამის სიკვდილიც კი, ეგონა, არ მოუტანდა ამისთანა მწვავს და დაუსრულებელს ტანჯვასა, როგორსაც ჰგრძნობდა ეხლა. ჯარის ფეხის-ხმა, ზარბაზნების გრიალი, მოკირწყლულს ქუჩაზედ ცხენების ერთ-გვარი თქაფა-თქუფი, — თვითეული ეს ხმა ახალ-გაზრდა ქალის გულს ისარსავით ჰხვდებოდა და ნამდვილად ხორციელს ტკივილს აგრძნობინებდა.

ბოლოს, ამ ქალმა ვეღარ გაუძლო ამ საშინელს ტანჯვას და შეუქცა ეტლის ფანჯარიდამ, ძარღვების თრთოლვითა და კანკალითა; სწორედ ამ დროს უნებურად თავი მაღლა აიღო, და მისი თვალი პრუსიელ აფიცრის თვალებს შეხვდა. ეს პრუსიელი მთელი ნახევარ საათია თურმე ამ ქალს უყურებდა გაშტერებით და თვალი ვერ მოეშორებინა, თითქო რაღაც უცნაურმა ძალამ დალურსმაო.

ეს იყო ახალ-გაზრდა ყმაწვილი-კაცი, ოც-და-ექვსის წლისა, მეტის-მეტად ლამაზის სახისა მშვიდობიანის და გონიერის თვალებისა

პატრონი. მოხდენილი ლაჟვარდი მუნდირი იმის წამოსადეგს და ძლიერს მოყვანილობას საუცხოვოდ აჩვენდა. ლამაზად და მოხდენით იჯდა მშვენიერს ჯიშიანს ცხენზედ. თუმცა ჰერცოგის ქალმა მარტო ეხლა დაინახა ეს ყმაწვილი-კაცი, მაგრამ იგი კარგა ხანი იყო რაც ექვსის ცხენოსნით იქვე ორ ქუჩის შესაყარში იდგა. უსათუოდ, ეს ყმაწვილი კაცი ლაშქრის მებანაკის თანამდებობის ამსრულებელი იყო და ეხლა ჩაებარებინათ ამისთვის ქუჩებში ხალვათობა იყოსო, რომ ხალხმა ჯარის სვლას არ დაუშალოსო. რასაკვირველია, პირველად ამ ჭაბუკმა ისე დაუწყო ცქერა მშვენიერს უცნობს ქალსა, ეტლში მჯდომარესა, როგორც ყოველთვის ყველა კაცი ლამაზ ქალს შეხედავს ხოლმე, მაგრამ წინ დაუხედავი ლიმილი მალე მოეშალა, თვალ-გაშტერებით დააკვირდა ახალ-გაზრდა ქალის მშვენიერს, ნამტირალევს და ტანჯულ სახესა და მის თვალში გამოიხატა გულითადი სინანული და კეთილ-შობილური თანა-გრძნობა.

ამ ყმაწვილ-კაცს უნდოდა გამოეყვანა ჰერცოგის ეტლი იმ ვიწრო ქუჩიდამ, სადაც იდგა, და ამით გადაერჩინა ახალგაზრდა ქალი ამ სამწუხარო სანახავისაგან, მაგრამ ვიწრო ქუჩის ბოლოში გასავალი არასადა ჰქონდა და თავში კი ჯარისაგან იყო შეკრული. ამის გამო ყმაწვილი კაცი იძულებული იქმნა თავის ადგილას დგომილიყო და როგორც ამას წინად, ისეც ეხლა ისევ აღტაცებით ეცქირა უცნობის ქალის საოცარ სახისათვის. მაშინ, როცა ქალმა თავი უცებ მოარიდა ეტლის ფანჯარას და ამასობაში უნებურად შემოხედა, მაშინ ყმაწვილი კაცი თითქო ძილიდამ გამოფხიზლდაო და მეამიტად მარჯვენა ხელი მაღლა აიღო, შუბლზედ მიიდო, და თავი დაუკრა ისე, თითქო დედოფალს მისცა წესიერი პატივიო.

ახალგაზრდა ქალმა მაგიერი არ გადუხადა. ყმაწვილ-კაცის თავის დაკვრა იმ დროს და იმ გვარ გარემოებაში უპატიურობად და საწყენად მიიღო. ქალს პირი-სახეზე ალ-მური აუვიდა. ახალგაზრდა აფიცერმა ეს შეამჩნია და რაკი იმ წამოწითლების დაკარგულ აზრს მიხვდა, ფერმა გადაჰკრა და გაფითრდა. პატარა ხნის შემდეგ ეს და-

დის ამბით და დიდებით ჯვარის სვლა გათავდა და ჰერცოგ ბრესსაკის ეტლიც იმ ალაგიდამ დაიძრა და წავიდა. პრუსსიელი აფიცერი თვალს ადევნებდა მანამ ეტლი ქუჩის მოლოს კუთხეში შეუხვევდა და თვალს მიეფარებოდა. მას მერედ ყმაწვილმა-კაცმა თავის კაცებით გასწია ნელ-ნელა ლაშქრის მებანაკის მოსაძებნელად, რომ შეეტყო ამისთვის სადგომი სახლი სად დაენიშნათ.— მაგრამ ამ ერთ საათში, ამ ცოტა ხანში, ამ კაცში საშინელი დიდი ცვლილება მოხდა. ეს სულ სხვა ადამიანი შეიქნა და თუმცა დილით ძალიან თვალი ეჭირა საფრანგეთის ქალებზედ, მაგრამ უხლავი ისიც აღარ ესმოდა: რომ მისი მნახველი ქალები თითით აჩვენებდნენ და ეძახოდნენ: ეს ურიგო არ არის. პრუსსიელებისთვის ამისთანა ლამაზი კაცი მეტიც არისო.

ლაშქართ მებანაკე აფიცერი რატუშის წინ იდგა, ხელში სია ეჭირა და გარემომო მდგომი ხროვა აფიცრები თავს ეხვია. როცა ჩვენი ახალგაზდა აფიცერი მოვიდა, მებანაკე აფიცერი მოუბრუნდა თავაზით როგორც მის კაპიტნის ხარისხს ეკადრებოდა და უთხრა:

— ბატონო კაპიტანო, თქვენი სადგომი სახლი ჩინებულია: თქვენ, სხვა ორ აფიცართა-შორის, დაბინავდებით ბრესსაკის ჰერცოგის ციხე-დარბაზში. მშვენიერი სახლია, და ჩინებული მარანიცა აქვს. თქვენო ბრწყინვალებავ, გრაფო, დაუმატა ლაშქართ-მებანაკემ და წასჩურჩულა: ჰერცოგი ამ მხარეს პირველი, გამოჩენილი მდიდარი და შემძლებელი კაცია, და იმის ქალი, ასე ამბობენ...

სიტყვა მალე შესწყვიტა, რადგანაც ახლოთ მოსულნი სხვა აფიცრები თავს წაადგნენ; კაპიტანმა ცხენი მიატრიალა და მოეცალა იმ ხალხს და თავის გზაზედ წავიდა. ერთი ხელოსანი კაცი ნახა, წინ მიმავალი; დაეწია და ბრესსაკის ციხე-დარბაზის გზა ჰკითხა.

— ბრესსაკის ციხე-დარბაზი აქედამ იქნება ერთი მილის მანძილი, უპასუხა ხელოსანმა:— ასე სწორედ დიდ-გზაზედ მიბძანდით და თქვენ უთუოდ ჰერცოგის ეტლსაც მიეწევით. აი ეს-ეს არის, თვალ-წინ წამოვიდა. ჩინებული და კარგი ეტლია; ასეთ იბალიშები აქვს, თით-ქო ბურთისთვის დოშკიაო. დიაღ, ვერაფერი აბაზი გახლავთ, ძალიან

დიდი სირცხვილიც არის, რომ ეხლა რესპუბლიკის დროს, დიდ-კაცობა ამისთანა ეტლებით დააჭენებენ და პატიოსანნი ხელოსნები კი, აი როგორც მაგალითად თითონ მე, ქვეითად დავეხეტებით.

— წყეული ქურანი ცხენი ება და ერთი ახალ-გაზრდა ქალიც შიგ იჯდა განა? ჰკითხა პრუსიელმა.

— დიაღ... დიაღ წყეული ქურანი ცხენი გახლდათ. ნეტა იმ ცხენებს! იმათ უფრო უკეთესად აჭმევენ და ინახვენ ვინემც ნამდვილ რესპუბლიკანელებს. და შიგ რომ ქალი იჯდა ის — დერცოგის ქალია, ლილია ჰქვიან.

ჭაბუკმა-აფიცარმა ჯიბეს იკრა ხელი და ხელოსანს ერთი ოქრო გადაუგდო. —

## II.

ლილია ანუ ლილიო, როგორც შინ, ოჯახობაში, ეძახოდნენ, მარტოდ ერთად-ერთი, მამის-ერთა ქალი იყო ჰერცოგ ბრესსაკისა. ამას ჰყოლია ძმაცა; მაგრამ პატარაობაშივე მოჰკვდომოდა. და ძმის სიკვდილის შემდეგ მარტო ლილიაღა იყო მამის საყვარელი, მამის სიქადული და პატიოსნება: ერთის სიტყვით მზე და მთვარე ზედ ამოსდიოდა. მამას ისე უყვარდა, რომ სხვა ყმაწვილი ამის ალაგას მეორე გაყინჭანდებოდა, განებივრდებოდა, ხასიათს წაიხდენდა, ხოლო ლილიაზე კი მამის უზომო სიყვარულს არაფრისთანა ცუდი ზედ-მოქმედება არა ჰქონია, თუმცა ლილია უსაზღვროდ უფლებდა ბრეს-საკს და მისი უმცირესი სურვილიც კი ყველასთვის კანონად იყო. მაგრამ ამ გვარს უფლებას ზომიერად და გონიერად ხმარობდა და ახლო-მახლო იმათ არე-მარეში ცუდი ლილიაზედ არსად არავის არაფრისთანა არა გაგონილა რა. მეზობლები ამას კიამბობდნენ: ქალი-ან გულკეთილია, მაგრამ ამაყი კია. ამ გვარი სჯა ლილიას ხასიათ-ზედ მართალი იქმნებოდა, თუ ამაყობათ ჩავთვლით ჯერ იმ ზიზღს, რომელსაც ადამიანი ჰგრძნობს საძაგლობის და სულდაბლობის დანა-ხვაზედ და მერე იმ მხურვალე რწმენას კაცის იდეალისას, რომელსაც აჰყავს ადამიანი ყველა სულდგმულზედ იმოდენად მაღლა, რამოდენადაც

ცა დედამიწაზედ მაღალია. ვინ იცის, იქნება ეს რწმენა შეექმნეს ახალ-გაზრდა ქალს იმ ქვა კლდეთ, რომელზედაც უნდა შეიმუსროს მისი მშვიდობიანობა, რადგანაც იდეალები საშიშარნი არიან ცხოვრების ზღვაში მცურავთათვის. ამ ქალმა ჯერ არ იცოდა, რომ რაც უნდა წმინდა კაცი იყოს, არ შეიძლება ცოტარამ მაინც არა ჰქონდეს. საკვირველიც არის: ფეფრო ფევრი დრო თავის ყმაწვილობისა მარტო რაინდების ამბების და ისტორიის კითხვაში გაატარებინა, — ამ გვარის წიგნებით გაჭედილი იყო ბრესსაკის ციხე-დარბაზის ბიბლიოთეკა. ამასთან თავისის მამის პატიოსნება და კეთილშობილება, თითქმის წრიდამ გადასული, თუკი შესაძლოა, — ყოველთვის თვალწინ მაგალითად ჰქონდა და ყოველ ამის მიხედვით უნდოდა, რომ ყოველი კაცი სრული ყოფილიყო ვაჟკაცობით, დიდ-სულოვნობით და უანგარობით ყველაზედ ცუდი ეს იყო, რომ ყოველი უცნობი ამ გვარ ღირსებით შემკული ეგონა და მერე კი როცა ნახავდა, რომ არავის ეგ სიკეთენი არა აქვს, გული ეთუთქებოდა. აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ლერცოვის ოცის წლის ქალი ჯერ კიდევ გასათხოვარი იყო. ბევრნი შეჰტრფოდნენ, ბევრი სდევდა უკან და ბევრიც თხოულობდა, მაგრამ ზოგს იმის თვალში ვაჟ-კაცობა აკლდა, ზოგს მეტად უყვარდა ფული, ზოგს ქცევა და ზდილობა არ უყვარდა და ზოგი კი თუმცა ვაჟკაციც და უანგაროც იყო, მაგრამ ბევრი კვეხნა იცოდა და სხვა ამგვარი.

ესეც კი სიმართლით უნდა ვაღვიაროთ, რომ ლილია როცა საქ-რმოს უარს ეტყოდა ხოლმე, არას დროს და არას ფრით არ აწყე-ნინებდა და ისე ეტყოდა, რომ არც კი შეამჩნევინებდა რომ უარის თქმის მიზეზი იმათივე ნაკლულევანება იყო. ლილია არამც თუ მარ-ტო ძალიან კარგათ იყო გაზდილი, არამედ ძალიან გულ-კეთილიც იყო, და იმიტომ არავისთვის ცუდ-უბრალო მცირედი წყენაც კი ანუ ვნება თავის სიცოცხლეში არ მიუყენებია. თუ ვინიცობა იყო რომე-ლიმე იმის თაყვანის მცემელი ლილიას იდეალს არ ეთანხმებოდა, თვითონვე შეატყობდა რომ ჩემი საქმე წინ არ მიდისო და ყოვე-ლივე ღვაწლი უქმიაო.

როდესაც ლილია ქალაქ ო-დამ პრესსკაში დაბრუნდა, ისე ძარღვებ მოშლილი და ავ-გუნებაზედ იყო, რომ ამ მდგომარეობაში მამას თავის დღეში არ ენახა. ყველაზედ მეტად იმით სტკიოდა გული, რომ ხალხი ეგრე გულ გრილად დახვდა მტერსა და მწუხარების ნაცვლად ოხუნჯობდა და იცინოდა.

— საოცრებელიადაც საზიზღარია, იძახოდა იმედ-გადაწყვეტილი ლილია ტკივილით და ხელების მტვრევით: — საზიზღარია მეთქი რომ იქ ოცისა და ოცდა ათის წლის ყმაწვილ-კაცნი იყვნენ, ურცხვად თამამად გამოსულიყვნენ, უყურებდნენ მტერს, დაიცინებოდნენ და ერთ მათგანს იმოდენა ვაჟ-კაცობა არ ჰქონდა, რომ მტერს საომრად შეჰბჯახებიყო. კაი ლაჩრობაა, კაი ადამიანის გულ-ულმობლობაა, რა ჭყოთვილ-ხარი! რა იქნა, სად გაჰქრა საფრანგეთის ვაჟკაცური ქველობა? ამისთანა უბედურს დღეს ყოველი სახლი სიმაგრეთ უნდა გადაქცეულიყო, ყოველი სოფელი ციხეთ. ან რა საჭირო იქნებოდა ჩვენთვის სიმაგრენი რომ ჩვენი მამა-კაცნი ისეთი გულადნი ყოფილიყვნენ, ისეთი სიკვდილის შეუპოვარნი, როგორც დედა-კაცნი და ბავშვები სპარტოსისა, როცა ჩვენ გვეომებოდნენ. ჩვენ მარტოდ დამარცხებული კი არა, გაუპატიურებულებიცა ვართ. არც ერთი დედაკაცი საფრანგეთისა ამას იქით აღარ შეხედავს პატივ-მოწონებით საფრანგეთის მამა-კაცს. ჩვენ ეხლა ისე პირქვე დავემხენით, რომ ორმოცდა ათის წლის შემდეგ ჩვენი შვილები იკითხავენ: ჩვენი მამები რა ჯურის ტომისაგან იყვნენ შეზელილნიო, რომ ისეთი მოთმინებით ამისთანა სირცხვილი შეჰჭამესო!

ცრემლი და ტირილი თითქმის ახრჩობდა ქალს, და მამა ამაოდ ცდილობდა ნუგეშის-ცემას. ნუგეშის ცემა მით უფრო გაუძნელდა, რომ თვითონ ჰერცოგი ზიზღით უყურებდა ეხლანდელს საფრანგეთს, რომელსაც მამულის სიყვარული გაჰქრობოდა და ამის გამო ვერ მოუხერხებინა რა, რომ თავისი თანა-მემამულენი, როგორმე გაემართლებინა. სამარცხვინო ტყვეთ მიცემა ასი ათასის დაიარაღებულის კაცისა, გულ-გრილად ჩაბარება დიდროვან ქალაქებისა, სულმოკლეობით მუხლის დრეკა მტრის წინაშე და უფრო პირ-მოხეული ტრაბახობა ყურნალ

გაზეთებისა და ორატორებისა ხმას ყალზედ უყურებდა ლერცოგს. ამ გვარად შერცხვენის მიზეზს იგი ხედავდა მარტო იმაში, რომ მთელი საფრანგეთი ჭკუიდგან შეიშალა და გასულელდაო.

თუმცა ლერცოგი ამ აზრისა იყო, მაგრამ დიდი შესაწირავი შეჰსწირა ახალის ჯარის მოგროვებაზედ, თუმცა გამარჯვების იმედი გადაწყვეტილი ჰქონდა. თვითონაც კი შევიდოდა ჯარში, მაგრამ ფეხი დაშავებული ჰქონდა, რადგანაც ამ ოცის წლის წინად დუელში დაუჭრათ. მაინც და მაინც კი აპირებდა თავის ციხე დარბაზში გამაგრებულიყო, მაგრამ მარტო თვითონ და თავის ქალი თუ, თორემ სულ ყველამ, ვინცკი ახლდა შინ, ძალს დაიჭირა ეს ამბავი. როცა ლერცოგის განზრახვა შეიტყვეს, სულელობააო, ამბობდნენ, ტყუილ უბრალოდ თავები დავიხოცოთო. მარტო ერთმა ინგლისელმა მეჯინიბემ გულ დადინჯებით მოახსენა, მეც თქვენთან მზათა ვარო და ხელ დაატანა: წინადვე კი ვიციო, რომ არა გამოვა რაო.

ლილია ბრესსავი როცა შინ დაბრუნდა, იმის ბედზედ სახლში ბევრი საქმე დახვდა, და ამაში ცოტა ოდნად გაერთო და შეიმცირა მწვავი წუხილი გულისა. ჰერცოგს ბრესსავს არა ჰსჯეროდა საყოველთაო ხალხში გავრცელებული ხმა, რომ ვითომ პრუსსიელები რასაც მასხვდებიან ყველაფერს იტაცებენო და მძლავრობენო, ამიტომაც დააპირა მივიღებო ჩემს სახლში ყველა პრუსსიელ აფიცარს, ვისაც კი აქ ბინას დაუნიშნავენო და ისეთის პატივით დავხვდებით, როგორც ეკადრება ვაჟ-კაცობაში გამოჩენილს მტერსაო. ამიტომაც ლილიამ წინადვე დაითხრა, რომ ენახა მომზადებულიყო არა საუკეთესო ოთახები სტუმრების მისაღებად, მაშინ როდესაც ლერცოგმა თავისთვის და თავის ქალისათვის ძირიოდე უბრალო ოთახი დაიგდო მოშორებით, ციხე-დარბაზის კუთხეში, სადაც მივარდნილი. რაკი ლილიამ სასტუმრო ოთახები დაალაგებინა და მოაწყო, ტილოს თეთრი აოხსხი ჩამოიცვარა ჩოხნ და წავიდა ციხედარბაზზედ მოშენებულს პატარა სახლში, სადაც სამკურნალო გაემართათ დაჭრილთათვის და სადაც ამ ჟამად იწვნენ მძიმედ ოფიცერი და ჯარის-კაცი. იქავ ო-ბის ქალაქის ახლოდ ომში

დაჭრილების სხვათა ჯარში ნებით გასულებს შორის იმყოფებოდა ბიძაშვილიც ლილიასი მარკიზი კრიტკო.

ეს ფერ-მკრთალი მარკიზი ძალიან მდიდარი რამ იყო, და იქნებოდა ოცდა რვა წლისა. ამ ყმაწვილ-კაცს მინამ მეორე იმპერია ბედნიერობდა, ცხენების და დოღის მეტი სხვა საფიქრებელი დარდი არა ჰქონიარა. რა დროც უნდა ყოფილიყო, ამის ნახვა ყოველთვის შეიძლებოდა შანტილიში ანუ ნიუმარკეთში ცალ-თვალ სათვალით მარცხენა თვალზედ, მხარზე გადაკიდებულ მსუბუქის პალტოთი და პატარა წიგნით უბის ჯიბეში, რომელშიაც სანაძლეოს დანიშნავდა ხოლმე. ამის ცხენებით არც ერთი დოღი არ იქნებოდა ხოლმე, მაგრამ ათასში ერთხელ კი ძლივს მოხდებოდა, რომ ამის ცხენს დოღში გაემარჯვნა და ჯილდო მიეღო, და ამითი როგორც ეტყობოდა, მაინც არ აკლდებოდა სანაძლეოს ხურუში. ასე და ამაში ალამებდა თავის სიცოცხლეს, ამ საზარელ ომიანობის ზაფხულამდინ და როცა სტუმრად მოვიდა ბრესკის ციხე-დარბაზში თავის მამიდაშვილის, ლილიას სილამაზემ ისეთი თავ-ბრუ დაასხვია, ისე გააოცა, რომ მთელი საჯინიბო და ცხენებიც საჩქაროდ გაყიდ-გამოყიდა, ცალ თვალა სათვალე შორს გადაგდო, სანაძლეოების ჩასაწერი პატარა წიგნი ცეცხლში დასწვა და ნების დართვა სთხოვა ჰერცოგ ბრესსაკსა, რომ მე თქვენი ქალის შერთვა მსურსო. ამ ცხარე სიყვარულის და ლილიას უკან დგენის დროს საფრანგეთ და გერმანიის შუა ასტყდა ომიანობა: თუმცა პირველად ამ მარკიზს ეგონა, რომ საფრანგეთის ჯარი უამისოდაც პრუსიელებს ადვილად მოერეოდა და იმიტომ თავის ადგილიდამაც არ დაიძრა, მაგრამ ვიორტის ომის შემდეგ კი, როცა საფრანგეთის მთავრობამ ხალხის შემწეობას მიჰმართა და ყველა, დიდი-და-პატარა საფრანგეთის შვილი საომრად მოიწოდა, ლილიამ ბრესსაკმა ეს თავის ბიძა-შვილი შეაგულიანა, გაამხნევა, რომ ჯარში ვოლონტერათ შესულიყო. ამაზედ ხმა ამოუღებლივ დაემორჩილა, რადგანაც ყოველთვის მზად იყო ოღონდ ლილიას კი ესიამოვნებინა და მარტო მიდიოდა თუნდა ზარბაზანზედაც. ეს სედანის ომში დაესწრო, ტყვედ

დაიჭირეს და გამოექცათ. შემდეგ შევიდა იმ ჯარში, რომელიც ახლად მოკრიბეს და შეაგროვეს საფრანგეთის მაზრებში. ამ მარკიზმა იმოდენად და იქამომდის დაამტკიცა თავის ვაჟ-კაცობა და შნოობა, რომ გამბეტტამ აძლია პოლკოვნიკობის ხარისხი და ჯვარი. პირველზედ მარკიზმა უარი ჰსთქვა და ჯვარი კი გამოართვა. ლ–ის მახლობლად ომში ტეუტერის ტყვიამ ერთი მხრის მკალი დაუმსხვრია და ამ დაჭრილობამ დროებით გაუშვა სამხედრო ასპარეზზე.

თუ რომ ეს ჭაბუკი—ვოლონტერი სხვა რომელსამე სამკურნალოში ყოფილიყო, იქნება მაშინ ძალიან სანანური და სანაღვლელი გახდებოდა ეს დაჭრილობის უბედური შემთხვევა. მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაში ბევრს არა ჰსწუხდა. ამის დაჭრილობა მძიმე არ იყო და მოსარჩენად მარტო მოვლეობა და მოსვენება იყო საჭირო. ამიტომაც ეს მთელი დღე ტახტზე იწვა გაშოტილი და ჩქლეჩნამობმელის, პაპიროსკეტლივ თამბაქოს ეწეოდა და, როცა იმის ბიძა, ან მამიდის შვილი, ლილია, მასთან არ იქნენ, სულ ყოველთვის რომანების კითხვაში იყო ხოლმე. ეს მარკიზი სწორედ იმ დროს კითხულობდა წიგნსა, როცა ლილია შევიდა იმის ოთახში, და წამალი შეიტანა, რომელსაც დაჭრილი მარკიზი სიამოვნებით მიიღებდა ხოლმე, სრულიად დარწმუნებული, რომ უებარი წამალია, რადგანაც ლილიას მომზადებული და ჩაკეთებული იყო. მას—მამიდის ქალს, თეთრ, წმიდად გახამებულ საყელოთიანდა მაჯებიანად და ბამბის კატარა თავ-საფარავით, რომელიც ჰფარავდა მის მშვენიერს წაბლის ფერს თმებსა, წარმოადგენდა უკეთესს იდეალს გულ—შემატკივარ დისას. ხმა-ამოუღებლივ ფეხ-აკრებით შევიდა, გაიარა ოთახი, მივიდა ავათ-მყოფის გვერდით, დასდგა ჭიქით წამალი და ისეთის ნაზის ხმით დაელაპარაკა, რომ უცებ მარკიზს გულმა კანკალი დაუწყო.

— დღეს თქვენ თავს როგორა ჰგრძნობთ?

—როგორც კი ლილია დაინახა, მარკიზმა მაშინვე პაპიროსი და საკითხავი წიგნი ხელიდამ გააგდო.

— მე ყოველთვის უკეთა ვარ ხოლმე მაშინ, როცა თქვენა გხე-

დავთ და როცა არა, უარესობა მომდის, უპასუხა მარკიზმა ხუმრობითაც და მართლის გულითაც: — ერთი ეს მიბძანეთ, თვალები რათა გაქვსთ დაწითლებული, გიტირნიათ?

— დიახ, ლიდიამ ჩუმად წარმოსთქვა; შემდეგ ამოიოხრა, წამალი დაუსხა და ჰსთქვა: — დალიეთ, ცოტათი მწარე წამალია, მაგრამ მკურნალი ასე ამბობს, რომ ძილს მოგგვრისთ და კარგად დაგეძინებათო.

მარკიზმა ასე გულიანად და სიამოვნებით დალია ეს მწარე წამალი, თითქო უკვდავების ნექტარიაო, ტუჩები მოიწმინდა და უპასუხა:

— ეს ბურგონიის ღვინოზე უფრო სასიამოვნოდ მეჩვენა.

მანამდის მარკიზი წამალს მიიღებდა, ქალმა უნებურად აიღო ხელში ის წიგნი, რომელსაც მარკიზი კითხულობდა. ეს წიგნი იყო ერთი სახელ-განთქმულ თხზულებათაგანი თეოფილე გოტიესი. რა კი წიგნის სათაური ამოიკითხა, წიგნი ისევ თავის ადგილს დასდო და ავად-მყოფს შეწუხებულის სახით და უგემურის თვალით გადახედა.

— ზღაპრებია! წამოიძახა ბოლოს ლიდიამ: — მე არ მეგონა, რომ თქვენ ეხლა, ამისთანა დროს ზღაპრების კითხვას მოუნდებოდით!

მარკიზი ვერ მიხვდა რაზედაც ეუბნებოდა და ამანაც თავის მხრით გაოცებით შეხედა.

— ეს წიგნი გოტიეს თხზულებაა, ჩემო ბატონო, წყნარად სთქვა მარკიზმა.

— განა გოტიეს ზღაპრების კითხვის დროა ეხლა? ვაცმა ეხლა მე უნდა ვკითხო, როცა პრუსიელებმა თავიანთი ბაირაღი ამართეს ჩვენს სამშობლო ო-ის ქალაქში?! როცა ისინი კადნიერად ჩვენს ცოხე-დარბაზში მოდიან?! წამოიძახა ლიდია ბრუსსაკმა: — მე ვხედავ, რომ ეხლანდელს უგვანობას ძალიან ღრმად გადგმული ფესვი ამ ჩვენს საწყალ ქვეყანაში, თუ მაგისთანა კაცი როგორც თქვენ, აგრე მსუბუქის

თვალით უყურებს თავის სამშობლო მამულის და მიწა-წყლის პირ-ქვე დამხობას!

მარკიზი წამოწითლდა, და ცოტათი შეკრთომით უპასუხა:

— ძგრე უწყალოდ ნუ მსჯით, ჩემო დედიდა-შვილო! როცა თქვენ აქ არა ხართ, დრო ისე უგემურად გვიან გადის, რომ იძულებულ ვარ რითიმე გავართო და გავერთო. საიმისოდ ბევრიც არა წამიკითხავს რა, აი ნახეთ, მარტო მესამე გვერდზედ ვდგევარ ვკითხულობ, მართალია, მაგრამ ყოველთვის გონება და გულის-ყური სულ სხვაზედა მაქვს.

— თქვენ ყოველთვის მარტო ერთ საგანზედ უნდა ფიქრობდეთ, და ნაღვლობდეთ, უპასუხა მკვახედ ლილიამ: — სახელდობრ მასზედ თუ როგორ მოვემზადნეთ იმ დღისთვის, რომ ჩვენ ეხლანდელი ჩვენი სირცხვილი ჩამოვირეცხოთ და მტერს მაგიერი გადავუხადოთ. როცა თქვენ გაძლევდნენ პოლკოვნიკის ხარისხსა, არ მიიღეთ, უარი ჰყავით და სთქვით, რომ თქვენ იმის ღირსი არა ხართ. თუ მართლად და ნამდვილად ამაში დარწმუნებული იყავით, მაშ კეთილ-შობილურად და პატიოსნად მოქცეულხართ. ხოლო რატომ არ უნდა ეცადოთ, რომ ღირსი ოდესმე მაინც შეიქნათ? მე რომ კაცი ვყოფილიყავ, ერთს წუთსაც არ მოვასვენებდი ვიდრე სალაშქრო საქმე არ მეცოდინებოდა და ჩვენის მტრის ენას არ ვისწავლიდი კარგად, რომ მით მზად ვყოფილიყავ იმ ღირს-სანატრელ დღისთვის, როცა ჩვენ მტრის ჯავრს ამოვიყრიდით, იმათ ქვეყანას და მიწა-წყალს დავიმონავებდით. —

დუმილი ჩამოვარდა. ახალ-გაზდა მხედარმა დაიარავებულს ხელს უიმედოდ დახედა, დაღონდა და მწუხარებით შუბლზედ ხელი გადისვა.

— ჰშიშობ, რომ მე ცუდსა და უღირს თაობას ვეკუთვნი, წარმოჰსთქვა მარკიზმა რამდენიმე წამის შემდეგ ხმა-დაბლა: — ჩემს ხელმძღვანელი თქვენ უნდა იყვნეთ. მე შემიძლიან ყოველი თქვენი ბრძანება აღვასრულო. ამას იქით მე არასოდეს, არც ზღაპრებს, არც რო-

მანების წიგნს ხელში აღარ ავიღებ, ვიდრე მე პრუსიელების ენას და იმათს სამხედრო წესსა არ ვისწავლი.

— ყველა საფრანგეთის-შვილი რომ აგრე მოიქცეს, ჩვენ ხუთის წლის შემდეგ პრუსიელების ჯავრს ამოვიყრიდით და მაგიერს გადუხდიდით, წამოიძახა ლილია ბრესსაკმა გულიანად და მხურვალედ.

— იქნება ჩვენები ეგრე მოქცეულიყვნენ, თუ რომ დამრიგებელად თქვენ ჰყოლებოდით, უპასუხა მარკიზმა ღიმილით, მივარდა ლილიას ხელს, რომელიც სტოლზედ ესვენა, მიიტანა ტუჩებთან და ზედ დააკვდა.

სწორედ ამავე დროს, კარები დაურახუნეს. ლილია ბრესსაკმა ხელი გამოიტაცა და მოაშორა, ოთახში მოსამსახურე შევიდა, სწორედ ის, რომელიც იმავე დილით ჰერცოგის ეტლზედ იჯდა. ეს იყო ერთ მველებურ მოსამსახურეთაგანი, რომელთაც ტანისამოსი თავის დღეში რიგიანად არ ადგათ ხოლმე და მებატონეებს ისეთის მფარველობის სახით ექცევიან თითქო თავიანიაო და რომელისაც ყოველთვის ბეშინიან აი სტუმრებს საჭმელს ჩამოურიგებს თუ არაო, თითონაც სუფრაზედ გვერდით გამოიჭიმებაო. ეს დიდიხნის მოსამსახურე იყო ჰერცოგისა და სახელად ჟანბატის ბარბკრიუში ერქვა. ბატონთან ისე მიჩნეული იყო, რომ სადაც არ გინდოდა ბატონების ლაპარაკში გაერეოდა ხოლმე. იმამდე ყველას გმირად მიაჩნდა და ყველას ეგონა რომ გაჭირების დროს თავს გამოიჩენსო. როცა მართლა გაჭირება მოვიდა და ჰერცოგმა იმანა ციხე-დარბაზი ნემეცებისაგან გავიმაგროთო, ცხადად გამოჩნდა, რომ თუმცა ბარბკრიუშს უყვარდა ჰერცოგი, მაგრამ ამაზედ მეტად ვიღაც სხვა უყვარდა, სახელდობრ, თავისი საკუთარი თავი. ჯერ არ გაეგო, რომ თავ-მოყვარეობამ მისმა აზრი გამოუცვალა ყველას და ისეთის ნდობით აღარ უყურებდნენ და ამის გამო აღარ უღალატა თავის ჩვეულებას, რომ ყოველი ბძანება ბატონებისა ბაღოსდაიღოს, დააწუნოს თუ მოიწონოს და თავ-მოწონებით და მძიმედ მოახსენა ლილიას:

— ბატონი ჰერცოგი გთხოვთ, ქალ-ბატონო, ქვევით ჩამობ-

მანდეთ პრუსიელების დასახვედრად, გაგონილა! ბატონს ნებავს ის სამაგალები დიდის ამბით და პატივით მიიღოს! ეგ, სწორედ მოგახსენოთ, მე გულს მიკლავს. მე მოვახსენე ჭერცოვს: ბატონო, მეთქი, ოღონდ პრუსიელებს კი ნუ დამანახვებთ და საკუჭნაოში თავს დავიმწყვდევ და მთელი ექვსი კვირა იქიდამ ფეხს არ დავიძვრი მეთქი." ეს კიდევ არაფერი: ჭერცოვს ნებავს გასალებებში ძმათ წასაბარონს და ჰსთხოვს ნება მომეცითო ჩემის ოთახებიდამ არ გამოვიდეო, ვიდრე თქვენ აქ იქნებითო. ეგღა აკლდა! ნება მომეცითო, თითქო აქ ისინი იყვნენ ბატონები და არა ჩვენ. მე კი მოვახსენე ჭერცოვს: ბატონო ჭერცოვო, მეთქი, ჰსჩანს ძალიან ცუდი დღე დაგვდგომია, რომ მე თქვენ ძველს მოსამსახურეს მაგას მიბძანებთ მეთქი." ჭერცოვმა მიბძანა, საცა შენი საქმე არ იყოს, ნუ გამოერევი და ამასთანვე ხელმეორედ მიბძანა, თქვენ, ქალ-ბატონო, გთხოვოთ მალე წამობძანდეთ. მე ფანჯრიდამ მოვკარ თვალი: რაღაც ბრიყვებს და კაცი მჭამლებსა ჰგვანან. გაგონილა! ისინი ჩვენის ღვინით უნდა თვრებოდნენ, ისინი, ის არამზადები, ის კაცის მჭამლები...

— კმარა! დაიძახა ლილია ბრესსაკმა და შეხედა მძულვარის თვალითა: — თქვენ, ჟან-ბატისტო, მაშინ შეგეძლოთ მაგათი ცუდად ხსენება თუ იმოდენა კაი-კაცობა გქონიყოთ, რომ მაგათ შეჰბმოდით. ეხლა კი ეს თქვენთვის ცოდვაში ჩასაწერი მწარე მაგალითია, მით რომ მხდალნი და ლაჩარნი, რომელთაც გულ-და-გულის ომის ეშინიანთ, გამარჯვებულებს ისე უნდა ემსახურებოდნენ, როგორც ყურ-მოჭრილი ყმანი. რა ხანიც პრუსიელები ამ სასახლეში დარჩებიან, თქვენ უნდა ემსახუროთ იმათ და... რაც კი შეიძლებოდეს — მართებულად და პატივისცემით და თუ თქვენა გსურთ მართლა საკუჭნაოში თავი ჩაიკეტოთ მაგის ნებასაც გაძლევთ, ხოლო საკუჭნაო კი სხვაგან მონახეთ და არა ბრესსაკის ციხე-დარბაზში. სახრე რო გაქვნათ, ისე არ გაშრებოდა ეს უბედური ჟან-ბატისტი, როგორც ამ ქალის სიტყვებისაგან გაშრა. მაგრამ პირი დაალო თუ არა, რომ პასუხი მიეცა, ახალ-გაზრდა ქალმა ისეთის შეუწყალებლის სახით შეხედა, რომ

ჭკუა და კეთილ-გონიერება მოიხმარა და დაწყნარება ამჯობინა. მარტო მაშინ, როცა ლილია ოთახიდამ გავიდა, ამ ნაამაგდარ მსახურმა ავათ-მყოფს მარჯინს თვალი უყო, ხელები გაშალა და მაღლის ხმით დაი-ძახა:

— ეგ ავაზაკნი — პრუსსიელები, ეგა! სულ მაგათი ბრალია. ნუ-ტავი ჩვენს ჯარს ისე ეომნა, როგორც რიგია და ეკუთნოდა! მაგრამ რა? ჩვენი ეხლანდელი ჯარის-კაცი დაშინებულია, გალაჩრებულია! ჩემ დროს, ეგ ეგრე არ იყო! დიაღ, მაშინ სულ სხვა იყო! დაუმატა ბარ-ბარიუშმა და ის კი დაავიწყდა, რომ იმ ოთახში დაჭრილი ახალ-გაზდა ჯარის-კაცი იწვა, და დაცინვით ყურს უგდებდა.

ნახევარ საათის შემდეგ, ბრუსსავის ციხე-დარბაზის დიდს სადღე-სასწაულო და სასტუმრო ოთახში ისეთი რამ ამბავი მოხდა, რაც არ ენახათ არას დროს იმის ძველ კედლებს და სხვა ჩამოკიდებულ, ჯავ-შნით მოსილ დახატულ რაინდებს, რომელნიც თავიანთ ოქროს ჩარ-ჩოებიდამ გაოცებით გადმოჰსცქეროდნენ ამ უნახავს, ახალ ამბავს: ჰერცოგი ბრუსსავი, სულ შავებში, როგორც მგლოვიარე და იმისი ქალი იდგნენ პატარა სტოლის წინ, რომელზედაც რამდენიმე დიდ-რონი გასაღებები ეწყო. მათ უკან ჩამომწკრივებულნი იდგნენ მოსამ-სახურეები და წინ იდგა მჭიდრო გუნდი პრუსსიელის აფიცრებისა, რომელთ ხმლებს ჩახა-ჩუხი გაჰქონდათ ჩუქურთმიანს ფილაქანზედ. როცა ეს აფიცრები ციხე-დარბაზს მიახლოვდნენ, მაშინ რადი იყვნენ ასე მშვიდობიანად და გულ-დინჯად. ამათ არ იცოდნენ, რა მოუ-ლოდათ იქ და როგორ დახვდებოდნენ. თუმცა გამზადებულნი იყვნენ ყოველ-გვარ განსაცდელისათვის, მაგრამ მაინც რასაკვირვე-ლია, იმას ამჯობინებდნენ, რომ უსიამოვნება არა შემთხვეოდათ რა ამასთან კაცთან. როგორც ჰერცოგ ბრუსსავი იყო მშვიდობიანობა-ზედ მალე დაუჯერეს გული. ჰერცოგმა ამაყათ მორჩილებულად დაუკრა თავი, ამაზედ, როგორც პრუსსიელ აფიცრებშია ჩვეულება, სამაგიერო სალამი გადუხადეს და სამხედრო პატივი მისცეს.

— მოწყალენო ხელმწიფენო, უთხრა ჰერცოგმა საკმაოდ რიხი-

ანის ხმით ჰსთქვა, საფრანგეთის ენაზე: — ომიანიონის ბედმა ბატონებათ მოგიყვანათ თქვენ ამ სახლში. მე, სხვა გარემოებაში, დიდათ მოხარული და მოწადინე ვიქნებოდი მემასპინძლა აქ და მიმეღეთ თქვენ, როგორც სტუმრები. მე ჩემის აქ ყოფნით თქვენ არ შეგაწუხებთ, რა ხანიც თქვენ აქ იქნებით; მე და ჩემი ქალი გთხოვთ ნება მოგვცეთ, რომ ჩვენ სადგომ ოთახებიდამ არ გამოვდიოდეთ თქვენს სანახავად, დანარჩენი ეს სასახლე თქვენ განკარგულების ხელ-ქვეით იყოს. მე ჩემ სასახლის ნაზირ-მოურავისთვის მიბძანებია, რომ ყოველი თქვენი ნება და წადილი აღასრულოს ხოლმე; იგივე ყველა გასაღებს გადმოგცემსთ. მაგრამ აი ეს გასაღები, ზედ დასატანა და ჯიბიდამ მომცრო გასაღები ამოიღო: — ეს, გასაღები იმ სანიშანისაა, საცა სათუჯახო ძველადგანვე ჩვენი გვარეულობის მამა-პაპური სხვა და სხვა ძვირ ფასი ნივთები აწყვია. ნება მიბოძეთ, ღენერალო, ეს გასაღები საკუთრად თქვენ ჩავაბაროთ· და ჰერცოგი ერთი ნაბიჯით წინ წადგა, პრუსსიელების უფროსს გასაღები მიაწოდა; იმანაც ჩამოართო, ხელში ატრიალა, წამოწითლდა, მაგრამ მაინც ჯიბეში ჩაიდო და შეინახა

ამ ამბის დროს იქ ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ ფილაქანზე ქინძის-თავიც რომ დაცემულიყო, ადამიანი იმის ხმასაც შეიტყობდა. მერე ჰერცოგმა თავის ქალს ხელი მისცა და ოთახიდამ გავიდა. პრუსსის აფიცრები იმათ წინ ორ-პირად ჩამომწკრივდნენ, და მარჯვენა ხელი ყველამ, ჩაჩქნებზე მიიდეს და ასე სამხედრო პატივი მისცეს. როცა ჰერცოგი თავისის ქალით ოთახის კარებში გადიოდნენ, მაშინ ერთი იმ აფიცრებთაგანი გამოექანდა, სტოლიდამ ხელთ-თათმანი აიღო, მიართვა ლილია ბრესსკას და საფრანგეთის ენაზე უთხრა:

— თქვენ დაგრჩათ, თქვენი ხელ-თათმანია. ლილიამ მადლობის ნიშნად ჩუმად და წყნარად თავი მოუხარა და იცნო რომ ეს აფიცერი, ის იყო, რომელიც იმ დილით ხახს სახის მეთვალყურეობა წინანდელივე ჰქონდა და ლილიას მაშინ არ მოეწონა. ეხლა კი საზიზღრად არ ეჩვენა იმიტომ, რომ, როცა იმას თავის ხელ-თათმანი გამოართო, მაშინ შეატყო, რომ ამ აფიცრის ხელი აუკანკალდა და თვალებში ცრემლი მოეგუბა.

## III

— მე ვერ გამიგია, ლეონეიზენს რა დაემართა, ჰსთქვა ექვსის კვირის შემდეგ, სადილზე, ციხე დარბაზის სასუფრო ოთახში, სქელ-სქელმა კაპიტანმა, მაქსიმილიანე კოხმა.

— სასოცარია, დაუმატა მეორე ლიპიანმა კაპიტანმა ფერდინანდო ფონ-შვეიპემა და თან მსუქან ყვერულს დაუწყდ თლა:—ის აღარც ფერსა სჭამს.

— და არც არაფერსა სვამს, წამოიყრანტალა მესამე კაპიტანმა, ერთმა უშნო აწოწვილმა თურაშაულ ვაშლსავით თეთრ-წითურმა, და ჰერცოგ ბრესსაუის წითელი ღვინო ერთი მთელი ჭიქა გადააბძანა.

— საქმე იმაში მდგომარეობს, სიცილით წარმოსთქვა პატარა პარუჩიკმა ფონ-ვესპემ: რომ ლეონეიზენი შეყვარებულია, მე ეს ნამდვილად და ზედ-მიწევნით ვიცი.

— შეყვარებული ერთი-ორად უნდა სჭამდეს და სვამდეს, რადგანაც სიყვარული კაცს აშრობს და გახდის ხოლმე, ჰსთქვა გამძღარმა, ჩასუქებულმა პოლკოვნიკმა, გრაფმა ვურსტპაცენმა და რადგანაც ეს ამ სუფრაზე მსხდომ აფიცრებში ხარისხით ყველაზე უფროსი იყო, ამიტომაც, როცა ამან გაიცინა, ყველა დანარჩენ აფიცრებმაც სიცილი მოაყოლეს.

პრუსსიელების ჯარში ერთი წესია: როცა პოლკოვნიკი გაიცინებს ხოლმე, ყველა აფიცრებმაც უთუოდ უნდა გაიცინონ. უამისოდ სამხედრო წესს და დისციპლინას აზრი არა აქვსო.

— ვის ეტრფის, ვინ უყვარს? იკითხა კაპიტანმა კოხმა და პირი თვისი ნადირის ხორცით გაიმსო.

— მართლა, მართლა, რა ჰქვიან იმის სიყვარულის საგანს? განიმეორა კაპიტანმა ფონ-შვეიპემ და ყვერულის საჭრები ჩაილაგა პირში.

— ეგ იმის საიდუმლოა, უპასუხა პირხმელმა, ჩამომხმარმა პორუჩიკმა.

— სიყვარულის საიდუმლო, საიდუმლო არ არის, წამოიძახა უშნო აყლაყუდა კაპიტანმა და კიდევ ერთი ჭიქა ღვინო გადაუშვა და

სთქვა:—მაგისთანა საქმე არ დაიმალება და ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე.

— მაგას მგონი თვით მიჯნურნიც არ თავზილობენ და არცა ჰსწუხან, შენიშნა ისევ მსუქანმა პოლკოვნიკმა და ხელახლად სიცილი მოჰყოლდა.

ამის სიცილზე კიდევ ჩაიხარხარა ყველამ ერთხმად, თითქო მართლა კარგმა კაცმა გაიცინაო.

— თუ პოლკოვნიკი მაგისთანა აზრისაა, ჰსთქვა პუტრიკამ პორუჩიკმა:—მაშ მე ამასაც დავუმატებ, რომ გამოსაცნობად ძნელი არ არის, რომელმა ლამაზმანმაც გააბა მახეში ჩვენი მეგობარი.

— მე თითქმის გამოვიცანი კიდეც, ღიმილით წარმოსთქვა კაპიტანმა ოტტონე დელაუგემ, პირ-რგვალის სახისამ და სათვალებიანმა:—ეგ არი...

— სსუ'.. ყველა აფიცრებმა საერთოთ წამოსთქვეს, რადგანაც იმ დროსვე ოთახში შევიდა ჟან-ბატისტ ბარბკრიუში და ორ ნაირი ტკბილი საჭმელი შეიტანა.

ამ ექვსის კვირის განმავლობაში ბარბკრიუშმა პრუსიელებზე თავისი აზრი გამოიცვალა. ამ პატიოსან მოხამსახურეს დიდხან არ ჰყოყმანია: მამულის ერთგულება რას მიქვიანო, ისევ ჰსჯობია ეს ძველი ადგილი არ დავკარგოო, ჯიბეში ჩადის რამე მაინცაო, თორემ პანჩურს ამომკვრენო და წადი და მერე იწანწალეო. ერთის სიტყვით, ეს კაცი ერთის ნაპირიდამ მეორეზედ ადვილად გადახტა და ეხლა ლაზათიანად მოეწყო იმ ბრიყვ კაცის-მჭამლებთან, რომელთაც დანახვაც-კი უწინ ეთაკილებოდა ვითომ მის საფრანგეთის მოყვარულს სულსა და გულსა. ეხლა ძალიან ზრდილობიანად ექცეოდა და დაუშინაურდა კიდეც და ახალს ბატონებს თითქმის ისეთის მოწყალების თვალითვე უყურებდა, როგორც უწინდელებს.

— შარლოტს იცნობთ რუსულად გაკეთებულს თუ პუდინგს, რომითა, ბატონო გრაფო? ჰკითხა მან პოლკოვნიკსა, როცა საჭმელი მიართვა: ნება მიბოძეთ გირჩიოთ პუდინგის მირთმევა, ჩვენმა მზარეულმა მაგის გაკეთებაში თავის თავს გადააჭარბა.

— უფალო ჟან-ბატისტო, ჩვენი კაპიტანი ლეონეიზენი ხომ არ გინახავთ, ჰკითხა სათვალებიანმა კაპიტანმა: დღეს ჩვენთან არ მოვიდა სადილად.

— მომიტევეთ, ბატონო კაპიტანო, გრაფი ლეონეიზენს მე ვნახე; ის თითქმის მთელი დღე ბაღში იჯდა და რაღასაც ხატავდა. მართალია, როცა დაბინდდა, მაშინ თვალიდამ მიმეფარა და არ ვიცი რა იქნა. უთუოდ ქალაქს წავიდა.

— შესაძლოა, განიმეორა კაპიტანმა ჩუდლაუგენმა.

— როცა ჟან-ბატისტმა ტკბილი საჭმელი ქეჩლებს მიართვა, რამდენიმე პომარის, შამბერტის და შატო-ლაფიტის ღვინის ბოთლები კიდევ გაუხსნა ამათ და მას მერმე სასადილო ოთახიდამ რომ გავიდა, ისევ იმ სათვალებიანმა კაპიტანმა წამოიძახა:

— ბაღში ვნახეო! ეს მე, სულ რომ ცოტა ვთქვა, მეოცეჯერ მესმის და თვალითაც ვხედავ, რომ კაპიტანი ლეონეიზენი ბაღშია! ეს ბაღი, უნდა იცოდეთ, ზედ აკრავს მეორე ხეხილის ბაღს, რომელიც ყოველთვის დაკეტილია და სადაც თოვლივით თეთრი ჭირცოვის ქალი ყოველთვის დასეირნობს ხოლმე. იმ ბაღშია აგრეთვე პატარა ბილიკი გზა, რომელიც სოფელ ბრესსაუში მიდის და საცა ჭირცოვ ბრესსაუის ქალი ავათ-მყოფების სანახავად დაიარება ხოლმე.

— ხა, ხა, ხა! ასტუდა ერთი ხარხარი.

— ხი, ხი, ხა! პოლკოვნიკმა ჩაიხითხითა და სთქვა: — ნუ ეგლავენი ამ ნაირად ლაპარაკობს, თითქო და მართლა მტრის ციხე მოეჩხრე-კოს და ენახოს, რომ ციხე სხვას ჩავარდნია ხელში. ამ ხუმრობამ, როგორც ყოველთვის, საერთო სიცილი და კასკასი ასტეხა.

ჩასუქებულმა პოლკოვნიკმა სტაქანზე ღვინო დაისხა და კიდევ დაუმატა — თუ ერთ-ერთმა ჩვენებურმა ოფიცერმა ბრესსაუის ქალი გერმანიაში წაიყვანა, როგორც გვირგვინოსანი მეუღლე, მაშინ ამის წამყვანი ისეთს ქვეშევრდომს შეჰსძენს მისს იმპერატორობის დიდებულებას, რომლის უმშვენიერესიც დედა-მიწის ზურგზედ არ იპოვება, ეგ იქნება მეორე მეცის ციხის აღება. ღმერთმა აღდეგრძე-

ლოს, ის ვინც გაიმარჯვებს! და ჩასუქებულმა პოლკოვნიკმა, გრაფმა ფონ-ვურსტბაცენმა სავსე ჭიქა ღვინო ერთიანათ გადაყლუჭა და ენა ჩაიწკლაპუნა.

რაღა თქმა უნდა, რომ ყველა ამის მაგალითს მიჰყვა. როცა პოლკოვნიკი სვამს-ყველამ უნდა დალიოს. სამხედრო წესი და დისციპლინა ამას მოითხოვს.

ყველამ, ხმა მაღლა დაიძახეს: ღმერთმა ადღეგრძელოს ის, ვინც გაიმარჯვებს! ამის შემდეგ სათვალებიანი კაპიტანი პოლკოვნიკს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენი ნაბძანები სადღეგრძელო მე გიხსენით; მაგრამ მე არა მგონია, რომ ეს მშვენიერი ქალი ჩვენგანმა ვინმემ ცოლად წაიყვანოს. დაჭრილი მარკიზი, ჩვენი ტყვე, პირობით განთავისუფლებული, პატიოსანის სიტყვით დაიცებული, უფალი ფონ-კრიტკო, მგონია, დღე და ღამე მაგ ქალის ოცნებაშია. ეგენი ნათესავებიც არიან და სულ ერთად დაიარებიან, როგორც და და ძმა.

— ამ წინა დღეებში ვნახე, ისინი ბაღში დასეირნობდნენ, შენიშნა აყლაყუდა კაპიტანმა, რომელიც ღვინისაგან იყო წამოწითლებული:

— ერთი ხელი ჩამობმული ჰქონდა, და მეორე ხელზედ ჰერცოგის ქალი იყო დაყრდობილი. მასზე თუ როგორ არის ქალი კაცის ხელზედ დაყრდომილი ადვილად შეამცნევა უყვარს ქალს კაცი, თუ არა. მე თვალი კადევნე და გაბედვით ვიტყვი, რომ ჰერცოგის ქალს მარკიზი არ უყვარს.

— მარკიზიო ჩვენს ენას და სამხედრო წყობილებას თურმე სწავლობს, ჰსთქვა პატარა პორუჩიკმა; ვისაც კი შეხვდება თურმე, ჩვენებურად ელაპარაკება და მოსამსახურენი ამბობენ, რომ ამით ცდილობსო ჰერცოგის ქალს ასიამოვნოსო და ჩვენის ჯარის ამოურძლისათვის მომზადდესო.

ამ პეტრიკა აფიცერს ეგორა ძლიან ფხიანი სიტყვა ჰსთქვიო და სახე დაიპრანჭა, ვითომ გამოჯავრება უნდოდა ფრანცველისა, რომელსაც ზღვევინების დღე ელანდება.

— ხა, ხა, ხა, ჩაიკასკასეს ყველამ.

— მაშ მოვესწრობით იმ დღეს, რომ საფრანგეთის მარშალი კრიტკო რეინს გამოვა და ალყას შემოარტყავს მაინცსა...

— ვესტფალის ლორის დასაპყრობად, შენიშნა პოლკოვნიკმა და ეს ოხუჯობა იქამდის სასაცილოდ ეჩვენათ, რომ ხარხარი დიდხანს აღარ შეწყვეტილა.

ბოლოს აფიცრები სუფრიდამ წამოდგნენ, მაინც კიდევ იცინოდნენ მარშალ კრიტკოზედ და მის ლორზედ, გამოვიდნენ სხვა ოთახში მოსაწევათ და ყავის დასალევათ.

## IV

ისინიკი, ვისზედაც ასე მხიარულად მუსაიფობდნენ პრუსსიის აფიცრები, თავ-თავის საქმეში იყვნენ გართულნი და, ისე ბედნიერნი არ იყვნენ, როგორც მათი გამკიცხველნი. გრაფ ლეონეიზენიდამ დავიწყოთ. ზურგით მიყუდებული ხეზედ, რომლის კენწეროს ცივი დეკემბრის ქარი დაჰზუზუნებდა, იდგა ეს ყმაწვილი კაცი რომლის გულისათვისაც წინად და ეხლაც არა ერთის და ორის ქალს უცემდა გული ბერლინში, თუ კელნში. იდგა და დაჟინებით გაიყურებოდა ბნელაში დიდის-გზის გაყოლებაზედ, რომლის ბოლოშიაც სოფელ ბრესსავის ცეცხლები მოჩანდნენ. ყოველს საღამოს გრაფი ლეონეიზენი მოდიოდა ამ ხესთან და იმ გზას შესცქეროდა, რადგანაც ლილია ბრესსავა მოახლეს გაიყოლებდა ხოლმე და წავიდოდა სოფელში დაჭრილთა დასახედავათ და ხშირად ბინდამდის იქ მოუხდებოდა ხოლმე დარჩომა და მერე დაბრუნდებოდა. ამის გამო ახალგაზდა აფიცერი შინელში შეხვეული მოდიოდა აქ და იმის გამოვლას ელოდდა ხოლმე. ძალიან საამურად ჰქონდა გულში, რომ შორიდამ მაინც ჰპატრონობს საყვარელს ქალს, რომ ძლიერი მკლავი და ვაჟკაცური გული მზადა აქვს ყოველის განსაცდელისაგან, თუ შეურაცხყოფისაგან დაიხსნას იგი, თუნდა თავის სიცოცხლის ფასათაც. ჯერ ლილისათვის აქნობამდე ხმა არ გაეცა, არც-კი ცდილა რომ როგორმე გამოელაპარაკოს. იცოდა გული რომ მისი საყვარელი უიმედოა.

ჯერ ხმა არ გაეცა მეოქი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თუნდაც ძალიან ჭკვარებოდა ლილია ამას თავის დღეში ქრმად არ ინდომებდა. სამი თვის წინად გრაფი ლეონჰეიმერი წამოვიდა საომრად და ფიქრობდა მარტო თავის გამოჩენაზედ და ჯილდოების მიღებაზედ. ეხლა კი რა იყო ამისათვის ან ჯილდო, ან სახელის მოპოვება? ვინ იცის რას არ მისცემდა, რომ საფრანგეთის და გერმანიის შორის ომი არ ყოფილიყო და ლილია ბრესსაკი ცოლად შეერთო! ეხლა ეს ნატვრა ამაო იყო ამ ჟამად. მარტო ესღა დარჩა უმაღლესს ბედნიერებად, რომ ყოველს საღამოს მოსულიყო ხესთან და უწინარად თვალი ედევნა საყვარელის ქალისათვის. ამ სახით ხუთიოდ წუთს მაინც ინახულებდა ხოლმე მთელს ოცდა ოთხს საათში და ამითაც კმა ყოფილი იყო.

ხოლო ხომ იმისთანა დღეებიც რომ ამ ერთად-ერთის ბედნიერებასაც ბედი უამობელად მოუწამლავდა ხოლმე; სწორედ იმ საღამოს როცა ამის ამხანაგები-ოფიცრები ამაზედ ოხუნჯობდნენ სადილობის დროს, გრაფი იდგა ხის ქვეშ და შური და იჭვი გულს უხშავდა. იგი შეეჩვივა იმ ფიქრს, რომ ლილია იმას არ შეირთავდა, მაგრამ რომ ლილიას სხვა დაუმატრონებოდა — ამას ვერას გზით ვერ მოეჩვივა, და როგორც თოფის წამალი აფეთქდებოდა ხოლმე — და ის ითრღებოდა. ამ დღეს შეიტყო თუ მეხუთეთ სხვა, რომ ლილიას მეახლოვე კი არ მიჭყუებოდა სოფელში, არამედ მოჯობდა. რომ შემდეგ მცირე მანძილზე ეკლესიას, ახალ-გაზრდა გერმანიელს, სიმდაბლით და ტანით შემკულს, ვერას გზით ვერ წარმოედგინა, თუ ლილია ბრესსაკმა როგორ უნდა შეიყვაროს იმისთანა უკეთური, წარა-მარა კაცი, როგორიც მატარა მანგიში იყო, მაგრამ ვინ იცის? ვინაა გაუგია საფრანგეთის ცოლქმრობის მოადგილეობი, ის ადვილად დაიჯერებს რომ თითქმის შესაძლოა ამისთანა შეუძლებელის ცოლ-ქმრობის მოხდენაცა. ამისთანა უბედური ფიქრებით გარემოცულმა, ისე რიგად მაგრად დაიკუმშა მუშტები, რომ ფრჩხილი ხორცში გაუყარა; ქარი უცრო ცივად და ძლიერად მოუჩვენა, და გარემემო არე-მარე კიდევ უფრო უსაწყალად და ბნელად, ვიდრე წინა დღეებში.

თუმცა გრაფი ლეონციხენი იმდენ გადაწყვეტილი იყო, მაგრამ არც მისი საფრანგეთელი მეტოქე იყო უკეთეს დღეში. პირიქით მარკიზ კრიტიკოს ბედი უფრო და უფრო ბინდდებოდა. ახალ-გაზრდა ნემენცს იმით მაინც შეეძლო ენუგეშნა, რომ ჩემის ტრფიალების უიმედობის მიზეზი მე თვითონ კი არა ვარო, გარემოება არისო, მარკიზი კი, ხედავდა რა რომ ვერაფრით მოინადირა ლილიას გული, ამას ვერ იტყოდა; იმას უნდა ეფიქრნა, რომ საკუთრად მე ის ღირსება არ მაქვსო, რომლის ძალითაც ქალი კაცს შეიყვარებს ხოლმეო. ლილია ბრესსაკი ყოველთვის გულ-კეთილად ექცეოდა მარკიზს. ისე ექცეოდა როგორც და. თვითონ მარკიზი დარწმუნებული იყო, რომ ხელი ეთხოვნა, ლილია ამას შეირთავდა ჯილდოდ იმ უხმო-მორჩილებისათვის, რომლის ძალითაც სიცოცხლეც კი გაიმეტა ლილიას გულისათვის. ხოლო ეს თავის-გაწირვა იქმნებოდა ლილიასათვის და მარკიზი იმოდენად პატიოსანი იყო რომ ამისთანა თავ-გაწირვას არ მოჰსთხოვდა. მარკიზს უნდოდა ლილიას სიყვარული და რა კი ნახა რომ ეს შეუძლებელი იყო, იმოდენა ღონე და პატიოსნება იქონია, რომ თავის უბედურებას დაემორჩილა. ეს კი ძალიან უნდოდა შეეტყო, ლილიას ეს ამბავი გულ-გრილობით მოსდიოდა, თუ უყვარდა ვინმე სხვა და იმის გამო. ამ ბოლოს დროს შეამჩნია, რომ ლილია ძალიან გამოიცვალა. იგი ეხლა უწინდელზედ უფრო ჩაფიქრებული და გულ-დახურული იყო ხოლმე. ზოგჯერ ხელ-საქმით ხელში ისე ჩაფიქრდებოდა ხოლმე, რომ რამდენსამე ხანის განმავლობაში, ნემსი ხელში გაუშეშდებოდა და თვალები, უმიზეზოდ გაშტერებულნი, გამომეტყველებდნენ ტკივილს სასო-წარკვეთილებისას. მერე, როცა რაიმე ხმაურობა გამოაფხიზლებდა, ხელახლად დაიწყობდა ხელ-საქმობას, ლოყებ-წამოწითლებული.

ყველა ამ ნიშნებს მარტო მიჯნურის თვალი თუ დაინახავს! სხვების თვალში კი ახალ-გაზრდა ქალი ისევ ის იყო, რაც უწინ, არც მეტი, არც ნაკლები. ხოლო უცხო და უფრო გამჭრიახი კაცი-კი შეამჩნევდა, რომ ლილია ამ ომიანობაზედ ისე გულ-მხურვალედ აღარ ლა-

პარაკობდა, როგორც ამ ერთის თვის წინად. თუმცა უწინდელებრ მაინც ფითრდებოდა ხოლმე, როცა შეიტყობდა დამარცხების ამბავსა, სტიროდა, როცა აუწყებდნენ ხოლმე იმ საშინელებას, რომელსაც მტერი მიაყენებდა აოხრებულ და ცეცხლით დაბუგულ სოფლების მცხოვრებთა, მაგრამ როცა მარკიზს ჩამოუგდებდა ხოლმე საფრანგეთის ბედზედ ლაპარაკს, აღარ ეუბნებოდა საჭიროაო მომზადება ზღვევინების დღისათვის და მტრის ქვეყნების დაპყრობისათვისაო. ამის მიზეზად იმასაც კი ამბობდნენ, რომ ფთხილობსო, რადგანაც ბისმარკს ყველგან აუარებელი მოსყიდული ენის-მზიდველი კაცები ჰყვანდა გაფანტული.

იმ დღეს მარკიზმა გააცილა თავის დეიდა-შვილი ლილია სოფლამდე, ლილიასვე თხოვნით. იმედი ჰქონდა, რომ გასეირნება არგებდა მარკიზს და ამიტომაც ჰსთხოვა ერთად წავიდეთო. უკანასკნელს ჟამს მარკიზი ერიდებოდა მეტიჩრობით თავი არ მოვაწყინოო, ეხლა კი როცა თვითონ ლილიამ ჰსთხოვა და სამჯერ, ოთხჯერ გაუმეორა, მეტად იამა.

მინამ ლილია შეუხვევდა წყლულს მხარ-ბეჭიანს ახალ-გაზრდა გლეხს, რომელიც უუმბარის ნატეხით მძიმედ დაჭრილი იყო, ლუი კრიტკო მიუჯდა ბუხარს, საცა ცეცხლი ენთო, და ყოველს მოძრაობას ქალისას თვალს აყოლებდა, თვალს აყოლებდა ისე, როგორც ჭეშმარიტმა მიჯნურმა იცის ხოლმე და გული ემზადებოდა და ჰსტკბებოდა, როცა მოაგონდებოდა, რომ ეს სრულება მადლისა, სიტურფისა და სიკეკლუცისა თავის დღეში ცოლად არ ეღირსება.

ქოხი, რომელშიაც ლილია და მარკიზი იყვნენ, წარმოადგენდა ჩვეულებრივს უსიხარულო სადგურს გლეხისას შუა დასავლეთის საფრანგეთისას. მარტო ერთი ოთახი იყო და კუთხეში ბაკი ჰქონდა ფურისათვის. მარკიზის თვალში კი ეს მიყრუებული ქოხი ყოველს სრა-სასახლის დარბაზზედ უფრო ბრწყინვალე იყო, რადგანაც ლილია აქ იმყოფებოდა.

ლილია იდგა დაჭრილის ქვეშაგებთან, უხვევდა წყლულს დედა-

კაცობრივის სიფთხილეით, სათუთობით და გულ-მოდგინებით და ეს-რედ წრფელის გულით სიკეთისათვის თავ-გადადებულის ლილის უფ-რო შვენოდა ვიდრე აბრეშუმში და თვალ-მარგალიტში. მართლადაც რომელი მარგალიტი იქნება იმისთანა, რომ დააბნელოს თვალთა შვე-ნება კეთილის დედა-კაცის ტანჯულთათვის მოღვაწის და თავ-გაწი-რულის! ლილიას მაყურებელი უბედური მარიამში მწარედ ნანობდა გულ-ში, რომ მისმა ცხოვრებამ წარამარად ჩაიარა ფართო-ფუფუნებაში და ერთი იმისთანა ღირსება არ გაუჩნდა, რომ ამ პატიოსან ქალის გულში სიყვარულის ნაპერწკალი მაინც ჩაეგდო.

ბოლოს წუხილის შეხვევა დასრულდა და სნეულმა მადლობის ხმით წარმოსთქვა, თუმცა ცოტად ტლანქად კი მოუვიდა:

— ბატონის-შვილო, თქვენ არ იცით, რამოდენა მადლს მიშ-ვრებით მე.

— ღვთის-მშობელმა დედამ გაკურთხოთ თქვენ, ჩემო კეთილო-მშვენიერო, ქალ-ბატონო, დაუმატა გლეხის ცოლმა: მე ზოგჯერ ფიქ-რად მომდის რომ თქვენ თვითონ ბძანდებით ყოვლადწმინდა ქალწული, მოვლენილი ციდამ, რომ ნუგეში გვცეთ ჩვენ, საწყლებს.

ლუი კრიტკო წამოდგა და მიართვა წამოსასხამი ლილიას.

— რძეც საჭირო ხომ ყველას გაქვთ, მარშელ? ჰკითხა ლილიამ, როცა იცვამდა წამოსასხამს, რომელიც თავიდამ ფეხამდე ჰფარავდა თითქო მონაზონის ანაფორა არისო.

— ყველაფერი, ყველაფერი, ბატონო, ღვთისა და თქვენის წყა-ლობით; [illegible], სამკურნალო ნივთების კაჭარმა, საცვალი ტა-ნისამოსი ხელახლად გამოგვიგზავნა და ყან-ბატისტმა კიდევ თქვენის სახლიდამ ღვინო მოგვიტანა. თამაქო კი....

დედა-კაცი ჩაჩუმდა, ქვაზედ იყურა, თითქო სულელობისა-წა-მოჰსცდაო და ნანობსო.

— რას ამბობდით, თამაქოზე? ჰკითხა ლილიამ: — მარშელმა უნ-და უწინდელსავით ჩიბუხსაც ჰსწევდეს? არ თამაქოს ფულით, დაუმატა ლი-

ლიამ და ქისა ამოიღო: ოღონდ ძალიან ტკბილს კი ნუ მოჰსწყვეტთ, გაწყენთ!

ჩის ჯამი იდგა იქით თაროზედ და ლილია წავიდა რომ ფული იმაში ჩააგდოს, ახადა ჯამს სარქველი და ნახა, რომ ჯამი პირთამდე ახალის თამბაქოთი სავსე და ზედ ლამაზად ნაკეთი ჩიბუხია.

ჯეოხის დედა-კაცმა პირი მოიპარა და ქმარმა კიდევ მოუსვენრად დაიწყო ქვემოკუთხეში ტრიალი.

— რა ლამაზი ჩიბუხია! დაიძახა ლილიამ, მშვენიერი ხელოვნებაა, მაგრამ ჩვენებური კი არ არის. დაიცათ, სად მინახავს მე ამისთანა ჩიბუხები?.. ჰო, მართალია, გერმანიაში მინახავს, გარცის მთებში.

— ჯეოხის დედაკაცი სულ წამოწითლდა, წამოხტა და სირცხვილ მორეულმა ჰსთქვა:

ბატონო, ქალბატონო! ჩვენ ვიცით რომ ავად მოვიქეცით, ამას იქით იმათთან აღარა ფერს არ ავიღებთ.

— საპატიებელი აქ რა არის? ჰკითხა გაოცებით ლილიამ.

— თქვენ, ბატონის შვილო, ამ ორის თვის წინად, როცა პრუსიელებს მოელოდით, სიტყვა ჩამოგვართვით, რომ იმათგან არა მივიღოთ რა და საჭირო იქნება თქვენის სასახლიდამ მოვიკითხოთ. ღმერთს გეფიცებით, ბატონის შვილო, ჩვენ თავის დღეში იმათის არა ფერს მივეკარებოდით, თუნდა შიმშილით გავწყდარიყავით... მაგრამ ის პრუსიელს არა ჰგავს, ღმერთმანი არა ჰგავს.

— სწორედ, ის სხვებს არა ჰგავს, ჩამოურთა დაჩოქილიცა.

— ვისზედ ამბობთ მაგას? ჰკითხა ლილიამ და ჩიბუხი თავის ადგილას დადვა. მარკიზს მოეჩვენა ვითომ ლილიას ხმა ცოტად აუკანკალდა.

— ჩვენ სახელი არ ვიცით, უპასუხა დედაკაცმა საბრალოს ხმით: ლურჯი მუნდირი აცვია, ძალიან ლამაზია და ისეთი კეთილი, მადლიანი თვალები აქვს, რომ სწორედ პრუსიელი არ უნდა იყოს. ამას წინად გუშინწინ მიშელი აი ჩვენის მეზობლის შვილი ორმოში ჩავარდნილიყო სადღაც სოფლის გარედ, დედა კინაღამ ჭკუიდამ

არ შესცდა, რომ ღამე იყო და შვილი არ მოუვიდა. როგორ გგო-ნიათ? თერთმეტი საათი იყო ღამისა რომ მთელი სოფელი ფეხზედ წამოდგა და დაუწყეს ძებნა; ვხედავთ, ის პრუსსიელი მოდის და ხელში უჭირავს, როგორც ძუძუთა, ჩვენი კუზიანი მიშელი. მართლა ფეხი ეღრმო, მაგრამ იმ უბედურის შვილს შიშჭილით სული ამოსძვრებოდა ორმოში პრუსსიელს რომ იმისი კივილი არ გაეგონა, არ ჩასულიყო ორმოში და საწყალის ბიჭი არ ამოეყვანა. ამის შემდეგ ყოველ დღე მოდის გიზოსთან და მიშელის ამბავს კითხულობს. ჩვენი ამბა-ვიც იმათგან შეეტყო. ქალბატონო, მოგახსენებთ, ანგელოზია მეთქი ავაზაკის ტყავში. ნაზია როგორც ქალი და ღონიერია როგორც ლომ-ში და როცა მარშელს ელაპარაკება სულ ყოველთვის ამხნევებს ხოლმე. ამასთან რის მცოდნე არ ყოფილა! ჩვენ გვასწავლა რომელი ადგილია ბაღში უფრო კარგი მწვანილის მოსაყვანათ, ისიც, საცა უფრო ხვდება მზეო; ბუხარი გვიზოლავდა და გაგვიკეთა; ბოლოს თითონ მიადგა კიბე, ავიდა ბანზედ და ფიცარი გააკრა, საიდამაც ჰსწვეთდა. ხომ ეგეთია, მაგრამ ისეთი იერისაა, რომ არ შეიძლება კაცმა ბატონათ არ იხსენიოს. აი ხეტავი მარშელსაც და ამის ამხანაგებს იმისთანა აფიც-რები ჰყოლოდა და დიდიხანია ბერლინი აღებული გვექნებოდა.

ლილია ბრესსაკმა არა უპასუხარა. მარკიზმა კი შეამცნია, რომ თითები ოდნავ აუთრთოლდა, როცა უკანასკნელს ღილს იკრავდა წა-მოსასხმელზედ.

დედა-კაცი პასუხს მოელოდდა და რადგანაც ვერ მიუხვდა ხმა ამოუღებლობის ნამდვილს მიზეზს, დაიძახა ხმა-მაღლივ:

— მითამ რა საჭიროა ჩვენთვის ის პრუსსიელი, თუ იმისი ყოფნა ჩვენს სახლში სათაკილოა! ოღონდ ერთი მიბძანეთ კი, და ცეცხლს მივსცემ თამბაქოსაც, ჩიბუხსაც და თვითონ იმას ჩვენს დირეზედ ფეხსაც აღარ დავაკარებინებ თავის დღეში.

მივარდა დედა-კაცი თაროს და ჰსტაცა ხელი ჯამს. ლილიამ მა-შინვე შეაყენა.

— არა, უთხრა ლილიამ: შეინახეთ ეგენი და ნუ დაუშლით იმ

აფიცერს აქ სიარულს. დაგვიგვიანდა კი, ჩემო ბიძაშვილო, დაუმატა მან აჩქარებით, გამოეთხოვა გამოვიდა ქოხიდამ და ხელდანდობილი მარკიზის მკლავზე, შინ წამოვიდა.

გარედ სულ მთლად ბნელოდა. ცა შავად მოევინათ ღრუბლებს, არც ვარსკვლავი ჰსჩანდა და არც მთვარე. თოვლის მოსვლის ნიშნები იყო. მიწა ყინვისაგან ისე გამხმარიყო, რომ ფეხის ხმა ისე ისმოდა თითქო ფილაქანზედ დადიანო. რამდენსამე ხანს ლილია და ლუი კრიტკო ხმა ამოუღებლივ მიდიოდნენ. მარკიზი რატომ არ იღებდა ხმას—თითონაც არ იცოდა, მაგრამ შხირად თვითონ გული გვეტყვის ხოლმე სად უნდა თქმა და სად არა. ახალგაზდა ქალი კი ჰგრძნობდა, რომ ბევრიც ჰსდომებოდა, ხმის ამოღების ილაჯი არა ჰქონდა.

ბოლოს კრიტკო უეცრად შედგა, თითქო რაღაც გაახსენდაო.

— ლეიდა-შვილო, უთხრა ლილიას: ჩვენ უნდა ოთხგან შევსულვიყავით და მარტო სამგან კი ვიყავით.

— ღმერთო ჩემო! მარსიე აკი დაგვავიწყდა! წამოიძახა ლილიამ თითქო ეხლა გამოეხიზლდაო: მე დაპირებული ვიყავ, ასს ფრანკს მოვიტანთ მეთქი ქოხის გასაახლებლად და ვინ იცის მელოდებიან. ისინი, მგონია, აქედამ შორს არიან.

— დიაღ, და თქვენც დაღალული ხართ. განა ვერ მოიცდიან?

— იმედს გადიწყვეტენ საწყლები და მგონი ჯავრით ამაღამ ძილიც არ მოუვიდეთ, ჰსთქვა ლილიამ და უკმაყოფილოდ თავი გაიქნია.

— მაშ მე წავალ, ფულს წავუღებ და თქვენ აქ მარშელთან მამიცადეთ. ნახევარს საათს უკან მოვალ კიდეც.

— შვიდი საათია, გასინჯა საათი და უპასუხა ლილიამ: მამა ჩემი სადილზედ მიგველოდება და ტყუილ-უბრალოდ შეწუხდება ჩვენის დაგვიანების გამო.

ერთს წუთს ჩაფიქრდა და დაუმატა.

— იცით რა? მოდით თქვენ ფული წაუღეთ და მე მარტო წა-

ვალ მინისაკენ აქ შორი არ არის და არავისის შიშია, ჩვენს გზაზედ, ხელს არავინ მახლებს.

— თქვენ? ჰკითხა მარკიზმა თითქო თავის-თავს ეუბნებაო: ვინ რას შემოგზედავთ! მარტო ღვთისაგან შეჩვენებული თუ დაგესწრევო-თითხსა, თორემ სხვა არავინ.

თუმცა მარკიზი დარწმუნებული იყო, რომ ლილიას გზაზედ არაფერი შეემთხვევა, მაგრამ არ უნდოდა მარტო გაეშვა. მერე იმისთანა ბნელა ღამეში და ამის გარდა სურდა მოეხერხებინა იმისთანა რამ, რომ ლილიაც გაეცილებინა და არც მარსიესათვის გული ეტკინებინა. მაგრამ ვერა მოაგვარა რა და უნდოდა დაჰმორჩილებოდა ლილიას სიტყვას, თითონ მარსიესთან წასულიყო და ლილი მარტო დაეგდო, მით უფრო რომ ქალი არწმუნებდა არაფრისა მეშინიანო, ბნელა ღამეში სიცა მისდა წავალო ჩვენს ადგილებშიო, რადგანაც აქაურ მცხოვრებთა პატივისცემისა დიდი იმედი მაქვსო.

სხვა გზა არ იყო, გამოართო ლილიას ყური და უკანვე წავიდა სოფელში, ლილი გაემგზავრა მინისაკენ მარტოდ.

მაგრამ მარტო კი არ იყო, რად იყო ის რომ ამ გზაზედ უფრო არაფერისა ეფიქრებოდა, ვიდრე სხვა რომელსამე გზაზედა? როგორ მოხდა, რომ არც ერთხელ ლეონეიზენი ხის ქვეშ მდგარი არ ენახა და გულით კი გრძნობდა იმას აქ ყოფნასა? მათ-შორის არც სიტყვით, არც წერილით არაფერი ლაპარაკი არ მომხდარა. სიყვარული ლეონეიზენისა იყო იდუმალი, უტყველი და მორიდებული. ნუ თუ მის იდუმალს ფიქრების თანა-ზიარ ექმნა ლილიას გული?

ლილია ბრესსაკი მიდიოდა აჩქარებულის ფეხით და თვალით სულ ძედა-მიწას დასჩერებდა. იგი ჰგრძნობდა ახლოდ ყოფნას კაცისასას, რომელიც ეტრფოდა და ჰფარველობდა. ღოყეები ეწოდნენ, გული უძგერდა, მაგრამ ცდილობდა არაფრით არ გამოემჟღავნებინა რაც იცოდა და რასაც ჰგრძნობდა; არ უნდოდა არავისთვის ენიშნებინა რა ძლიერმა და მხურვალე სიყვარულმა ჩასჭიდა თავისი ყოვლად-შემძლებელი ხელი მთელს მის არსებასა.

ცოტა რომ გაიარა და მივიდა იქამდი, საცა გზა შეუხვევდა. აქ გზა უფრო ვიწრო იყო და უფრო ძნელიცა. მაგრამ თამამად მიდიოდა და სულაც გუნებაშიაც არ გაიტარა, როცა ორი კაცი დაინახა პირში ჩიბუხებით და ზურგზე გუდებით. დაუსწორდნენ კსენი ქალს თუარა, გზა მისცეს, თავი დაუკრეს და ღამე მშვიდობისა უთხრეს. მერე შედგნენ, თითქო უკვირთო ეს ამისთანა ლამაზად მორთული ქალი ასე გვიან აქ რას დაიარებაო, ჩიბუხები გამოიღეს პირიდამ და ერთ-მანეთში რაღაცას ჩოჭყვნენ.

ცხადი იყო, რომ კარგს საქმეზედ არა ჰქონდათ რჩევა; საკმარი იყო კაცს დაენახა ისინი, რომ ამაში გული დაეჯერებინა. მუდამმა დამარცხებამ საფრანგეთის ჯარისამ აავსო ქვეყანა იმისთანა კაცებით, რომელნიც უბინაოდ და ულუკმა-პუროდ დარჩენილნი და დამარცხებით გულ-წამხდარნი, გამოჰსცვივდნენ ჯარიდამ და ავაზაკობას მიჰყვეს ხე-ლი. ამ ჯურის ხალხს ეკუთვნოდნენ ის ორნიც, რომელნიც ლილიას შემოეყარნენ. დიდ ხანს არ ჰქონიათ რჩევა: ჯიბეში დამალეს ჩიბუხები და ფეხ-აკრეფით დაედევნენ ყმაწვილ-ქალს.

ხოლო ლეონეიზენი აქ იყო და მიუხვდა ავაზაკთა განზრახვას.

ერთი ავაზაკი მალე წამოეწია, დაუძახა ქალს და მთხოვარის ხმით უთხრა:

ქალბატონო, ღვთის გულისათვის, შეეწიეთ ორს დაჭრილს ჯა-რის კაცს, რომელთაც არა აქვთ რა რომ შინამდინ მიახწიონ.

— ჩვენ ამ ომებში ყოველგან ცეცხლში ვყოფილვართ, გვიომნია, ქალბატონო! დაუმატა მეორემ.

ლილია სრულებითაც არ შეშინდა, მობრუნდა, ამოიღო ქისა და როცა დააპირა ფულის ამოღება, ერთი იმ არამზადათაგანი წაჰსწვდა და წაართო ქისა, მეორე კი მიიზიდა, რომ დაჰკრას რამე. სწორედ ამ დროს ფრიდრიხ ლეონეიზენი გამოვარდა თავის საფარიდამ და ასეთ ნაირად დაჰკრა ხმლის ტარი, რომ ის უბედური მიწაზედ გაიშხლარ-თა. მეორეს კიდევ წაჰსწვდა ყელში და ისე მოუჭირა, რომ თვალთ დაუბნელდა და ენა გამოაყოფინა. თვალის დახამხამებაში უმალ ქისაც

დაჰსცა დედამიწაზედ იქავ ამხანაგთან ახლოს. ამასობაში სულ ნახევარ წუთსაც არ გაუვლია და პრუსიელმა ერთბამად დაიმშვიდა გაბოროტებული გული, თავაზიით მოიხადა ქუდი და მიართვა ლილიას ქისა.

— აი თქვენი ქისა, უთხრა ქალს: ხომ არ შეგაშინებიათ?

— მადლობელი ვარ, უპასუხა ლილიამ ხმა დაბლა და ხელი კი არ გაუწოდა.

— ნება მომეცით ხელი მოგართვათ და შინამდინ გიახლოთ? დაუმატა უმაწვილ-კაცმა ოდნავ ხმა კრთომით და გულმა ძგერა დაუწყო.

ქალმა თანხმობის ნიშნად ოდნავ მოუხარა თავი. მაშინ გრაფი ლეონეიზენი მიუბრუნდა მიწაზედ გაშოტვილს ავაზაკებს და გასინჯა, ხომ ძალიან არ არიან ნავნებნიო.

— სამძიმო არა ჰსჭირთ რა, ჰსთქვა გასინჯვის შემდეგ უმაწვილმა კაცმა.

მაინც კიდევ აიღო ჯიბიდამ ხელსახოცი და ერთს მათგანს თავი შეუხვია. მერე გაიქცა, თავის საფარიდამ შინელი მოიტანა და ქვეშ დაუგო ორივეს ერთად. ბოლოს როცა რაც შეეძლო იმოქმედა, რომ საწყლებს ტკივილი შეუმსუბუქოს, წამოდგა, ბოდიში მოჰსთხოვა ქალს დაგვიანებისათვის და მკლავი მიართვა ხელის გასაყრელად.

ქალს ხელი უნდოდა გაეყარა და მის მკლავზედ დაბჯენილიყო, მაგრამ შედგა, შეხედა პირდაპირ თვალებში, გაუწოდა თავისი პატარა ხელი და ლიტონად უთხრა:

— თქვენ კეთილშობილი გული გქონიათ.

ბნელაში არა ჩანდა, გაფითრდა, თუ გაწითლდა ამაზედ ლეონეიზენი, მაგრამ მუხლზედ კი წამოიჩოქა და ტუჩებზედ მიიკრა გამოწვდილი ხელი ქალისა. როცა წამოდგა, თვალები გამოუბრწყინდნენ, სახეზე გაუთამაშა მართებულმა, მაგრამ თავ-მოწონების ღიმილმა, რომელიც ყველა მადლობის თქმაზედ უკეთესი იყო.

— დიაღ, განაგრძო ქალმა გულ-წრფელად: ვითომ რატომ არ უნდა მეთქვა ის, რასაც ვგრძნობ. ჩვენი სამშობლო ქვეყნები ერმანეთს ებრძვიან და მე და თქვენ დიდ ხანს ვიქნებით მტრები. ხოლო როცა

შინ დაბრუნდებით სიამოვნებით მაინც გაიხსენებთ, რომ თქვენს შემდეგ აქ დარჩა არა მარტო წყევა და კრულვა.

— განა მტრები სულ მუდამ მტრებათ უნდა იყვნენ, უპასუხა უმაწვილმა-კაცმა დალონებით: განა აღარ მოვა დრო, რომ დავიწყებას მისცეს ეს სამწუხარო საქმენი ამ სამწუხარო წელიწადისა?

ამ დროს გაუსწორდნენ ერთს ქოხს, რომელიც დანგრეული იყო, ბან-ახდილი და კედლებ დარღვეული ურმებისაგან. ლილიას ბრესსავმა ხმა ამოუღებლივ დაანახვა ეს საცოდავი სანახავი პრუსსიელს. პრუსსიელმა მძიმედ ამოიოხრა.

— მე მახსოვს რომ ამ სამოცი წლის წინად მამიჩემის სახლთან ახლო სოფლისათვის ამისთანავე დღე დაუყენებიათ, ჰკითხა ლეონიძეზენმა ცოტა ხნის უკან და იგრძნო რომ ამ სიტყვებზედ აკანკალდა მოყვარე ქალს: დედა ჩემს ხშირად უამბნია, რომ სულ პატარა ვიყავით, როცა იმ სახლს, სადაც მამა ჩემი და დედა ჩემი აგუწყსო, ცეცხლი წაუკიდესო და მე ძლივს გადამარჩინესო. ეს ამბავი ნაპოლეონის შესვლის დროს მოსვლა. იენისის ომის შემდეგ, პაპა ჩემს და სხვა პრუსსიის დიდკაცებს პირობა შეეკრათ ხალხი შეეკავშირებინათ საომრად, რომ ჩვენი ქვეყანა მტრებმა არ გაინაწილონო. ეს შეთქმა გამომჟღავნდა, პაპა ჩემი დაატყვევეს, მისცეს საფრანგეთის სამხედრო სამართალს და თოფით დახვრიტეს, იმისთვის რომ მამულის ერთგული იყო.

ლილიას ხელი უკანკალებდა, თითქო გაციაო, და ძლივსღა იბრუნებდა სულს.

— მე უნდა მოგახსენოთ კიდევ, განაგრძო გულდასმით საუბარი ლეონიძეზენმა: რომ ერთი ფრანციელი ლამობდა პაპის ჩემის დასჯას. ჩვენი მამა-პაპეული ციხე-დარბაზი სავსე იყო საფრანგეთის ოფიცრებით და ერთი მათგანი სამხედრო სამართლის მწერი იყო. ამან გამართლების აზრი მისცა და თვითონვე წავიდა ნაპოლეონ იმპერატორთან და სთხოვა აპატიეთო. ნაპოლეონმა უარი უთხრა და რომ შეანანიოს იმ ოფიცერს ამისთანა კადნიერება, უბრძანა შენ თვითონ უნდა გაუძღვე და შენი სიტყვითვე უნდა დახვრიტონო თოფით. მაშინ იმ ოფი-

ცერა გადატეხა თავისი ხმალი და სამსახურიდამ გადადგომის ნება ითხოვა. ამაზედ მეტიცა ჰქმნა: ნება არ მისცეს, ჩამოართვეს ყოველივე ხარისხი და ღირსება, გაასალდათეს და მთელს იმ ომებში უბრალო ჯარის კაცად ემსახურა. ის ოფიცერი გახლდათ...

— თქვენი სახელი? წამოიძახა ქალმა და მივარდა უმაწვილი-კაცის ხელს.

— უფრო უკეთესი იქნება მოგახსენოთ იმ პატიოსანის ოფიცრის სახელი, უპასუხა პრუსსიელმა: ის გახლდათ ჰერცოგი ბრესსაკი, თქვენი პაპა.

V

ორმა კვირამ გაიარა და იმ ადგილების ბედი, სადაც ჰერცოგ ბრესსაკის ციხე-დარბაზი იყო, სრულიად გამოიცვალა. ყოველ მხრივ მოაწვა დიდ-ძალი ჯარი საფრანგეთისა პრუსსიელებს, მეტად კარგად აწარმოებდა ჯარს ერთი ჭკვიანი ღენერალი საფრანგეთისა. მთელ ამ ომებში ერთმა ამან გამოიჩინა თავი და დიდი ფიქრი მისცა გერმანიის ჯარს, ქალაქს ო—ში დაბანაკებულს, რომელთ ან უნდა დაეცალათ ქალაქი, ან კიდევ ტყვეთ უნდა დარჩენოდნენ მოპირდაპირეებს. დააპირეს ქალაქის დაცლა. ქალაქის ო-ის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ყველას იმედი მოეცა, რომ ბედი ისევ დაუბრუნდება უბედურს საფრანგეთსა და მუდამი მარცხი გამარჯვებათ შეიცვლებაო. მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ნემეცები ისე არ წავლენ, რომ ჯავრი არ ამოიყარონ ქალაქზედ მაინც, ქალაქი ო-ი მოემზადა საომრად. ვერ წარმოიდგენს კაცი რა რიგად იამა ეს ამბავი ჰერცოგს ბრესსაკს. საფრანგეთის ღენერალმა უთხრა, რომ მისი ციხე კარგს სიმაგრობას იზამს განზრახულს ომისათვის და უბძანა, ათასმა კაცმა ჰერცოგის ხევნარი დაიჭირეთო, იქ გამაგრდითო, სანგლები დააკეთეთო, რაც მოგხვდებათ იმით, თუნდ სახლები დაანგრიეთ და ბაღშიც ხეხილები და ხეები გადაჰსჭერითო. ჰერცოგი ყოველთვის ქადულობდა თავისის დიდროვანის ხეებით და ბაღითა, მაგრამ ეხლა მხიარულის სახით დადიოდა ჯარის კაცებ შორის, თუმცა ცოტა კოჭლობით კი, და უბ-

ძანებდა სანგლების გასაკეთებლად ნურას ფერს ნუ დაზოგავთო. ჯარის კაცნი გატაცებით უყურებდნენ ჰერცოგს და თვით ღენერალი აღტაცებაში მოვიდა.

— რომ იცოდეთ, ჰერცოგო, ჰსთქვა ღენერალმა: რამდენი ჩიჩინი და შრომა მომინდა, რომ აი ის ახლო-მახლო ქოხები დამენგრია, რომელნიც თქვენს სრა-სასახლეს სამზვარეულოთაც არ ეკადრება! ჰსთქვა და შეეცოდა ეს მშვენიერი, მედიდური ძველი შენობა.

— ჩემი გვარეულობა ოთხასი წელიწადია რაც ამ სადგურსა ჰფლობს, ამიტომაც თქვენ შეგიძლიანთ იგი მოიხმაროთ შეუნანებლად, როგორც კი საჭიროა, უთხრა ღიმილით ჰერცოგმა.

იმავე საღამოს ინჟინერის ოფიცერმა დაანახა საჭიროდ, რომ მვიროვასი პავილიონი უნდა დაიქცეს, რადგანაც უშლიდა სხვა სიმაგრეების გაკეთებას და რა კი ნახა, რომ ამისთანა მშვენიერი რამ უნდა დაიშალოს, შეენანა, შედგა და არ იცოდა რა ექნა, ჰერცოგმა ეს ამბავი შეიტყო, წამოავლო ხელი ცულს და პირველმა თვითონ დაჰკრა ცული.

ლილია ბრესსაკიც უკან არ ჩამორჩომია მამასა. ყველგან, სადაკი ქალის ხმას და ქალის ყოფნას შეეძლო გამხნევებინა საფრანგეთის ჯარის-კაცი, ლილია გამოცხადდებოდა ხოლმე გულ-დამშვიდებული, მშვენიერი და გამარჯვების იმედით აღსავსე. ჯარის-კაცებმა გაიხსენეს უწინდელი სახელი, რომელიც დაერქმიათ დიდ-ომების დროს მონპანსიეს ქალისათვის, და ლილიას ეძახდნენ „La grande Demoiselle." ისეთს აღტაცებაში მოჰყვანდა ლილიას ხალხი, რომ ამაოთმორწმუნე ბრეტონელნი ხელის გულს შეახებდნენ ხოლმე მის კალთებს, ანუ იმას, მართლად დარწმუნებულნი რომ ტყვია აღარ მიეკარებათ. როცა, ლილიამ გამოაცხადა, რომ რაც უნდა მოუვიდეს ომის ატეხის დროს აქედამ ფეხს არ მოიცვლის, მაშინ თაყვანის-ცემა მისი ხალხისა მიერ სწორედ ღვთაებრივს თაყვანებამდეავიდა. თვით ურთხილი ყან-ბატისტიც კი გამხნევდა.

— ერთი გამიგონეთ, ბატონო მარკიზო, და, — ეუბნებოდა იგი ლუი კრიტკოს: ერთს იმ ავაზაკთაგანს წასვლის დროს უნდოდა ჩემთვის ასი ფრანკი ეჩუქებინა! აი სულელი ლეონციოზენი რომ იყო, ის გახლდათ! განა არ გახსოვთ, აი ჩვენს ბაღში რომ დახეტებოდა ხოლმე გამოშტერებული. მაგრამ მე ვუთხარი: მე რომ ახალ-გაზდობა მომდევდეს და ესე ბებერი არ ვიყო, მე გიჩვენებდით რა არის საფრანგეთის კაცის დაქრთამება-მეთქი! შე მუნდირის პალოვ, მეთქი! წადით, თვალიდამ დამეკარგეთ-მეთქი! — და პირში მივაყარე ფული იმ პირშავსა.

— როცა წავიდა, მერე მითომ არ აკრიფეთ ის ფულები და ჯიბეს არ იკარით? დაჰსცინა მარკიზმა.

თუმცა მარკიზი თავის დღეში არას უჯერებდა ჟან-ბატისტსა, მაგრამ ჟან-ბატისტს ყოველთვის მზად ჰყვანდა თავისი ამქარი, შინა-მოსამსახურებში და ჯარის-კაცებში ყოველთვის გაუდიოდა ტყუილი.

ახირებულმა ფაცა-ფუცმა, რომელიც პრუსსიელებს შეუდგათ ქალაქის ო-ს დაცლის დროს როცა შეიტყვეს დასაცემათ საფრანგეთის ჯარი მოდისო, იმათმა სწრაფად აყრამ და ქალაქიდამ გასვლამ ძალიან გაამხნევა ეხლანდელნი მეციხოვნენი ბრესსავის ციხისანი და სანგლების კეთების საქმე საშინელის სისწრაფით წავიდა წინ. თუმცა ღენერალმა კარგად იცოდა, რომ ლილიასა აქ ყოფნა დიდს შემწეობას მიჰსცემდა თითონ ღენერალს, მაგრამ მაინც კა ბევრს ურჩევდა თქვენს თავს გაუფთხილდითო და უბედურობას გაეცალეთო. ხოლო ლილიასათვის ყოველი ამ გვარი რჩევა უქმი და ამაო იყო.

— ჩემი ადგილი აქ არის, ღენერალო, უპასუხა ღენერალს გადაწყვეტით და გამოცდილმა მეომარმა იგრძნო, რომ ტყუილიღაა ლაპარაკი.

მარტო ერთს ლუი კრიტკოს ესმოდა რამოდენა ჭეშმარიტი გულ-გრილობა იყო ამ ახალ-გაზდა ქალში და რა უღირდა მას ეგეთი თავ-გამომეტება. კრიტკომ იცოდა, თუ ვარაუდით მიხვდრილიყო,

რომ ლილის ბრესსაკის გული ეხლა მთლად არ ეკუთვნის საფრანგეთის ჯარსა, როგორც ამ რამდენიმე კვირის წინად. ლილიას მოკლედ და ბუნდად ეამბნა იმისათვის, რომ პრუსსიის აფიცერმა გადაარჩინა ავაზაკებს იმ ღამეს, როცა მარტოდ მოდიოდა შინ სოფლიდამ. თუმცა ლილიამ განგებ დაწვრილებით არა უამბორა, მაგრამ შეყვარებულმა ჭაბუკმა მალე შეავსო დანაკლისი და ეხლა გაიხსენა რა ზოგი ერთი ნიშნები, რომელსაც უწინ ყურს არ ათხოვებდა, დარწმუნდა რომ მეტოქე ჰყავს და იცოდა კიდეც ვინ იყო სახელდობრ. რაღა თქმა უნდა, რომ ლილიას არაფერი არა შეამცნევინა რა.

ომის დღემდე ასე მიახწია დრომ

---

ბოლოს ომის დღეც მოვიდა და ისე დასრულდა საფრანგეთისათვის, როგორც სხვა დღეები იმ უბედურის წელიწადისანი. ცუდად ჩაცმული, ცუდად დარაზმებული, ცუდად გაწვრთვნილი სულ ახლად მოგროვილი ჯარი ერთის მხრით, სწავლა, ხელოვნება და გამოჩენილი სარდლები მეორის მხრით — კარგს არას უქადიდა საფრანგეთს. ოთხის საათის ომის შემდეგ საფრანგეთის ჯარი დამარცხდა. ომი წაგებული იყო და მარტო ერთს ადგილასღა გამარჯვებულებს მედგარი წინაღმდეგობა დახვდათ — ეგ ადგილი ჰერცოგ ბრესსაკის ციხე-დარბაზი იყო.

ომის დროს ამ ციხეზედ ძლიერი იერიში ვერ მოიტანეს, რადგანაც ცოტა მოშორებით იყო იმ ადგილიდამ, საცა გახურებული სისხლის ღვრა იყო. ბოლოს კი, როცა მტერმა ყველა ადგილები დაიპყრო, ნახეს რომ ბრესსაკის ციხიდამ საშინელი ზარბაზნის ცეცხლი გამოდიოდა; პრუსსიელებმა კაცი გაუგზავნეს და აცნობეს, ტყუილიდათ ამაოდ სისხლის ღვრა, დაგვნებდითო.

ციხეში მყოფთა უარი შემოუთვალეს.

ჰერცოგმა უთხრა იქ მდგომს უფროსს აფიცერს:

— ნუ დავნებდებით, ვიდრე ერთი სროლა წამალი მაინც კიდევ ხელში გვექნება.

აფიცერმა, რომელიც ჰერცოგს ჰრაცხავდა ნამდვილ მეუფროსეთ, ეს პასუხი გადაჰსცა მოგზავნილს პრუსსიელსა.

ერთის საათს აღარ გაუვლია, რომ ციხის ზარბაზნები უკუ აქციეს, ერთი მთელი მხარე მოანგრიეს ციხესა და პირველი სანგალი აიღეს.

ნახევარმა საათმაც გაიარა და მეორე სანგალიც დაუთმეს მტერს, მერე მეორე, მერე მესამე და მეოთხე.

ჯარის-კაცნი თავ-გამომეტებით ისროდნენ, ისროდნენ გააფთრებულნი. აღარც წინ რასმეს ხედავდნენ, აღარც უკან. ციხისა და ბაღის თავზედ ბოლი იდგა თითქო ჯანღიაო, კვნესა დაჭრილთა და ყუმბარების გრიალი კაცს დააყრუებდა.

ბოლოს ბაღიდამაც უკან უნდა დაეწივნათ, გამაგრება აღარ შეიძლებოდა. უკან დაწევის ხმა მიჰსცეს და უკანასკნელი სანგალიც დაცარიელდა.

— კიდევ იმედია, რომ ციხეში ფეხს მოვიკიდებთ, ჰსთქვა ჰერცოგმა თოფის წამლით და სისხლით მოტხუპნულმა.

ჰერცოგი სანგალში მჯდარიყო უბრალო ჯარის-კაცებთან და აქიდამ თოფს ისროდა.

— ციხეში, ციხეში! გაჰსცა ბძანება აფიცერმა, რომელიც ბრმად ემორჩილებოდა ჰერცოგს; და ხმალს თავ ზემოდამ იქნევდა.

ამის ქვეშ ცხენი მოეკლათ და დაქვეითებული ომობდა.

რამდენსამე წუთს უკან მთელი ბაღი და ხევნარი აივსო პრუსსიელებით. ზარბაზნების სროლა დადგა. ციხე მარტო გულ და გულ ომითღა შეიძლებოდა გაემაგრებინათ. მისნი მცველნი ფანჯრებიდამ ისროდნენ, იერიშით მოსულნი დაასხლიდნენ ხოლმე თოფებს და ხელდახელ ეტანებოდნენ რომ გულდაგულ დაეპყრათ.

საშინელი სისხლის ღვრა და ჟლეტა იყო. თერთმეტი იერიში ერთი ერთმანეთზედ უკუ-აქციეს. მარმარილოს კიბე და დერეფანი მოფენილი იყო მკვდრებითა და დაჭრილებითა; სისხლი ნაკადულებათ მიდიოდა კიბის თეთრს საფეხურებზედ, ყოველს წუთს ისმოდა

ტეხისა და ფანჯრების მტვრევის ხმა ტყვიისაგან. სახლში აღარ გადარჩა რა უზიანოდ. ორმა თუ სამმა ტყვიამ დანასავით გაჰსჭრა ჯაჭვი და უშველებელი ბროლის ხომლი დაეცა ძირს სასტუმრო ოთახში და მოჰფინა ფილაქანი თითქო ალმასის წვიმაო. მაგრამ მაინც კიდევ ფიქრად არავის მოსვლია დავნებდეთო. ბოლოს მოისმა ძახილი: ტყვია წამალი შემოგვაკლდაო.

— ეხ, ნეტავი ერთი ეს ამათი, უფროსიკი მომაკვლევინა და! დაიძახა ერთმა ზორბა ჯარის-კაცმა, რომელსაც გაეძრო მუნდირი და პერანგა ხელებ დაშკლავებული დაუღალავად ისროდა: ერთი ეგ კი მომაკვლევინა და მაშინ ნახავდით მაგათ თამაშას, სულ აირევოდნენ.

მარკიზი და ლილის ბრესსაკი აქვე ამასთან იდგნენ, ახალგაზრდა ქალი თოფს უტენდა ჯარის-კაცებს და აწვდიდა; კრიტკო გვერდთ ედგა. განგებისე დგებოდა ხოლმე, რომ ტყვია თუ წამოვიდოდა ჯერ თვითონ მოხვედროდა. ჯარის-კაცმა დაანახვა უფროსი აფიცერი პრუსსიელებისა. კრიტკომ და ლილიამ გადიხედეს. ის აფიცერი ფრიდრიხ ლეონეიზენი იყო.

ჯარის კაცმა ნიშანში ამოიღო. ძალიან კარგი და გათქმული მსროლელი იყო, მაგრამ რა წამსაც დააპირა თოფის დაცემინება, მარკიზმა ხელი აუკრა. თოფი გაჰსცდა ნიშანსა. ლილიამ სული შეხუთა და კედელს მიეკრა. გადმოხედა კრიტკოს. თვალი თვალს შეახვედრეს. ჯარის-კაცმა ხელახლად გატენა თოფი. ხელახლად ამოიღო ნიშანში. ეხლა კი მარკიზს აღარ მოუხდა ხელის აკვრა: ვერც კი მოასწრო რიკისათვის ხელი გამოეკრა, თოფი ხელიდამ გავარდა; პირ-აღმა გადმოტრიალდა და დაეცა შუბლში ტყვია მოხვედრილი.

ყოველ მხრივ ყვიროდნენ:

— აფიცერს, აფიცერს ესროლეთ!

— თითქო ჯადო ნაქნარიაო, ტყვია არ ეკარება!

— აბა ერთი შიგ შუბლში მაგას!

ტყვიას გარშამო ზუზუნი გაჰქონდა.

ხოლო პრუსსიელი მაინც თავისას არ იშლიდა და წინ მოუძღო-

და თავის ხალხს. ტყვია სეტყვასავით სრიალებდა მის გარეშემო, წინიდამ, ზევიდამ, ქვევიდამ, მაგრამ იმას მაინც არას აკლებდა.

— თუ ეს არ მოკვდა, ციხეს ერთს წამსვე აიღებენ! დაიძახა ფრანციელმა აფიცერმა და ერთი ერთმანეთზედ დაახალა რევოლვერი.

ამავე დროს ჰერცოგი, რომელიც ერთს მუხლზედ დაჩოქილი ფანჯარიდამ ისროდა თოფს, წამოხტა, თავზედ ხელი წაავლო, დაეცა თავის ქალის ფეხთა წინაშე და იქავ სული დალია. რევოლვერი ხელიდამ გავარდა და ლილიამ აიღო.

— აფიცერს! აფიცერს! იძახოდნენ ხმა-გამშრალნი მეომარნი ყოველ მხრიდამ.

ფერმიხდილი და ტუჩების კვნეტით ლილია მივიდა ფანჯარასთან. ცოტა ხანს შეყოყმანდა, მერე კი გაიწოდა რევოლვერი და ნიშანს გახედა. ფრიდრიხ ლეონჰიზენი ოც-და-ათს ნაბიჯზედ იყო. ლილიას სახე ამღვრეული ჰქონდა და ამასთანავე მწუხარეც და დიდებულიც. ლილიამ რევოლვერი დაასცემინა.

ლეონჰიზენი წაბარბაცდა, აიხედა მაღლა, დაინახა თავისი მკვლელი და დაეცა დედა-მიწაზედ.

იმავ წამს, ვიდრე კრიტკეს მიუხვდებოდა განზრახვას, ლილია ბრუსსაკი ავარდა ფანჯარაზედ, ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, ამოგლიჯა ჩარჩოდამ ტყვიისაგან დაფლეთილი ბაირაღი საფრანგეთისა, ამაყად გააფარფარა და იმ სეტყვასავით ტყვიის დენაში, დაიძახა:

— გაუმარჯოს საფრანგეთს! მტერი უკუიქცა!

პრუსსიელებმა უკან დაწევის ბუკი დაჰკრეს. ყმაწვილმა-ქალმა გაიგონა ეს და დაეცა კიდეც უსულოდ თავის თანა-მემამულეთა გახარებულ ყვირილში და კიჟინაში:

— გამარჯვება ჩვენია, ჩვენი!

# მღუვდიადი.

(თარგმანი)

იმა სანატრელს დროსა ჩემის ყმაწვილობისას
ბრწყინვალე გზას ცხოვრების და თავისუფლებისას
მე მხნედ გამოვდიოდი.

ჩემ თვალ-წინ აღდგებოდნენ კაცნი, მდევის მსგავსები.
მეც მჯეროდა მათ სიმხნე, ქადილი და სიტყვები,
დაწყობა და იმედი;

მჯეროდა რომ ყველანი ერთ-პირად ძლიერს მტერსა
მედგრასა ჩავკვრეოდით მართალის საქმისთვისა,
და გაივლიდა ხანი:

დედა-მიწა უმალვე უსამართლოებასა
მორჩებოდა; ახალი, მოწმენდილს ლაჟვარდს ცასა
დაჯდებოდა ვარსკვლავი.

ჩემს თვალ-წინ ამაყათა იშლებოდნენ დროშანი,
გმირულის ხმით და ჭექით შესძახოდნენ ვაჟ-კაცნი
და გულსა გვიხარებდნენ.

ეს მედგრული ჭექა, ხმა მედგრათ გამოგვითხოვდნენ
მტერზედან საომრათა და ჯობნას აღგვითქვამდნენ
და მით გაგვამხნევებდნენ...

ბრწყინვალე იმედებო და ბრწყინვალე აზრებო!
ქარიშხალმა, ყინვამა და ქვეყნის მწველმა სიცხემ
თქვენ სრულებით დაგამხუს:

ბრწყინვალე სხივი მაღლის და ამაყის ფიქრისა
გაჰქრა და გახდა მსხვერპლი მართალთ შემმუსვრელისა,
მის ძარღვიც კი აღარ ჰფეთქს;

მდევის მსგავსი გმირები შეიქმნენ ქონდრის კაცათ,
უსამართლობის უღელს კისერს უშვერენ დაბლათ,
და ჯაჭვის ჩხარუნითა,

მტრისა ფეხ-ქვეშ შიშითა, პირქვე დამხობილები
შესარცხვენათ, საზიზღრათ ქვეყანას შესცქერიან
უსირცხვილოს პირითა...

დამტვრეული აბჯარი, დროშა, ფეხ-ქვეშ ნათელი,
ძილი, ბრძოლისა ნაცვლად, ძალა, გაშეშებული,
მოხება და ჩუმობა —

ყველა გულის საკლავად ჩვენ ამაზედ გვარწმუნებს,
რომ კაცს კიდევ ბევრს ხანსა უნდა კისერზედ აწვეს
საქვეყნო ბოროტება...

და ათასში ერთხელა ესე უბიკრული ბნელი
შვებათ განათდება... ხმა გამამხნევებელი
„დროა!" შესძახებს კაცთა,

და დაძინებულთ კაცთა ის დარცხვენით ჩასძახის
სიმართლისთვის ბრძოლასა, მოსპობას ბოროტების,
აღდგომას დაჩაგრულთა!

მაშინ თითქო კიდეცა კაცნიც დაცოცხლდებიან,
და აქა-იქა თითქო გულნიც აღელვდებიან;
მაგრამ ყველა მყის ჰქრება...

მწუხარებით, დავრდომით ეს გმირის ხმაცა წყდება
და ისევ ხელახლად ქვეყანაზედა რჩება
ბატონათ ბოროტება.

ზურაბ მოენიძე.

1867 წ.

# მწიგნობრობის საქმე.

ამ უკანასკნელმა ხუთმა წელმა ჩვენს მწერლობას, ანუ უკეთა ვსთქვათ, მწიგნობრობას მისცა ერთ-გვარი განსაკუთრებითი მსვლელობა. ამას ჩვენ წიგნების გამოცემაზედ ვლაპარაკობთ. ამ დრომდე ჩვენს მწერლობაში გამომცემელნი და მთხზველნი, მთარგმნელნი, ანუ შემდგენელნი წიგნისა იყვნენ რამდენათმე ქართულს მწერლობაში განვითარებულნი. ახლა კი გამოვიდნენ სრულიად უცოდინარნი საზოგადოსა და ქართულის მწერლობისა. ესენი არიან რიცხვით ბევრნი, გამოცემაც ამათი ბევრი შეიქნა და წიგნების ბეჭდვა ისე გახშირდა, რომ ყველასათვის შესამჩნევი გახდა.

როგორ შეხედა ამ მოვლენასა და თავი როგორ გამოიჩინა ჩვენის საზოგადოების თუ ლიტერატურის მოაზრემ და მსჯელმა ნაწილმა? წიგნებს წუნი დაუდვა და გამომცემლებს გაკიცხვა დაუწყო; თავისის მონაწილეობით, შრომით კი დიაღ ცოტად გამოიჩინა თავი. მუდამ დაჩვეული ღობე-ყურეს მიდებ-მოდებასა, და შეუჩვეველი ბეჯითს, ზედ მიუოლებით შრომასა, ამ მწიგნობრობის საქმეს, მომავალში კარგ მოსავლიან საქმესაც, მსუბუქად მოეპყრა. ჩვენი ესრეთ წოდებული მწერლები, იმის ნაცვლად რომ ამ თავის ხელობის საქმეში თავასი შრომა შეეტანათ, ლაქლაქს მოჰყვნენ; ძაგება გამომცემელთა, დაცინვა, თითქმის თვით კაცურის ღირსების დამდაბლება მოისმა იმათგან. რაღაცა მხეცურის გრძნობით აღრინდნენ, მაგრამ ნამდვილად რომ ლიტერატურის მსვლელობის მშრომელნი და თანა-შემწენი გამხდარიყვნენ, ღონე არა ჰქონდათ. წიგნები კი იბეჭდება და იბეჭდება, რადგანაც ხალხი ყიდულობს.

აქამომდე ჩვენის მწერლების ღრესა ერთ-გვარათ მიმდინარეობს და სამწუხაროდ ამ წიგნის გამოცემის საქმეს საკმაოდ არ აფასებს, არ არკვევს. თუ ლაპარაკია, თვითოეულ წიგნზეა და ისიც გადაკვრით. დიდათ საჭირო კი იქნება, რომ ეს საქმე კარგა ყოველის მხრით გაიშინჯოს, გაირკვეს, აიხსნას და განისაზღვროს. ეს მომატებულად იმიტომ არის საჭირო, რომ თავხედურათ, გაკვრა-გამოკვრით, ღრენით, ანუ ლაზღრობით ლაპარაკი მწიგნობრობის საქმეზე, რომელიც ძვირფასი საუნჯეა ყოველის ხალხისათვის, დიდი გარდამავლობითი დანაშაულობა იქნება ხალხის წარმატებისა და ისტორიის წინაშე.

ცხოვრებაში, ქვეყნიერობაში, როდესაც რამე საზოგადო მოვლინებაა, რამე საქვეყნო საქმეა, უმეცარი კაცი ხშირად ისე გაიგებს, ისე ხსნის, როგორც კერძო, თავის საკუთარ შემთხვევას, ხედავს გარეგანის თვალითა, გრძნობითა და არა გონების თვალითა და შემეცნებითა. ჩვენი მწერლები ხშირათ ამ გვარად უყურებენ ყველა ცხოვრების მოვლინებასა: თუ რასმე იმათ გრძნობაზე კარგი ზედმოქმედება ჰქონდა, მოსწონთ; თუ არა და იწუნებენ. გონებით გაშინჯვა, დაკვირვება, ახსნა, იმათ ეზარებათ. რათ უნდათ გამორკვევა, ესა და ეს საქმე რამდენათ დამოკიდებულია გარემოებაზე, რამდენად აუცილებელია, რამდენად საჭიროა ან ურგები ხალხის წარსულ და მომავალ ცხოვრების მსვლელობაში? ზოგიერთ ბატონების აზრით ისტორიული მოთხოვნილება ის არის, რაც იმათ გუნებას ეხალისება. ეს ბატონი მწერლები არაფრით განირჩევიან იმ უმეცართაგან, რომელნიც ამბობენ: „ჩემს იქით ისარი გინდ კაცს მოხვედრია, გინდ ხის ჯირკვსაო.“

სამწუხაროდ ეს ამ გვარი მსჯელობა მეტის-მეტად დამკვიდრდა ბევრ ჩვენს მთავარ და წვრილ-ფეხ მწერლებში და მე მგონია, ეს გარემოება ღირსი იყოს დიდის ყურადღებისა. თუ ამ გვარი კრიტიკოსები გამრავლდნენ, რომელთაგან წვრილმანის ამაო ლაქლაქის მეტი არა გამოვა რა, ჩვენს მწერლობას საძაგელ დაბურდულ და გამოურკვეველ უდაბურში შეატოპინებენ; არც მკითხველს გონებას გაუნათ-

ლებენ, არც თვით მწერლობაში სიკეთეს და სიმდიდრეს შეიტანენ.

თქმულა, ლიტერატურა ხალხის გზის განმანათლებელი ლამპარი უნდა იყვესო. ყველანი სიტყვით ვამბობთ, მაგრამ რა კი მართლა განათლებაზე მივა საქმე, სხვას სურასთვერს ქებით ღრენის მეტსა. ნეტა დაფიქრდა რომელიმე მწერალი; (დაფიქრება ხომ კანონად უნდა ჰქონდეს), რისგან ავღრიანდი, რას ვუღრიანავ, რისთვის ვღრიანავ. აბა, შენც არ მაპიკვდე. მთელი იმისი არსება დაემონავა ღრენის გუნებასა, ჟინსა; გონებამ აქ თავისი გამკვეთი და მჭრელი მახვილი აღარ ამუშავა და დარჩა განზე მიგდებული, როგორც უხმარი და გამოუყენებელი საგანი ცხოვრებისა. და სად ჩავარდით, რა გარემოებაში ჩავარდით! იმის ნაცვლად, რომ წარმატებაში შევიდეს ჩვენი მწერლობითი ძალა და ღონე, წვრილ გროშებად დაიშალა, დახურდავდა. აღარა ვხედავთ ღრმად ჩასანერგებელს და გამაკეთილშობილებელს აზრსა, ღრმად საგრძნობელს სიტყვასა, საგანძო შრომასა და საშვილიშვილო ანდერძსა! სული დაწვრილდა, გონება თითქოს დაჩლუნგდა; გული თითქოს აღარ გვიცემდეს, ნაშრომ-სამაგიერო თითქოს საცრად იქცა და საშვილიშვილოდ რჩება თითქოს არაფერი. მაგრამ, არის რჩება ღრენა.

შეიძლება ამაზე მეტი დამცირება და დამდაბლება, როდესაც წინ მავალი ნაწილი საზოგადოებისა ერთმანეთის ღრენას სიცოცხლის საგნად აღიარებს?!

თქვენ მეტყვით: ეგ მამა-პაპური ქართველების სენიაო, საქართველოს ისტორიის სენიო.

დიაღ, ეგ ახსნაა. მაგრამ მაშ რაღათ შემოხვევიხართ ეგეთნი ბილწნი მაგ ლიტერატურას, მაგ ცხოვრების ლამპარს; და თქვენ შეგიძლიათ ვისმე დაარწმუნოთ, რომ ქვეყანა გიყვართ; ხალხის წარმატებას ემსახურებით? სტყუით, თქვენს გულში სიყვარულს ადგილი არა აქვს. ნაყოფთაგან სცანით თქვენნი თავნი.

ამისთანა მიმართულების დროს, ამისთანა მწერლებს, რასაკვირ-

ველია, რომ სხვა სალიტერატურო შრომის გაწევა არ შეუძლიათ, გაზეთებში წერისა და შინაურობაში გაკილვისა, ჭორიკანაობისა და ლაქლაქის მეტი. იმათ თავის დამწერებათ ჰგონიათ,-მაგრამ ნამდვილათ კი ღონე არა აქვსთ,-პატარა სამეცნიერო ან მსუბუქი საკითხავ წიგნის შედგენა, ან თარგმნა. იმათ ჰგონიათ, მთელი მწერლობა მხოლოდ გაზეთ-ჟურნალებში არისო. სხვა გვარი მწერლობა იმათთვის არ არსებობს.

მაგრამ ხალხს წიგნის კითხვა უნდა; სწავლის, ცოდნის მიღება უნდა წიგნებიდამ, და აი ჩნდებიან წვრილი გამომცემლები ამ სურვილის დამაკმაყოფილებელნი. ცხადი საქმეა, რომ ამ სურვილს ისე აკმაყოფილებენ, როგორც ესმისთ.

მაგრამ აბა თვალი გადაავლეთ დაკვირვებითა, რას ნახავთ? ვეფხვის-ტყაოსანს, ყარამანიანს, დავრიშიანს (ჩარ-დავრიშიანს), ბეჟანიანს, ქალ-ვაჟიანს, ალექსიანს, თამარ-ბატონიშვილს და მრავალს სხვა ლექსთა კრებათა, და ნუ თუ ამ წიგნების უბრალო სახელების ჩამოთვლა არ კმარა, რომ ადამიანი ფიქრში შეიყვანოს, და მეტადრე იმიტომ, რომ ზოგიერთი ამათგანი რამდენჯერმე დაბეჭდილა და ხალხში გასავალი აქვს?

ის აზრი მართალია, რომ ხალხს კითხვა სურსო, მაგრამ განა ყველა წიგნს ეტანება? არა, უმეტესად ზემოხსენებულებს ეტანება. რათა, თუ არ იმიტომ რომ უფრო გასაგებია, როგორც თავისის გარეგანის ფორმით, აგრეთვე შინაგანის საგნით. და რათ არის გასაგები; განა მარტო იმიტომ, რომ ზღაპრული ამბებია? არა, იმიტომ რომ ის ზემოხსენებული თხზულებანი, ანუ ნათარგმნი ნაწარმოებნი არიან ხალხის სულისა და მდგომარეობისა.

ძალიან ვრცელი და მრავალ-მხრითი განხილვა მოუნდება, რომ ლიტერატურულის და ისტორიულის მხრით გავგვშინჯა ეს თხზულებანი. მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ეკუთვნიან სხვა და სხვა საქართველოს ისტორიულს დროსა; იმათში იხატებიან სხვა და სხვა დროის გონებითი გახსნა და გემოვნება. თუ თხზულებანი ამ

გვარნი არიან, ყოველს ხალხში და ყოველს დროებში, განურჩევლად, მკითხველები ბევრნი ჰყვანან. მაგრამ ჩვენ ამ თხზულებათა გარჩევა სასაუბრო საგნათ არა გვაქვს აღებული.

ის გარეგანი მხარე კი კარგად გასარჩევია და ასახსნელი — წიგნების გამოცემის საქმეს რა მიზეზი აქვს, რომ იმ გვარათ მიმდინარეობს, როგორც ვხედავთ? ამას რომ დავაკვირდებით, გავშინჯავთ და გამოვარკვევთ, მერე შეიძლება რამდენადმე მაინც მივხვდეთ, როგორ შეიძლება გამოცემის წარმატების ხელის შეწყობა.

ყოველი მწერლობა, მწიგნობრობა ხალხის ცხოვრების გამომეტყველი, გამომთქმელია. რაც ხალხს სიკეთე და ნაკლულოვანებანი აქვს, სიბრძნე და ამაოება, ნიჭი და ხასიათი მწერლობაში ჩანს. ამიტომ მწერლობა ხალხის ცხოვრების ნაყოფია და დამოკიდებულია ყველა გარემოებაზე, რომელშიაც ხალხი სცხოვრობს: მიწა-წყალი, ჰაერი, ჩამომავლობა, ოჯახობა, ხელობა, სწავლა, მოქალაქობრივი მოწყობილება, კანონები და სხვანი ზედ მოქმედებენ მწერლობაზე. ყველას გამოკვლევა შორს წაგვიყვანს. ამ გარემოებათა შორის სამი რამ არის, რომელიც კარგა პირ და პირ შეეხება ჩვენს მწიგნობრობის საქმესა. ეს სამი რამ არის: 1, ლიტერატურული ღონე, 2, გამომცემლობითი ღონე და 3, ვაჭრობითი ღონე.

თვითოეულის ამის გაშინჯვა დაგვანახვებს ჩვენის მწიგნობრობის გარემოებასა და მსუბუქად მოჭრობას აგვაცდენს.

რაკი ჩვენში დაიწყო წიგნების გამოცემა, მაშინათვე გაკიცხვა დაუწყეს გამომცემლებს. მაგრამ განა არ შეიძლებოდა მწერლებს მიელოთ შრომა და გამომცემლებისთვის მოემზადებინათ წიგნები და ეძლიათ. მაგრამ ვინ არიან მწერლები და სად არიან? ყოველ ქვეყანაში მწერლები გამოდიან ხალხის განათლებულის ნაწილიდგან. კარგი იქნება დავაკვირდეთ ამ განათლებულს ნაწილს. უნდა შევხედოთ იმათს განათლებას და ზნეობითს მიდრეკილებას.

დიდი ნაწილი ჩვენის განათლებულებისა ჯერ შინ ოჯახობაში ქარაფშუტა და დაუდეგრელ ცხოვრებას სიყრმითგანვე ეჩვევა. სწავ-

ლაში გულ აცრუებული, ცუღლუტი და ამასთან ზანტია. სასწავლებელში, იშვიათად, ძალიან იშვიათად მოიპოვებთ მაგალითს რომ ქართველმა სწავლას თავი შეაკლოს. ამას დამტკიცება არ უნდა, და თუ გნებავსთ აი: უმეტესი ნაწილი გიმნაზიის ოთხ კლასს ზევით აღარ მიდის, მაგრამ ესენი განათლებულების ანგარიშში არ მოდიან, რადგანაც თავისს სწავლას ამით ათავებენ. დანარჩენი მცირე ნაწილი მომავალთა ქვეყნის იმედთა სწავლას თუ ასრულებს, დგება იმ წერტილზე, რაზედაც შეაყენეს სასწავლებლებში. რათა? იმიტომ რომ მათ არ შეუყვარებიათ არც ერთი ნაწილი მეცნიერებისა, ანუ ლიტერატურისა. თვით ცხოვრებას ისე კი არ უყურებენ, როგორც განათლებულის და დაწმენდილის გონების კაცი, არამედ უყურებენ, როგორც ოჯახობაში უყურებდა ცხოვრებასა, ესე იგი ტკბილად ჭამას, ნებიერ ძილს, დროს გატარებას და ქალების არშიყობას. შედის ამ გვარად ცხოვრებაში. განა სხვებს, არა ქართველებს, არ ვხედავთ? უმეტესნი ნაწილნი რუსეთში და ჩვენში სამსახურში შედიან. მაგრამ დახედეთ იქაურ სამსახურის კაცსაცა და ჩვენსასაცა. რამდენნი არიან მათში, რომ ლიტერატურაში და მეცნიერებაში წარმატებას იღებენ, არ სწყვეტენ თავის სწავლასა და ბევრნი შესანიშნავნი მოღვაწენი გამოდიან თუ მწერლობაში და თუ ცხოვრებაში. შეადარეთ ჩვენი განათლებული იმათს: ათასში ერთს გარდა არიან ცუღლუტნი საქმეზე, დაუდევნელნი ქარაფშუტანი, ტყუილა მკვეხარანი, უაზრო კეთილის-მყოფელნი და ათასჯერ მოტყუებულნი გაქნილის კაცებისაგან, მუდამ ვალებში დამხვრჩალნი, მუდამ სხვის თვალში და წარბში მაცქერალნი, ერთის სიტყვით გლახანი გარეთგან და გლახანი შიგნითგან. რო შეხედოთ, გონების გახსნილება გარეგანის შეხედვით, ლაპარაკით, თითქმის ეტყობოდესო. მაგრამ აბა დახედეთ ეგ გონების გახსნილება უტყობათ სიცოცხლეში? სადა ჩანს? ან იქნება გათენებამდის თრევა კლუბებში და ქაღალდის თამაშობა, მთელ ღამეობით ქალების უკან სიარული, ან ვახშმებზე სხდომა და ღვინით გაბრუება იყოს ზომა იმათის გონების გახსნილობის და ვარჯიშობისა. არის ხოლმე ხალხის ცხოვრებაში ისეთი

ისტორიული დრო, როდესაც წინამავალი ნაწილი განათლებულ საზოგადოებისა ვერ ჰპოულობს გზას ცოცხალ მოქმედებაში, მაგრამ იმას კი არა ვხედავთ, რომ დაწინაურებული განათლებული ნაწილი სრულიად ჰმაოებას მისცემოდეს. ამისთანა ნაღვლიან გარემოებაში განათლებული ნაწილი კაცობრიობის გამამჩვენებელთა ნაწარმოებში, მწერლობაში და ხელოვნებაში, ეძებს თავის გულისა და გონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და საზოგადო გარყვნილებისაგან თავის დახსნასა. ამ უკანასკნელს დროებში უფრო გამოჩნდა მართლა ჩვენის საზოგადოების განათლებულის ნაწილის დაცემა. ამ თხუთმეტის წლის წინათ უფრო მომატებულათ ვხედავდით საზოგადოებაში ლიტერატურის და სწავლის მოყვარე კაცებს, ვიდრე დღეს. მიიხედეთ, გამონახეთ სადმე ცოტა ოდენი საზოგადო ანუ ლიტერატურული შესამჩნევი შრომა, თუ იმ თაობას არ ეკუთვნოდეს. იქნება ამ გარემოებამ დაჰბადა ის აზრი, რომ ვითომ ახალგაზდობა სრულიად უარს ჰყოფს სწავლა-განათლებასაო, თუმცა ეს უარის ყოფა მართლა მოისმის იმ ყმაწვილებისაგან, რომელნიც მესამე კლასის სიბრძნემ შეაშინა და იუნკრებათ შედიან, ან თავის პაპა თათქარიძესავით სოფელში ავარჯიშებენ თავის ცნა-გონებასა. დღითი-დღე გარეგანის შეხედვით თითქოს ჩვენი საზოგადოება სწავლით წინ მიდიოდეს, მაგრამ რო დავაკვირდეთ, მკვიდრ სწავლას არ ვხედავთ, მარტო პირ-პირ, კილოკავად სწავლასა ვხედავთ.

ამ სანახაობას წარმოგვიდგენს დაწინაურებული, განათლებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა. ყოველთვის დაწინაურებულთაგან უნდა გამოვიდნენ მწერლები და აბა ამ ჩვენის დაწინაურებულ საზოგადოებისაგან როგორი მწერლები უნდა გამოსულიყვნენ?

მართლა რომ სამწუხარო მდგომარეობაა. რა რიგი მწერლები გვყავს, ამას ცოტაოდნად სტატიის დაწყებაში შევეხენით. თითოოროლს გარდა, ყველანი მიეშურებიან ერთს ლიტერატურის კუნჭულს, რომელსაც ჟურნალ-გაზეთობა ჰქვიან, ყოველი სხვა ნაწილი ფართო-ლიტერატურის ასპარეზისა დარჩენილია და მიგდებული; ყოველი სამეცნიერო ცოდნა, პრაქტიკული დარიგება, პედაგოგიური ნაწილი, ის-

ტორია, ბუნების მეცნიერება, მხატვრობითი მწერლობა, ჟურნალ-გაზეთს გარეთ ცალკე წიგნების გამოცემა, — მიგდებულია და დატევებულია. ყველანი მწერლობაში ერთს მარტო პუბლიცისტიკას მისდევენ, რომელიც ყოველთვის ქარად იქცევა, სადაც მწერლობა ძლიერი არ არის. შეიძლება შევადაროთ მწერლობა ნავსა, რომელიც ცხოვრების წყალში მისცურავს, და პუბლიცისტიკა დუმენს (руль), რომელიც ეხმარება მწერლობას მიმართულებაში. სადაც ჯერ ნავი არ არის, რაღა მინდა დუმენი, რომელიც კუდსავით უნდა ებას და არა თვით იყოს მატარებელი ნავი. ტყუილი წყალში ტივტივი არ იქნება და ტყუილად მითხლაშ-მოთხლაშუნებს წყლის ზვირთებისა? სწორედ კიდეც ესეთი ამაოა ჩვენი მწერლების კრიტიკოსობა და პუბლიცისტიკა. რასაკვირველია, რაც ცხოვრებას შეეხება აქ სულ სხვა ითქმის; მაგრამ თუ კი თვით მწერლობას, საზოგადოს აზრის მნიშვნელობით, ჯერ ძალა არ შეუმაგრებია, იქ რასაკვირველია, ამ მწერლობის ნაწილი, ესე იგი კრიტიკა და პუბლიცისტიკა, უფროსაკუთრად ამაოდ ჩაივლის.

მაგრამ თვით ამ მწერლების რიცხვი მცირეა და ეს მცირეთაგანაც ქართულ მწერლობას თავს ანებებენ და გადადიან სხვათა ევროპელთა მწერლობაში.

ამის მიზეზები რასაკვირველია ჩვენს ცხოვრებაშია. ჩვენ მწერლობას მჭიდროდ შემოხაზული წრე აქვს და ზოგს ჰაწყდება, რომ სამშობლო მწერლობის წრის სივიწროვე და სიჯართოვე არ უნდა იყოს მწერლობის მოღვაწეობის ზომად მიღებული.

ამგვარის კაცებისათვის მეტი არ იქნებოდა მოგვეხსენებინა ერთი ადგილი უფ. ტენის თხზულებიდამ, „ინგლისის ლიტერატურის ისტორიიდგან“ როდესაც ნორმანდიის ფრანცუზები მეთერთმეტე საუკუნეში დაეცნენ ინგლისსა და დაიპყრეს, ინგლისის ლიტერატურა შედგა თითქმის ხუთი საუკუნე და ამ დროს წინამძღოლმა განათლებულმა საზოგადოებამ დააგდო თავისი სამშობლო ინგლისის მწერლობა. მაგრამ სჯობია პირ-და-პირ ტენის სიტყვები მოვიყვანოთ: „ორასი წლის განმავლობაში ყმაწვილები სკოლაში, ძველა ხალ-

ხის ადათის და ჩვეულების წინააღმდეგ, ვალდებულნი იყვნენ დაეგდოთ დედული ენა და ეთარგმნათ ლათინური. გასაყვეთი და სავარჯიშო სასწავლო საგანი ფრანცუზულად. უნივერსიტეტის განაწესი ვალდებულათა ხდიდა, რომ სტუდენტს სხვა ენით არ ელაპარაკნა, თუ არ ლათინურად ან ფრანცუზულად. გამოჩენილი ოჯახის შვილები აკვნიდგანვე ფრანცუზულსა სწავლობდნენ, სოფლელები ცდილობდნენ ფრანცუზულის სწავლას, რომ წარჩინებულებს დამსგავსებოდნენ. რასაკვირველია რომ პოეტიკური თხზულებაც ფრანციზული უნდა იყოსო. ნორმანდიელებმა თან მოიყვანეს თავისი მოლექსენი. იმათ სხვა არა მოსწონთ რა, ფრანცუზულ ლექსებზე... აბა მიდით ამ სასახლეებში, სადაც მღერიან ლექსებს, კითხულობენ პოემებს, მატიანეთა; ლათინურსა და ფრანცუზულ ლექსებსა და პროზას გარდაისად ვერაფერს გაიგონებთ. რა დაემართა ინგლისურ ენას? ყველასაგან მივდებული და ძნელად სცნობი ეს ენა მოისმის ტყე-ტყე მცხოვრებელის, მენახირის, გლეხის ხალხის ლაპარაკში. ამ ენაზე ან სულ არა სწერენ, ან ძალიან ცოტათა; თქვენ თითონა ხედავთ, რომ საქსების მატიანეში, ძველი ენა ნელ-ნელა ირყვნება და მერე (1154 წ.) სრულიად ქრება; მატიანე ასის წლის შემდეგ ფრანცუზების შემოსვლისა წყდება. ვისაც დრო და შეძლება ჰქონდა რომ წიგნები ეკითხათ და ეწერათ, ფრანცუზები იყვნენ: ამათთვისა სთხზავენ და სწერენ; ლიტერატურა სულ იმათს გემოვნებას მისდევს, ვისაც მით სარგებლობა შეუძლია მიიღოს და იმაზე ხარჯი გასწიოს. თვით ინგლისელები კი ჯანს იგდებინებენ, რომ ფრანცუზულათ სწერონ. ბევრნი პირველ ნახევარს ლექსის ტაეპისას ინგლისურათ სწერენ და მეორე ნახევარს ფრანცუზულათ.. მეთხუთმეტე საუკუნეშიაც (1400 წ.) ბევრს ამ გვარ საცოდავებსა ვხედავთ, რომ ამ გვარი წერის ჭაპან-წყვეტაში არიან; ფრანცუზული ენა მეფის კარის ენაა, ამ ენისაგან წარმომდინარდა პოეზია, კეკლუცობა; ვინც ეს ენა კარგა არ იცის, გაუთლელი ხეა. ისინი ისე მისდევენ, როგორც ჩვენი ძველი მწიგნობრები ლათინურ სიტყვებს, ცდილობენ გაფრანცუზებასაც თავის დონეზე მო-

მატებულათ და შიშით, კაი თუ ვერ მოვახერხოვო." და თითქმის ხუთასმა წელმა გაიარა ამისთანა მდგომარეობაში, რომელიც დიდ მწერლობისათვის და დიდ იდეებისთვის ამაოდ ჩაიარაო, ამბობს ტენი სხვა ადგილას; ეს მწერლობა ხომ სრულიად ღარიბად ჩაითვლება პირველად იმ მიზეზით, რომ საშუალო საუკუნეთა ულონობას ხალხის დასუსტება დაერთო, და მეორედ იმით, რომ ორ ლიტერატურათაგან, რომლისაგანაც იგი შესდგება, ერთი გადმონერგილია და არ ეთვისება ხალხსა, მეორე დამხობილია და წარმატებაში არ შედისო.—

ამ მოხსენებულ სიტყვებში, არის ზოგი ადგილი, რომელიც ჩვენი მწერლების ნაწილს უნდა მივაწეროთ მაინც, თუ საზოგადოებას თავს დავანებებთ. ჩვენ მოვესწარით და თვალითა ვხედავთ, რომ ხალხს საკითხავი წიგნები უნდა, სოფლის სასწავლებლები მადლობა ღმერთს იმართება, ქართულად ასწავლიან. მაშასადამე საკითხავი წიგნი უფრო და უფრო მოუნდებათ. თვით საზოგადოების ნაწილში მოთხოვნილება არის და იმ ზემოხსენებულს დროს ინგლისის საზოგადოებას არა ჰგავს, პირიქით უყვარს სამშობლო მწერლობა. მაშ ჩვენი საზოგადოების განათლებულ წინ-მსვლელ ნაწილში რათ უნდა იყოს ასეთი მოვლინება? მაგრამ ჩვენ აქ გამოკვლევას არ მივდევთ. მხოლოდ ფაქტს ვამოწმებთ, რომ ასეა.

ამისთანა მდგომარეობაში, ნუ თუ იმ ხალხში, რომელმაც წარმოშობა ვრცელი საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ათასის წლის განმავალობაში უფრთხილდებოდა და თავს დასტრიალებდა, როგორც ძვირფასს საუნჯეს, ის ხალხი ისე დაეცემოდა, რომ არ ეფიქრა მწერლობისთვის და არ მოეგონებინა ჩვენ წინმსვლელ განათლებულ საზოგადოებისათვის მისი ვალდებულება ხალხის განათლებისა და წარმატებისადმი?

აი აზრი უკანასკნელის მწიგნობრობის მოძრაობისა.

და გამოცემანი ისეთნი უნდა ყოფილიყვნენ, როგორსაცა ვხედავთ. თუ მწერლები ასე ცოტანი არიან, ამისთანა მიმართულებისა და

აზრისანი, რომ არ იციან და არ შეუძლიათ გაზეთ-ჟურნალებს გარეთ მწერლობაში რამე გააკეთონ, როდესაც ქართველები ქართულ მწერლობიდგან გადადიან ან პირ-და-პირ სხვა ხალხის მწერლობაში შრომობენ, როდესაც განათლებული საზოგადოების საკმაო ნაწილი თავის ხალხს პირს აქცევს და თითქოს იმასთან კავშირის გაწყვეტას აპირებს, — ცხადი საქმეა, რომ გამომცემლები იმ დიდი ლიტერატურის სალაროს უნდა მისდგომოდნენ, რომელშიაც მამა-პაპის ათას წლეულ შრომას შეეკრიფა ხალხის საუნჯე. სად უნდა ეძებნათ, თუ არ ისევ აქა. ეს ბუნებითად და უეჭველად ასე უნდა მომხდარიყო. და მეორეს მხრით ეს ამორჩევა გონივრული საქმე იყო, რადგანაც სხვა გზის დაჭერა ლოტეორეს მოდება იქნებოდა, მალეც წაიშლებოდა და გამომცემლობა ასე ფრთას არ გაიშლიდა. მხოლოდ დიდი ლიტერატურის ნაშრომთა გამოცემას შეეძლო გამტკიცება. ამასთანავე ეს იყო გახსენება, ძველის მამა-პაპურის მწერლობისა, რომელთანაც უნდა შეკავშირებული იყოს ახალიცა. ხალხი საკითხავად ამას ითხოვდა, რადგანაც სახელი მაინც გაგონილი ჰქონდა, გარეგანის მხრით ხალხისთვის ამ წიგნების ენა გასაგები ენა იყო და არა ის ჭრელი არეულ-დარეული და ხიბრეული ენა, რომელსაც დღეს ზოგიერთი უმეცარი მწერალი ცოცხალ, სასაუბრო ენას ეძახის.

თქვენ იქნება მითხრათ ამაზე, რომ ლიტერატურა ჩვენში ჯერ იმ მდგომარეობაში არ არის, რომ მწერალ კაცს მარტო იმაზე მოცლით პურის ჭამა შეეძლოს?

დიაღ, მართალია. თუმცა სხვა ქვეყნებში მრავალ მაგალითს ვხედავთ, რომ განათლებული კაცი სხვა საქმეებში გართული თითო-ოროლა წიგნებს ან ადგენს, ან სთხზავს, ან სთარგმნის ისე, რომ ეს სხვათა შორის შრომა ბევრჯელ შესანიშნავი შრომაც გამოდის. კარგი განათლებული კაცის სულის მოთხოვნილებაა, ერთ რამ სასარგებლო წიგნზე იმუშაოს; და რამდენათაც საზოგადოება განათლებულია, იმდენათ ამ გვარი შრომელი მწერლები ბევრნი არიან. ჩვენ ვხედავთ ევროპის და რუსეთის ცხოვრებაში, რომ თითქმის ყოველს

გამოჩენილს კაცს ერთი წიგნი მაინც დაუწერია. თუ მეტი არა. შორს რო არ წავიდეთ, ჩვენშიაც კი ადრე და ადრე ვხედავდით ამისთანა კაცებს, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს და სხვათა. მაგრამ დავეთანხმოთ ზემოხსენებულ საბუთიან აზრსა, რომ მუდმივ მწერლობისათვის საჭიროა, რომ თვით ნაწერი კაცს პურს აჭმევდეს.

ეს იქმნება მეორე საგანი, მწერლობისათვის საჭირო, რომელიც სტატიის თავში მოვიხსენიეთ და რომელსაც ვუწოდეთ „გამომცემლობითი ღონე."

ყოველი საქმის და ხელობის ბეჯითად და კარგათ ასრულებისათვის საჭიროა ამ საქმეს კაცმა დრო მოახმაროს. ამისათვის კაცი თავის დროს იმ საქმესა სწირავს, რომელსაც შეუძლია იმისი რჩენა. ამ გვარათ საქმე, ხელობა კაცს არჩენს და კაცი იმ საქმეს, ხელობას არჩენს. მწერლობაც ცხოვრების ნაწილია და ამ კანონს ვერ გადასცდება. თუ გვინდა რომ ხელობა, საქმე, მწერლობა წინ წავიდეს, ჩვენ სხვაფრივ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, სჯობს ფხიზლათ შევხედოთ ცხოვრებასა.

არც ერთი საქმე და ხელობა არ მოითხოვს იმდენს მომზადებასა, ნებიერობასა, დროსა და თავის ნებაზე და გუნებაზე ყოფნასა, როგორც წერა. ამიტომა ვხედავთ ისტორიაში, რომ განათლება, სწავლა და მწერლობა პირველ ხანებში მონასტრებშია, რომელსაც მოჩენილი აქვს სარჩო თვით მეფეთაგან და ხალხისაგან; ვხედავთ შეძლებულ მთავრების სახლებში; შემდეგ, როდესაც სიმდიდრე ჩნდება, ყოველ შეძლებულ ოჯახებში, ბოლოს სასწავლებლებში, რომელშიაც შეძლებულის შვილებს შეუძლიათ სწავლის მიღება. მწერლებიც ამ რიგობით ამათგან გამოდიან. უკანასკნელ დროებში ევროპაში ვხედავთ, რომ მწერალი წინათ მომზადებით შემდეგ ცხოვრობს თვით წერის შრომითა.

საჭიროა თვალი გადავავლოთ საქართველოს მწერლობის მდგომარეობასა. პირველში, ისე როგორც ევროპაში, მწერლობა მონასტრებ-

შია, მერე მთავრებში და წარჩინებულ კაცებში; თამარ დედოფლის დროს მაგალითად მოლარეთ ხუცესი რუსთაველი პოეტმა. ამ გვარად მწერლები გამოდიან მეფეებში, იმათ ხლებულებში, სამღვდელოში და თავადებში. წარსულ საუკუნეში, ვახტანგ მეფის დროდგან იწყობა დიდი მოძრაობა სწავლა-განათლებისა და ამასთან მწერლობისა. 1709 წლამდე საქართველოში არ იცოდნენ სტამბა რა არის. რასაკვირველია, რომ განათლების მოძრაობის დროს სტამბისათვის, ამ განათლების დიდ-ძლიერ იარაღისთვის, ყურადღება უნდა მიექციათ, გაემართათ სტამბა. და თუმცა უბედურება და დაქცევა მრავალჯერ მოადგა საქართველოსა, მაინც ამ სტამბას უფრთხილდებოდნენ ისე რომ ერეკლე მეფის დროსაც განაახლეს, მაგრამ ისევ მალე დაიღუპა აღა-მაჰმად-ხანის მოსვლის დროს. წარსულსავე საუკუნეში ქართული სტამბები იმართება საქართველოს გარეთ: გრუზინოვს გაიოზისაგან, მოსკოვს ვახტანგის შვილის ბაქარისა თუ ვახუშტისაგან, მოზდოკს კილაცა არხიმანდრიტისაგან. მაგრამ დაუწყნარებელი შავი ბედი არ აცლის ფესვის გადგმასა და ერთი მეორის შემდეგ აღარა სჩანან. წიგნების გამომცემელნი თვით მეფენი იყვნენ, ეპისკოპოზნი და მეფის შვილენი. უფროსიერთად ამ სტამბის მოკლე ხნობაში დაიბეჭდა სამღვთო-საეკლესიო წიგნები და სამოქალაქო წიგნების ბეჭვდას ცოტა დასცალდა; სამიოდ-ოთხიოდ წიგნი ძლივს დაიბეჭდა. მალ-მალ ქვეყნის აოხრება და ამასთან სტამბის წახდეს რომ არ მოსწრებოდა, მწერლობა ისე ძლიერად არ შეჩერდებოდა, როგორც შემდეგ ტფილისის დაქცევისა მოხდა.

ამ საუკუნის დასწყისში მწერლობას სრულებით შეწყვეტილს არა ვხედავთ, მაგრამ იმ ძლიერის იარაღის, სტამბის მუშაობა ძლივსა სჩანს. აღა-მაჰმად-ხანისაგან საქართველოს შერყევის შემდეგ და მეფობის გაუქმების შემდეგ ხალხის ცხოვრებაში ახალი წესები შემოვიდა, ესენი ერთად დიდათ უნდა დასტყობოდა მწერლობითს და გამომცემლობითს ძალასა. პირველს წლებშივე რუსეთის უფლობისა, სტამბა იყო, მაგრამ თითო-ოროლა წიგნი ძლივსა ჩანს. ამის მიზეზი ცხადია.

მწერლები თავიანთ მოშლილ ოჯახობას უნდა შესდგომოდნენ და თუ იმისი სადგური არა ჰქონდათ, წამქეზებელი არა ჰყვანდათ, წინათ რომ ასე შეჩვეულები იყვნენ. ეს გარემოება გრძელდება 1830 წლამდე, როდესაც რამდენიმე მწერლები ააკუძნებენ სტამბასა და ტფილისის უწყებათა." მაგრამ ერთი შემთხვევა ამასაც ქარ-წყლად აქცევს. ასე ამგვარად მომდინარეობს 1850 წლამდე, როდესაც კავკასიის ნამესტნიკი ვარანცოვი აქეზებს ქართველ განათლებულ საზოგადოებასა, ხელს უმართავს ფულითა და მფარველობით მწერლობასა და თეატრსა. ამ დროს წარმომადგენელნი მწერლობისა არიან პლატონ იოსელიანი და გიორგი ერისთავი. ესენი წინათ სწერდნენ და ბეჭდავდნენ თითო-ოროლა წიგნებს. ახლა კი წახალისებულნი ვარანცოვისაგან ერთი ცალკე წიგნების ბეჭდვას თავს უდებს, მეორე ჟურნალსა და თეატრსა. ორი-სამი წლის შემდეგ ეს გაჩაღებული მწერლობა და გამომცემლობა სწყდება. 1854 წლამდე შესანიშნავი დრო იმით არის, რომ გამომცემელნი ძალიან ცოტანი იყვნენ, რომ მმართებლობის ან მთავრობის კაცების შეუწყვნელად წიგნები ებეჭდათ. წიგნები იბეჭდებოდა ზოგი პეტერბურღის აკადემიისაგან, ზოგი უნივერსიტეტისაგან, ზოგი აქ ნამესტნიკის შემწეობით და მფარველობით. შესანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ხალხში გამომცემელი იშვიათი იყო. თუმცა თვალ-წინ მაგალითება ჰქონდა, რომ ზოგიერთი რამდენიმე ათი წლობით წვრილ წიგნებსა ჰბეჭდავდა, როგორც პლატონ იოსელიანი თავის აბაზიან ანბანსა, მაგრამ თითქოს არ დასდევდა და დიდ საქმეთ ეგონა პატარა 16 ფურცლიანი წიგნის გამოცემა. აქ სხვა არაფერს არ უნდა მივაწეროთ მაგალითის მიუბაძველობა, თუ არ უცოდინარობას და შეუჩვევლობას. ჰგონებდნენ, რომ ამ პაწია წიგნის გამოცემას, დიდი სიბრძნე, დიდი თავის ტეხა და დიდი ხარჯი უნდაო. ამას გარდა ხალხი ძველადგანვე შეჩვეული იყო, რომ წიგნის წერას და ბეჭვდას საკუთარი მფარველობა და ფულით შემწეობა უნდა ჰქონდეს მეფეებისა და მმართებლობისა.

ამის გამო 1853 წლის შემდეგ უეცრად შედგება მწერლობა და

თეატრი. მაგრამ ამ დრომდე 1850—1853 წლებში საზოგადოებაში მოისმა ერთის მხრით ხმა, რომ პლატონ იოსელიანი და გიორგი ერისთავი თავის ჯიბისთვის მუშაობენ და არა ქართულის მწერლობისა და თეატრისთვისაო. ამ დროიდამ იწყობა გამომცემლობითი შრომა თვით მწერლობის მოყვარე კაცებისა, მთავრობის შეუწევნელად, და ჩვენ დრომდე მომდინარეობს. პირველი ამისი მედროშე იყო ჟურნალი „ცისკარი“ 1857 წლიდგან და მშრომელნი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი და ივანე კერესელიძე. ჩვენ არ შევეხებით მათ შრომასა. მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ ამ დროიდამ იწყობა ახალი მოძრაობა ჩვენი მწერლობისა და თავის უღელს საზოგადოების ხელის შეწყობით ეწევა. „ცისკარს“ მოჰყვა „საქართველოს მოამბე“ მერე „დროება“ და სხვანი. მაგრამ საკმაოდ ძნელი შრომა იყო. ჟურნალ-გაზეთებს გარეთ მწიგნობრობა შემდგარი იყო, წიგნები იშვიათად და იშვიათად გამოდიოდა. ის აზრი, რომ ხალხი თავის ღონით მწიგნობრობას უნდა გაუძღვეს, გაზეთ-ჟურნალებს გარეთ არა ჩანდა. ერთი პაწია წიგნის გამოცემა დიდი სავაგლახო საქმე იყო. ჯერ თვით წიგნის მომზადებასა და გაშინჯვაზე დიდი ბაასი და ლაპარაკი ექნებოდათ რამდენსამე თვესა. მერე ახლა ფულის გამოღებაზე და შოვნაზე იყო ერთი კვნესა და ჩხვერა; ბოლოს სტამბა. ოჰ, სტამბა ფრიად დიდ ზრუნვაში და ჭირში აგდებდა გამომცემლებსა და ხშირად იქამდის მივიდოდა, რომ ვაი-ვაგლახით მომზადებულს წიგნს უკუსდებდნენ, მაგისთანა სტამბაში, მაგ ასოებით ბეჭვდა როგორ შეიძლებაო, და ზრუნვას შეუდგებოდნენ, ახლა ახალი სტამბა როგორ გავმართოთო. გადიოდა თვეები და წელიწადები.

მეორეს მხრით მართლა და სტამბა ისე მოწყობილი არ იყო რომ ადვილათ წიგნი დაბეჭდილიყო. ასოები ნაკლებ იყო, ამწყობები და სხვა მუშები სტამბისა შეუჩვეველნი; თითო თაბახის აწყობას, გასწორებას და დაბეჭდვას კარგა ხანი უნდებოდა. ასოები ნაკლებათ ჰქონდათ სტამბებში, რადგანაც ნაკლებათ იყო სამუშაო, თვით ასოები ძალიან ძველი და გაფუჭებული. ამასთან ქაღალდი იშვიათი იყო, ულაზათო და ძვირი.

ყველა ესენი რასაკვირველია, ბევრ დროს ართმევდა გამომცე-მელსა.

ამასთან უნდა დაუმატოთ ის გარემოებაცა, რომ ის გამომცე-მელნი თვითვე მწერლები იყვნენ; ამის გამო ცხადია რომ მწერალს სამ გვარი მძიმე შრომა უნდა გაეწია: ჯერ წიგნი შეედგინა, მერმე ფული გამოეღო დასაბეჭდავათ და სტამბის უკან ევლო. რასაკვირ-ველია, ეს სამივე შრომა თითო კაცისათვის, მერე ჩვენ ღარიბულ ცხოვრებაში ძნელია და საზოგადო წესად ვერავინ ვერ დაიდებს. ჩვენ ვიცით რომ დღევანდლამდე ბევრი საჩინო თხზულება ანუ ნათარგმნი დარჩენილია იმ მიზეზით, რომ გამომცემელი არ არის, არავინ არა კისრულობს დაბეჭდვასა, რადგანაც ხარჯს ერიდება. იქნება თვით მწე-რალს დაებეჭდნა კიდეც როგორმე, ან ვალის აღებით, ან სესხით, რომ სცოდნოდა რომ დანახარჯი დაუბრუნდება და შრომისათვისაც ცოტა-ოდე რგებს ექნება. მაგრამ ეს რო არ იყო, თხზულებაც რჩებოდა თაგვებისა და მტრის შესაჭმელათა.

ამას ჰქვიან, რო გამომცემლობითი ღონე არ იყო.

ეს ღონე ერთსა და ორ წელს ვერ გაჩნდება როგორც ღონე. ცოდნა, შეჩვევა, სიმარდე ეჭირება ამასაც. ეს ღონე ჯერ მსუბუქზე ვარჯიშობს და რამდენსათაც თან და თან მაგრდება, იმდენად უფრო მომატებითა, ჩნდება. ეს გამომცემლობითი ღონე ჩვენშიაც წინ ნელნელა მიდიოდა, როგორც ყოველივე ცხოვრებაში და პირველად საჩენად ამ ხუთი ექვსი წლის განმავალობაში ვხედავთ.

ახლა ვკითხოთ იმ ბატონებსა, ამ ჩვენი დროს გამომცემლებს რომ ჰკიცხვენ, რატო უფრო ღონეს არ იჩენთო, ეს საბუთიანი კიც-ხვაა? როგორ უნდა დაეწყოთ, თავისის მცირე შეძლებით, ოფლით მოგროვებულ გროშებით გამომცემლობა, თუ არ ამ პატარა წიგნებით და იმ გვარის წიგნებით, რომელთაც სახელი ეცოდნენ ხალხშია და რომლის ხარჯის დაბრუნების იმედი უნდა ჰქონოდათ? სხვა რიგათ დიდისა და ხალხის უცნობის წიგნების ბეჭვდა რომ დაეწყოთ, ღონე ექნებოდათ რომ ასე ერთმანეთზე მიყოლებით ებეჭდათ? ან იქნება

იმას ამჯობინებდით რომ ძველებურათ ხუთ წელიწადში ერთი წიგნი გამოსულიყო?

კარგათ უნდა გაიგოთ და მიხვდეთ, რომ ეს გამომცემლობის საქმე ახალი საქმეა. გამომცემლობა ვერ გაღონიერდება, სანამ რიცხვი გამოცემათა არ გამრავლდება. გამრავლება გამოცემისა და ხალხში მოფენისა, თუ არ ზემოხსენებულის გზით, არ შეიძლება. და რა ვნახეთ ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში? წინათ რომ მიუდგომელ ციხედ ეგონათ პატარა წიგნის გამოცემა, ხალხმა ნახა რომ აგრე რიგად ძნელი ასაღები ციხე არა ყოფილა და აგერ ერთმანეთის მიხედვით ჰბეჭდეს ვისაც რა უნდოდა. არც წლეობით დიდი სჯა და დიდი მოლაპარაკება პაწია წიგნზე, არც ერთი აყალმაყალი სტამბის შესახებ, არც ფულისთვის ფაცაფუცი. მსუბუქად და ნელად იღებდა გამომცემელი, ეკროდა სტამბას, ჰბეჭდდა და ჰყიდდა.

ეს იმდენად საგრძნობელი ნაბიჯის გადადგომაა რომ უნდა ვაფასებდეთ. რასაკვირველია, შეცდომა და უხეიროდ ასრულება საქმისა ყველგან შეიძლება და აქაც მოხდა, მაგრამ გაკიცხვა ამ გამომცემლებისა და ლანძღვა მწერლებისა ვინც მათ რამდენადმე ეწეოდა, დიდი თავხედობა და უმეცრება იყო, სხვა ცუდი სახელი რო არ დავარქვათ. თავხედობა იყო მით უმეტესად, რომ ეს პირველი ნაბიჯი იყო უბრალო ხალხის მონაწილეობის მიღებისა მწერლობისა საქმეში, რომელშიაც აქამომდე მარტო საზოგადოების წევრები მუშაობდნენ. შრომა ამ ხელოსნებისა, მესტამბეებისა, ასოს ამწყობთა და თვით სოფლის გლეხისა ყოველს განათლებულ საზოგადოებაში აღძრავდა დიდს პატივისცემასა და თანაგრძნობასა. ჩვენი ზოგი ვაჟბატონები და მწერლები კი დასცინოდნენ!

ჩვენ ერთი საგანი დაგვრჩა გასაშინჯი, რომელიც გამოცემასთან ძალიან შეკავშირებულია: ეს არის „წიგნის ვაჭრობითი, აღებ-მიცემობითი ღონე“.

ზემოთ მოვიხსენიეთ რომ მწერლები წიგნის გამოცემაზე უთხებოდნენ, რადგანაც ჯერ ერთი რომ ხარჯი უნდა გაეწიათ და მერე სტამბის უკან ევლოთ. ამის გამოთ ცალკე დასაბეჭდავი წიგნებიც კი

ჟურნალ-გაზეთებში მიჰქონდათ და იქ აბეჭდინებდნენ. ყველა ქვეყანაში ამ უკანასკნელ ორ ჯაიგას მწელები არა სწევენ, რადგანაც გამომცემლებს ყოველთვის შოულობენ. მაინც და მაინც პატივისცემით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ გამოდიოდნენ იმისთანა მწერლები, რომელნიც წიგნებს თავისის ხარჯით და ჯაფით ბეჭდავდნენ. მაგრამ დაბეჭდის შემდეგ რა უნდა ექნათ რომ წიგნების მაღაზიები კარგი არ იყო და არც წიგნის საქონლის გასაღებისთვის მზრუნველი. გზავნიდა აქა-იქ ნაცნობებში, ან მაღაზიებში, ან ქალაქშივე ბაზარში ვისმე ატანდა გასაყიდათ. მაგრამ ამ საქმეს ხომ მიწერ-მოწერა უნდა სხვა და სხვა ადგილსა, გამყიდველების მოძოვება უნდა, გაგზავნ-გამოგზავნა, ანგარიშების გასწორება, ყველა ამას უკან სიარული, გამოკითხვა და წვალება, ბევრგვარი წვრილმანი საქმეები უნდება, რომელიც თუ არ მოვაჭრეს, სხვას მალე თავს მოაბეზრებს. მაგრამ ეს იქით იყოს; საქმე იმაშია რომ წიგნზე დანახარჯს გამომცემელი ათასში ერთხელ ვერ აგროვებდა, ან იკარგებოდა, როცა სხვა ადგილას იყო გამყიდველი; ვინც აქვე ადგილობრივად იყო, აჯანჯლებდა ფულის მოცემას და ანგარიშის გასწორებას. ბოლოს ის გამოდიოდა რომ დანახარჯსაც ვერა ჰკრეფდა, არამც თუ ცოტაოდე ჯაფის ფასი აეღო. ამის გამო ერთხელ და ორჯელ მოტყუებული მესამეზე თავს ანებებდა, არც შრომას ეწეოდა და არც ჰბეჭდავდა. ეს გარემოება რადგანაც ხშირი იყო, ცხადია რომ გამომცემლები უნდა დამფრთხალიყვნენ და შეეყენებინათ თავისი გამოცემა. ამ გვარი მაგალითები ბევრი ვნახეთ.

ცხადი საქმეა რომ ყოველგვარი საქონლის ვაჭრობა და აღებ-მიცემა მაშინა ჩაღდება, როდესაც ის საქონელი მრავლდება. გამრავლება კიდევ იმაზე ჰკიდია, რომ პირველად საქონლის გამოყვანა, გაკეთება იაფად ჯდებოდეს, მეორედ იაფად ფასობდეს რომ ბევრს შეეძლოს ამისი ყიდვა და მესამე გამყიდველი, წიგნის მოვაჭრე ბევრი გამოჩნდეს; ეს უკანასკნელი გარემოება დამოკიდებულია იმაზედა რომ საკმაოდ სარგებლობა ნახოს ვაჭრობით.

დავხედოთ ჩვენს წიგნის გამოცემასა და გაჭრობასა. ეხლანდელნი გამომცემლები, როგორც ვთქვით, სტამბის მუშები, ამწყობები, ან სხვა ხელოსნები არიან. რასაკვირველია, როდესაც ესენი წიგნს ბეჭდენ, უფრო ნაკლებათ ხარჯი მოსდით ბეჭვდაზე, რადგანაც თავის შრომას მოაქვთ. ეს შრომა რასაკვირველია ფასათ ღირს, მაგრამ მაინც იმათთვის შრომის გაწევა ადვილია ფულის დახარჯვაზე. ეს გარემოება შესამჩნევია მით უმეტესად რომ წიგნს გაყიდვის ფასს უძლებს. მეორედ გაყიდვას ბევრი კაცები უნდა, ჩვენში წიგნის მოვაჭრენი ცოტანი არიან, სად უნდა მოეპოვათ? თვითონვე ცდილობენ თავის გამოცემის გაყიდვასა. ჰმართავენ ბაზრებში სტოლებს, დაქმ-ბენ პატარა ბიჭებს, რომელთაც ქუჩა-ქუჩა ატარებინებენ თავის წიგნებსა, ჰმართავენ პატარა წიგნის მაღაზიებსა, პოულობენ სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში წიგნის გამყიდველებსა და ამ გვარის მეცადინეობით წიგნი იყიდება. ერთის მხრით ხარჯის სიმცირე, მეორეს მხრით მცირე ფასი, წიგნის სიპატარავე, რომელიც ღონისძიებას აძლევს ბეჭდვისას ამასთანავე მცირე მოგებას სჯერდებიან ამ წიგნების გაყიდვით აღებულსა. ესენი ყველა ერთად აღებული იმდენათ ხელს უწყობს, რომ წიგნები ერთმანეთზე მოყოლებით, ხშირ-დება და გამოდის შეუწყვეტლათა. რასაკვირველია რომ ეს გარემოება თან და თან გამომცემლებს ასტატებს, უფრო ხერხიანათ აჭერინებს საქმესა, ეს უადვილებს და უმსუბუქებს როგორც გამოცემას, აგრეთვე გაჭრობასა. ბოლოს ეს იქამდის მიდის, რომ რამდენადმე წიგნის შემდგენელს მოგების ცოტაოდენი წილი ეძლევა და ჯაფის ფასი ცოტაოდე მაინც უბრუნდება ფულად.

ნუ თუ ეს იმ სასურველი დროის დასაწყისად არ უნდა მიგვაჩნდეს, როდესაც მშრომელი მწერალი თავის ჯაფის ფასს უნდა იღებდეს? ჩვენ მოვიხსენეთ რომ ყოველი საქმე და ხელობა მაშინ წინ მიდის, როდესაც კაცს იმ ხელობით ან საქმით თავის რჩენა შეუძლია. მაშასადამე ის დრო სასურველად უნდა მიგვაჩნდეს რომ მწერალი თავისის წერის ჯაფით სარჩოს შოულობდეს, სხვა სარჩენელ საქმისაგან გან-

თავისუფლდეს ლიტერატურისა და ხალხის წარმატების საბედნიეროთ. ჩვენი პატიოსანი მწერლების და მწერლობის ყოველივე შრომა, მეცადინეობა, წადილი და მხნეობა ამ საქმეს უნდა დაეხმაროს და სიძნელე გაუადვილოს.

ეს საქმე, ეს წიგნის გამომცემლობითი და კაჭრობითი საქმე თუ შედგა, დიდი შეცოდება იქნება ჩვენის მხრით და უკაცქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი.

ამ გვარათ ჩვენის დროის გამომცემელთა შრომა ის შრომა იყო-რომ, როდესაც ხალხში წიგნის კითხვის სურვილი ასჩენად საგრძნობელი შეიქნა და მწერლები უსყიროები გამოდგნენ ამ სურვილის დამაკმაყოფილებელნი, ქართულ მწერლობის სალაროდამ გამოიტანეს ჯერ ხელ უხლებელნი თხზულებანი და ხალხს მისცეს; სიძნელე გამოცემისა, ფულის სიღარიბის გამოთ, თავისის ჯაფით გააადვილეს, სიძნელე ხალხამდის მიწევნისა სიიაფით და აგრეთვე თავისის ჯაფით დასძლიეს. ვინც ნამდვილი მშრომელი იყო მათის შრომისა, ცოტაოდე რგება მისცეს, თვითონ ცოტაოდე ირგეს და ამით წახალისდნენ;

ეს იყო წარმატება საშვილიშვილო საქმისა, ეს იყო ძვირფასის სახალხო კუთვნილების დაცვა და შეუგნისებლობის გამოჩენა მრავალთა ჩვენთაგან შეგინებულის, შიგდებულის, დათრგუნვილის და გაუპატიურებულის სამშობლო მწერლობისა, სამშობლო ენისა.

რა გვაქვს ეხლა საერთოდ ყველასთვის თვალ-საჩენი ძვირფასი შემაერთებელი, ამამაღლებელი, გამაკეთილშობილებელი თუ არ სამშობლო ლიტერატურა და ენა? განათლებისა და ხალხის წარმატებისათვის ერთი საჩენი რამ გვაქვს, რომელშიაც მჭიდროდ აერთებს განათლებულ საზოგადოებასა და უსწავლელ, უცოდინარ ხალხს. იმ წამში, როდესაც ჩვენი ლიტერატურა (საერთოს აზრით და არა მარტო ჟურნალ-გაზეთები) დაიშრიტება, მაშინვე შესწყდება ერთობა და კავშირი განათლებულსა და გაუნათლებელს კაცში. დარჩება ხალხი იმ წყვდიადში, რომელიც ტენის სიტყვებში გამოიხატა ინგლისელების მდგომარეობის და მწერლობის შესახებ. ხალხის დაგდება გაუნათლებ-

ლად არავისა სურს, არცა ჩვენს საზოგადოებას, არც მმართებლობას, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს სწავლაც სასოფლო შკოლაში სამშობლო ენაზე წესად დასდვა.

მაშასადამე ჩვენი საზოგადოების დაწინაურებულმა, განათლებულმა კაცებმა ჯეროვანი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ გამომცემელთა შრომაში! ამათმა შრომამ ყველა მწერალს და ხალხის კეთილის მსურველს მოაგონა იმათი ვალდებულება ხალხისადმი, ხალხის განათლებისა და წარმატებისადმი.

მაგრამ სანამდის ახალი მწერლების შრომა მოვიდოდეს გამომცემლებამდის, იმათ თავისი შრომა უნდა განაგრძონ და მოსძებნონ ისევ ქართულ ახალს და მეტადრე ძველ მწერლობაში გამოსაცემი წიგნები. იმედია, რომ ახლა უფრო კარგის ამორჩევით და მცოდნე მწერლებთან რჩევის გაწევით უკეთესად წაიყვანენ თავის საქმესა.

იმათ არ უნდა დაივიწყონ, რომ შეყენება ამ დაწყებულის შრომისა იმათ დანაშაულობად ჩაეთვლება, მაგრამ თუ გაავრცელეს წიგნის გამოცემისა და ვაჭრობის საქმე, ისინი დაიმსახურებენ საქართველოს ისტორიის მოხსენებას და ჩამომავლობის კურთხევას.

მ. პეტრიძე.

# ცხოვრება და კანონი.

## წერილი მეხუთე (*)

ჩვენ წინა წერილში გაჩვენეთ, — რამოდენადაც ჩვენ თვითონ შევძელით და შეგვაძლებინეს, — რომ ჩვენის სოფლის მმართველობა ცოტად თუ ბევრად თვით-მმართველობის საფუძველზეა ამოყვანილი. ამის გამო ჩვენი ქება თვით-მმართველობისა მეოთხე წერილში ამით დავაბოლოვეთ: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს, იკითხოს: თუ თვით-მმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვით-მმართველობამ არ აყვავა სოფელი? თვითონ გლეხობა აგრე ერთ-ხმად რად უჩივის?“

მაშინ დავპირდით მკითხველს, რომ ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერს პასუხს მივცემდით შემდეგს წერილში. ეს შემდეგი წერილი, — ზოგი ჩვენის მიზეზით, ზოგი სხვისით, — აქამომდე დაგვიანდა. ეხლა, როცა ზარბაზნის ჭექა-ქუხილის ხმა მისწყდა, როცა მშვიდობიანობამ სხვა და სხვა ფათერაკის მოლოდინი გააქრო, როცა სხვა სიომ დაუბერა ჩვენს გარეშემო, როცა......როცა......, ერთის სიტყვით, — ეხლა შესაძლოდ გაგვიხდა შრომის განგრძობა იმოდენად, რომ ჩვენი ნაღველი, — თუ სხვა გზით არა, — უნაღვლოდ მაინც გამოვფინოთ. ძნელის ნაღვლის უნაღვლოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებაა.

---

*) „ივერია“ 1877 წ. №№ 1, 2, 3, 4 და 6.

ვიდრე ჩვენს საგანს შევუდგებოდეთ, მკითხველს ვჰსთხოვთ გაიხსენოს რაც მეოთხე წერილში **) მოგვიხსენებია, იმ წერილშია აღნიშნული, — შეძლებისამებრ ფთხილად და ენის კვნეტით, — ის საწყაო, რომლითაც უნდა ავწყავთ ჩვენებურის სოფლის თვით-მმართველობის ავ-კარგიანობა.

---

ვისაც ცნობილი ჰქონდა თვით-მმართველობის არსებითნი თვისებანი და კუთვნილებანი, დიდი ნიჭი არ დასჭირდებოდა წინასწარმეტყველობისა, რომ გამოეცნო რა შედეგიც მოელოდდა იმ წყობილებას, რომელიც დადგინებულია ჩვენში 1865 წ. 11 აპრილის წესდებით, შესახებ ჩვენებურ სოფლების მმართველობისა.

პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვით-მმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და რა კი თვით-მმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, იქ თვით-მმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ-რომ იქ თვით-მმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია. ეს ნაკლი თვითონ შიდა-იმპერიის წესდებასაც თან შეჰყვა და რადგანაც ერთსა და იმავე მიზეზს ერთი და იგივე შედეგი თან მოჰსდევს, ამიტომაც იქაც, როგორც ჩვენში, სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩივილი და დრტვინვა ისმის. თუ რამ კეთილი კიდევ ჰსჭირს, — ძალიან ცოტა კი, — შიდა-იმპერიის წესდებას, ეგ კეთილი იმაში მდგომარეობს, რომ იქაურს სოფლის ვითარებას, ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს წყობას, ცოტად თუ ბევრად, ყურადღება მიუქცევია კანონ-მდებლისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასავე ვერ ვიტყვით ჩვენს წესდებაზედ: იგი მთლად გადმოღებულია რუსეთიდამ. რასაკვირველია, თვით-მმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან გამოსადეგია და იმისთანანიც, რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვა და სხვაობას უნდა შეეფერებოდეს.

**) ,,ივერია'' 1877 წ. № 4 და 6.

ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვით-მმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა,—ეგრედ წოდებული,—თვით-მმართველობა. ამ სახით მეორე უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენებული და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ. სხვა მიზეზიც არის, მაგრამ ამაზედ ბოლოს ვიტყვით, ეხლა კი შევუდგებით ამ ორის მიზეზის დაწვრილებითს გამოკვლევას.

ჩვენ წინა წერილში ჩამოვთვალეთ ის ოთხნი უმთავრესნი დედააზრნი, ურომლეთოთაც თვით-მმართველობა თვით-მმართველობათ არ უნდა იხსენიებოდეს. ერთი იმათგანი ის არის რომ: ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რა კი სრული წლოვანია, ამასთან ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიაც ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს. წესდების 7 მუხ. ძალით კი ხმა და არჩევანის უფლება ეკუთვნით მარტო იმ სახლში უფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალის აღწერაში ცალკე კომლად არიან ხსენებულნი. ამ რიგად სოფლის მმართველობის წრეში მცხოვრებნი ყველანი კი არ არიან მწევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა, არამედ ზოგნი, თუმცა მთელის საზოგადოების ავკარგიანობა, ავად თუ კარგად გამგეობა, მოღვაწეობა ყოველთათვის ერთნაირად საწყენია და საამური. თავად-აზნაურნი, ვაჭარნი-მოქალაქენი, სამღვდელო პირნი, სოფელში ბინადრად მცხოვრებნი და თვითონ გლეხნიც, კამერალიიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასულნი, ამ უფლებას მოკლებულნი არიან და ამის გამო არც ერთს სასოფლო მოვალეობაშიაც არც ერთს მათგანს წილი არ უდევსთ, რასაკვირველია, იმ გლეხთა გარდა, რომელნიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გამოსულან. ამათ თუმცა არავითარი უფლება არა აქვთ სასოფლო საქმეთა გამგეობაში, მაგ-

რამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი კი კისრად აწევთ, ისე როგორც სხვას. წარმოიდგინეთ, რომ ერთის გამერალიის აღწერის დროდამ მეორემდი ათს წელიწადზედ ნაკლებ დრო არ გადის და მაშინ ცხადი იქნება რამოდენა ძალი ხალხი უფლებას მოკლებულია ხოლმე, მაშინ როდესაც ყოველი ტვირთი კი სოფლისა ზურგად ჰკიდია.

ჩვენი აზრი ის არის, რომ თვით-მმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთ-გვარად უნდა იყოს მიჩნეული. თვით-მმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე გამოკლება ვისიმე თვით-მმართველობიდამ დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილ-დღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერთობისანი ერთად, ერთ-გვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთ-გვარად და ერთ სახით ჰსწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთ-გვარად და ერთ-სახით გაჭირების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. სადაც ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილ-დღეობა მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორ-მასწორობა ერთმანეთ შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია. ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს.

სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულებაში, ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და უღონოდ ჰქმნის, როცა მის კეთილ-დღეობის მზრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. მაშასადამე თვით-მმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონე მოკლებული უნდა იყოს, სადაც სოფლის ერთობაზედ არ არის დამყარებული. რუსეთში რომ სო-

ფელი უჯრა-უჯრად დაჰყუეს, ერთს წყობას მიანიჭეს შვება და აჰკიდეს ტვირთი თვით-მმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც, იქ ამას ხელ-მოსაჭიდებელი მიზეზი მაიც ჰქონდა.*)

სოფელი, სოფლის საზოგადოება რუსეთში სულ სხვა ნიადაგზეა დანდობილი და სხვა ნიადაგზე ამოსული. იქ გლეხობა კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰფლობს ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახსრო, ესე იგი, საერთოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში. ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს მიწის შესახებ ორ ნაირს მფლობელობას: ერთის მხრით სოფლეულად სახსრო, საერთო მფლობელობას გლეხთა მიერ, მეორეს მხრით — კერძოობით და განსაკუთრებულს მფლობელობას თავად-აზნაურთა მიერ. სოფლის გამგეობა, რომელიც თვით-მმართველობის შინაგანი არსებაა, ამ ორს, ვითომ, ერთი-ერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა, — კანონ-მდებელთა აზრით — და მათს ინტერესებს ერთს კვალში ვერ ჩააყენებდა. ამის გამო საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განთვითვეულება გლეხისა და თავად-აზნაურობისა სასოფლო მმართველობაში. ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, მიბაძვის ბრალიც იყო. თვალ-წინ ჰყავსთ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველ სახეა თვით-მმართველობისა და რომელსაც უარ-უყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითვეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვით-მმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამ გვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამ გვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარ ხსენებულ ბატონ-ყმობის დროს. ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსსია. იქ საზოგადოებრივის წყობის პირველ წერტილიდამვე მცხოვრებნი სამს უჯრად დაყოფილნი არიან: Gutsherren — მიწათ მფლო-

*) ვთხოვთ, არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ აქ მარტო სასოფლო მმართველობაზედ ვლაპარაკობთ.

ბელნი, Bürger — მოქალაქენი, Bauern — გლეხნი და ეს განთვითეულ-
ება პრუსსიის მონარხიას ფეხიდამ თავამდე მთელს აგებულებაში გა-
ტარებული აქვსო, ამბობს ერთი მწერალი. უკანასკნელი საპროვინ-
ციალო წესდება პრუსსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენ-
ტში ცხადად ამტკიცებს, — იქაური „გუტსველტმარკ"-ობა, ესე იგი
მიწად მფლობელი თავად-აზნაურობა სადა ჰსცემდა: ყველა ტვირთი
გლეხსაო, ყველა შვება ჩვენსაო. დაწინაურებული თაობა კი ჰუბნებოდა,
შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიცაო.

თუმცა რუსეთში ასეთი განსხვავებული ეკონომიური მდგომა-
რეობაა სოფლად მცხოვრებთა წოდებათა შორის, მაგრამ იქაც არ
მოჰსწყინთ ერთის ნაზმა სოფლის საქმეთა გამგეობაში და მეორის
ამოშვება. იქაც ხმა ისმის, რომ ეგ სხვა-და-სხვაობა მიწის მფლობე-
ლობისა ტყუილი შიშიაო და სოფლის ერთობას არას დაუშლის და
წინ არ აღუდგებაო. ერთი მწერალი ამის თაობაზედ ამბობს, რომ
რუსეთში მეტად აზვიადებენ სასოფლოდ მფლობელობის მნიშვნელო-
ბასაო; სხვა და სხვა მოსაზრების გამო შექსდგა ამისთანა აზრიო,
ვითომ საერთოდ მფლობელობა უარ-ჰყოფდეს დედა-აზრს კერძოო-
ბათის საკუთრებისასაო; ვითომ ამ ორ-გვარის მფლობელობათა შო-
რის მოურიგებელი უთანხმოება იყვესო, მტრობა და ერთანეთის დევ-
ნაო. ეს სულ ტყუილიაო. სოფლად მცხოვრები მამულის მოსაკუთ-
რე ძალიან მშვიდობიანად ჰსცხოვრობსო სახასოდ მფლობელთა გლეხ-
თა გვერდითაო; თუ რამე უფთხობს მშვიდობიანობასაო, ცუდ-უბრა-
ლო ყვირილი უფთხობსო; რომელიც გაიძახისო, რომ გლეხნი სახა-
სოთ მფლობელნი კერძო საკუთრების მტერნი არიანო. მართალია,
გლეხნი-მეზობელნი ნამუსზედ ხელ-აღებით ჰპარავენ ტყესაო, უხდენენ
მოსავალსაო, უძოებენ ყორულებსაო, მაგრამ ამას განა იმისთვის ჰსჩა-
დიანო, რომ კერძოობითი საკუთრებას უფრო ნაკლებ პატივს ჰსცემ-
დნენ, ვიდრე სასოფლოს, სახასოს, არამედ იმისგანაო, რომ არავითარის
საკუთრების პატივის-ცემა არა აქვთო, არც თავისას და არც სხვისას და
სლავიანურ ფართო ბუნების მიდრეკილებისა გამო არც თავისას ზოგვენ,

არც სხვისასაო. „ჩვენის აზრითაო, ამბობს იგივე მწერალი: გლეხნი სახასო-სოფლეურად მფლობელნი მიწისა და სხვა სოფლელნი კერძოთ მფლობელნი ძალიან ადვილად მოთავსდებიან ერთმანეთთანაო ერთსა და იმავე სოფლის საზოგადოების თვით-მმართველობაშიო.“

თუ სოფლის საზოგადოების დაურღვევლობაზედ ამას ამბობენ რუსეთში, სადაც,—რაც უნდა იყოს,—სოფელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, სოფლობა ორ გვარ ეკონომიურს წყობას წარმოადგენს, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელთა შორის ეგ ორგვარობა არ სუფევს.

ჩვენში გლეხთა მიერ მიწის მფლობელობას ისეთივე კერძობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს როგორც თავად-აზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას. ჩვენში მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის. მაშასადამე ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა უსაბუთოა, უმიზეზოა. განსხვავება არის მამულის მეტ-ნაკლებობაში როგორც თვითონ თავად-აზნაურთა შორის, ისე გლეხთა შორის. მამულის მეტ-ნაკლებობა საკუთრივ და ქონების მეტ-ნაკლებობა საერთოდ სოფლის მმართველობის საგანს არ შეადგენს და არც მისგან წარიმართება. ამიტომაც ეგ მეტ-ნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქნება. სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო საბადებელის. ქონების საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წანახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალ წინ მრავალ გვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საწყალთა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა და ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომელობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით, ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და

სამართლის გამგეობა—ეს იმისთანა საგნები არიან თვით-მმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირათ სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის ვინც კი სოფლის საზოგადოებაში ჰსცხოვრებს. ყოველს ამაში საშუღლო, სამტრო რა არის? აბა რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცარიელზედ დააგდოს? იტყვიან ხარჯის გაწერაში, ბეგარის განაწილებაში სოფლობაში (СХОДЪ) აირევ-დაირევიანო, განა ეგ მიზეზი თვითონ გლეხთა შორის დღეს არ მოქმედებს? განა მეტ-ნაკლებობა ხარჯის, ბეგარის გაწერაში დღესაც არ არის მიზეზად ცხარის ბაასისა მდიდართ და ღარიბთ გლეხთა შორის? აბა ერთი მიჩვენეთ მაგალითი, რომ მაგ მიზეზს განხეთქილება რამ ჩამოეგდოს სადმე ისეთი, რომ მთავრობის მიშველება დასჭირებოდეს?

ამ სახით არც ჩვენის სოფლის ეკონომიურს მდგომარეობაში და არც თვით-მმართველობის საგანთა შორის არ არის მიზეზი კაცმა იფიქროს, რომ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფელად. ახლა ვნახოთ, იქნება ეგ მიზეზი იმაში იყოს რუსები რომ ეძახიან „сословные предразсудки“.

ჯერ დავიწყოთ იქიდამ რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამომხატველად რასაც რუსული სიტყვა „сословіе“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა, ეხლა შემოგვყავს ყაანაჩრობით და ისიც ვინ იცის კარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მგზავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს არა და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავ-

რობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევნიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც თავისის სურვილისამებრ თუნდა მოიწვევდა, და თუნდა არა. ამის გამო იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობათ, გასავრცობათ, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა თუ დასცალებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებათ დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც თუ თვის ცხოვრებაში უხუცესობას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზევითა ვსთქვი, ერთ ნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედამთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო.

შუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებითი ხელთ-მოქმედება (промышленность, производство) იყო ევროპაში. ის ხელთ-მოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილებას საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება—თავად-აზნაურობა და სამღვდელოება—იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და როცა ჩაიგდო, საზოგადობრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი გამოიხატა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო მიწათ მფლობელობა შეიქმნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობისა და წარმართვაში. მერე როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხანო ხელთ მოქმედება, მაშინ

ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდ-რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათ-მფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო-წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა. ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ენოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარედ დარჩა. ის წრეს გარედ დარჩომილი — შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა-კაცია. დღეს ეს მუშა-კაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არა ვის არა ჰქონდეს განსაკუთრებულად და ამისათვის ყოველ გვარის წყობის ქვა-კუთხედათ ჰსდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ, მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედა-აზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში მიზეზია და დიდ საბუთიანიც, — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა. ჩვენში რა არის აბა მაგის მგზავსი? ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებათ იხსენიებოდა და გლეხი კი არა. „მამულისშვილს (гражданинъ)“, ამბობს ერთი მწერალი: — საქმე არა აქვს მასთან, რომ თავად-აზნაურობა ჰზის თავის ოთახში და შეჰხარის თავის მამაპაპებს, და თავის მამულ-დედულსაო. ხოლო როცა თავადი ან აზნაური მოიწადინებსო, რომ ჩემს მამულ-დედულს და ჩემს მამა-

პაპას უპირატესი, განსაკუთრებითი მნიშვნელობა მიეცით საზოგადოებაში, მაშინ მამულის-შვილი უნდა გულზედ მოვიდეს და უთხრას იმ თავად-აზნაურსა: შენ ფეოდალი ხარო“.

ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის მფლობელობიდამ წარმოდგება და ყოველივე რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, წვენში არც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვევნში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკკლესია; დღეს ჩვენში გლეხი შემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამაპაპით დაჩემებული აქვს. თვითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებათ ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც როგორც თავად-აზნაურთა და ეკკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში.

რა კი ესენი იყო, რა კი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა, და არავის სხვას,—ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორეში, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზედ გაჰსდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითკეულების, განცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავს ტკივილს შეადგენს. აქ, რასაკვირველია, ბევრი ჰქოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის, თუ პოლიტიკურისა, ცილება, რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავის საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე როგორც სხვაგან, ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობათ, ერთს დასათ. განა ჩვენში თავადი, აზნაური ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან? ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ნათელმირონობისა და

დამოყვრებისაცა; ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველ გვარ ერთობისა; ბევრი მაგალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინადაც და მას მერმედაც თავადი, აზნაური სიამოვნებით დაჰმორჩილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისთვის, აზნაურისათვის. თვითონ ამის დამწერი მოწამეა, რომ სოფლის შეყრის დღეს თვითონ გლეხთ უთხოვნიათ თავად-აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო ჩვენს სასოფლო საქმეებში, თქვენც დაესწარით ჩვენს სოფლობაშიო (СХОДЪ) და კისრად იდეთ, რასაც განვაჩინებთო და ამაზედ თავად-აზნაურობას უარი არ ეთქვას. თვითონ ამის დამწერი მოწამეა იმისიც, რომ ორმა საზოგადოებამ სახელმწიფო გლეხთაგან მოინდომა აზნაურ შვილი მამასახლისად ამოერჩივა, მაგრამ კანონმა ნება არ მისცა; ბევრი მაგალითია, რომ გლეხნი თავს ანებებენ თავის სასამართლოს და განსამართებლად ან თავადთან, ან აზნაურთან და ან მღვდელთან გარბიან. ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილ მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს ჭრამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან. ერთის სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთაზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ, და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა მართებს და არა ხელის შემართვა. ამითი ის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი თავადი, აზნაური თუ მღვდელი ყველგან ეგრე მშურად ცხოვრებენ. არა, — ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება ამისი მიზეზი თვითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.

ისტორიაო, ამბობს ერთი მწერალი: ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარი-

ბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე, ყოვლ-გვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირის-პირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო. ერთს ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში, თუ ყველამ ცალკე გავიწიეთო, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთო." თუ ესე, ნუ თუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს ქვაბში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყვეს ყველასათვის. ნუ თუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოიფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას. ამი-ტომაც დიდად ჰსცოდავენ ქვეყანას და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში, — ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუ-ფევსო. განა ევროპა ცოტას დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

მაშ სადაც ეგ არ არის რად გვინდა რომ იყოს? ეგ იმას ჰგავს, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს ჰსთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინ-თხელობა, რომელიც საკუთარ ტვინ მოკლებული, სხვისით ჰსცხოვრებს და მარტო ბაძვით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინადვე ვიცით, კედელი ჰქნება და რამდენიც გინდა, ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს.

ერთის მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხილა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედლისაგან და ამ სიკეთეში ძალიან უნებურად წილ ხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში ჰსცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი არა. ამის გამო გლეხი უყურებს თვის მართვე-ლობას ისე კი არა როგორც უფლებას, არამედ როგორც ტვირთს,

გარდასახადს რასმეს და ყოვლის ღონისძიებითა ცდილობს შორს იყოს სოფლობაზედაც და მმართველობაზედაც, რომელიც სიკეთეს ყველას უნაწილებს და ტვირთს კი ერთსა ჰკიდებს ზურგზედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გვარი უფლება დღესვე ჩამოართვან გლეხს, გლეხი წარბსაც არ შეიხრის. და თვითონ თავად-აზნაურობაცა და სხვა წოდების კაცნიც უნდა ჰგრძნობდნენ, ჩვენის ფიქრით, დიდს დანაკლისს, რომ სოფლის გამგეობა, როგორც სოფელში მცხოვრებთ, იმათაც ნებით თუ უნებლიეთ შეეხება და ამ გამგეობაში არც ხმა აქვთ და არც არჩევანის უფლება.

(შემდეგი იქნება)

## ხევსურული ლექსები *)

### I

კარგისა ყმისა ცოლობა
ნუ გიხარიან, ქალაო,
წავა და ლაშქარს მოკვდება
დაჰრჩები ცარიელაო.

### II

რა კარგია კაი კაცი.
კარგ საქმეზედ აგებული,
ქვეყანა ჰყავს მადლიელი
სწორის გული მოგებული,

### III

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთურთს არ გავახარებთ,
იმის მეტი რა შეგვრჩება.

### IV

ქალ, ქისტეთს გაგათხოვებენ,
ქალმასი ჯინდა რკინისა;

---

*) ეს ლექსები შეუკრებია უფ. დავით როსტომაშვილს და ამას გარდა სხვაც ბევრი. მისგან მივიღეთ მთელი რვეული და შეძლებისა მებრ დავბეჭდავთ. ძალიან კარგი იქნება რომ სოფლის სხვა მასწავლებელთაც თვისი ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად საჭირო საგანს და როგორც ჩვენს ხალხთან დაახლოებულთა შეაგროვონ გლეხური ლექსები და გამოგვიგზავნონ. ჩვენ დიდის სიხარულით მივიღებთ ყოველს ამ გვარს და დავბეჭდავთ.

მოგაგონდება ახმეტა,
სჭრვილი დაგლევს ღვინისა.

V

ციდამ მოვიდა არწივი
ბოლომ შაიღო წივილი,
ვაი რა ძნელი ყოფილა
უჩნელათ გულის ტკივილი.

# ფიქრი და შენიშვნა

ჩვენის მწერლობის ჭაობაზედ. ნატვრა ახალ-წლის გამო. სამდურავი „ივერიის" შესახებ. ძველი და ახალი. ცოცხალი და მკვდარი. რაში არსებობს ნიშანი კარგისა და ავისა.

მართალია, კარგად ვიცი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ვერაფერი საგანია საახალწლოდ: ახალ-წელიწადს შეჰფერის სიმხიარულე, სიამოვნება, რომ არ დაგვაკვეკებოს სევდა და მწუხარება; ჩვენი ლიტერატურის უთავა-ცხვრება კი აბა რა გულის გასართობია და რა სიამოვნების მომტანია? ეს მართალია მეთქი, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ სევდა და მწუხარება დიდი ხნის დაკვებებული გვაქვს და ახალი ამბავი არ არის ჩვენს ცხოვრებაში. გარდა ამისა, ყველას თავისი გემოვნება აქვს და აგრეთვე თავისებური გრძნობიერობაც. როგორადაც არის საგანი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ერთს აუჩენს სიამოვნებას, მეორეს აუშლის სევდას და მწუხარებას, ისე, მეორეს მხრით, არის იმისთანა საგანიც, რომელიც თუმცა მწუხარებით არის აღსავსე, მაგრამ მაინც საამურია სალაპარაკოთ, მაინც მტკიცედ მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას, და თითქო იმდენად უფრო საამოა რამდენადაც მასში ჩართულია სევდა და მწუხარება. არის მრავალი სიმღერა, რომელიც სევდიან კილოზეა თქმული და რომელსაც თავიდამ ბოლომდე მწუხარება დართული აქვს, მაგრამ მაინც გესიამოვნებათ მისი გაგონება, გესიამოვნებათ იმდენად, რამდენადაც გამოთქმულია მასში იგი მწუხარება. ჩემ თვალში ჩვენი ლიტერატურაც ამ გვარი საგანია. ვიცი რომ მას მოსდევს გულ-დამწვავი გრძნობა, მაგრამ მაინც მაზედ ლაპარაკი გულს მირთობს და შვებას მაძლევს.

მაშასადამე, არც სჯულის დავებებსა მოვასწავებ და არც მამულებრივ ჩვეულებასა ვტეხ, რომლისაც ვიწყებ ლაპარაკს ჩვენს მწერლობაზედ. თუმცა ჩვენს ლიტერატურას არა აქვს იმ გვარი სიტკბოება, რომ-ლეც ნებას მაძლევდეს მიუთითო მკითხველს მასზედ და უთხრა — „ასე ტკბილად დამიბერდი მეთქი," მაგრამ შემიძლიან კი ვინატრო მისი ისე ტკბილად დაბერება, როგორადაც ტკბილად მიმაჩნია მე ჩვენს მწერ-ლობაზედ ზრუნვა და ბაასი.

მრავალჯერ თქმულა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ლიტერატურას ყოველ ქვეყანაში და ყოველის ხალხის ცხოვრებაში; მრავალი თქმულა მაზედაც, თუ რა გვარი ურთიერთობა და კავშირი სუფევს მწერლობისა და ცხოვრების შორის, ასე რომ ამ საგანზედ ბჭობა და ბაასი საჭირო აღარ არის. მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმ გვა-რად არის მომართული; მასში არსებობს მრავალი იმისთანა გარემოე-ბა, რომელიც სრულიად სხვას და განსაკუთრებულს ფერსა სდებს რო-გორც თვით ლიტერატურის მნიშვნელობას, აგრეთვე იმ ურთიერთო-ბასაც, რომელიც სუფევს ცხოვრებისა და მის შორის. ამ გარე-მოების გამო მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

„მართალია, — ამბობს ერთი მწერალი, — ლიტერატურას უეჭ-ველი მონაწილეობა აქვს ისტორიაში. მაგრამ ისიც უნდა აღვია-როთ, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში იშვიათია იმისთანა შემთხვე-ვა, როდესაც ლიტერატურას დაუჭერია უპირატესი ძალა ისტორიულ მოძრაობაში. ხალხის ცხოვრებაში ლიტერატურას თითქმის ყოველ-თვის უფრო ნაკლები გავლენა ჰქონია და უფრო მცირე ადგილი სჭე-რია, ვიდრე სხვა უფრო მძლავრ გრძნობას და მიდრეკილებებს: გვარ-ტომის და სახელმწიფოების ცილობას, სარწმუნოებას, პოლიტიკურ, ან ეკონომიურ გარემოებას და სხვ... ლიტერატურა არ არის მშო-ბელი სხვა ყოველ-გვარის მოღვაწეობისა: იგი იმგვარივე განსაკუთრე-ბული, კერძო მოღვაწეობაა, როგორიც არის სხვა ყოველი მოღვა-წეობა კაცობრიობის ცხოვრებაში, გარდა ცოდნისა (მეცნიერებისა)." ეს იშვიათი შემთხვევა, „როდესაც ლიტერატურას უჭირავს უპირატე-

სი ძალა ისტორიულ მოძრაობაში" და როდესაც იგი არის „მშობელი სხვა ყოველ-გვარის მოღვაწეობისა," არსებობს, ჩემის აზრით, ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ქვეყანაში. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენს აწინდელ ლიტერატურას მართლა და თვით საქმით ეპყრას ეს უპირატესობა და ნამდვილად იყოს წინამძღოლი და მოთავე ცხოვრების მიმდინარეობაში. სრულიად არა. ყველასთვის ცხადია ჩვენის მწერლობის დავარდნილი და საცოდავი მდგომარეობა; ყველამ იცის, რომ ლიტერატურას არამც თუ უპირატესობა არ უპყრია ჩვენ ცხოვრებაში, არამედ მეტიჩარასავით კუდში მიჰყოლია ცხოვრებას, რომელიც თან ითრევს მას თვის მაყრუებულ და მიძინებულ არსებობაში. არა. მე მხოლოდ იმას მოგახსენებით, რომ ჩვენი ცხოვრება იმ გარემოებაში არის ჩავარდნილი, რომ ძალა-უნებურად უჩვენებს ლიტერატურას იმ ადგილს, იმ სამსახურს და მნიშვნელობას, რომელიც იშვიათად ერგება ხოლმე მწერლობას კაცობრიობის ისტორიაში. მართლა დგას ლიტერატურა ამ ადგილზედ თუ არა, მართლა უწევს თუ არა ცხოვრებას იმ სამსახურს, რომელიც მინიჭებული აქვს გარემოების გამო,—ეს სხვაა. მე ვლაპარაკობ ამ ჟამად არა მაზედ თუ რა არსებობს თვით საქმით, არამედ თუ რა უნდა არსებობდეს ან ამ და ან იმ გარემოების ძალით; მე მინდა გავიწიოთ მხოლოდ თეორიული საუბარი.

ჩემის აზრით, ლიტერატურის მნიშვნელობა და სამსახური ჩვენში ბევრად განირჩევა იმ სამსახურისა და მნიშვნელობისაგან, რომელიც უპყრია ლიტერატურას იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრება უფრო ფართო ჩარჩოშია ჩამდგარი და უფრო ფრთა გაშლილი მიმდინარეობს. იმ ადგილას, სადაც არსებობს თავისით მავალი ცხოვრება, რომელიც არავის არ დაეკითხება თვის ავ-კარგიანობაში; სადაც ავი ვარ თუ კარგი პასუხის გამცემი ვარ თვითონ მე — ძალა და მნიშვნელობა ლიტერატურისა სხვა უნდა იყოს, ვიდრე იქ, სადაც ცხოვრება დავარდნილია და მაყრუებული, სადაც, ავია თუ კარგი, იგი არის ერთი რამ ფათერაკათ მოვლენილი და სხვა კი არა ფერი. პირველ შემთხვევაში ლიტერატუ-

რა, რაც უნდა წინ წამდგარი და აყვავებული იყოს, მაინც არ არის ძალა უპირატესად მომქმედი ცხოვრებაში. მას, რასაკვირველია, იქაც დიდი გავლენა აქვს, მაგრამ მასთან ერთად მოქმედობენ სხვა ძალნიც, რომელთაც აქვსთ არა ნაკლები გავლენა ცხოვრების წარმატებისათვის და საზოგადოების განვითარებისათვის; იქ ამ წარმატების დროშა უჭირავს არა მარტო ლიტერატურას, არამედ სხვა ყოველ თვით საქმით მომქმედ ძალასაც. იქ ცხოვრება იმდენად წინ წამდგარია, ჭკუა-გონების განათლება და განვითარება იმდენად გავრცელებულია, რომ ლიტერატურას მინიჭებული აქვს ერთგვარი, ცოტად თუ ბევრად მოხაზული ადგილი და სამსახური ხალხის ავკარგიანობის საზოგადო მიმდინარეობაში. სადაც სუფევს დაუდგრომელი და ერთა გაშლილი ბრძოლა ცხოვრების სხვა და სხვა კავშირთა შორის იქ ლიტერატურაც, რასაკვირველია, იღვწის ამ ბრძოლისათვის, მაგრამ სხვათა შორის, და ძნელად არის ხოლმე მოთავედ, რომელიც არამც თუ მარტო წინ მიუძღოდეს მთელს თვისის დროის მიმართულებას, პირიგით თვითონ ჭადავდეს ამ მიმართულებას და მით მთლად ხელთ იპყრობდეს ხალხის სურვილსა და გულის წადილს — თუ იგი ხალხი ცოცხალია, და სულს უდგავდეს — თუ მამაკვდავია.

მაგრამ არის დრო და ადგილი, როდესაც და სადაც ცხოვრება მიყრუებულია და ჩამქრალი, სადაც საზოგადო ასპარეზზედ არამცთუ არავითარი ბრძოლა არ არსებობს, არამედ თითქმის ყოველგვარი ნიშანი სიცოცხლესაც კი გაწყვეტილია; არის თვალ გაუწვდენელი წყვდიადიც, სადაც ხალხია წელმოწყვეტილი, ღონე-მიხდილი, გულ-გატეხილი. ამ შემთხვევაში თანამდებობა და სამსახური ლიტერატურისა სრულიად სხვაა; ამ შემთხვევაში ლიტერატურის გავლენას ფართო და ვრცელი ადგილი აქვს თვალ წინ გადაშლილი. მას არა ჰყავს მოცილე, რომელსაც შეეძლოს მისის ზედ მოქმედობის შემცირება ცხოვრებისათვის; ლიტერატურის ძალა, ამ შემთხვევაში, განუსაზღვრელია. იგი სულს უდგავს, თვალს უხელს, გზას უკაფავს წარმატებისას და აძლევს მთელს ცხოვრებას მიმართულებას...

თუ თავიდ-ბოლომდე დაჰკივის ცხოვრებას ერთა ხმა: „უნდა ცოცხალ ვიყოთო“ („დროებისა“ არ იყოს), ამ ხმის გამგონი არის მწერლობა, ამ გულის ძგერის აზომძახი არის ლიტერატურა; იგი სულ უდგავს, იმედს აძლევს და რწმენას უმკვიდრებს თავის დაცემულს და ილაჯ-გაწყვეტილს სამშობლოს..., ვიმეორებ: აქ იმას კი არ ვამბობ, რომ საცა ცხოვრება ამგვარ გარემოებაშია ჩავარდნილი იქ უსათუოდ უმაღლესი ადგილი ეპყრას ლიტერატურას, მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში ლიტერატურის გავლენისა და უპირატესობისათვის არსებობს ფართო მეიდანი, სადაც აყვავდება ლიტერატურა თუ არა—ღმერთმა უწყის. ეს გარემოება დამოკიდებულია ერთის მხრით თვით მწერლობის შინაგან თვისებაზედ და მის მოღვაწეთა ძალზედ, მეორეს მხრით—თვით ხალხის და საზოგადოების სიცხოვლეზედ, რომელთაც დასტრიალებს იგი ლიტერატურა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღვიაროთ, რომ რა გვარიც უნდა იყოს თვით მწერლობის შინაგანი სიმძლავრე, აგრეთვე რაც უნდა მძლავრი სიცხოვლე სუფევდეს თვით ხალხში და საზოგადოებაში, მაინც ზემოხსენებული ადგილი მწერლობისა დამოკიდებულია იმ ურთიერთ ნდობაზედ, რომელიც არსებობს, ან უნდა არსებობდეს ლიტერატურისა და საზოგადოების შორის.

ეს მოკლე შენიშვნა, გვონებ, საკმარისია მკითხველისათვის, რომელიც, რაკი ზემომოყვანილს საზოგადო ლაპარაკს დაართავს ჩვენს საკუთარს გარემოებას, ცხადათ დაინახავს თუ რა გვარი მნიშვნელობა და სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენმა ლიტერატურამ ჩვენს ცხოვრებას და ჩვენს ქვეყანას, რა მიმართულება და ხასიათი უნდა დასჩემდეს ჩვენს მწერლობას. გარდა ამისა, გადაავლებს თუ არა მკითხველი თვალს ჩვენს აწინდელს ლიტერატურას ცხადად დაინახავს თუ რამდენად დაშორებულია იგი ზემოხსენებულ მნიშვნელობაზედ და სამსახურზედ... თვალ-წინ დაუდგება ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც თუ გნებავთ, რაც გინდა არის—ცხოვრების წინამძღოლი და სულის ჩამბერველი კი არა; იგი არის თითქო სტუმარი, გარედამ მოწვეული, და არა შინაური, თვით ოჯახობაში გამოზდილი და გამოკვებული; იგი თუ

გნებავთ, თვით სამშობლოის შვილიც არის, მაგრამ აყვანილი და არა ღვიძლი, არა თვით ხალხისა და ქვეყნის ნაშობი. ამამ არც უნდა გაგვიკვირდეს თუ საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთობის შორის არ სუფევს ის მჭიდრო ერთი-ერთობა, ხელი-ხელთ მსვლელობა რომელიც უნდა სუფევდეს წარმატებისათვის ერთისა და მეორისაც. იქმნება აყვანილი შვილიც საყვარელი იყოს, მაგრამ მაინც ვერ შეედრება საკუთარს, ღვიძლ-შვილს... ეს ყველა კარგი. მაგრამ რითი ვირჩინოთ თავი, მეტყვის მკითხველი; რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რა ღონისძიებას უნდა ჩავჭიდოთ ხელი, რომ ცოტაოდენად მაინც მიუახლოვდეს ჩვენი ლიტერატურა იმ უმაღლეს ადგილს, რომელიც უნდა ეჭიროს მას გარემოების გამო? წამლის დაწერა ამ შემთხვევაში, რა საკვირველია, შეუძლებელია, და არც იმისთვის დაგიწყეთ საუბარი. ხოლო, ზოგიერთა გარემოების გამჟღავნება ჩვენის მწერლობისა და ცხოვრების შესახებ, ჩემის აზრით, მეტი არ იქმნება, თუ ცოტაოდენად მართალი და სწორე მხედველობა გვსურს შევიძინოთ წამოყენებულ საგანზედ.

„დროებამ" ამ წლის პირველ ნომერში შემდეგის სიტყვით გამოთქვა თავისი სახალწლო სურვილი: „ჩვენ გვინდა ცოცხალი ვიყოთ." ჩემის აზრით ამ სიტყვებში ძალიან მოსწრებულად არის გამოხატული ის სული, უხილავი თუ ნათელი, რომელიც აწ დასტრიალებს ჩვენს ცხოვრებასა. რა აზრს ართავს ამ სიტყვებს თვით „დროება," რას ნიშნავს მის თვალში ცოცხლობა — ჩემთვის ამ ჟამად სულ ერთია; მე წავაწყდი მხოლოდ სიტყვას, წავაწყდი იმ უპირატესს ხმას, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი აწინდელი ცხოვრება, და ბანს ვაძლევ, მეტი არაფერი... ქართულ მწერლობაში არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული (თუმცა სხვა აზრით და სხვა საქმისა და გარემოების თაობაზედ), რომ ჩვენ ცხოვრებას სჭირს ერთი სამწუხარო ხასიათი, რომლის გაქარწყლება ძრიელ სასურველია ქვეყნის წარმატებისათვის. მე ვამბობ სხვის ანაბრობაზედ, სხვის ჭკუით ფიქრზედ და მოქმედობაზედ. ეს ტკივილი, რასაკვირველია, არის არა უეცარი, ცი-

ღამ მოვლენილი რამ, ანუ ბუნებით შეყოლილი თვისება, არამედ არის ისტორიის ნაღვაწი, მას აქვს თვისი შესაწყნარებელი მიზეზი, თვისი დასაბამი და მსვლელობა, და უნდა ჰქონდეს აგრეთვე თვისი ბოლოც. მგონის თქმა არ უნდა, რომ ზემოხსენებულ სიტყვებსა—სხვის ანაბრობას, სხვის ჭკუით ფიქრს—იმ აზრით კი არ ვხმარობ ვითომ უეჭველად უნდა იქმნეს სხვის ჭკუის მონაგარი, სხვის ცხოვრებისა და ისტორიის გამონახული. ამის თქმა მოკლე ჭკუის ნიშანი იქმნებოდა, სხვა კი არაფერი. ყველასთვის ცხადია რომ, საზოგადოდ, ცოდნა, მეცნიერება არც ერთის ხალხისა და ქვეყნის კერძო საკუთრება არ არის, არამედ ეკუთვნის მთელს კაცობრიობას საერთოდ, მისის ნაღვაწით ყველანი განურჩევლად სარგებლობენ, იგი შეადგენს ქვა-კუთხედს ყოვლის წარმატებისას და კეთილ-დღეობისას, სადაც უნდა მოქმედობდეს იგი წარმატებას და კეთილ-დღეობას. ესევე ითქმის უცხო ხალხის ცხოვრებაზედ და ისტორიაზედ, რომელთა ცოდნის სარგებლობას ეჭვი აღარა აქვს მას აქეთ რაც მტკიცედ დამყარდა, რომ წინ წაძღომა ხალხისა შეუძლებელია თუ სხვას, მაზედ უფრო დაწინაურებულს არ მიბაძა და არ მიხედა. ეს ისეთი ცხადი და მკვიდრი ჭეშმარიტება არის მგონი, რომ მაზედ ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ არის კიდევ მეორე ჭეშმარიტებაც, არა ნაკლებად მკვიდრი. რომელიც არსებობს შემდეგში: ყოველ ხალხს და ქვეყანას აქვს თვისი საკუთარი ხასიათი, თვისი საკუთარი ფეროვნება, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხისა და ქვეყნისაგან. ეს ხასიათი და ფეროვნება შეადგენს იმ ნიადაგს, რომელიც თავისის მხრით აძლევს განსაკუთრებულს და თავისებურ ფერს ყოველს ნაყოფს ამ ნიადაგზედ გამოზდილს. რასაკვირველია ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტება, თუ სამართალი, თუ სიკეთე ყველგან ერთი და იგივეა; მაგრამ ყველა ამის დამყარება სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა საშუალებას და გზას თხოულობს. იქ, სადაც ხალხს გადაჰყვლია ეს საკუთარი ფერი, ეს სხვა და სხვა ვითარება, იქ თვითონ სიცოცხლეც ხალხისა დიდ განსაცდელშია. ჭკუა-გონებითს წარმატებასაც უნდა ჰქონდეს თვისი საკუთარი, თავისებუ-

რი ნიადაგი, იგიც გარემოცულ უნდა იყოს თავისის საკუთარის ჰაერით, რომელიც განსაკუთრებულს ფერს აძლევს მის უმაღლესს ნაწარმოებს — ლიტერატურას...

მასალა და საზრდო ამა მოღვაწეობისა და წარმოებისა, გარედამ მოვლენილი, მხოლოდ მაშინ შეიქმნება თესლად თვითონ გვარტომისა და ხალხის განვითარებისათვის, როდესაც მას ღრმად გაუვლის ზემოხსენებული განსაკუთრებული ჰაერი... ჭკუა-გონების თვით-მყოფობა, დაუმოკიდებელი მოღვაწეობა არის თამასუქი ლიტერატურის განვითარებისა და იმ ადგილზედ დაყენებისა, რომელიც ზემოთ არის თქმული. უამისოდ ლიტერატურა, როგორც წინაც მოგახსენეთ, იქნება მხოლოდ გარედამ წვეული სტუმარი და არა თვით შინაობაში გამოზრდილი ოჯახის შვილი. ამ აზრის განმარტებისათვის ავიღებ მაგალითად ერთს მხარეს, ერთს ნერგს ამ ნიადაგისას — ენას. თუ კაცის ჭკუა-გონება უმაწვილობიდგანვე გამოზრდილია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ სწავლა-განათლება მიუღია — მიუღია უცხო ენაზე, თუ რაც კი რამ უფიქრია მას თვის სიცოცხლეში — უფიქრია უცხო ენაზე, გაბედვით შემიძლიან ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში იგი სანახევროდ ამოგლეჯილია თავის სამშობლოიდამ, სანახევროდ დაკარგულია თავისის ქვეყნის ჭკუა-გონების თვით-მოღვაწეობისათვის. დიდი სიმძლავრე სულისა, დი მოყვარეობა მამულისა და დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ სტუმრად არ დარჩეს თავისის ქვეყნისათვის და ღრმად ჩაუნერგოს თვის სამშობლოს თავისის ჭკუის ნაღვაწი და ნაწარმოები. ამ გარემოების ზოგიერთ შედეგზედ ქვევით მოგახსენებთ. ეხლა კი ცხადი უნდა იყოს, ვგონებ, თუ რაში უნდა არსებობდეს იმ ნიადაგის მომზადება ენის კვალობაზედ, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ... ვიმეორებ: სხვის ანაბრობა, სხვის ჭკუით ფიქრი არის უმთავრესი ტკივილი, რომელიც მთლად ტანში აქვს ჩვენს ავ-კარგიანობას; თვით-მყოფობა, თვით-მოღვაწეობა ჭკუა-გონებისა არის თამასუქი ლიტერატურის წარმატებისათვის და განვითარებისათვის; განსაკუთრებული ფვითება, თავისებური ფეროვნება არის ის ნიადაგი, ის სფერა სადაც

ერთას ისხამს საგვარტომო, სახალხო ლიტერატურას... მეც ვიტყვი— „ჩვენ გვინდა ცოცხალი ვიყოთ“... თუ აქამდისინ ჩვენი მწერლობა დაშორებული ყოფილა იმ უმაღლეს სამსახურზედ და ადგილზედ, რომელიც უნდა ეჭიროს მას გარემოების გამო, ეხლა მაინც შეუწყოთ მას ხელი და ვეცადოთ, რომ ცოტაოდენად მაინც მოვიახლოვოთ ის დრო, როდესაც ლიტერატურა მართლა წინ გაუძღვება ცხოვრებას და მართლა დაიპყრობს იმ უმაღლესს ადგილს. თუ ჩვენ ჯერ ღირსნი არა ვართ ამ ნეტარებისა, ნიადაგი მაინც მოუმზადოთ, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს და აღყვავდეს ჩვენი აწ ბედკრული ლიტერატურა. თუ აქამდისინ მწერლობა გარედამ მოსული სტუმარი იყო, ვისურვებ მკითხველისათვის, რომ შემდეგში მის მაგივრად ეღირსოს მას თვით შინაობაში გამოზრდილი და გამოკვებული ოჯახის-შვილი. ვინატრი მისთვის მწერლობას ნაციონალურს... თვალ-წინ მიდგა ის ზემოხსენებული უმაღლესი მნიშვნელობა და თანამდებობა ლიტერატურისა, რომელსაც თვით ჩვენის ქვეყნის გარემოება გვაჩვენებს... ვინატრი და ამაზედ-უკეთესი ნატვრა მკითხველისათვის არა მაქვს...

შორი-შორს ამბავი კია, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვა მინდა ვუძღვნა „ივერიის“ გამკიცხველებს, მინდა ვთქვა ცოტაოდენი რამ იმ სამდურავზედ, რომელიც ზოგიერთა მხრიდამ წამ და უწყუმ მოისმოდა ჩვენის გაზეთის შესახებ. მართალია, თავის-თავზედ ლაპარაკი ცოტა უხერხოა, მაგრამ ეს ლაპარაკი ამ ჟამად მით უფრო ნაკლებად შეჩოთირება, რომ „ივერიის“ მოღვაწეობას ცოტად თუ ბევრად ახალი ხანა დაუდგა და ახალს მსვლელობაში შევიდა; მისი მოქმედობა, როგორც გაზეთისა, ეკუთვნის წარსულს, და თვის წარსულზედ ლაპარაკი, რასაკვირველია, უფრო ადვილია კაცისათვის, ვიდრე თვის აწმყოზედ; იგი ავსაც და კარგსაც თვის წარსულისას თამამად იხსენიებს. თითქმის ორი წელიწადია მას აქეთ, რაც „ივერია“ დაარსდა. ამ დროის განმავალობაში ბევრი რამ თქმულა ჩვენზედ, წერით თუ პირად; ბევრი სამდურავი, ბევრი ლანძღვა, ბევრი ცილის-წამება გვსმენია.

აბა გავსინჯოთ, რა არის ყველა ამაში მართალი და ტყუილი, ჭკვიანური თუ სულელური, კეთილი თუ ბოროტი.

გამოვიდა „ივერია“ თუ არა, იმ წამსვე ჩვენი ზოგიერთნი ვაჟ-ბატონები მოჰყვნენ კიჟინს: „ოჰ, რა ძველი ენაა! რა მამა-პაპური ენაა!“ ამას დაუმატეს კიდევ: „ოჰ, რა ძველი აზრებია! რა დამპალი აზრებია!“ და სხვაც ბევრი რამ. ამ სამდურავისა და კიჟინის დედა-ბოძი არის ესრედ წოდებული «ძველი ენა;» ეს არის უმთავრესი და უპირველესი მიზეზ-ისარი, რომელიც დაბადებიდგანვე მიაყოლეს «ივერიასა» და ჯერაც არ მოუშორებიათ. რაც კი რამ დაწერილა თუ თქმულა «ივერიაზედ» — «ძველის ენით» დაწყებულა და «ძველის ენითვე» გათავებულა. «ძველი ენაა, ძველი ენა!» წამ და უწუმ გაიძახოდნენ ჩვენი კრიტიკოსები, ვითომ და მეტის-მეტი ჭკვიანური რამა ვთქვითო. ბოლოს იქამდისინ მივიდა საქმე, რომ თვით ჩვენ განცხადებაშიაც კი ძველი ენა დაინახეს, როგორც, მაგ., ნიკოლაძეს მოუვიდა. ერთი რუსული ანდაზაა: — «სულელს რომ ლოცვა დააწყებინო, შუბლსაც გაიჩეხავსო.» ნიკოლაძესაც ამ გვარი დაემართა. ვიღაცას უჩურჩულებია მისთვის (თვითონ ნიკოლაძე კი აბა რა ქართულის მცოდნეა, თუ შენც იტყვი მკითხველო). — «ივერიაში» ძველი ენა არისო; ისიც მოჰყოლია და გაიძახის, — საცა რიგია და საცა არა, — „აი თქვე ასეთ-ისეთებო, ძველი ენითა სწერთ განაო!“ მიკვირს რატომ «ძველი ენა» იმ ფიცარზედაც არ შეამჩნია, რომელიც «ივერიის» რედაქციის კარებზედ არის მიკრული... ღვთის წინაშე, მართებული გარჩევა და პასუხის მიცემა ყველა მასზედ, რაც კი თქმულა «ძველის ენის» თაობაზედ შეუძლებელია, რადგანაც, კარგად რომ გასინჯოს კაცმა, არც არაფერი თქმულა მტკიცე და გარკვეული; არავითარი მაგალითი არ წამოუყენებიათ, არ უჩვენებიათ, არც ერთი ნაწყვეტი ჩვენის ნაწერისა და არ უთქვამთ, — აი ეს «ძველის ენით» არის გამოთქმულიო, «ახალის» ენით კი აგრე უნდა ითქვასო. მე ვიცი გააგებინეს მკითხველს თუ რას ეძახიან „ძველს ენას“ და ან რაში არსებობს «ახალი ენა!» შენ არ მამიკვდებათ, ამისთანა ძნელ საქმეს რად იკისრებდნენ? დაადგნენ უფრო ადვილ საქმეს, — ტყუილ-უბრალოდ ლაპარა-

ბას: ჟურნალ-გაზეთები სწორედ იმ ენითვე უნდა იწერებოდნენო, როგორითაც ხალხი ლაპარაკობსო, თუ არა და ძველი ენა იქმნებაო, და ამით, რასაკვირველია, ეუბნებოდნენ მკითხველს — აი, მაგალითებრ, როგორც ჩვენა ვწერთო. მე ვიცი დაფიქრდნენ იმაზედ თუ რა მნიშვნელობა აქვს ენის სიწმინდეს საზოგადოდ ლიტერატურაში და მეტადრე ჩვენს საცოდავ ლიტერატურაში, რომელსაც მხოლოდ გუშინ აუდგავს ფეხი, ისიც ვინ იცის აუდგავს თუ არა! შენ არ მომიკვდე. გაუგონიათ რომ სხვაგან, უცხო ქვეყნებში ყოფილა ბრძოლა ძველ და ახალის ენის თაობაზედ, ერთის თუ მეორის დამკვიდრების თაობაზედ ლიტერატურაში; გაუგონიათ რომ ბოლოს და ბოლოს დამკვიდრებულა ახალი ენა, როგორც უფრო ცოცხალი, უფრო მძლავრი და უფრო მდიდარი, და წინ დაუხედავათ, დაუფიქრებლივ გადმოაქვთ ყველა ეს ჩვენშიაც. ვის რა ენაღვლება იმისი თუ რის მომტანია ჩვენში ესრედ წოდებული „ახალი ენა" — სიღარიბისა თუ სიმდიდრისა? ვინ დაფიქრებულა მაზედ, რომ ჩვენშიაც (როგორც სხვაგან ყოფილა) „ძველი" ცუდს ნიშნავს და „ახალი" — კარგს, თუ არა? ან კიდევ, ვინ დაფიქრებულა მაზედ თუ ის ენა, რომელსაც ეხლა ეძახიან ძველს, მართლა ძველია, თუ არა; ანუ რასაც იგი ენა იძენს ძველის ენიდამ მართლა ცუდია, თუ არა, მართლა ენის სიგლახაკეს და სიკვდილს მოასწავებს თუ პირიქით სიცოცხლეს და განვითარებას?... დამჯდარი პასუხი და მტკიცე ლაპარაკი ჩვენ გამკიცხავებიდან შეუძლებელია მეთქი, რადგანაც მათის კითომდა კრიტიკაში ტუტუცი-ბრალო ლაპარაკის მეტი არა არის რა. მაგრამ თვითონ საგანი, რომელსაც დაერთვის იმათი ლათაიება, ფრიად მძიმე და ღირს-შესანიშნავი. „ივერიის" ენა იმათ არ მოსწონთ — ძველი ენა არისო. თუმცა არავინ ნამდვილად არ ამტკიცებს თუ რაში არსებობს ეს სიძველე, ან პირიქით რას ნიშნავს „ახალი"; მაგრამ მაინც თვით ამ საგნის აღიარება ღირსია ყურადღებისა იმათთვის, ვინც კი გულგრილად არ უცქერის ჩვენის ლიტერატურის ბედ-იღბალს. თუმცა ჩვენის ენის მწუნებელნი არავითარ მტკიცე რწმენას არ იღიარებენ წამოყენებულ საგნის თაობაზედ, მაგრამ მათ ლაპარაკს მაინც ყური უნდა ვათ-

ხოვთ, რადგანაც ზოგჯერ ტყუილ-უბრალო ლაპარაკსაც დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება აქვს მკითხველზედ: მკითხველი, საშუალო მკითხველი ჩვეულებრივ არა ვითარ კრიტიკას არ ხმარობს მის გასარჩევად, რასაც კითხულობს და უფრო მომეტებულად პირ-და-პირ სჯერა რასაც კითხულობს, მეტადრე თუ ერთი და იგივე მალ-მალ ჩასძახეს ყურში. ამიტომაც მოგახსენებთ, რომ ლაპარაკი ძველსა და ახალს ენაზედ ღირს-შესანიშნავია მეთქი, თუმცა ამ ლაპარაკს არ მოსდევს არავითარი საფუძველი, არავითარი რწმენა, არც მკვიდრი აზრი. წინადვე უნდა მოგახსენოთ, რომ აქ მსურს არა თვითონ ენის განრჩევა; ამ საგანზედ «ივერია» უძღვნის მკითხველს ცალკე წერილს. მე მინდა მხოლოდ აღვიარო ორიოდე აზრი, რომელიც ძალა-უნებურად შებადება თავში ყოველთვის, როდესაც მესმის სამდურავი «ივერიის» ძველის ენის თაობაზედ.

ჩემის აზრით „ივერიის" თაობაზედ ატეხილი ლაპარაკი „ძველისა" და „ახალის" ენის შესახებ დამყარებულია მთლად რაღაცა გაუგებლობაზედ. ეს ლაპარაკი ან ვერაფერი ჭკუის ნიშანია თვითონ ამტეხთა, თუ იგინი გულწრფელად იღვწიან თვის სამშობლოისათვის, ან ბოროტობაა — თუ თვის ხალხისა და ქვეყნის ბედ-იღბალს ჩალადაც არ აგდებენ; ორივე შემთხვევაში არამც თუ არავითარ წარმატებას არმოასწავებს ამ გვარი ლაპარაკი ლიტერატურისათვის, არამედ პირ-და-პირ უკან დასწევს უქადის და, იქმნება, მთლად გაუქმებასაც. სიტყვა, როგორც მოგეხსენებათ, მოსდევს აზრს, ჭკუა-გონების წარმოებას. აზრის სხვა და სხვაობას და სიმდიდრეს დაერთვის უსათუოდ თვითონ სიტყვისა და ლექსთა მრავალგვარობა და სიმდიდრე. ეს მტკიცედ დადგენილი ჭეშმარიტებაა და შეეხება ერთგვარად — როგორც კერძო ადამიანს, ისე მთელ ხალხსაც. რამდენად ხალხი უფრო გონება-გახსნილია, რამდენად მისი ჭკუა-გონება უფრო განვითარებულია, რამდენად მრავალგვარი აზრი და წარმოდგენა უტრიალებს თავში, იმდენად სიტყვაც ამ აზრისა და წარმოდგენის გამოსათქმელად, მრავალგვარია და მდიდარი. ასე რომ ლექსიკონის სიმდიდრე და მრავალგვაროვანობა ყო-

ყველთვის უეჭველი ნიშანია ხალხის გონება-გახსნილობისა და ჭკუის სიმდიდრისა. ლექსიკონს, ამ საღაროს სიტყვიერებისას, ხალხი ამოქმედებს საჭიროებისამებრ. ესე იგი, რამდენადაც უფრო ღრმად გასჯდომია მას ცნობის მოყვარეობა, რამდენადაც უფრო ვრცელი ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში ჭკუა-გონების თვით-მოქმედობას, იმდენად უფრო ხშირად და უფრო ვრცლად ხმარობს ზემოხსენებულს საღაროს. აქამდისინ კაცობრიობის ისტორია იმ გვარად ყოფილა მომართული, რომ ყველგან ხალხის უმრავლესობას არ ჰქონია, სიღარიბისა და სივლახაკისაგამო, საშუალება და მოცლა ჭკუა-გონების განვითარებისა და წარმატებისათვის. ეს შეძლება და მოცლა ჰქონია მხოლოდ ხალხის უმცირესს ნაწილს, რომელსაც მართლა-და უპყრია ჭკუის საუნჯე მთელის კაცობრიობისა: ცოდნა, მეცნიერება, სწავლა-განათლება. აქედგან წარმოსდგება განსხვავება ამ ორივე ნაწილის ლექსიკონთა შორის; რამდენად ერთია მრავალ ფეროვანი და მდიდარი, იმდენად მეორეა ერთფეროვანი და ღარიბი. მაგრამ, აი გადის დრო, სწავლა-განათლება თან და თან განზედ იწევს, უფრო და უფრო ვრცელდება და ერთი ცვარი ხალხსაცა ჰხვდება. მაშინ დახედეთ მის ლექსიკონს. უწინ თუ ათასის სიტყვით კმაყოფილდებოდა, ეხლა ორი ამოდენაც არა კმარა ყველა იმ ახალის აზრისა და წარმოდგენის გამოსათქმელად, რომელიც შეიძინა მისმა ჭკუამ და გონებამ. რამდენად უფრო მკვიდრად არის გამჯდარი ხალხში ჭკუა-გონებისა და აზრის თვით-მომქმედობა, იმდენად უფრო მდიდარია მისი ლექსიკონი, იმდენად უფრო მრავალ-გვაროვანი საშუალება აქვს ამ თვით-მოქმედობის ხორც-შესხმისათვის. თუ ხალხის ცხოვრება მართლა თავისით მიმდინარეობს, თუ ამ მსვლელობაში არავითარი დაბრკოლება არ ხვდება ხალხის ჭკუისა და აზრის თვით-მოქმედობას,— მაშინ ენაც შედის თვის შესაფერ წარმატებაში, როგორადაც სხვა ყოველი მხარე ცხოვრებისა: ემატება სიტყვა, ეცვლება ფორმები და სხვ... ამ შემთხვევაში ენის მხრითაც, როგორადაც სხვა მხრივ, არსებობს ბრძოლა ახალისა და ძველის შორის; ამაშიაც განირჩევა ახალი თაობა და ძველი...

იყო დრო, როდესაც ჩვენ ქვეყანასაც ჰქონია თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი, თვით-არსი მოქმედობა ჭკუა-გონებისა; როდესაც ქართველი კაცი, ავად თუ კარგად, ფიქრობდა თავისის საკუთარის ჭკუით. ჭკვიანური რამ გამოდიოდა ამ ფიქრიდამ, თუ სულელური — ჩვენთვის ამ ჟამად სულ ერთია; მხოლოდ ის კი უეჭველია რომ ყოველი მისი აზრი, ყოველი მისის ჭკუის წარმოება იწყებოდა და თავდებოდა თავის საკუთარს, სამშობლო ენაზედ. რასაც ფიქრობდა იგი, ფიქრობდა ამ ენაზედ. თუ ეს ფიქრი შედიოდა წარმატებაში, იმავე წარმატებაში შედიოდა ენაც. ჩვენშიაც იყვნენ, რასაკვირველია, სწავლულნი და უსწავლელნიც, და ამის დაგვარად იყო მდიდარი ლექსიკონი და ღარიბიც... აი გავიდა ხანი, დროთა ბრუნვამ შეუცვალა ფერი ცხოვრებას, ჩააგდო სრულიად ახალს, უწინ უცნობ გარემოებაში, და მოჰბერა სრულიად უცნობი ნიავი. ამას მოჰყვა შემდეგი: თუ უწინ ქვეყანას და ხალხს თვის საკუთარ წარმატების ტვირთი თვითონვე ეკიდა საკუთარ ზურგზედ, ეხლა ახალმა ნერგმა მის ცხოვრებისამ აჰყარა იგი მაცხოვარი ტვირთი, თითქმის სრულიად ჩამოაცალა, — რად სწუხდებით, მე ავიკიდებ მაგ ტვირთსაო. რაც დაემართა მთელ ტვირთს, იგივე, რასაკვირველია, დაემართა მასში ჩართულს ნაწილსაც — ენას... დაჰბერა ახალმა ქარმა და ამოგლიჯა ლექსიკონიდამ თითქმის მთლად რაც კი რამ ცოტად თუ ბევრად მაღალის აზრისა და ფიქრის გამომთქმელი და გამომხატველი მოიპოვებოდა; შეარჩინა მხოლოდ ის რაც საჭირო იყო შინაობაში საყველპუროდ, ყოველ დღიურ სახმარებლად. „მეტი რაღად გინდაო, თითქო ეუბნებოდა ახლად მოვლენილი ნერგი, — მაგას აქეთ რაც შენის წარმატების ტვირთი მე ავიკიდეო?" მართლა და, რა მოხდა? ჭკუა-გონების თვით-წარმოება და თვით-მოქმედობა დარჩა მხოლოდ იმ აზრთა წრეში, რომელნიც დაერთვიან მხოლოდ შინაობაში უსაჭიროესს საგნებს. სხვა ყოველგვარი ფიქრი, რომელიც კი შეეხება ამ წრის იქით გადასულს საგანს, სწარმოებს და მოქმედობს უცხო ენაზე... ბავშვი შედის სწავლაში, ხდება ყმაწვილკაცად, იძენს უმაღლესს განათლებას; მისი აზრი ვრცლად არის გა-

ვითარებული, მისის ჭკუა-გონებისა მხედველობა შორსა სწვდება,—ეს ძალიან კარგი. მაგრამ, მის ჭკუა-გონებას უშრომია უცხო ენაზედ და ამის გამო ვხედავთ შემდეგს: დაიწყებს ეს უმაწვილი კაცი თვის სამშობლოისათვის ზრუნვას, მას აღეძვრის, ვთქვათ, სურვილი ღვაწლის დადებისა თავის სამშობლო ლიტერატურისათვის, დაიწყებს, მეთქი, და ერთი რაღაცა ძელი კი მოუდება მის კეთილ-მიდრეკილებას: ენა არა აქვს; მას შერჩენია (ისიც წაღმა-უკუღმა) მხოლოდ ის ლექსიკონი, რომელსაც ამოქმედებს შინაობის ყოველ-დღიური საჭიროება. მაგრამ რა ქნას კაცმა თუ იმის თავში ტრიალებს მრავალი იმისთანა აზრი, რომელიც შინაობის წრის იქით დიდ მანძილზედ არის გადასული? რა საშუალებით მოატყობინოს მან თვის მკითხველს ყოვლაფერი რაც კი რამ გულში უღვივის და თავში უტრიალებს? მოჰყვება და ახმახუნებს თავისებურად, წაღმა-უკუღმა ატრიალებს იმ საცოდავ ლექსიკონს, რომელიც უმაწვილობიდგანვე შეჰყოლია და შერჩენია: ვერც სხვას აგებინებს თავის აზრს, ვერც თვითონ იგებს თავის ნაწერს. მართალია, ბრალი ვერ დაედება იმისათვის, მაგრამ ნულარც მეტყვით, თავის გასამართლებლად,—ეს ნამდვილი ცოცხალი ქართული ენა არისო, თუნდა მდაბიურიც იყოს. თქვენ რომ არ იცოდეთ ვისი, რა ბრალია? თუ არ იცით, რაღათ ამბობთ ვითომ ქართულს ენაში ამა და ამ აზრის გამოსათქმელად სიტყვა, თუ ფორმა არ მოიპოვებაო? ჯერ ისწავლეთ, ჯერ შეიტყეთ—რა გვქონია და რა არა, რა დაგვკარგვია და რა შეგვრჩენია, მერე დაიწყეთ სჯა-ბაასი ახალსა და ძველს ენაზედ. ეხლა კი მარცხენა ხელით ანგრევთ მას, რასაც აგებთ მარჯვენით: თუ ენა გაგლახაკებულა, ამ სიგლახაკის შერჩენა და დამკვიდრება ლიტერატურის განვითარებას და აყვავებას კი არ მოასწავებს, არამედ მის უმეტესს დაცემას და თვით გაქარწყლებასაც; თუ ენა არ იქმნება, ხომ აღარც ლიტერატურა იქმნება. ისტორია და ცხოვრება ისე უბედურად მომართულან, რომ ხალხს, ესე იგი დაბალ ხალხს არა რგებია განათლება, მის ჭკუა-გონებას არ უმოქმედნია იმ წრის გარეთ, რომელიც შეიცავს მის შინაობას, და თუ ამიტომაც მის ხელთ არის მხოლოდ

ღარიბი ლექსიკონი, — ეს იმისთანა უბედურებაა, რომლის გაქარწყლება უნდა ჰქონდეს ვალათ მთელს ქართულს ლიტერატურას და განათლებულს საზოგადოებას, და არა მისი უმეტესი გამდიდრება. შეატყობინეთ ხალხს თქვენი აზრი და თან სიტყვაც მიეცით ამ აზრის გამოსათქმელად. თუ არა და, რაც ყოველი ნაღვაწი თქვენის ჭკუისა ჩასტიეთ იმ მცირე და ღარიბ ლექსიკონში, რომელიც საშინაო სახმარებლათ არის შერჩენილი, აზრიც დაგიჩლუნგდებათ და იმ საქმესაც უღალატებთ, რომლის წინ-წადგომა, — მჯერა, — გულში გიღვივით, ე. ი. უღალატებთ ლიტერატურის განვითარებას. როგორადაც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ სამდურავი „ივერიის“ ენის შესახებ, მის გამო ატეხილი ლაპარაკი ძველსა და ახალს ენაზედ — ან ბავშობაა, ან ვერაფერი ჭკუის ნიშანია, სწორე მოგახსენოთ.

სამდურავი, ვითომ „ივერიაში“ ძველი და დამპალი აზრებიაო, იმ გვარათვე მომართული, როგორადაც ზემოხსენებული საყვედური ენის თაობაზედ: აბა თუ ერთი მაგალითი ეთქვათ — აი ესა და ეს აზრი დაძველებულიაო! შენც არ მომიკვდე რა საჭიროა? თქვას კი კაცმა — დაობებული და დამპალი აზრიაო, და მეტი რაღა უნდა? მე კი კი დაფიქრდება, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ძველი და ახალი? იგი ყოველთვის ავსა და კარგს ნიშნავს თუ არა? რა პასუხია. ამისთანა ძნელ საქმეს რად იკისრებდნენ? ხელი მოჰკიდეს უფრო ადვილ საქმეს: ყური ათხოვეს უცხო ხალხის და ქვეყნის ლიტერატურას, გაიგონეს რას ეძახიან იქ ძველსა და ახალს, და — ჰა! — მოჰყვნენ — ღათაიობას. სტუმრად წვეულმა, გარეშედ გამოზრდილმა და არა თვით შინაობაში აღმოცენილმა ლიტერატურამ ასე იცის. რა და ვისთვის არის ძველი? რა და ვისთვის არის ახალი? ამაზედ არა ისმის რა ჩვენ გამკიცხველთა ყიყინაში. ჩემ თვალში სიახლე თუ სიძველე საზოგადოდ ვერაფერი მაჩვენებელია მოღვაწეობის მიმართულებისა, ვერაფერი თამასუქია კარგისა თუ ავისა. არის იმისთანა „ძველი“, რომლის ერთი ბეწვი ათას წილად მირჩევნია, ვიდრე მთელი „ახალი“; არის კიდევ „ახალი“, რომელიც მოასწავებს სიბერეტეს, ჭკუა-გონების

გარყვნილობას, მეტს კი არაფერს. არის აზრი ძველი, რომელიც გამოუსადეგია ან იმიტომ რომ დიდი ხანია ხორც შესხმულია და გამჯდარი თვითონ ცხოვრებაში; ან იმიტომ, რომ დიდი ხანია მიგდებულია შინაგან უვარგისობისა გამო და მის ბადლად წარმომდგარა სხვა ახალი, ე. ი. უკეთესი. ამ ორ მნიშვნელობათა შორის რომელს ერთს ართავენ იმ „ძველს", რომელსაც გვწამებენ ჩვენ ჩვენი გამკიცხველნი? ღმერთმა უწყის არის კიდევ „ახალი", რომელიც მართლა კეთილია და სარგოიანი ან იმიტომ, რომ თვითონ ცხოვრებაში არამც თუ არ არის გამჯდარი, არამედ ერთი კუთხეც არ დაუპყრია; ან იმიტომ, რომ ეს „ახალი" აზრი წარმომდგარა იმ „ძველის" ნაცვლად, რომელიც იყო უვარგისი და ცრუ. რომელს ერთს ამბობენ ჩვენი კრიტიკოსები? — ღმერთმა უწყის. ერთის სიტყვით, არ ვიცით მათ პირში „ახალი" და „ძველი" ხმარებულია ცხოვრების მოვლენათა თაობაზედ თუ თვითონ აზრთა და იდეათა. ის კი ვიცით, რომ ნიშნად ავისა და კარგისა, საზოგადო ასპარეზზედ მოქმედობისა და მოღვაწეობის დაფასებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საწყაული: თუ რისა მომტანია ეს მოქმედობა, ბოროტისა თუ კეთილისა; რასა უქადის ცხოვრებას, წარმატებას და განვითარებას თუ დაკლებას და უკუქცევას. ვიმეორებთ „ახალი" თუ „ძველი" ვერაფერი თამასუქია კარგისა და ავისა. ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა (რასაკვირველია ძველთაგან ძველი) არამც თუ აზრია, იდეათა შესახებ, არამედ შეეხება თვითონ ცხოვრების სხვა და სხვა დაწესებულებათაც. არის მრავალი წესი, საზოგადოებრივი დაწყობილება, რომელიც თუმცა ძველია და მკვდრებშია ჩარიცხული, მაგრამ რომელთა აღდგენას ქადაგობენ ახლად მოსულნი მეცნიერნი, საყოველთაო სიკეთის მიმდევარნი. ამის დაგვარად არსებობს მთელი ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც მტკიცედ ქადაგობს ძველისა და მკვდრის აღდგენას. ამ მიმართულების მიმდევართა აზრით არის მრავალი ჩამქრალი და მოკლული, რომელიც ათას წილად მაღლა დგას, ვიდრე მრავალი აწ მომქმედი ახალი და ცოცხალი. ამ გარემოების დაწვრილებით და თვით მაგალითით დამტკიცება სხვა დროსთვის გადავდვათ.

ეხლა კი ვიკმარებ იმ აზრის აღიარებას, რომ ცოცხალი თუ მკვდარი, ახალი თუ ძველი, მარტო, თავისით, — არის მხოლოდ ლიტონი სიტყვა და არაფერს არა ნიშნავს. ესეც, რასაკვირველია, ძველი და არა ჩემს მიერ მოგონილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა ვქნა რომ ბევრს ესეც არ გაუგონია, ან თუ გაუგონია — ერთ ყურში შეჰპარვია და მეორიდამ გამოჰპარვია.

ნ. დავითიშვილი.

# შინაური მიმოხილვა.

აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ—ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა—ჩვენი სხვერპლი და ძმათა შემოერთება—ჩვენის განათლების საქმე—ჩვენის ხალხის სწავლების საქმე—რა არის შკოლა—ქართული საზოგადოება სწავლის გავრცელებისათვის—შარშანდელი მასწავლებელთა კრება—„Тифлисскій Вѣстник"-ის და „დროების" ღვაწლი—უფ. სტრელეცკი და ხითაროვი—უფ. იანოვსკი.—თავად-აზნაურთა შკოლა—სამღვდელოების განკარგების ნიშნები—სამღვდელოთა წოდების ქალთა განათლების საქმე—ყოვლად უსამღვდელოესი იონნიკე—ჩვენის სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა.

---

ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელ-შეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაწიწს და რა კი წვერი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი? ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოვლის მხრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნათ შეიქმნა, რომელშიაც ბერლინის ხელ-შეკრულობის შემდეგ გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზედ გაჩერებულმა, აქედ, აზიაში გადმოიწია და რუსეთი და ინგლისი—ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის,—აქ აზიაში დაეჯახებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, რომ მაგ საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება ეს კვანძი,—ხმლით გაჰკვეთენ თუ საცივილიზაციო ღონის-ძიებითა,—ამისი გადაწყვეტილად თქმა ძნელია წინადვე. ამას კი ვიტყვით, რომ პირველი ნიშნები ინგლისის მხრით საცივილიზაციო ღონის-

მიწის ხმარებას მოასწავებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ მე ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა,—აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს. და რადგანაც ერთის ჭეშმარიტი და უცოდველი სარგებლობა მარტო იმაზედ დამყარებული, რომ მეორეც კარგად იყოს, ამიტომაც ინგლისი, რომლის საქმენი ხალხის თვით-მოქმედებით იმართებიან, ეცდება თავისი ჭეშმარიტი სარგებლობა ჭეშმარიტს საძირკველზედ ამოიყვანოს, ესე იგი, ეცდება ძალა-უნებურად იმათს კარგა-მყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება. ჩვენ აქ საპოლიტიკო სიგელს არა ვწერთ და ამიტომაც ჩვენ, ესე გაკვრით ვლაპარაკობთ ამ საგანზედა და ჩვენს მკითხველს ჩვენს ამონაფიქრებს ვაუწყებთ სმენისა და გაგონებისათვის. ჩვენ აქ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატიანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თვითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის ძალ-ხლი დაღ-კრძალა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცვლილების მიზეზათ იქნება კიდეც.

ბერლინის ხელ-შეკრულობამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია; ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა,“ ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან, ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ. წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანთხია ქართველობისა, ბევრმა კაც-კაცმა ჩვენმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი, ბევრმა ჩვენმა აცდრობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარვიდა მეთქი ამ წუთის-

სოფლიდამ თვის-ტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა. საწყალნო, უგრძე გულ-გმირად თავ-დადებულნო ყმაწვილ-კაცნო! თქვენ საცა ჭირი იყო, ჩარეულნი იყავით ნებით თუ უნებლიედ და საცა ლხინი იყო — უკანასკნელნი!... სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც ნებით თუ უნებლიედ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟ-კაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის და რომელთაც გიცნობთ ჯვარი და უბრალო ჯვარის-კაცნი და სხვა არავინ ზედაც-არ გიყურებთ ჩვენში? თქვენც — თქვენთა თავ-დადებულთ ძმათაებრ ჭირში ჩარეულნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენ თავებს იხოცდით, თოფს და ზარბაზანს გულ-და-გულ ეგებით და თქვენი სახელი და დიდება სხვამ მიისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა სხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენს ძალ-ღონე და ვაჟ-კაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა. რასაკვირველია, ამისთანა ბოლო იქნება გულშიაც არა ჰქონდათ მათ, ვინც თავი დასდო ამ ომში. მაგრამ ჩვენ, როგორც ლიტონმა მემატიანემ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდეც ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!... ნუ თუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვიბოძებს!...

ახლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვეძმეთ, ლხინში მივეშველებით — ჩვენს ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის ნიშნადაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგეთ, ქართველობავ! რა გვჭირს, რა გვაქვს მაგ კავშირის გაბმასათვის? აკაკი წერეთელმა ჰსთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ ძმის-თვის ერთი უებარი საჩუქარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერ-

თობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი, ჭირთა ამხდელი სახსარი, კე-თილ-დღეობის მომცემი ღონის-ძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯარითა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფა-რია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფე-ხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავედით, ჩვენი ახლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს.

ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თვი-თონ სამოთხეც კი პირველმა კაცთა ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რო-მელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისთვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ერის ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთ-ნაირის გუ-ლის-ტკივილითა და ეუბნება: «მოდით, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმე-ნო და მე განგისვენო თქვენ»; ეგ ის ხეა, რომელ ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოქროს აკვანი ჩვენის ერთობისა. საქმე იმაშია, ახლა რა გზით და როგორ?

ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო-სასწავლებელთათვის ზრუნავდა მხოლოდ და მარტო მათის, ასე თუ ისე, გავრცელებას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელნი მარტო შეძლებულ-თათვის არის მისაწვდომი, ესე იგი, თავად-აზნაურობისათვის და მოქა-ლაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს აქამომდე მარტო წოდებათა (сословный) განათლების მზრუნველობად მოსჩანდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდ-ძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო მარტო ამ უკა-ნასკნელ დრომდე. ყველამ, თუ არა ჰსცნა, ცნობილად მაინც აღიარა, რომ ესეთი განსაკუთრებული მზრუნველობა მარტო ერთის წოდებისათვის დიდი შეცდომაა წინაშე საერთოდ ხალხის განათლების მოთხოვნილე-ბისა; რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, სადაც უდიდესი ნაწი-

ლი ხალხისა კარ-დახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა. ამიტომაც, დიდი თუ პატარა, ყველა მოიმართა ამ ბოლოს დროს იმაზედ, რომ სახალხო შკოლები დაიმართოს. აქ, ჩვენდა სანუგეშოთ, იმას შევნიშნავთ, რომ სწავლის გავრცელებისა და სახსრების მოპოვებისათვის თვითონ ჩვენმა დაბალმა ხალხმა დიდი თვით-მოქმედება გამოიჩინა და არც უმაღლესი საზოგადოება დარჩა უგულ-მოდგინოთ, როგორც ქვევით ვნახავთ. ამ სახით თაოსნობა სწავლის გავრცელებისათვის ხალხში თვითონ ხალხმა იტვირთა. ამაში ჩვენ ვხედავთ მომავლისათვის ბევრს სანუგეშოს. დიდი საქმეა, როცა თვითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს. დღე-და-დღე გვესმის, რომ ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ტფილისის გუბერნიაში, იღვწის შკოლების დამართვისათვის, ყოველ დღე ისმის, რომ აქ და აქ გამართეს შკოლაო; დღე-და-დღე ეგ თვით-მოქმედება მატულობს და იმატებს კიდეც თუ ხელს არ შეუშლიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ახლად შემოერთებულს საქართველოზედ. იქ არა მგონია პირველ ხანებში თვითონ იქაურთა მცხოვრებთა შორის მაგ თვით-მოქმედებამ გაიღვიძოს და ან ჩვენმა საკუთარმა გულ-მოდგინებამ ძალიან ფრთა გაშალოს. რადგანაც იქ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, არ იქმნება რომ ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად არ შეაფერხოს შკოლების გავრცელების საქმე. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ვითომ მაჰმადიანობა თვითონ თავისით ეწინააღმდეგებოდეს განათლების მიღებას და გავრცელებას. ჩვენ იმისა თქმა გვინდა, რომ რადგანაც დღეს სწავლის ხელთ-მძღვანელი ჩვენშიაც და იქაც მარტო მთავრობაა, მერე რუსისა, ესე იგი, იმ ხალხისა, რომელიც სარწმუნოებით და ენით მათ უნდა ეუცხოებოდეს უსათუოდ, ამის გამო რუსთაგან ყოველ-გვარს ცდას განათლებისათვის სხვა თვალით დაუწყებენ ყურებას შესაძლოა იფიქრონ (განა ცოტა უხეირო და უმეცარი ტაშკენტელი პედაგოგები გვყავს, რომ არ აფიქრებინონ) შესაძლოა მეთქი აფიქრებინონ, რომ შკოლების მეოხებით ეცდებიან ჩვენი ზნეობითი და გონებითი მხედველობა შესცვალონ ჩვენის რჯულის არსების

შერყევისათვისაო. ღმერთმა გვიხსნას ჩვენც და ისინიც იმისთანა შკოლებისაგან, რომელთაც განათლებისა და სწავლის მოყვანის გარდა, სხვას რასმეს დაუნიშვნენ მისაწევად და ამ აგვარს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვა-და-სხვა ბიწიერ მოსაზრებებით. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლებიო! შორს ჩვენგან იმისთანა ტაშკენტელნი, რომელნიც არცხვენენ თავის ხალხს სხვის თვალში და საცა მოქმედობენ, მარტო მტერს უჩენენ თავის ქვეყანას და თავის ერსა.

ამ სახით, ეს ორი სხვა და სხვა გარემოება ჩვენის ქართველობისა ორ გვარს სახსარსაც ითხოვს საქმის წარმატებისათვის. ჩვენში, საცა თვით-მოქმედება ხალხისა გაღვიძებულია განათლების გავრცელებისათვის, მთავრობამ, როგორც განათლების ხელთ-მძღვანელმა, ხელი უნდა შეუწყოს ამ თვით-მოქმედებას, წაახალისოს თაოსნობა ხალხისა, ფულით თუ სხვა რამე საჭირო ღონისძიებით დაუღალავად და ხანდაუზმელად მიეშველოს და ამასთან უფრო ფართო და ადვილი გზა მისცეს ხალხის ხალისს და თვით მოქმედებას შკოლების დაარსებისათვის, ესე იგი, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერით, არ დააგვიანოს ხოლმე ნების-რთვა. სადაც კი თვით-მოქმედება არ არის ჯერ გაღვიძებული, იქ კი ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამ თვით-მოქმედების გაღვიძებისათვის. იქ თვითონ მთავრობამ თავისის ხარჯით, თავისის თაოსნობით უნდა დამართოს შკოლები და მერე იმისთანა სიფთხილით, იმისთანა თვალ გაფაციცებით, იმისთანა წინ-მხედველობით, რომ არა მიზეზი არ მისცეს კაცს აფიქრებინოს რომ განათლების და სწავლის მეტი აქ შკოლას სხვა რამე წადილიცა აქვს. ამ მძიმე ტვირთსა შეუმსუბუქებს მთავრობას მარტოდ და მარტოდ ქართველი კაცი, ქართულის ენის მცოდნე. ამისათვის საჭიროა სახალხო შკოლების დირექტორებათ მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი, საჭიროა საყოველთაოდ ჩვენთვის და ახლად შემოერთებულ საქართველოსათვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი.

ამასთან ეს არ უნდა დაივიწყონ, რომ პირველ დაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: მოზარდს თანაბად მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის ავსებასთანაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია. აი ამაშია სული და გული პირველ-დაწყებითის შკოლისა. ამ გზაზედ მას შეუძლიანო, ამბობს ერთი მწერალი, — ყოველ-მხრივი განვითარება მიჰსცეს მოზარდსაო, შეუძლიან გაუმაგროს, გაუღონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალნი მოზარდსაო. თუ ეს ჩემი ნათქვამი მეტად აზვიადებს პირველ-დაწყებითის შკოლის მნიშვნელობასაო და მეტის-მეტად ეჩვენება ვისმეო, მე იმათ აი რასა ვკითხავო: იცით თუ არაო რა არის ყრმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადი ზნეობით და გონებით განვითარებულ კაცის ხელში იყოს? იცით რა არის, რომ რამდენიმე წელიწადს გაუწყვეტლად ყრმა ემორჩილებოდეს გონიერს დისციპლინას შკოლისას, სადაც გონივრად დადგენილს წესსა და რიგსა წარბ-შეუხრელად და გულის ტკივილითაც მუდამ უნდა ამოქმედებდეს შკოლის ოსტატიო? ცხადი არ არის აქედამაო, რომ მაშ რომ ყრმა შკოლაშია, მით რომ მოზარდი ნერგი მუდამ თვალ ქვეშ ჰყავს გულ-შემატკივარს, განვითარებულს ზნეობიანს ოსტატს და მის წინ როგორც კოკორი იშლება სულიერად და ხორციელად დღე-და-დღე იმართება, — ნუ თუ ცხადი არ არისო, რომ ამით ყრმას ენერგება გულში პატივის-ცემა სხვისა და საკუთარის თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანობის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვის-ტომისა, ქვეყანისა. — ამ რიგად პირველ დაწყებითს შკოლაშიაც კი შესაძლოა იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაი კაცობისას, ადამიანობისას. ამ წრის გარედ შკოლას საერთოდ და სახალხოს საკუთრივ საქმე არა აქვს და თუ ვინმე ზახაროვისა და კუშმინსკისთანა შკოლას ზურგზედ სხვას რასმეს აჰკიდებს, იმას არა-

ჰსწამს შკოლის უწმინდესი მადლი, ის უარ-ჰყოფს მის სანატრელს მნიშვნელობას, ის წმინდა საგანს — შკოლას სახედრათა ხდის და ზედ ჰკიდებს თავის დახშულის გულის ღვარძლსა და ნაგავსა; ის უარ-ჰყოფს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს ნებას, გამოცხადებულს 1864 წ. რესკრიპტში. *)

მადლობა ღმერთს ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწვების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა. შარშანდელმა კრებამ სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ეს ცხადათ დაგვიმტკიცა. ჩვენმა ქართულმა ენამ, აქამომდე შკოლებიდამ გამოდევნილმა **), ისევ ფეხი შეჰსდგა ჩვენს შკოლებში. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ეხლანდელს რედაქციას „დროებისას" და ნამეტნავად „Тифлисскій Вѣстникъ"-ს. სიმართლე გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ეგ ღვაწლი მარტო მაგ რედაქციამ დაჰსდო ჩვენის განათლების საქმეს და მასთან ერთად „Тифлисскій вѣстникъ"-მა, რომელმაც ამ საგანზედ თვალსაჩინო წერილები დაჰბეჭდა. ეგ პატარა გაზეთი „დროება" ეხლანდელ ნაღმის მიმტანს პატარა გემს მაგონებს, რომელიც ეხლახან მოიგონეს და რომელმაც იმდენი გაი-ვაგლახი დააყარა ზორბა ხომალდეს წასულს ომებში. ჩვენა გვგონია რომ იმ პატარა გემების სამსახურსა ადვილად გაუწევს ჩვენს ქვეყანას ჩვენი პატარა „დროება", თუ რომ იგი არ მიიკარებს იმ სენს, რომელსაც ჰქვიან სხარტე სახელი — კონების მრუშობა. ღმერთმა დაიხსნას ამ ჭირისაგან ის ტანად

---

*) მესამე მუხლი ამ რესკრიპტისა ამბობს: „Не позволяя ни себѣ, ни кому бы то нибыло превращать разсадники наукъ для достиженія политическихъ цѣлей, учебныя начальства должны имѣть въ виду одно лишь безкорыстное служеніе просвѣщенію".

**) ჩვენ აქამდის არ გვესმის როგორ და რის მალით მოხდა ჩვენში ქართულის ენის გამოდევნა შკოლებიდამ. არ გვესმის იმიტომ რომ ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, ამ საგანზედ აი რას ბძანებს: „Въ школахъ общихъ, особенно низшихъ преподаваніе должно быть производимо на природномъ языкѣ большинства, населенія". გვიკვირს ჩვენ: ზოგიერთებმა როგორ შეჰსმლეს უმაღლესის ნების შეცვლა ეგრე დაუსჯელად.

მოძღრით მოძმე ჩვენი. ესეა თუ არა, „დროებამ“ და „Тифлисскій Вѣстникъ“-მა კი ხალში მიიტანეს და აღუთქეს ის უგვანი და ზორბა ცემა, რომელსაც მწართველად უხდნენ ტაშკენტელნი პედაგოგები.............. ამიერკავკასიის სოფლის შკოლის მასწავლებელთა კრებამ ჯერ-ჯერო უწინდელი მიმართულებს ჩვენის შკოლების და აღიარა, რომ ქართული ენა უნდა დაიდვას ქვა-კუთხედათ ჩვენის განათლებისა: იმ კრებამ კანონათ დაჰსდვა, რომ მთელის სწავლის მსვლელობა სასოფლო შკოლებში ქართულს ენაზედ უნდა იქმნეს და დაიწყოს სრული კურსი პირველ დაწყებითის სწავლისა. საღმრთო ისტორია, მოკლე კატიხიზმო, არითმეტიკა, გეოგრაფია და სხვ. ყველა ეს საგნები პირველ წლიდამ დაწყებული ვიდრე მეოთხე წლის გასვლამდე, ესე იგი, კურსის შესრულებამდე უნდა ისწავლებოდეს ქართულს ენაზედ. რუსულს ენასაც კი უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ როგორც ცალკე საგანსა და არა სახსარს, ანუ საშუალებას სწავლისასა და ამიტომაც დაადგინეს, რომ მისი სწავლება უნდა იწყებოდეს მხოლოდ მესამე წლიდამ: ესეთი გადაწყვეტილება არის ჭეშმარიტი პედაგოგიური, სრულად ეთანხმება მცოდნე და გამოცდილ პედაგოგების აზრსა და მხედველობას ამ საგანზედ და აღუთქვამს ჩვენს სახალხო შკოლას სანატრელს და სანუგეშო მომავალსა. ესეთი გადაწყვეტილება მტკიცე ნიადაგზედაც დგას, რადგანაც, ერთის მხრით, ცხოვრების მძლავრს ნიადაგზე და მეცნიერებისაგან აღიარებულს ჭეშმარიტებაზედ არის დამყარებული და მეორეს მხრით — აღიარებული აქაურის უმაღლესის მთავრობის მხრითაც. — თუმცა ამ გადაწყვეტილებას ზედ არ დაერთვა გონიერი და განვითარებული პროგრამმები, მაგრამ ეს იმისთანა ნაკლია, რომლის მოსპობაც ადვილად შეიძლება, ოღონდ ჭეშმარიტი სურვილი იყოს და ჭეშმარიტი გულმტკივნეულობა ხალხის განათლებისადმი მათ შორის, ვინც პირ-და-პირ უდგანან განათლების საქმეს. საზოგადოდ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერიდგან ხალხის განათლების საქმეს ექმნება უფრო ნაყოფიერი მსვლელობა.

ამ იმედს გვიძლიერებს და ფერთებს ასხამს, ის გარემოება, რომ პირნი, რომელთაც ხელშია ჩვენის სოფლის შკოლების მართვა, როგიან გაცებათ აღმოჩნდნენ. ტფილისის გუბერნიის შკოლების დირექტორმა უფ. სტრელეცკიმ თავის მოქმედებით განაქარვა ის ეჭვი, რომელიც მის შესახებ გამოთქმული იყო ჩვენს მწერლობაში. ეს ეჭვი იმაში მდგომარეობდა, რომ ეშინოდათ, ვაი თუ უფ. სტრელეცკიმ ჩვენს სახალხო შკოლებშიაც ის სისტემა შემოიტანოსო, რომელსაც თვითონ მან გაადგმევინა ფესვები ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შკოლებში, სადამაც ქართული ენა გამოდევნა და მარტო რუსული ენა მიიღო სწავლის გავრცელების იარაღათ და ხაცა იმდენი ხარჯი ფუჭად ჩაატარა და სადაც დღესაც ფუჭად მიდის. მაგრამ უფ. სტრელეცკიმ ადგილის შეცვლასთან აზრი და მიმართულებაც შეიცვალა, უწინდელს უკუღმართს გზას ზურგი თამამად შეაქცია და სწორე გზაზედ გამოვიდა თავის სასახელოდ შკოლის საქმის იმედათ. მასწავლებელთ კრების დროს იგი ისე პატიოსნურად და გულ-წრფელად იქცეოდა, ისე შორს იყო ქვეშ-ქვეშობაზედ და ორგულობაზედ, რომ დაიმსახურა თანაგრძნობა და პატივის-ცემა საზოგადოებისაგან. ამ ამბავს სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობაცა აქვს ერთის მხრით. უგვანს აზრს ისე არაფერი ჰსჭრის ფესვებს, ისე არაფერი არ ამხობს პირ-ქვე, როგორც უარ-ყოფა იმ პირის მხრით, რომელიც სხვაზედ უფრო ნიჭიერი და სხვაზედ უფრო გულ-მოდგინე მოღვაწე იყო იმ უგვანის აზრისათვის. ესრედ წოდებულს ზახაროვის სისტემას არა ჰყოლია ისეთი ერთგული და მხნეთ-მოპირნახულე მოსამსახური, როგორც იყო უფ. სტრელეცკი. ეს პირველი მედროშე ზახაროვის სისტემისა გადუდგა ზახაროვს და ამით დაამტკიცა, რომ იგი სისტემა პირ-ქვე დაამხო იმათაც (თუ გულში არა), თვალში ხომ მაინც, რომელთაც იგი დაჰბადეს თავის სამარცხვინოთ საქმისათვის სულ ერთია: რამ ანუ ვინ აუხილა თვალი უფ. სტრელეცკის იმ მძიმე პედაგოგიურს შეცდომილებაზედ, რომელმაც იმდენი ვნება მოუტანა და ეხლაც მოაქვს ქრისტიანობის აღმადგენელ შკო-

ლებისათვის უფ. ლიხაჩოვის ჯიუტობამ. რომელნიც ფიქრობენ, რომ უფ. სტრელეცკიმ მხოლოდ დროებით ძალა-უნებურად დაანება თავი ადრინდელს თავის მიმართულებას და ხვალ-ზეგ კიდევ ეცდებაო ჩვენს სახალხო შკოლებში ცოტ-ცოტად, ნელ-ნელა შეაპაროს და ფეხი მოაკიდებინოსო დროებით მიტოვებულ სისტემასაო, იმათ ჩვენ ვეტყვით ჯერ მას, რომ ამ იჭვნეულობას და შიშს არა აქვს რაიმე ხელის-მოსაკიდებელი საფუძველი და მერე მას, რომ ეხლანდელი დაწესებულება შკოლის შესახებ არის დამყარებული იმისთანა საძირ-კველზედ, რომელსაც ვერ შეჰსძრავს ცალკე პირი, თუნდ უფრო ფხიანი ადგილი ეჭიროს. წინააღმდეგ ამისა ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უფ. სტრელეცკი შემდგომშიაც მტკიცედ ივლის იმ თავ-მოსა-წონებელ გზაზედ, რომელსაც იგი ეგრედ აშკარად დაადგა მასწავლე-ბელთა კრების დროსა, და რომელსაც ითხოვს უპირველესი საჭიროება ხალხის განათლებისა; ეცდება არამც თუ დაავიწყებინოს ხალხს თავისი საკუთარი ღვიძლი ენა, არამედ თვითონაც შეისწავლოს იგი ენა და მით შეიქმნას უფრო გამჭრიახ მოჭირნახულეთ ხალხის განათლების ასპარეზზედა,

დირექტორის შემდეგ სხვაზედ მომეტებული გავლენა აქვს მის თანა-შემწეს. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს ადგილი უჭირავს იმისთანა პირსა, რომელიც თუმცა ჩამომავლობით ქართველი არ არის, მაგრამ დაბადებულა, გაზრდილა ქართველთა შორის და ქართული ენა ისე აქვს შეთვისებული როგორც ღვიძლი ენა. ქართულს ლიტერატურაში მას მიუღია მონაწილეობა არა ერთხელ, უწერია პროზა, ლექსი და თვითონ ქართველ ხალხის ჩვეულება, თვისება, ზნე, ყოფა-ცხოვრება და ავ-კარგიანობა კარგად იცის. ამასთან მას,—როგორც დაგვარწმუ-ნეს—აქვს ერთი მეტად საჭირო და იშვიათი თვისება: ხალხს ძმუ-რად, კაცურად ექცევა თურმე და ხალხთან მიქცევ-მოქცევის ხერხი კარგად იცისო. დიდი საქმეა ეს თვისება იმისთანა კაცში, რომელიც დღე მუდამ ხალხში უნდა ტრიალებდეს. ამისთანა კაცს და ხალხს ერთმანეთთან საქმის დაჭერა ძალიან ეადვილებათ, ეხალისებათ და ამ-

სოადვილეს და ხალხს რამოდენა სიკეთე მოჰსდევს ყველგან და განათლების საქმეში უფრო, ვინ მოჰსთვლის. ჩვენ ვისურვებთ უფ. ხითაროვის შესახებ მხოლოდ ერთსა, რომ უკლოს თავის სიდინჯესა და უფრო ცოცხლად და მარდად (თუ ეს რამდენადმე მასზე დამოკიდებულია) მოეკიდოს საქმესა. რაც შეეხება უფ. ხითაროვის მხრით პედაგოგიის შეთვისებასა, გეოგრაფიის პროგრამმა, რომელიც ყველაფრით ყველა სხვა პროგრამმებზედ გაცილებით მაღლა დგას, მისი შედგენილი ყოფილა და მაშასადამე ამ მხრითაც იგი უკან არ ყოფილა ჩამორჩომილი.

კარგს იმედებს გვაძლევენ პირ-და-პირნი მოსამსახურენიც ხალხის განათლებისანი. სოფლის შკოლის ოსტატები, რომელთა უმეტესი ნაწილი ამ მოკლე ხანში გამოვიდა ამ მძიმე საქმის ასპარეზზედ, თითქმის ყველანი ახალ-გაზდანი არიან, ცოტად თუ ბევრად ნიჭიერნი და სავსენი კეთილის განზრახვითა და მიდრეკილებითა. მართალია, მათს შორის სპეციალურად მომზადებულნი ცოტანი არიან, მაგრამ მაინც სრული იმედი არის, რომ იგინი საკუთარ მეცადინეობით და გამოცდილებით დახელოვნდებიან სწავლების ოსტატობაში. აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ იგინი თავიანთ კეთილ-მიდრეკილებას განახორციელებენ ერთგულის მხნეობით, დაუღალავ მოქმედებით და გულ-წრფელ სამსახურით. ჩვენ არ ვიცით სხვა ისეთი სამსახური, რომელიც თავისის მაღალის მნიშვნელობით შეედრებოდეს სოფლის შკოლის მასწავლებლობასა. სოფლის შკოლა ის ადგილია, საცა პირველ თვალი უნდა აახილოს გონებამ მთელის მოზარდის თაობისამ, საცა პირველ ფეხი უნდა აიდგას კაცის სულმა და გულმა, საცა პირველ უნდა ჩაინერგოს თესლი ზნეობისა, სიკეთისა, კაი-კაცობისა, ადამიანობისა. მან უნდა გაუმაგროს მოზარდსა სული და ხორცი, მან უნდა მოამზადოს მოზარდი იმ იარაღის სახმარებლად, რომელიც ბუნების და კაცთა უსამართლოების წინ საბრძოლველად საჭიროა; მან უნდა მეორედ შეჰქმნას კაცი, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, მან ბუნებისაგან შექმნილი უღონო ორ-ფეხი უნდა ისე გამართოს სულით და ხორცით, რომ ძლიერ

და მორჩუმულ არსებათ გადააქციოს. ამიტომ სინდისიანი, ბეჯითი, გონიერი ზნეობიანი ოსტატი ღირსია დიდის პატივის-ცემისა ყოველის კაცისაგან, რომელიც გონებით გახსნილი და მიხვედრილია. ხომ ასეთი მაღალი, მძიმე და ძნელი დანიშნულობა აქვს სოფლის მასწავლებელს, ასეთი უაღრესი საქმე აქვთ ჩაბარებული, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათს დიდს მოღვაწეობას მათი ჯიბე-ცარიელობა არ შეჰფერის. აი აქ იწყება ის მოვალეობა მთავრობისა, რომელიც ჩვენ წინად მოვიხსენიეთ. მთავრობამ უნდა ფული მიაშველოს იქ, სადაც ჯამაგირი, სოფლის ულონობის გამო, ცოტა ეძლევა მასწავლებელს. აქ ძუნწობა და ძვირობა უადგილო. აქ „რასაც გავცემთ ჩვენია, რაც არა დაკარგულია."

ჩვენი ჟურნალი ყოველთვის განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევს სოფლის შკოლების მასწავლებელთა და მათს მოღვაწეობას და ეცდება ღირსეულად მომქმედს მოუპოვოს მხურვალე თანაგრძნობა საზოგადოების მიერ. წინააღმდეგ ამისა, თუ სასოფლო მასწავლებელთ შუა ამოჩნდებიან, ჩვენდა სამწუხაროდ, იმისთანა დაბალის სულის პატრონნი, რომელთაც გლეხის ოფლით მონაგარ ფულების ტყუილ-უბრალოდ ჭამა არ შერცხვებათ, ორ-გულად, ცუღლუტად, აბუჩალაქად მოეკიდებიან თავიანთ წმიდა საქმესა, ჩვენ დაუნდობელათ ვამხელთ ქვეყნის წინაშე. მაგრამ ღმერთმა გვიხსნას იმ მიზეზთაგან, რომელნიც ამისთანა უსიამოვნო, ამისთანა სამწუხარო საქმეზედ იძულებულ გაგვხდიან. იმედია, რომ მუქთა ჯამაგირის მჭამელნი ან სულ არ იქმნებიან, ან არა და ძალიან იშვიათად გამოერევიან სასოფლო შკოლის მასწავლებელთა შორის.

სხვა მხრითაც რომ შევხედოთ ამ ჩვენს საგანს კიდევ უფრო სანუგეშო ნიშნებს დავინახავთ. ყველა საზოგადო საქმე და ნამეტნავად საქმე განათლებისა მხოლოდ მაშინ წარიმართება ნაყოფიერად, როცა მას თანაუგრძნობს საზოგადოება, როცა მისდამი საზოგადოების გული გულ-წრფელად შეჰსტკივა. ჩვენდა სანუგეშოდ, ამ ბოლოს დროს ქართველთა საზოგადოებაში დაჰსტოვა უწინდელი გულ-გრილობა და დაუდევრობა და დღეს მზათ არის, შეძლებისამებრ, ერთ-გუ-

ლად და მხნეთ დაეხმაროს განათლების საქმეს. შარშან შესდგა საზოგადოება, რომელმანც თვალ-წინ გამოისახა ჩვენი საჭიროება და კისრად იდო წერა-კითხვის და განათლების გავრცელება ქართველებში. ამ საზოგადოებაში, რომელის წესდება ამ დღეებში უეჭველად დამტკიცდება, მიიღო მონაწილეობა ჩვენმა დიდ-კაცობამაცა და მრავალმა სხვამ. ამ საზოგადოებას აზრათა აქვს დიდი შემწეობა გაუწიოს და დაეხმაროს ხალხის განათლებასა მით, რომ დაჰბეჭდავს თავისის ხარჯით სწავლის ხელ-სამძღვანელთა წიგნთა, გამართავს სადაც საჭირო იქმნება სახალხო ბიბლიოტეკასა, ჯამაგირს მოუმატებს იმ სასოფლო მასწავლებელთა, რომელთაც სოფლები, შეუძლობლობის გამო, საკმარისს სახსარს არ აძლევენ, გამართავს თავისის ხარჯით შკოლებს, სადაც სოფელს სიღარიბე ნებას არ მისცემს იქონიოს საკუთარი შკოლა, მიაშველებს შკოლებს თავის ხარჯით საჭირო წიგნებს, საკლასსო ნივთეულობას და სხვას ამისთანას. ნივთიერობითის მნიშვნელობის გარდა, ამ საზოგადოებას სხვა ზნეობითი გავლენა უფრო მომეტებული იქნება. საზოგადოებას ეყოლება ამორჩეულნი პირნი, რომელნიც ყოველს წელს დაივლიან სოფლის შკოლებსა, თვალით დაინახვენ მათს ავ-კარგიანობას, შეიტყობენ მათს მდგომარეობასა და საჭიროებასა, გააძლიერებენ ხალხში და საზოგადოებაში თანაგრძნობას განათლებისადმი და ეცდებიან, რომ შკოლამ არ გადუხვიოს ჭეშმარიტ პედაგოგიურ გზიდამ და მტკიცედ აღასრულოს შკოლის ნამდვილი მოვალეობა. როგორც ვხედავთ, პროგრამმა ვრცელია და ნუგეშიანი.

სოფლებიდამ რომ ქალაქებზედ გადავიდეთ, აქ დაარსებულ სასწავლებლებში ჩვენ შევამჩნევთ, სხვათა შორის, ერთს მეტად სამწუხაროს და გულ-მოსაკლავ მოვლენასა. საქართველოსათვის დაარსებულნი სასწავლებელნი, საქართველოს ხარჯით გამართულნი და საქართველოს ხარჯით სულდგმულნი, სავსენი უნდა იყვნენ ქართველების შვილებით. მაგრამ საუბედუროთ ჩვენ სრულიად ამის წინააღმდეგსა ვხედავთ. აიღეთ რომელიც გნებავთ

სასწავლებელი ტფილისში, გინდ ვაჟებისა და გინდ ქალებისა, და გასინჯეთ სია მოწაფეთა. ამ სიიდგან ცხადად დაინახავთ, რომ შკოლებში სადაც ორმოცამდის მოწაფეა, მარტო ორი-სამი ქართველი მოიძებნება. საქმე იქამდის მისულა, რომ ცხრა წლის განმავლობაში ტფილისის საქალებო გიმნაზიაში შეუსრულებია კურსი მხოლოდ ცხრა ქალს ქართველისას, როდესაც რომ საზოგადო რიცხვი კურს შესრულებულთა ამავე დროს ადის ორასამდის... ამ გვარად ქართველთ შვილები რჩებიან სწავლის გარეთ, მაშინ, როდესაც სხვა ტომთა ახალ-გაზდობა დღე და დღე მატულობს... სწავლა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ძალა და იარაღია. როგორც უღონო და უიარაღო ლაშქრობის დროს ხდება მსხვერპლად ძლიერისა და დაიარაღებულისა, ისე უსწავლელმა უნდა დაუტოვოს ცხოვრებაში თავისი ადგილი, გზა დაუთმოს მსწავლულსა, ჩამოუდგეს უკან და გახდეს მისი შემაცქერალი. პირველი ბატონია, მეორე ყურ-მოჭრილი ყმა. ეს გონებითი ბატონყმობა, რომელსაც სწავლა და უსწავლელობა აწესებს ხოლმე ადამიანთ შორის, ბევრად უფრო ცუდია იმ ბატონ-ყმობაზედ, რომელიც ჩვენში უკვე მოისპო. ამას ვერ შეიპოვებთ და ვერ მოსპობთ ვერც კანონით და ვერც რაიმე განკარგულებით. ამიტომ ყოველი ხალხი სწავლას, მოკლებული, და იმ ხალხის თვით-არსებობა, ყოფა, სიცოცხლე ყოველთვის განსაცდელშია ნამეტნავად მაშინ, როცა სხვა უფრო განათლებულს ტომს შეხვდება ხოლმე ისტორიის გზაზედ. ამისთანა ხალხი მიუცილებლად ჩავარდება ხოლმე სხვის ხელში და შეიქმნება ბევრად, თუ ცოტად მონა უფრო განათლებულის ტომისა. ჩვენ ქართველებს ამ გვარი ბედი მოგველის, თუ ჩვენის ახალ-გაზდობის უსწავლელობაზედ არ დავფიქრდით და ამ უსწავლელობას არ მოვუძებნეთ უებარი წამალი. ყოველ-გვარ ავათმყოფობას მხოლოდ მაშინ მოევლება, როდესაც მის ნამდვილ მიზეზს ვიპოვნით. რა მიზეზია, რომ ესე უსწავლელი რჩება ჩვენი ქართველი ახალ-გაზდობა? რას უნდა მივაწეროთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ საქართველოს სასწავლებლებში ქართველებს უჭირავთ რიცხვით უკანასკნელი ადგილი, როცა რომ მათ უნდა

ეჭიროსთ პირველი? ნიჭსა და წადილს, რასაკვირველია, არაფერი უნდა დაჰბრალდეს. არც ნიჭით და არც სწავლის წადილით ქართველები უკან არავის არ ჩამორჩებიან. სრულიად სხვა მიზეზი უხშობს კარებს საშუალ სასწავლებლისას ქართველს ახალ-გაზდობას. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა პირველ-დაწყებითი კურსის კარგი ცოდნა. ამ კურსის ცოდნაში უნდა გამოცდილი იქმნეს ყოველი ყრმა, რომელსაც კი სურს შესვლა რომელსამე საშუალ-სასწავლებელში. ჩვენ ქართველ-ყმაწვილებში ათში ერთი ვერ იჩენს საკმაო ცოდნას ამ კურსისასა გამოცდილების დროსა, და ეს გარემოება აგდებს ჩვენს ახალ-გაზდობას წრის გარედ; ეს იმისგან არის რომ არა გვაქვს არც ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ჩვენ შვილებს შეეძლოთ მიიღონ სრული პირველ-დაწყებითი სწავლა და კარგად მოემზადონ შესასვლელად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. მართალია მოსამზადებელი კლასსები არსებობენ ზოგიერთა საშუალო სასწავლებლებში, მაგრამ ისინი არიან გამოსადეგნი მხოლოდ რუსებისათვის რადგანაც იქ სწავლა მიდის მარტო რუსულ ენაზედა. ამიტომ ქართველი ყმაწვილები, რომელნიც იძულებულნი არიან შევიდნენ ამ მოსამზადებელ კლასსებში მაგდენს ვერას იგერსა სწავლობენ რუსულის ენის უცოდინარობის გამო, საკმაოდ ვერ იხსნიან გონებას და ვერ ემზადებიან სასწავლებელში შესასვლელადათ. მეორე ღონისძიება — შინაობაში მომზადება ყმაწვილებისა — ქართველებისათვის აგრეთვე არ არსებობს. რომ შინ შეასწავლოს ყმაწვილს სრული პირველ-დაწყებითი კურსი, ან თქვენ თვითონ უნდა იყოთ კარგად გახსნილი და მომზადებული, ან უნდა გქონდეთ იმოდენა შეძლება, რომ ცალკე მასწავლებელნი დაუჭიროთ თქვენ შვილებსა. არც ერთი და არც მეორე ქართველებთ შორის არ მოიპოვება. ეს გახლავთ მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ათ მსურველ ყმაწვილში მხოლოდ ერთი ეღირსება ხოლმე შესვლასა ამორჩეულ სასწავლებელში, სხვანი კი რჩებიან გარეთ, აკლდებიან სწავლასა და ამრავლებენ უმეცარსა და გამოუდეგარს რიცხვსა ქართველთ საზოგადოებისასა.

ამ სამწუხარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ახლად დაარსებულმა «თბილისის გუბერნიის აზნაურთა საზოგადოებამ შემწეობისათვის შეუძლო მოსწავლეთა», და განიძრახა გამართვა ტფილისში ისეთის სასწავლებელისა, საცა მოზარდ ქართველებს მიეცემათ ღონისძიება პირველ-დაწყებითი განათლება თავისი დედა-ენის შემწეობით მიიღონ, კარგად, საფუძვლიანად შეისწავლონ რუსული ენა და ყოველის მხრივ გვარიანად მოემზადნონ შესასვლელად სხვა და სხვა სამოქალაქო და სამხედრო სასწავლებლებში. ეს განზრახვა ეხლა სისრულეში მოჰყავს ამ საზოგადოების კამიტეტსა, რომელმაც უკვე დაიქირავა კუკიაში მშვენიერი საშკოლო სახლი, გაიმწესა ორი კეთილსაიმედო მასწავლებელი, მოიპოვა ყველა შკოლისათვის საჭირო ნივთეულობა და ხსნის შკოლას თებერვლის პირველ რიცხვში. შკოლა ჯერეთ ოთხმოცის ყმაწვილისათვის იმართება. მაგრამ ამ პირველ ხანშივე იმდენი არზა მოაწუდა კომიტეტსა, რომ მომავალში ეს რიცხვი ერთი-ორად და სამად უნდა გადააქციონ, თუ სურს დააკმაყოფილოს საზოგადოების წყურვილი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შკოლა შეიქნება ორიოდე წლის უკანა ორასისა და სამასის ყმაწვილის ალსაზრდელ ადგილათ, და ყოველ-გვარ საშუალო სასწავლებელს დას-დასობით გაუგზავნის კარგად მომზადებულ და გახსნილ მოწაფეთა. მაშინ გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში ქართველნი მოწაფენი გამრავლდებიან, თითო-ოროლას მაგიერ ათობით და ოცობით იქნებიან ყოველ კლასში, და, რადგანაც განათლებულნი პირნი იმატებენ, ქართველი საზოგადოება ამით თავს დაიხსნის იმ სამწუხარო გარემოებიდამ, რომელიც თანა ჰსდევს გონების სიბნელესა და უსწავლელობას. ჩვენ საფუძველი გვაქვს ვსთქვათ, რომ ეს შკოლა ხვალ თუ ზეგ, ამ მოკლე ხანში შეიქნება სათავეთ, საიდამაც აღმოიშობება ერთი კარგი კერძო გიმნაზია ქართველებისა.

განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოთ კარგს მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება იმისა, ვინც ახლად დანიშნულ იქმნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მეთაურად და მზრუნ-

ველდათ. ჩვენ თვითონ არა რაიმე პირ-და-პირი ცნობა არა გვაქვს უფ. იანოვსკისა; მაგრამ ვისაც კი ჰქონია შემთხვევა ან უწინდელი მისი მოქმედება შეუტყვია და ან ახლა მოუსმენია მისი ჰაზრები და დაწყობილებანი, ერთ-ხმათ აღიარებენ, რომ ახალის მზრუნველისაგან სამოსწავლო ნაწილი ბევრს კარგს და ნაყოფიერს ცვლილებას უნდა მოელოდესო. ჩვენ, სხვათა შორის, გვიამბეს საუბარი უფ. იანოვსკისა ერთს სახალხო შკოლების დირექტორთანა. ამ საუბარიდგან ცხადათ სჩანს, რომ იგი არამც თუ მიუცილებელ საჭიროებათა სთვლის სამშობლო ენაზედ სწავლებას სასოფლო შკოლებში, არამედ სურს, რომ ყოველმა სახალხო შკოლების დირექტორმა შეისწავლოს ის ენა, რომელზედაც მიდის სწავლა მის ქვეშევრდომ შკოლებში. ჩვენი იმედი აქაც კიდევ უფრო შორს მიდის, ჩვენ არა გვგონია, რომ უფ. იანოვსკიმ საზღვარი დაუდოს თავის მზრუნველობას აქაურს საჭიროების დაკმაყოფილებისათვის იმით, რომ ქართული ენა მარტო სოფლის შკოლაში შეიწყნაროს და არ მიჰსცეს ადგილი საშუალო-სასწავლებელშიაც, როგორც ქართულს ისე სხვა აქაურს ენებსაც. თუ უფ. იანოვსკი მართლა ისეთი მიხვედრილი კაცია, როგორც ამბობენ, უეჭველია შესაფერის შეზარებით უარ-ჰყოფს იმ კაცის შემარცხვენს მიდრეკილებასა, რომელმანც გამოაძევნინა აქაური ენები აქაურ გიმნაზიებიდამ. ამ უსამართლოებას, ამ ბოროტ-მოქმედებას განათლების მოღვაწეთა ბევრი მავნებელი შედეგი აქვს, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფო სარგებლობისათვის. ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა და მოდი და მერე იკითხე ხალხს რატომ არ ვუყვარვარო. ვინ? სულთა-მხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ბუნების ძალი უძლეველია... სულთა-მხდელს კაცი ვერ შეიყვარებს, ვერა, ვერა!... ამას გარდა საზოგადოება იმითია წაგებაში, რომ ნასწავლი ნაწილი საზოგადოებისა ჰკარგავს აღმზრდელს და გამანათლებელს გავლენას ხალხზედ და თავის მხრივაც მოკლებულია ხალხის ცხოვრების გამაცოცხლებელ გავლენასა. რადგანაც ენა, ეგ ერთი-

ერთა შორის მიქცევ-მოქცევის უკეთესი იარაღი, ხელში არა აქვს. მართებლობაც ზარალშია, რადგანაც მას მხოლოდ მაშინ შეუძლიან კარგად, წესიერად მართოს ხალხი, როდესაც მისმა მოხელეებმა კარგად იციან ხალხის ენა, ხალხის თვისებანი, ხასიათი, ზნე და ჩვეულებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხისა და მოხელეთ შორის ყრუ-მუნჯობაა და ამას იმისთანა საქმეებიც მოსდევს, როგორც სიღნაღისა, სამეგრელოსი და სვანეთის არეულობა.

მიუცილებელი სახელმწიფო საჭიროება მოითხოვს, რომ ეს კავშირი ისევ დამყარდეს მოხელეთა და ხალხთა შორის. უკეთესი ღონის-ძიება ამისი არის — მინიჭება აქაურ ენებისათვის იმავე უფლებისა სამასწავლო საგნების კურსში, რომელიც დაჩემებული აქვთ სხვა საგნებს და რომელიც ამ ენებსაც ჰქონდათ ამ ათის წლის წინათ. აქაური ენები უნდა ისწავლებოდნენ არა მარტო უმცროს კლასებში, არამედ უფროსებშიაც, — ისინი უნდა შეადგენდნენ ვალდებულ საგანს ყველა აქაურ მოწაფეთათვის, — ამ ენების მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე სამსახურის უფლება და ჯამაგირი, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა საგნების მასწავლებელთა. მაშინ აქაურის ენების სწავლება ფეხმტკიცედ დადგება, მათი ცოდნა გავრცელდება ნასწავლ ჩვენებურ ყმაწვილობაში და მათთა და ხალხთა შორის გაიხსნება გზა მჭიდრო კავშირისა, რომელიც სანატრელია, როგორც საზოგადო, ისე სახელმწიფო სარგებლობისათვის. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უფ. იანოვსკი ცხადად დაინახავს დიდ მნიშვნელობას ამ მოთხოვნილებისას და ეცდება ამ მოკლე მომავალში დააკმაყოფილოს იგი. ერთობ, დიდი და ძნელი საქმე მოელის უფ. იანოვსკის აქ ჩვენში. ჯერ პირველი ის, რომ განწმინდოს ის წმინდა ტაძარი, რომელსაც სასწავლებელს ეძახიან, მოგვთა და ვაჭართ მსახურთაგან; დაიხსნას ჩვენი ჭკუის აკვანის გულ-ბილწთა შეგინებისაგან, შეურაცხყოფისაგან; მოიწვიოს ახალნი გულ-მოდგინე მოსამსახურენი ჭეშმარიტის განათლებისა და თავისი კაცობრიული აზრები, კაცობრივი მიმართულება არ ჩააგდოს უღირსთა ხელში.

ბოლოს ხანს სასულიერო წოდებაშიაც ვხედავთ სანუგეშო ცვლილებათა. მათი მიზეზი არის ჩვენი ახალი ექსარხოსი, ყოვლად სამღვდელო იოანნიკე, რომლის დანიშვნას ისეთი სიხარულით მიეგება როგორც ჩვენი მწერლობა, ისე მთელი ჩვენი საზოგადოება. სასულიერო წოდებასთან დაახლოებულმა პირებმა დაგვარწმუნეს ჩვენ, რომ ამ რვა თვის განმავლობაშიაც კი დაეტყო მთელ წოდებას კეთილი გავლენა მისის უფროსის მშვიდისა და მაღალ-პატიოსნის ხასიათისა. იმ შურმა, უთანხმოებამ, ერთმანეთის ეზღობამ და ჭორიკანაობამ, რომელთაც ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში ღრმათ გაიდგეს ფესვები ჩვენ სამღვდელოებაში, აშკარად თურმე იკლო. სამაგიეროთ უწინდებური ძმური პატივისცემა, ურთიერთობა და სიყვარული ძლიერებს თურმე სასულიერო წოდებაში. ასეც უნდა იყოს. სამღვდელოების კეთილ-განწყობა მეტად დიდი რამ არის იმ ღვაწლისათვის, რომელიც ვალად ჰსდევს სამღვდელოებას ღვთისა და კაცის წინაშე. სამღვდელოება გვერდით უდგა თვითონ ხალხსა, სამღვდელოებას ამით ღონისძიება აქვს დღე მუდამ ჩაჰსცქეროდეს ხალხის ცხოვრების დუღილს და ჭეშმარიტის გულის-ტკივილით მოსილი, ჭეშმარიტის მცნებით გაბრწყინვალებული ჰსწურთვნიდეს ხალხსა ქადაგებით და თავისის ცხოვრების მაგალითით. ჭირია თუ ლხინი, ვიბადებით თუ ვიხოცებით მღვდელი იქ პირველი უნდა იყოს. პირველი იმითი კი არა რომ ტაბლას მიამღეს, არამედ ნუგეშინის-ცემითა, ლოცვითა, კურთხევითა, ბოროტის დევნითა, სიმართლის აღდგენითა, კეთილის მოფენითა. ამიტომაც ეს ახალი სიო, რომელმაც ჩვენს სამღვდელოებას ეხლა დაუბერა, რომელმაც ფესვი ხრწნილებისა ძირიანად უნდა ამოაგდოს და ამოაგდებს კიდეც თუ ეგ სიო ქარიშხალათ გადიქცევა, ჩვენ სანუგეშო ნიშნათ მიგვაჩნია. იმ განკარგულებათა შორის, რომელნიც სასულიერო წოდების განკარგებისთვის ამ მოკლე ხნის ექსარხოსობაში მოუხდენია ყოვლად-სამღვდელო იოანნიკეს, ორსა აქვს განსაკუთრებითი მნიშვნელობა. პირველი განკარგულება მდგომარეობს იმაში, რომ სამთლის ჩამოსხმის და გასყიდვის განმგებლობა და მართვა ჩინოვნი-

კებისათვის ჩამოურთმევია და ჩაუბარებია თვით ქალაქის სამღვდელოებისათვის. ეს ცვლილება, კერძო პირების მაგივრად, შესავალს შემატებს საეკლესიო ხაზინასა და მისცემს სასულიერო წოდებას ახალს სახსარს განათლების წარმატებისათვის და გავრცელებისათვის.

მეორე განკარგულება არის მეტად დიდი მნიშვნელობისა და უეჭველად მაღლა ასწევს განათლების მდგომარეობას სასულიერო წოდებისას. ეს განკარგულება შიგ გულში ხვდება ისარსავით უმთავრეს ძენსა ჩვენის სამღვდელოებისას: საქმე იმაშია, რომ ერთი უმთავრესი მიზეზი ჩვენის სამღვდელოების გონებით დაცემულობისა მასში მდგომარეობს, რომ ჩვენი სასულიერო წოდების ქალობა სრულიად მოკლებულია განათლებასა. ვერ მოძებნი მთელ საქართველოში ორ-სამ მღვდელს, რომელთაც ნასწავლნი ცოლები ჰყვანდეთ; „ფოფედიებში" ძნელად შეხვდებით ხეირიანად წერა-კითხვის მცოდნესაც კი. ქალების უმეცრებას აქვს მეტად ცუდი ზედ-მოქმედება სასულიერო წოდების მამრობის სქესზედ. ეს უმეცრება მღვდელს გონებას უმდაბლებს და ჩქარა ავიწყებინებს იმ ნაგლეჯებს განათლებისას, რომელიც მას მიუღია სასულიერო სემინარიაში. მღვდლისათვის ოჯახი დიდი რამ არის. კანონით მოკლებული ყოველ გვარს სიამოვნებას ოჯახს გარედ, იგი ნუგეშს უნდა ჰპოვებდეს მარტო ოჯახობაში, ოჯახი უნდა ამხნევებდეს, ოჯახი უნდა დღე მუდამ საზრდოს აწვდიდეს მის სულსა და გულსა, რათა გონებითის და ზნეობითის ახალის ძალით შეიმოსოს ბოროტთან, მაცდურებასთან, უსამართლობასთან საბრძოლველად. ამისა მომქმედი ოჯახში ცოლია მღვდლისა, რომელიც მართლა და მეუღლეთ მოწვეულია იმ დიდის ღვაწლისათვის, რომლის მძიმე უღელიც მღვდელს აწევს კისრად. გონება დახშული ქალი ვერ გაუწევს მღვდელს ამ მძიმე უღელს და თუ დღეს ჩვენი სამღვდელოება დაცემულია, ამისი თუ არ პირველი, უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ სამღვდელოებათა წოდების ქალნი განათლებას მოკლებულნი არიან. როგორც კარგა მცოდნემ მკურნალმა, ყოვლად სამღვ-

დელო იოანნიკემ დახედა სნეულს თუ არა, შეატყო მიზეზი სენისა
და მის მოსასპობლათ უებარი წამალი მოიპოვა: გადასწყვიტა დაარ-
სება ექვსს კლასიანის სასწავლებლისა სასულიერო წოდების ქალებისა-
თვის. ამ სასწავლებლის წესდებანი უკვე გაუგზავნია სინოდში დასა-
მტკიცებლათ და სასწავლებლის გახსნას მოელიან ამავე წელს. მშვე-
ნიერი, დიდათ სასარგებლო ჰაზრი და განკარგულება თუ გინდათ ამას
ჰქვიან. მერე კიდევ რა სწრაფათ მოყვანილი სისრულეში! აი თქმა და
ქმნა ეს არი! მეორე გარემოება კიდევ უფრო ცხადად გვაჩვენებს
ყოვლად-სამღვდელო იოანნიკეს გულ-კეთილობას, უანგარობას, მაღალ-
მზრუნველობას, გულშემატკივრობას თავისის სამწყსოს გონებით და
ზნეობით ამაღლებისათვის. ეკკლესიის ხაზინას არ ამოსჩენია საკმა-
რისი თავისუფალი ფული ქალების სასწავლებლის გამართვისათვის და
შენახვისათვის. ჩვენს ქველის მომქმედ ექსარხოსს აუღია თავისის
საკუთარის ჯიბიდგან და შეუწირავს ათასი თუმანი ერთბამათ და ას
ოთხმოცი თუმანი ყოველ-წლივ თავის ჯამაგირიდგან. ეტყობა სრუ-
ლიად არა ჰგავს იმ უანგარო გვამთა, რომელთაც ოცის წლის სამსა-
ხურის შემდეგ ორასი ათასის მანეთით დატვირთულნი წავიდნენ ჩვე-
ნის ქვეყნიდგან და მადლობის მაგიერ ცუდათაც გვიხსენიებენ.
მეტად კარგი მომასწავებელია ის გარემოებაცა, რომ ყოვლად-სამღვდე-
ლო იოანნიკემ მოსვლის უმალვე იწყო სწავლა ქართულის ენისა და ამ
ჟამათ კითხულობს, სწერს და ცოტად კიდეც ლაპარაკობს ქართულათ.
ეს უფრო მეტის სიხარულით შეგვაქვს ჩვენს ღარიბს მატიანეში, რომ
ცხადად ამტკიცებს ყოვლად-უსამღვდელო იოანნიკეს თავ-გადადებას
რათა ჩვენს საცოდავს ხალხს მართლა და მწყემსათ შეექმნეს. მაგრამ
ერთი სხვა უმთავრესი იარა ჩვენის სასულიერო წოდებისა და თავი
მიზეზი მის დაცემულობისა აქამდის ხელ-უხლებლათ არის დარჩენი-
ლი. ტფილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლე-
ბელნი ისევ იმ უმგზავს და უვარგო მდგომარეობაში არიან, რომე-
ლიც არა ერთხელ იყო გამოაშკარებული. მკვდარი ენები ისევ ისე ტვინს
ულაყებენ და გონებას უხშობენ ყმაწვილებსა, კუშინსკი ისევ უწინდე-

ზულით თავზარსა სცემს თავის საცოდავათ დაჩაგრულ მოწაფეთა და ქართული ენა ისევ ისე იდევნება, როგორც იდევნებოდა უწინ. ნუ-თუ ყოვლად-სამღვდელო იოანნიკე ამას ყურადღებას არ მიაქცევს? ყოვლად სამღვდელო იოანნიკემ უნდა იცოდეს რომ ღვიძლი სიტყვა, ფრთაა ლოცვისა; ღვიძლის სიტყვით უფრო ადვილად, უფრო სუბუ-ქად, უფრო მეტის აღტაცებით და მხურვალებით აღიმართება ხოლმე კაცის გული ღმერთამდე და თვითონ ღვთის მადლიც უფრო მეტის ძლიერის, მეტის სასოებით მიახწევს ხოლმე კაცის გულის სიღრმემ-დე. აქ უარ-ყოფა ღვიძლის-სიტყვისა უარ-ყოფაა თვითონ ლოცვისა, უარ-ყოფაა ლოცვის მადლისა, ლოცვის მაცხოვრობისა, ლოცვის ნუ-გეშის-ცემისა,

---

# რუსეთის მიმოხილვა.

გარეშე და შინაგანი მდგომარეობა რუსეთისა ომიანობის შემდეგ. გულგრილობა საზოგადოებისა გარეშე საქმეთადმი და მზრუნველობა შინაობისათვის. უფულობა და ჭირი. მთავრობის თავდარიგი. ჟურნალ-გაზეთობა. გაჭირებული მდგომარეობა და მოლოდინი.

---

ომიანობაც გაუდავდა რუსეთს გაუთავდა, მეთქი, თუმცა ომისაგან ატეხილი აყალ-მაყალი ჯერ არ დალაგებულა სრულიად და კუდი, ცოტად თუ ბევრად, კიდევ მოუჩანს; მაგრამ, ეჭვი არ არის — დღეს თუ ხვალ ომიანობის ხსენებაც აღარ იქმნება. ბევრი ვაი-ვაგლახი, ბევრი სისხლის ღვრა, ბევრი ყოველ-გვარი ზარალი და უბედურობა მოჰყვა იმ საქმეს, რომელსაც მოჰკიდა ხელი რუსეთმა ორის წლის წინად. რა გამოვიდა ყველა აქედგან? რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი? რის გულისათვის დაიღუპა ამდენი ხალხი და ამდენი ფული? რითი ინუგეშოს ამდენმა ობოლმა და ქვრივ-ოხერმა? ყველა ამის პასუხად რომ გადაავლოს თვალი რუსეთის შვილმა თვის სამშობლოის აწინდელ მდგომარეობას ბევრს რასმეს თავ-გამოსადებს და სასახელოს კი ვერას ნახავს; პირიქათ — დაინახავს მრავალს იმისთანას, რომელიც ისარსავით ეცემა მის ამპარტავნობას და თავ-მომწონობას. ეს ერთ-გვარად ითქმის რუსეთის შინაგან მდგომარეობაზედ და გარეშეზედაც. მართლა-და, რა ჰპოვა რუსეთმა თვის სამზღვარ გარედ? რუსეთის სახელმწიფომ, როგორც მოგეხსენებათ, ამოიღო ხმალი სლავიანთა განთავისუფლებისათვის. ყოვლად მოსალოდნელი იყო, რომ ამ გვარი განზრახვა, ამ გვარი სასახელო დროშა დიდს თანაგრძნობას მოიპოვებდა ევროპაში, ევროპიის განათლებულ სახელმწიფოთა

შორის. მაგრამ პირველსავე ფეხის წადგომას სრულიად სხვა და მოლოდინის წინააღმდეგი დახვედრა მოჰყვა ევროპიის მხრით. ზოგან ეჭვი, ზოგან უარყოფა ზემოხსენებულის მაღალის განზრახვისა, ზოგან შურისძიება, ზოგან პირ-და-პირი წინააღმდეგობა—აი რა დაუხვდა რუსეთის სახელმწიფოს სამზღვარ-გარეთ. ერთი ამბობდა—არა მჯერაო, მეორე ამბობდა—თუ კარგი ქმნა რამ იყოსო თავის-თავს მაირჩენსო, მესამე ამბობდა—სლავიანთა განთავისუფლება რას მიქვიანო, აქ თავ-დასცემაა დასაპყრობლად, აქ მსუნაგობაა და მეტი არაფერიო. ყველა ეს გრძნობა მტკიცედ გაუჯდა ევროპას, მეტადრე მაშინ, როდესაც საქვეყნოდ გამოცხადებულ იქმნენ შერიგების პირობები დადგენილნი სან-სტეფანოში. რაში არსებობდნენ ეს პირობები „ივერიის" მკითხველებს კარგად მოეხსენებათ და გამეორება აქ საჭირო აღარ არის. მხოლოდ ის კი უნდა აღვიაროთ ერთხელ კიდევ, რომ ევროპამ სრულიად უარ-ჰყო სან-სტეფანოს შერიგების პირობებს, ლუკმა-ლუკმა აქცია ოსმალეთისა და რუსეთის მიერ სან-სტეფანოში ხელ-მოწერილი პირ-შეკრულობა და სთქვა—ჯერ მე მკითხე და მერე შერიგდიო. ასე მოხდა კიდეც. ადვილად გასაგებია თუ რა გრძნობა უნდა აეშლევინებინა ყველა ამას რუსის გულში, მეტადრე იმ რუსის გულში, რომელიც ტრაბახობითა და მედიდურობით იყო აღსავსე—მთელს დედა-მიწას ავცემ და დავცემო. მართალია რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა ომიანობიდამ, მაგრამ... მაგრამ არის ზოგიერთა იმისთანა გამარჯვება, რომელიც დამარცხებაზედ უარესია. ეს ყველამ კარგად იგრძნო: იმანაც ვინც თვალ-დახუჭული ხმალს ატრიალებდა და მეტი არა აგონდებოდა რა, და აგრეთვე იმანაც ვინც თავ-და-პირველად ეჭვიანის თვალით უყურებდა გარშემო ამტყდარ მამაცობას და ტრაბახობას. ამ უკანასკნელ ორთა გრძნობათა მაგიერ აღმოცნდა სხვა—ბრაზი ულონო, უძლური. თუ იყო ოდესმე იმოდენა ძალა, რომ ოსმალეთი დაემარცხებინა, ეხლა კი თითქმის მთელის ევროპის წინააღმდეგობას ვიღა აუვიდოდა? ამ გვარად აღმოჩნდა—ერთის მხრით ვერაფერი გამარჯვება დიპლომატიის ასპარეზზედ, მეორის

მხრივ — ვერაფერი სიყვარული, ვერაფერი ნდობა რუსეთის სახელმწიფოსადმი. აქ ეს ორიოდე სიტყვა რუსეთის გარეშე მდგომარეობის თაობაზედ ომიანობის შემდეგ საკმარისია; რადგანაც იგივე გარემოება უფრო ვრცლად იქმნება მოხსენებული ჩვენ «საპოლიტიკო მიმოხილვაში.»

რაც შეეხება რუსეთის შინაგან მდგომარეობას ომის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, რომ ამ მხრითაც ვერაფერი სანუგეშო სურათი უნდა წარმოუდგეს კაცს თვალ-წინ; გარდა იმ სამწუხარო შედეგისა, რომელიც მოსდევს ხოლმე ყოველს ომიანობას ყველგან და ყოველთვის, არის კიდევ მრავალი იმისთანა გარემოება, რომელიც ფრიად უმეტესად უმძიმებს ამ შემდეგს საკუთრივ რუსეთსა. ყოველი ომი არის მომტანი საშინელის ზარალისა: იღუპება მრავალი ხალხი, იღუპება მრავალი სარჩო და ფული; გარდა ამისა ომი აჩერებს ყოველ-გვარს საქმეთა მსვლელობას, აჩერებს წარმატებას — თუ ხალხს ფეხი შეუდგამს წარმატებაში, — და უშლის ამ წარმატებას — თუ ხალხი მისი მომლოდინეა. ზოგჯერ, მართალია, ომიანობა თვისის უბედურებით შექმნება ხოლმე ნაპერწკლად ამა წარმატების გაბრიალებისათვის. მაგრამ ამით მაინც არ უმცირდება ხალხს ომიანობისაგან წარმომდგარი განუსაზღვრელი ეკონომიური ზარალი და თუ ომი რაიმე წარმატების მომტანია — სრულიად სხვა მხრით, ისიც ცოტად თუ ბევრად დაშორებულ მომავალში. მაშ თუ ომი საზოგადოდ ზარალისა და ვაივაგლახის მომტანია, ახლა გასინჯეთ რამდენად უფრო უმეტესის უბედურების მომტანი უნდა იყოს იმისთანა ქვეყნისათვის, რომელიც თავად ისეც ვერ გამოიჩენს თავს მეტის-მეტ სიმდიდრით, ხალხის უხვ ეკონომიურ წარმოებით, განათლებით და სხვა. კვეხნა და ტრაბახობა რასაკვირველია ადვილია და დიდი ჭკუა არ არის საჭირო წამ-და-უწუმ ძახილისათვის, სლავიანოფილობისა არ იყოს, ჩვენზე ჭკვიანი და პატიოსანი ქვეყანაზედ არავინ მოიპოვებაო. მაგრამ უხლანდელ დროში ლიტონი სიტყვა ვერაფერი თამასუქია რისამე დამტკიცებისათვის და ძნელად აუხვევს ვისმე თვალს, ქრთამს რუსის მწერლისა არ იყოს, სიტყვა ითქმის და გაქრება, მაგრამ თვით საქ-

მე, ფაქტი კი უკვდავია. მართალი უნდა თქვას კაცმა, რომ უმეტესი ნაწილი რუსის საზოგადოებისა ბოლომდე არ აჰყვა ზემოხსენებულ ტრაბახობას და არ დარჩა თვალ-ახვეული. რუსთ-ოსმალოს ომიანობამ აღმოაჩინა მრავალი ტკივილი, მრავალი უმზგავსობა ღრმად ჩანერგილი ცხოვრებაში, აწინდელ წყობილობაში. მართალია ჯვარი გამარჯვებული გამოვიდა ომიანობიდამ, მაგრამ საზოგადოებამ კარგად დაინახა თუ რა ფასად უნდა დაფასდეს ეს გამარჯვება, რამდენად აღმოაჩინა ამ გამარჯვებამ სიმძლავრე ქვეყნისა და სახელმწიფოისა. ყველა ამაზედ შემდეგში გვექნება დაწვრილებით მოლაპარაკება ამ «რუსეთის მიმოხილვაში»; გამოვიკვლევთ შეძლებისამებრ დაწვრილებით ყოველ მხარეს აწინდელის რუსეთის მდგომარეობისას. ეხლა მხოლოდ ვნიშნავ, საზოგადოთ, საგანს, ვნიშნავ იმ დასაბამ წერტილს საიდგანაც დაიწყებს ჩვენი მსვლელობა რუსეთის არე-მარეში. საზოგადოებამ თვალი გაახილა, მეთქი; დაინახა სურათი და შეკრთა: ათას ორას მილიონზე მეტი ვალი ომიანობის გამო (ქაღალდის ფულით და ჭუსხით) და წარმოება ხალხისა არამც თუ იგივე, არამედ უფრო დასუსტებული და დამცირებული, — აი რა დახვდა თვალ-წინ. ეხლა კი იმასაც გაურბინა გუნებაში — რა დროს სხვაზედ ზრუნვააო, რა დროს საზღვარ-გარედ ცქერააო, როდესაც... და სხვ. სადღაა ის მამაცი გალაშქრება ჟურნალ-გაზეთებისა თუ საზოგადოებისა თითქმის მთელს ევროპაზედ, რომელიც აქამდისინ სუფევდა! ეხლა, თითქმის ყოველის მხრიდამ მოისმის ერთი ხმა: გვეყო გარეშე საქმეებით, ვიზრუნოთ ჩვენ შინაობისათვისაო, და სხვა ამგვარი. ეს გარემოება ყოვლად ღირს შესანიშნავია აწინდელ დროისათვის. — რასაკვირველია სასწაულით არა მომხდარა რა ისტორიაში; და არც ეს ცვლილება არის უეცარი და სასწაულის ძალით მოვლენილი. ეჭვი არ არის, რომ უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა, და თუ უმეტესი არა — უკეთესი და წინ წამდგარი მაინც, დიდი ხანია ჰგრძნობდა მრავალის ცვლილების საჭიროებას თვისის სამშობლოის წარმატებისათვის; კარგად ჰგრძნობდა, რომ მრავალი შინაგანი საქმე დამწიფებულა და-

დეც და წინ წამომდგარა, და ელის მხოლოდ თავის დროს და ჯეროვან შემთხვევას თვითონ ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის. მაგრამ თუ აქამდისინ ამ საზოგადოებას არამც თუ არაფრით არ გამოუჩენია თავისი გრძნობა და სურვილი, არამედ დროებით გულ-მსუბუქადაც აჰყოლია იმ გრძნობას, რომელიც პირ-და-პირ ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ სურვილს და მიდრეკილებას, ბრალი ამაში აქვს არა მარტო საზოგადოებას. რუსეთის ცხოვრება აქამდისინ იმგვარად ყოფილა მომართული, რომ ივრიად გასაოცარიც იქნებოდა საზოგადოებას რომ ცოტაოდენად მომეტებული თაოსნობა შეეძინა და შეეთვისებინა. თაოსნობა იმგვარი თვისებაა, რომელიც არც უეცრად ჩამოვარდება ხოლმე ციდამ და არც ბუნებით შეჰყვება ხალხს. მის აღმოცენისათვის საჭიროა ჯეროვანი ნიადაგი, ჯეროვნად შემუშავებული; იგი მოითხოვს წვრთვნას, გამოზრდას. თუ ცხოვრებაში არ არსებობს თვით-მოქმედობა, თუ პირიქით სუფევს მარადი სხვის-ანაბრობა, საზოგადოებაში თაოსნობას ნუღარ ეძებთ. გარდა ამისა არის კიდევ სხვა მიზეზიც, რომლის ძალითაც საზოგადოებამ გული გაუღო მეომრობას და აჰყვა სხვა-და-სხვა ტრაბახობას: ეს გახლავსთ მიძინება, სამარის სიჩუმე, თვალ-გაუწვდენელი მწყვდიადი, რომელშიაც მიმდინარეობდა ცხოვრება... ამგვარი არსებობა დიდის ხნით შეუძლებელია, როგორადაც შეუძლებელია კერძო ადამიანისათვის იყოს ცოცხალი და ცოცხლობას კი ვერაფრით ვერ იჩენდეს. თუ საზოგადოება რამოდენიმე ხანი იყო კიდეც ამგვარ უღონო მდგომარეობაში, ესეც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იმიტომ რომ მოკლებული იყო თაოსნობას. აი მიეცა შემთხვევა და ბუნებამ თავისი გაიტანა: მიძინებულს და განცხრომას-მიცემულს საზოგადოებას მოუვიდა წყურვილი სიცოცხლისა. რას დასდევდა — როგორიც უნდა ყოფილიყო იგი სიცოცხლე! უდაბნოში მიმავალი, ხახა-გამშრალი მოგზაური სწრაფად დაეწაფება პირველ-შეხვედრილ წყაროს და რას დასდევს წმინდა არის თუ მღვრიე, მაწყინარი თუ უებარი. ვის ენაღვლებოდა თუ რას მოასწავებს ის სიცოცხლე, რომელსაც ასე ეწაფა საზოგა-

დოება?... თვალ-წინ წამოუდგა განსაცდელი, რომელმაც გაუკრთომილი და გამოიყვანა განცხრომისაგან.

უგულობას და სხვა მრავალ გვარ გაჭირებას მიემატა კიდევ ჭიორიც, რომელიც კარგა ხანია არ სწყვეტია ევროპას. ეს საშინელი ავათმყოფობა გაჩნდა ასტრახნის გუბერნიაში, და თუმცა დიდ მანძილზედ არ არის გამდგარი, მაგრამ მაინც დააფეთხო არამც თუ მარტო რუსეთი, არამედ თითქმის მთელი ევროპაც. ჭირი დიდი უბედურებაა არამც თუ მარტო იმით, რომ მრავალ ხალხსა სწყვეტს; არამედ იმითაც, რომ მის მოსასპობლად იმ გვარი ზომიერებანი არიან საჭირონი, რომელნიც დიდ ზარალს აძლევენ ალებ-მიცემობას და სხვა ყოველ-გვარ წარმატებას ხალხისას. ჭირს მოსდევს კარანტინი, გზის შეკვრა, მისვლა-მოსვლის შეფერხება და სხვა. ყველა ეს რასაკვირველია ვერაფერი ბედნიერებაა რუსეთისათვის ამ ჟამად, როდესაც ეკონომიური მდგომარეობა ხალხისა თავად ისეც განსაცდელის კიდურზედ არის მიმდგარი, მაშინ როდესაც უპირველესი საჭიროება მთელის ქვეყნისა მოითხოვს ხალხის წარმოებათა გაკეთებას და ხელის შეწყობას, და არა მის დამცირებას და დავარდნას. რაღა ეს უნდოდა ხალხს, რომელიც თავად ისეც დატვირთულია რითაც კი შეიძლება და რომლის აგ-კარგიანობაზედ დამყარებულია მთელის სახელმწიფოსის და ქვეყნის ბედი თუ უბედობა? მთავრობა კარგად ჰგრძნობს ამ გვარ გაჭირვებულ მდგომარეობას, ცოტად თუ ბევრად ჰხედავს ამ ურთიერთობას და მტკიცედ მოუკიდნია ხელი ერთის მხრით ჭირის მოსპობისათვის, მეორეს მხრით თვით ეკონომიურ საქმეთა გაკეთებისათვის. ან კი როგორ არ ათხოვოს ჯეროვანი ყურადღება ჭირს, როდესაც ევროპა ისე დაშინებულა, რომ ლამის სრულიად შეუკრას რუსეთს თავისი საზღვარი. თუ მართლა შეკრა კი — ღვთის წინაშე, რომ ეს საქმე ფრიად საზარელი და დასაღუპავი იქმნება რუსეთისათვის. მთავრობა საფინანსო თავდარიგსაც შეუდგა ამ ბოლოს დროს. მართალია ჯერ არ მოჩანს არავითარი მკვიდრი გზა, რომელსაც დასდგომოდეს მთავრობა სახელმწიფოს ფინანსთა საქმის ცვლილებისათვის; არ გამოჩენილა არავითარი მტკიცე და შესა-

ბითი ზომიერება რათა შეუმცირდეს მთავრობას გასავალი და მოუმატოს შემოსავალი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მთავრობა და, მეორის მხრით, საზოგადოებაც კარგად ჰგრძნობენ, რომ აწინდელის დროის უმთავრესი საჭიროება რუსეთისათვის გამოკვანძილია აქ, ხაზინაში, სახელმწიფოის ფინანსთა მდგომარეობაში. მთავრობის სხვა და სხვა ზომიერებათა შორის ამ საგნის თაობაზედ უნდა მოვიხსენიოთ ის ხელმწიფე-იმპერატორის მიერ დანიშნული კომმისია, რომელიც ამ ჟამად შეკრებილია და მოქმედობაც დაუწყვია. ამ კომმისიის თანამდებობა იმაში არსებობს, რომ გამონახოს სხვა და სხვა საშუალება და ღონისძიება რათა შეამოკლოს და შეამციროს ხაზინის გასავალი; ჩამოაცალოს სახელმწიფოს რაც მეტი და უსარგებლო ხარჯი აქვს. ამ კომმისიის მოღვაწეობა როგორათაც მრავალი სხვა ამ გვარ კომმისიების მოღვაწეობაც რასაკვირველია, ძნელია და უბრალო კაცისათვის უცნობი. ამ კომმისიებს გამოაქვთ საქმეებით თავიანთი საღვაწი მზად, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდამ. სხედან კომმისიის წევრნი ოთხ-კედელ-შუა, კარ-ჩაკეტილნი, უცნობი არავინ და არაფერი არ შემოგვივარდესო. გაზეთებს კი, მართალია, არა გამოეპარებათ რა და მოპატიჟებასაც არ უცდიან, და რაც ღონე აქვთ ჰსწერენ და ლაპარაკობენ — აგები ჩვენიც გაიგონონ რამეო. ამ გვარად, როგორც გაზეთები ამბობენ, ზემოხსენებულის კომმისიის უპირველესი ყურადღება მიქცეულია მაზედ თუ როგორ შეამციროს ის მრავალი ფული, რომელიც მიდის ურიცხვ მოხელეთა ჯამაგირზედ და დაჯილდოებაზედ. ეს კომმისია, როგორც სხვა ამგვარი, კარ-ჩაკეტილია, მეთქი მაგრამ ერთით კი არა ჰგავს ეს კომმისია სხვას: მას ნება აქვს მიიპატიჟოს უცხო პირიც, რომელსაც კი შეეძლება რამე გამოსადეგის აზრის შემოტანა წამოყენებულ საგანზედ. ვინ ეღირსება ამ დაპატიჟებას — ღმერთმა უწყის. რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, დღე არ გავა, რომ ვრცელი სჯა და ბაასი არ გაიმართოს მაზედ თუ როგორ ვირჩინოთ თავი და როგორ ავიცილოთ თითქმის კოტრობა კარზედ მომდგარიაო. ზემოდაც მოგახსენეთ, რომ ომიანობის შემდეგ

დიდი ცვლილება მოხდა მეთქი როგორც საზოგადოებაში, ისე ჟურნალ-გაზეთების მიმართულებაში და მიდრეკილებაში. შესწყდა ზარბაზნების გრიალი და თოფ-იარაღის ჭყარუნი; გაჰქრა აგრეთვე ის უთავბოლო სიტყვის ჭყარუნიც, რომელიც მიაქანებდა მშიერ-მწყურვალს... სტამბოლისაკენ. რა დროს სტამბოლიაო, რა დროს ბოლგარიააო, გაიძახიან გაზეთები (რასაკვირველია ზოგიერთ გარდა, რომელნიც ცალის თვალით მაინც სტამბოლს გასცქერიან. მაგრამ ყურს აღარავინ უგდებს!) რასაკვირველიაო, ბოლგარიისათვის კეთილ-დღეობისა და . . . . . . . . ბოძება კარგი და საქები რამ არისო, მაგრამ... მაგრამ ჩვენ აქ მაინც რა შუაში ვართო? ეს არის უმთავრესი კილო, რომელზედაც მომართულია ამ ჟამად რუსის უმეტეს საზოგადოებისა და მწერლობის მიმართულება.... ძილი გაკრთობილია მეთქი და ყური აცქვეტილი.

---

# პ ო ლ ი ტ ი კ ა

წინა-სიტყვაობა. ევროპის სახელმწიფოთა აწინდელი მდგომარეობა საზოგადოდ.

ვიდრე მივყვები ევროპის სახელმწიფოთა საპოლიტიკო ცხოვრების განხილვას, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა მასზედ თუ რის მომლოდინე უნდა იყოს მკითხველი ამ მიმოხილვიდამ და რისა არა. ეს მით უფრო თამამად მეთქმის, რომ კარგად ვიცი რა გულიანად ადევნებს მკითხველი თვალსა და ყურებას ევროპის ხალხთა და სახელმწიფოთა მიმდინარე ცხოვრებას, ეს ცნობის-მოყვარეობა შეეხება, ანუ დაერთვის ორ მხარეს საგნისას: ერთის მხრით — თვითონ მოვლენას, ამბავს, ცნობას; მეორის მხრით — ამ ამბავთა, ამ ცნობათა დაფასებას, მოსაზრებას, მათზედ მსჯელობის დადგენას. ყველა ამას შესახებ გაზეთისა და ჟურნალის შორის დიდი განსხვავებაა. გაზეთს მოაქვს ამბები ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი. ამ ამბავთა შორის არის მრავალი იმისთანა, რომელთა მნიშვნელობა წუთიერია, ღირს-საცნობია მხოლოდ დღეს, ხვალ კი აღარა. მკითხველისათვის, რასაკვირველია, ეს არა კმარა; იგი ეძებს აგრეთვე ამბების დაფასებას, მოსაზრებას, მათთვის ღირსების შესხმას. გაზეთიც, რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად, ავად თუ კარგად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. მაგრამ ამის შესახებ მის მოსაზრებას ვერ ექმნება იმოდენა სიმკვიდრე, რამოდენაც შეუძლიან იქონიოს ჟურნალმა. ჟურნალს უფრო ფართო მეიდანი აქვს გადაშლილი ვიდრე გაზეთს, ე. ი. ჟურნალს უფრო დიდ მანძილზედ შეუძლიან გაასწვდინოს თვალი, უფრო ვრცელს ადგილს შეუძლიან გადაჰფინოს ნათელი, რადგანაც მის ხელთ არის მეტი მოვ-

ლენა, მეტი ფაქტი. რადგანაც, ერთის მხრით, ჩვენში არ არის იმის-თანა ვრცელი გაზეთი, რომელსაც შეეძლოს პირველის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სრულიად და უნაკლულოდ, და რადგანაც, მეორის მხრით ჟურნალს არ შეუძლიან ეს ნაკლულევანება შეავსოს და თან ბლომა ამბებიც შეატყობინოს მკითხველს და თან მათი დაფასებაც მოახდინოს, ამიტომ იძულებულნი ვიქმნებით მივაქციოთ მკითხველის ყურადღება თვე და თვე მხოლოდ ერთ-ორ ცოტად თუ ბევრად რთულს გარემოებას ევროპის მომდინარე ცხოვრებიდამ, უფრო მომეტებულად თვალ-საჩინოს, უფრო მომეტებულის მნიშვნელობისას. ჯერ-ჯერობით კი გადავავლოთ თვალი ევროპის სახელმწიფოთა აწინდელ მდგომარეობას.

«ივერიაში» მრავალი თქმულა საზოგადოდ აღმოსავლეთის საქმეზედ და აგრეთვე სლავიანთა მოძრაობაზედაც. ასე რომ მკითხველს კარგად ეხსომება ყოველი გარდასავალი, ყოველი ხანა ამ საქმისა. მკითხველს ეცოდინება აგრეთვე, რომ სული და გული აღმოსავლეთის საქმისა, მისი სიძნელე, მის დიდი ვაი-ვაგლახი გამოკვანძილია სახელმწიფოთა ცილობაზედ, ერთი-ერთმანეთის შურზედ. თუ სხვა რამე აქვს დართული ამ საქმეს—დართულია ძალაუნებურად: ან როგორც იარაღი ბრძოლისათვის, რომლის დედა-ბოძი არის კერძო და პირადი სარგებლობა, ან როგორც ძალი, რომელსაც ძალა-უნებურად ეძგერება იგი საქმე თვის მსვლელობაში, რაში არსებობს ეს ძალი—ამას ქვევით ვნახავთ, ეხლა კი ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ უკანასკნელი ხანა აღმოსავლეთის საქმისა, რომელზედაც «ივერიას» ვერ მოუხდა მოლაპარაკება.

როგორც მოგეხსენებათ, ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთის საქმე გადიქცა თითქო საკუთრივ ინგლისისა და რუსეთის შორის ბრძოლად, ჯერ ევროპაში და მერე აზიაში. ინგლისის მთავრობამ ჯერ წაჰკიდა ხელი სტამბოლს—არ დაგვანებებო, მერე ეძგერა აზიაში—ინდოეთის მფლობელობას შიში მოელისო და რუსეთის წინააღმდეგობისათვის და შეფერხებისათვის ომი გამოუცხადა ავღანისტანის

ემირს. საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ინგლისმა ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ მტკიცე ადგილი და გავლენა დაიჭირა აღმოსავლეთის საქმის წინაშე, მაგრამ წაჰკიდა ხელი ოსმალეთის მეგობრობასაც მცირე აზიაში, თუმცა ერთი ცვარი სისხლი არ დაუღვრია ამ გამარჯვებისათვის. ავღანისტანში კი, მართალია, სისხლის ღვრა დასჭირდა და ზარალიც მოუვიდა, მაგრამ ეს ზარალი არა არის რა შედარებით მასთან, რაც მოიგო ამ ზარალით ინგლისმა: დაიჭირა კარგა დიდი ადგილი შუა-აზიაში, დაიფარა ინდოეთი თავ-დასხმისაგან (თუ ჰქონდა რამე შიში), სახელი გაითქვა თვის ქვეშევრდომთა წინაშე ინდოეთში (თუ მართლა საჭირო იყო). ერთის სიტყვით აღმოსავლეთის საქმეს დაუდგა ახალი ხანა, ანუ უკეთ ვსთქვათ გამოუჩნდა ახალი მხარე, ან არა და იგივე ძველი-ახლად უჩვენა აშკარად. რუსეთს დიდი ხანია სახელი აქვს დავარდნილი, აზიაში მიიზიდება, თან-და-თან აზიის შიგ შუა-გულში ფეხებს ჰსდგავსო. მართალია თუ არა ამ გვარი მიდრეკილება და მსვლელობა რუსეთისა, ღმერთმა უწყის. რუსეთს როგორც მოგეხსენებათ მრავალი მტერი ჰყავს და ვერაფერი ნდობა უპყრია ევროპაში. რუსეთიო,—თითქო იძახოდა ევროპა,—უმთავრესად სამხედრო სახელმწიფო არისო, ესე იგი, მისი ძალა დამყარებულია მხედრობაზედ და იმ გვარად არისო მომართული, რომ თვისის დიდ-ძლიერებისათვის სხვა გარედ უნდა მოძებნოსო, რადგანაც თვის შინაობაში ვერაფერ ფართო მსვლელობას აძლევსო შინაგან ძალასა და ყოველ-გვარ წარმატებასაო. ამიტომ არც არის გასაკვირველიო, რომ რუსეთი სულ საზღვარ-გარედ მიიზიდებაო. რამდენად საფუძვლიანია ამ გვარი ლაპარაკი, რა მოგახსენოთ. ის კი ცხადია, რომ ევროპა ერთის თვალით უღიმის, მეორით ზურგს უკან გასცქერია—ხომ არას აპირებსო. ეს გარემოება ნამეტნავად შარშან გამოჩნდა აშკარად სლავიანთა განთავისუფლების თაობაზედ. ეგ ყველა კარგიო, მაგრამ თუ შეიძლება ცოტა იქით მიბძანდითო; იქნება სლავიანებმა თვითონვე იჩინონ როგორმე თავიო. ამასთანავე წამოდგა წინ ინგლისი, მოუარა ზურგს უკან, აზიიდამ—იქმნება აქ გნებავთ რამეო, რადგანაც ევროპაში მაგ-

დენი ვერაფერი ვერ შეიმინეთო, უკაცრავად კი არ ვიყო და აქ ვე-მე ვარ პატრონიო; ბათუმი და ყარსი დიდის სიამოვნებით მომირთმევიაო და სხვისა კი ნურას უკაცრავადაო! დახე ინგლისის უსვინდისობას! აგი მართლა დაჰპატრონებია ოსმალეთის მფლობელობას მცირე აზიაში, და წიხლი ამოჰკრა შირ-ალისაც ავგანისტანში. ინგლისმა, როგორც მოგეხსენებათ, ცალკე პირობა შეუკრა ოსმალეთს, რომლის ძალით ერთის მხრით კიპრის კუნძული დაიჩემა, მეორის მხრით პატრონობა იკისრა იმ ცვლილებათა აღსრულებაში მოყვანისა, რომელნიც უსაჭიროესად ჰსცნა ევროპამ ოსმალეთისთვის. რაც უნდა გაიხეთქო თავიო, ამბობდა ვითომ ინგლისი, მაინც ჩემზე მომეტებული ჭკუა და განათლება არ გამოგივაო; ეხლანდელ დროში კი, როდესაც ყურ-მოჭრილი მონაობა სამარადისოდ ამოვარდა ქვეყნიერობიდამაო და როდესაც ყველას სწყურიანო სიცოცხლე, თვით-არსი წარმატება და განვითარება, ჭკუა-გონებისთანა მტკიცე და მკვიდრი იარაღი არა არის რაო... ამაზედ შეჩერდა საქმე.

ეს არის ერთი გარემოება, რომელიც დაერთვა შარშან აღმოსავლეთის საქმეს. გარდა ამისა არის კიდევ მეორეც, რომელიც არა ნაკლებ მჭიდროდ,—ერთის მხრით მაინც,—დაერთვის აღმოსავლეთის საქმეს. მე ვამბობ წვრილმან ხალხოსნობის თვით-მყოფობაზედ, თვით-არსებობაზედ. თვითონ იმ ხალხებზედ, რომელნიც ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ ცხოვრობენ, ბევრი ლაპარაკი, რასაკვირველია, საჭირო არ არის. ყველამ იცის, რომ აღმოსავლეთის საქმის დაბოლოვება ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ და ამ ხალხთა თვით-მყოფობა, დაუმოკიდებელი არსება ისე მჭიდროდ არიან გადაბმულნი ერთი-ერთმანეთზედ, რომ ერთის დასრულება მოასწავებს მეორეს, და უმეოროდ შეუძლებელია. მაგრამ თვითონ ამ მჭიდრო კავშირობის ძალით აღიარებულ და დადგენილ იქმნა საკუთრად თვითონ დედა-აზრი, პრინციპი წვრილმან ხალხოსნობის თვით-არსებობისა, ავტონომიისა. თითქო დასძახა რაღაცა ხმამ: მოუარეთ, ხელი შეუწყეთ, თორემ დამრჩებით ცარიელნიო! ამ სახით, იმ საპოლიტიკო აზრთა და იდეათა შორის

რომელთაც თვით საქმით ამოქმედებდა ევროპა, ჩაჳდა და მიემატა კიდევ ეს ერთი. მართალია აქ ახალი არა არის რა და უწინაც ამოუყვია მას თავი· მაგრამ მისი უმეტესი მნიშვნელობა ამ ჟამად ცხადად დაგვენახა თუ მივიღეთ მხედველობაში ორი გარემოება: ერთის მხრით —ის მიმართულება, რომელსაც დაადგნენ ევროპის სახელმწიფოთა (უმეტეს ნაწილის) მთავრობანი თვის შინაობაში და რომელსაც შეიძლება დავარქვათ ზურგის მიცემა სპოლიტიკო წარმატებისათვის; მეორის მხრით—ის გარემოებაც რომ ზემოხსენებულმა თვით-არსების დედა-აზრმა თითქმის ერთის ფეხით აზიაშიაც გადმოაბჯინა. პირველ შემთხვევაში ხსენებულს უკუმცევს მოემატა მოწინააღმდეგე, მეორეში ხსენებულ დედა-აზრის, პრინციპის მოქმედობას გაუვრცელდა ასპარეზი.

ეს არი ეხლა მოვიხსენიეთ რომ მომეტებულ ნაწილს ევროპის სახელმწიფოებს წარმატების წინააღმდეგი მიმართულება დაეტყოთ მეტქი. ესეც ერთი თვალსაჩინო საქმეა, რომელიც აწარმოვა შარშანდელმა წელიწადმა. უპირველესი პატივი ამ საქმეში უნდა მიეცეს როგორც მოგეხსენებათ, გერმანიას. დაცალა თუ არა ვიღაცა ჰედელმა დამბაჩა იმ წამსვე ამოჰყო თავი ყველამ რაც კი უმზგავსი, დამპალი და სიკვდილს მიცემული რამ მოიპოვებოდა გერმანიაში. მთავრობას თითქო კიდეც გაუხარდათ. რა მოხდა? 1877 წლის არჩევანმა გაგზავნა რეიხსტაღში ცამეტი წევრი სოციალ-დემოკრატთა დასის მიმდევარი. ეს იყო უმთავრესი ტკივილი, რომელიც ძილს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა მთავრობას, ესე იგი ბისმარკს (თავიცა და ბოლოც ხომ ბისმარკია). ჰედელსაც დასწამეს სოციალ-დემოკრატობა და გამოსცეს კანონი მთელის დასის წინააღმდეგ. ამ კანონის ძალით, რომელიც მიღებულ იქმნა რეიხსტაღის მიერ განდევნილ იქმნა თვის სამშობლოიდამ მრავალი სოციალ-დემოკრატი; ან ვინც კი ცოტაოდენად ახლო მოუდგებოდა ამ დასს. გარდა ამისა მოსპობილ-იქმნა მრავალი გაზეთი ამ დასის ფეროვნების და მრავალი საზოგადოება, ასსოციაცია, რომელნიც მუშა კაცთა შემწეობისათვის იყვნენ დაარსებულნი.

ამოჰყო თავი კლერიკალობამაც. ბისმარკი და კლერიკალები ამას წინად ერთი-ერთმანერთზედ გადამტერებულნი ეხლა კი ერთად, თითქმის ხელი-ხელ გაყრილნი მისდევენ ერთსა და იმავე საქმეს — წინააღმდეგობას თავისუფლებისა და წარმატებისადმი. ბისმარკი ბოლოს იქამდისინ მივიდა, რომ შეთხზა კანონი პარლამენტში შესატანად, რომლის ძალით დეპუტატს, ხალხის წარმომადგენელს, თითქმის სრულიად უნდა წაერთვას სიტყვის თავისუფლება; ამ კანონის ძალით შეიძლება აჰყაროს დეპუტატს თვითონ დეპუტატობაც.

„ივერიის" მკითხველებს ეხსომებათ არა ერთხელ გამოთქმული აზრი, რომ იმ გვარი ავ-კაცობა, როგორიც მოახდინეს ჰედელმა და ნობილინგმა, შეიძლება კლერიკალების საქმე ყოფილიყოს. ნამდვილად ასეა თუ არა, ღმერთმა უწყის. მაგრამ ბევრი საბუთი კია მხედველობაში მიიღოს კაცმა ეს აზრი ეხლა, როდესაც პაპისა და ბისმარკის შორის დაახლოვებას თითქმის ეჭვი აღარა აქვს; როდესაც ახალმა პაპმა გამოსცა ეპისტოლე რომლითაც მხარს უჭერს ბისმარკს და უგზავნის რისხვას და შეჩვენებას არამც თუ მარტო სოციალ-დემოკრატებს, არამედ ყოველ-გვარ განათლებას, წარმატებას, რომელიც კი მოუპოვებია კაცობრიობას ამ უკანასკნელ ორ-სამ საუკუნის განმავლობაში.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, შარშანდელ „ივერიაშიაც" იყო მოკლედ მოხსენებული მათი მდგომარეობა იმ მხრით, რომელსაც აქ ვიხსენიებთ... იმ მწყვდიადში, რომელიც მოჰფენია ევროპას, დგას საფრანგეთი როგორც მნათობი, წარმატების გზის მაჩვენებელი სხვათათვის. საპოლიტიკო მნიშვნელობა საფრანგეთისა ყოველთვის ყოფილა განუსაზღვრელი. ეხლაც ისეა. რითი იპყრობს ქვეყნის ყურადღებას საფრანგეთი? . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . საფრანგეთის თვალ-საჩინობა არსებობს

მის შინაობაში და იმიტომ არის არა წუთიერი, არამედ სამარადისო. ეს მეტადრე ითქმის ეხლა, როდესაც საფრანგეთში დამკვიდრდა რესპუბლიკა. დამკვიდრდა მეთქი, რადგანაც აღარ სუფევს უწინდელი განხეთქილება სენატისა, დეპუტატთა პალატისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის შორის,—განხეთქილება რომელიც დიდ განსაცდელს მოასწავებდა რესპუბლიკისათვის თუ არ მოსპობილიყო. სენატის უმრავლესობა იყო რესპუბლიკის წინააღმდეგი, პრეზიდენტათ იყო მონარხიის მიმდევარი მარშალი მაკ-მაგონი. ეხლა კი 5 იანვრის არჩევანის შემდეგ სენატის უმრავლესობა ეკუთვნის რესპუბლიკელთ დასს. გამოვიდა სამსახურიდამ მარშალი მაკ-მაგონიც. შარშან გამბეტტამ ერთს თავის სიტყვაში სთქვა: ერთი დღეც არ გავაო მაკ-მაგონის სამსახურიდამ გამოსვლისა და მის მოადგილის დანიშვნის შორისო. ესეც მოხდა კიდეც იმავე დღეს, როდესაც მაკ-მაგონმა წერილით შეატყობინა პარლამენტის პრეზიდენტს თავისი სურვილი, შესდგა საერთო კრება სენატისა და დეპუტატთა პალატისა მაკ-მაგონის მოადგილეს ამოსარჩევად. ამ გვარად გამბეტტას წინასწარმეტყველობა გამართლდა. რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამოირჩიეს გულ-წრფელი რესპუბლიკელი გრევი, დეპუტატთა პალატის თავ-მჯდომარე. მაკ-მაგონის სამსახურიდამ გამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ არ დათანხმდა სამინისტროის ახალს პროგრამმას, რადგანაც იგი პროგრამმა იხოულობდა, რომ მთავარ-სარდალნი და უმთავრესი ჯარის კაცები გამოცვლილ ყოფილიყვნენ და მათ მაგივრად დანიშნულ ყოფილიყვნენ ერთ-გული მსახურნი რესპუბლიკისა. მაკ-მაგონმა ვერ იშვიათია ეს და დაანება თავი სამსახურს. ამ გვარად დღეს რესპუბლიკა დამყარებულია საფრანგეთში. ყველა დიდის ყურადღებით შეჰყურებს საფრანგეთს, რომელიც ეჭვი არ არის გულს-მოდგინედ დაადგეს შინაგან წარმატებას და განვითარებას.

საფრანგეთი დგას ვით მნათობი მეთქი, სხვათა სანუგეშოთ. თუმცა გამბეტტა ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენის ქვეყნისათვის ვზრუნავთო და სხვისა არა გვენაღვლება რაო. გამბეტტას, რომლის-

კენაც მიქცეულია მთელის გაფითრებულ ევროპის ყურადღება, რასაკვირველია, უჭირს სიფრთხილე და წინ დახედვა. მაგრამ ძალა სიკეთისა, ჭკუა-გონების წარმატებისა და შინაგანის განვითარებისაც იმაშია, რომ იგი უნებურად, უნდა თუ არ უნდა, ზედ მოქმედობს სხვაზედაც. ამიტომაც ჩვენ საპოლიტიკო მიმოხილვაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქმნება საფრანგეთისაკენ.

---

## რედაქციისაგან

ეს ნომერი ჟურნალისა უფასოდ მისდის ჩვენ შარშანდელ ხელის მომწერლებს, გაზეთის იმ ნომრების ბადლად, რომელთაც მოკლებულნი იყვნენ წარსულ დეკემბერში. ვისაც ჰსურს შემდეგშიაც მიუვიდეს «ივერია», რედაქცია სთხოვს დროზედ გვაცნობოს.

ამ წიგნმა კარგა დაიგვიანა. რედაქცია ბოდიშს იხდის და ამასთანავე შემდეგისათვის აღიარებს იმედს ჟურნალის დროზედ გამოსვლისას.

---

# რამეთუ კაცი ვარ.

(დასასრული *)

## XV

ხელახლად მოისმა სირონის ხმა. „უეჭველია, სირონს ხმაურობა გაგვცემს," იფიქრა პავლემ, წამოვიდა სირონასაკენ და ჩქარის ნაბიჯით შეუდგა აღმართს.

„დღეს კი, მე მგონია, იმ თამამმა ვაჟ-ბატონმა აღარა იკადროს რა,—ბუტბუტებდა თავის-თავად პავლე: იქნება ხვალაც, რადგანაც ლურჯი ნიშნები მოაგონებენ ჩემს თავს. საკვირველია, რომ ძნელად ავიწყდება კაცს, რაც ოდესმე ჰსცოდნია! ის ზურგული, რომლითაც მე დავეც პოლიკარპი, დედისაგან მქონდა ნასწავლი,—და მას აქედ რამოდენი ხანია გასული! დიახ, ჯერ ტვინი არ ამომშრომია და მე ამას დავუმტკიცებ ჩემის მუშტებით იმ გათამამებულს ვაჟ-ბატონს, თუ გაბედა და ორიოდ სამიოდ თავის მგზავსი ჯაცო მოიყვანა მეშველად!"

დიდხანს არ დაჰსცალდა პავლეს ამ ფიქრებში გართობა: მღვიმისაკენ მიმავალს ბილიკზედ წინ შეემთხვა სირონა.

— პოლიკარპი რადა იქნა? დაუძახა სირონამ ჯერ კიდევ შორიდამ, თვალი მოჰკრა თუ არა პავლეს.

— უკანვე გავისტუმრე,—მიუგო პავლემ.

— დაიჯერა და გაბრუნდა?

— ზოგიერთი ყუათიანი საბუთები ვიხმარე, უპასუხა პავლემ.

— ხომ კიდევ მოვა?

*) «ივერია» № 48. 1878 წლისა.

— ჯერ არა მგონია, რადგანაც რაც საჭირო იყო, ჩემგან ყვე-ლაფერი გაიგო. ეხლა ჩვენ უნდა მოვიფიქროთ შენს წასვლაზედ ალექსანდრიაში.

— მე კი მგონია,—უპასუხა სირონამ და აწითლდა: რომ ამ მღვიმეშიაც არაფერი მემიზეზება, აქაც კარგად ვიქნები. თვითო შენც გითქომს ეგ ამას წინად....

— მე მარტო გავითხილებდი ალექსანდრიაში ყოფნის თაობა-ზედ, გააწყვეტინა სიტყვა პავლემ:—ეხლა კი მე მომაგონდა შენთვის ერთი კაი ბინა და საიმედო მცველი. აი შინაც მოვედით. მღვიმეში შედი, თორემ შენი ძახილი უცხო კაცის ყურამდე მიახწევდა და თუ სხვათა მეუდაბნოეთა შეიტყეს შენი აქ ყოფნა, ძალად წამაყვაინებენ შენს თავს შენს ქმართან.

— ეხლავ შევალ,—ჰსთქვა ოხვრით სირონამ: ჯერ ერთი ეს ამიხსენ, მე ხომ თქვენი ლაპარაკი სულ მესმოდა,—ხელახლად წამო-წითლდა სირონა: ეს როგორ მოხდა, რომ გერმასის ტყავუჭში ფე-ბიცემ შენათ იცნო და შენც თავი არ გაიმართლე და ტყუილ-უბრა-ლოდ ეცემინე.

— იმიტომ მოხდა, უპასუხა პავლემ: რომ ჩემი მხარ-ბეჭი უფრო განიერია, ვიდრე იმ ახოვან ვაჟ-ბატონისა. ეხლა კი ბოდიშს ვიხდი და მერე კი, როცა უფრო გულ-დაწყნარებით ვიქნებით, ყველა-ფერს დაწვრილებით გიამბობ. ჯერ მღვიმეს შეეფარე, თორემ საქმეს სულ გამიფუჭებ. მე ვიცი რომ მას აქედ რაც სენატორის შვილის საუბარი გაიგე, ერთს რასმეს ნატრულობ.

— აბა რას? ჰკითხა სირონამ.

— სარკეს,—გაუცინა პავლემ.

— რა რიგად ჰსცდები! უპასუხა ქალმა და მღვიმეში მიმავალმა გაიფიქრა: „ის, ვისაც პოლიკარპი იმ თვალით უყურებს როგორც მე, თავის დღეში სარკეს არ ინდომებს.“

მთას იქით ჩასავლეთისაკენ, მეთევზეების სოფელში ერთი მო-ხუცებული სოვდაგარი ურია იდგა; იგი ეგვიპტეში ჰგზავნიდა ხოლმე

ნახშირის გასასყიდლად და ერთს დროს პავლეს მამასთანაც გაჭრობა ჰქონია, რადგანაც მის ქარხანებს ეს უგზავნიდა ნახშირს, და არა ერთხელ თვითონ პავლესაც ამასთან საქმე დაუჭერია. ეს ურია იყო ჭკვიანი და შეძლებული კაცი. რამდენჯერაც შეხვედრია პავლეს, იმ-დენჯერ უყვედრებია, რად გაუდებ წუთის სოფელსაო, იწვევდა თა-ვისთან და ეუბნებოდა, აი ჩემი ქონება, როგორც გინდა ისე მოიხ-მარეო. აი ეს ურია იყო ის კაცი, რომელსაც გემი უნდა ეშოვნა და სირონა გაესტუმრებინა ალექსანდრიაში.

რამდენსაც პავლე ჰფიქრობდა სირონას წავლაზედ, იმდე-ნად გული ეუბნებოდა, რომ უნდა მე თვითონ გავაცილო სი-რონა ალექსანდრიამდე, მივიყვანო და მე თვითონ აუჩინო სა-მედო ბინაო. იცოდა, რომ თავისუფლად შეეძლო მოეხმარებინა გა-ნუზომელი სიმდიდრე თავის ძმისა, მით უფრო რომ ნახევარი თვითონ პავლეს ეკუთვნოდა. აი რამდენი წელიწადი გასულა და ეხლა პირველად იგრძნო სიხარული მისი, რომ შეძლება აქვს. დაიწყო ფიქრი მასზედ თუ როგორ მოუმზადებს და მოურთავს სადგურს მშვენიერს სირო-ნას. ჯერ ამბობდა გულში ერთი უბრალო, მაგრამ ფაქიზი ბინა უნდა ამოვურჩივოო, მერე კი თან-და-თან ფიქრად მოუვიდა სახლის მორ-თვა ბრწყინვალეს ოქროთი, თეთრის და ვარდის ფერის მარმარი-ლოთი, მრავალ-გვარის ძვირფასის საფენით, მშვენიერის მხატვრო-ბითა და ლუსკუმებითა.

ამ ფიქრებში გართული დადიოდა წინა და უკან; ხშირათ გა-ჩერდებოდა ხოლმე მღვიმეს კარებთან, სადაც სირონა იყო. ერთხელ თვალი მოჰკრა მის ფერ-ლია კაბას და ჰსთქვა, რომ ამ კაბით არ უნდა ეჩვენოს იგიო არავის, რომ ყოველივე კვალი დაუკარგოს ფე-ბიცის და პოლიკარპს; ამისათვის უბრალო კაბა უნდა ეშოვნა და პირ-ბადე, რათა იმის ქვეშ დაემალოს ბრწყინვალე თმა და თეთრი პირის სახე, რომლის მგზავსი თვით ალექსანდრიაშიაც ძნელად მოი-პოვებოდა.

იმ ადგილიდამ სადაც პავლე იდგა ამ ჟამად, პატარა მოშორებით იყო ქოხი ამალიკეტელისა, რომელმაც ორიოდ ჯერ თხის რძე მიჰ-

სცა პავლეს სირონასათვის. ამ კაცის ცოლისა და ქალისაგან პავლემ განიზრახა სყიდვა რაც საჭირო იყო სირონასათვის. ბევრი აღარ უფიქრია, და გასწია იმათკენ, თუმცა ცა მოიღრუბლა და სამხრეთი-დამ თბილი სულთა-მხუთავი ქარი ადგა.

მზე გადიწურა და მაინც კიდევ სისხლის ბუღი იდგა ჰაერში. პავლემ ყური არ ათხოვა ამ ავდრის ნიშნებსა, მივიდა მღვიმესთან, დაუძახა სირონას, მე ეხლავ მოვალო და გასწია სწრაფის სიარუ-ლით.

სირონამ გზა მშვიდობისა უთხრა ასე, რომ არც კი მოჰხედა პავლეს, რადგანაც ძალიან იამა მარტოდ დარჩენა: მიჰსწყდა პავლეს ფეხის ხმა თუ არა, სირონა ხელახლად განიტაცა იმ ძლიერმა და უძლეველმა გრძნობამ, რომელიც გულში გაუღვიძა მას ცეცხლ-მოკი-დებულმა ლაპარაკმა პოლიკარპისამ.

პავლე ამ უკანასკნელ დროს მენანდრათ გადიქცა, ხოლო ეს ქა-ლი კი, ეს მღვიმეში მარტოდ დამწყვდეული არსება, ეს ცოლი ფე-ბიცისა, რომელმაც ამდენი შრომა მიაყენა პავლეს, უფრო ძლიერ გამოიცვალა.

ეს სირონა იყო, მაგრამ უწინდელი სირონა კი აღარ: როცა მეუდაბნოემ ურჩია მღვიმეში შესვლა, სირონა სიხარულით დაემორ-ჩილა: თვითონვე უნდოდა მიმალულიყო სადმე, რომ მარტო, სრუ-ლიად მარტო დარჩომილიყო, რადგანაც ჰგრძნობდა, რომ მის გულ-ში რაღაც ამბავი მოხდა, რაღაც დიდებული და გაუგებარი; ჰგრძნობ-და, რომ მის გულში რაღაც ჩაისახა, რაღაც იმისთანა, რის გამოთ-ქმაც სიტყვით ვერ მოეხერხებინა, ჰგრძნობდა კი რომ, ის რაღაცა ძლიერი რამ არის, უქადის სიცოცხლეს, სავსეს ამოვნებითა, და მღელვარებითა. ის რაღაცა მას ეუცხოებოდა, ამასთანავე ისეთი ტკბი-ლიც იყო, ისეთი მიმზიდველი, ისეთის ნეტარებით აღსავსე, ისეთი მწვავი, ისეთი უზომოდ მომხიბლავი! რაღაც მღელვარებამ შეიპყრა მთელი მისი არსება და ეგონა, რომ ახალმა, უფრო წმინდა სისხლმა დაუწყო ძარღვებში დენა მას აქედ, რაც ყური მოჰკრა პოლიკარპის

ცხარე ლაპარასა. ყოველი ძარღვი უთრთოდა, როგორც ფოთოლი, როცა ნიავი ჰსცემს. ამ ყოფაში ვერ დაუგდებდა რიგიანად ყურს პავლეს ლაპარაკსა და ვერ მიჰსცემდა რიგიანს პასუხს.

დარჩა მარტო თუ არა, მაშინვე მიჯდა თავის ქვეშაგებზედ, მუხლზედ დაიყრდო მკლავი, მკლავებზედ თავი დაასვენა და წასქდა თვალთაგან ცხარე ცრემლი ორტოტად. ამ ცრემლებმა გაუნელეს ის მხურვალე გულის-თქმა, რომელიც უფრო და უფრო ცეცხლს უკიდებდა.

აგრე თავის დღეში არ უტირნია!

ბევრის ოდენა ტკივილი, ბევრის ოდენა სიმწარე არ ერია იმ წმინდა და გამაგრილებელ ცრემლთა ცვარში. მის გულში გადიშალა რაღაც საუცხოვო ყვავილი აქამდის უცნობ სიუხვითა და სიტურფითა. როცა ბოლოს ცრემლი სრულად ამოეწურა გულიდამ, დაუამდა გული და გაუნათლდა სხივოსანის ნათლითა. დიახ, სირონა იმ წამს იყო უბედურიც და ამასთანავე უბედნიერესი დედა-კაციც!

„ეს სიყვარულიაო,“ გალობასავით, ჩანგის ბგერასავით ხმაურობდა ეს სიტყვები მის გულში. მოაგონდა უწინდელი დრო და ყველა უწინდელი თავისი თაყვანის-მცემელნი, რომელნიც ეტრფიალებოდნენ ჯერ კიდევ როცა ბავშვი იყო არელასში და მერე რომში ქრმის შერთვის შემდეგ. ყველა ისინი ჩრდილნი იყვნენ წვრილის სანთლებით ხელში პოლიკარპის წინაშე, რომელიც წინ მედიდურს მზეს მოიმძღვარებდა.

„რაც ქვეყნიერობაზედ ხალხია, რაც მეფენი არიან, — ამბობდა სირონა: სულ რომ ყველამ თავისი საუნჯე მომიტანოს და ფეხ-ქვეშ გამიფინოს, მაინც ისე ვერ გამამდიდრებდნენ, როგორც იმან გამამდიდრა. რაც ვარსკვლავებია რომ სულ ჩამოცვივდნენ და შეადგინონ ერთი მნათობი, მაშინაც მათი შუქი ისეთი ბრწყინვალე არ იქნება, როგორც შუქი იმ სიამოვნებისა, რომელიც მე ეხლა გულში მაქვს. ეხლა რაც მოვა მოვიდეს, — ამას იქით მე აღარას ვიჩივლებ.“

შემდეგ გაიხსენა ყოველი შემთხვევა როცა კი ენახა პოლიკარპი, გაიხსენა რომ არასოდეს პოლიკარპს ერთი სიტყვაც არ წასცდენია თავის სიყვარულის თაობაზედ.

ეგ თავის შემაგრება რა ძვირად დაუჯდებოდა! ის აზრი რომ თვითონაც წმინდაა და ღირსია პოლიკარპისა, სირონას გულს უვსებდა უზომო თავ-მოწონების გრძნობითა და მადლითა. თითქო ამ აზრისა გამო ფრთა გამოებაო იმ სიყვარულს, რომელიც მიჰმართა მარტო ერთს კაცს მთელს ამ ქვეყნიერობაზედ,—სიყვარულს მაღალს, წმინდას, რომელიც შექმნა სარწმუნოებაო და ხატად თაყვანებისა და ლოცვისა.

გული ძლიერ უცემდა, ხელნი განეპყრნენ თითქო მთელის ქვეყნის მოხვევნა უნდაო, თითქო უნდაო ყოველს სულდგმულს, ყოველს ქმნილებას ამ დედა-მიწის ზურგზედ თავისი მადლი და სიყვარული გამოუცხადოსო. მის სულს ჰსწყუროდა მადლის გადახდა წინაშე უმაღლესისა და მოწყალე არსებისა, რომელმაც მოანიჭა ამოდენა ნეტარება.

მოაგონდა, რომ ამ წინაზედ პავლე ურჩევდა, თაყვანი ეც ნათელ-ღებულს ღმერთს ქრისტიანობისასაო, რომელიც თანასწორად განავრცობსო ყველაზედ თავის ღვთაებრივს სიყვარულსაო. ამავე ღმერთის ლოცულობს თვით პოლიკარპიც, ჰფიქრობდა სირონა: იქნება ამ ჟამადაც და თუ მეც ვილოცებო, ჩვენი ლოცვები შეერთდებიანო და მაშინ ერთგან მაინც თანაზიარი ვიქნები იმ საყვარელის კაცისა, რომელზედაც მე ასე შორსა ვარო.

დაეცა მუხლებზედ, დაიკრიფა გულზედ ხელები ისე, როგორც ენახა ქრისტიანთაგან და გაიხსენა იგი არსება, რომელიც უდანაშაულოდ ეგეთის მოთმინებით იწამა, როცა ჯვარზედ ეკიდა ხელ-ფეხ დალურსმული. გული ავსო დიდის ტკივილითა და თვალნი ზე ამართა და ნელის ხმით ჰსთქვა:

— „მე შენ მოგმართავ წამებულო, მოწყალეო ძეო ღვთისავ: შენ უწყი რა მძიმედ ასატანია უსამართლო წყევა ადამიანთაგან და შენ ადვილად ჰსცნობ, რა რიგად უნდა მტკივნეულობდეს ამით გული ჩემი!

„ხოლო ამბობენ, რომ გული შენი სავსეა განუზომელის სიყვარულითა და ამიტომაც მიმიხვდები იმასაც, რომ მე, ამოდენა ტანჯვის მნახველი, ვხადი ჩემს თავს უბედნიერეს დედა-კაცათ. თვითონ შენც, უსათუოდ, ამასავე ჰგრძნობდი, როცა გაწვალებდნენ შენ და შეგინებულ გყოვდნენ, — შენც ხომ სიყვარულის გამო წვალებულ იქმენ.

„იგინი ამბობენ, რომ შენ იყავ სრულიად წმინდა და უმანკო; მე კი, რასაკვირველია, ბევრი სულელობა ჩამიდენია, მაგრამ ცოდვა კი, ჭეშმარიტი ცოდვა ჩემს დღეში არ მიქნია! ეს ხომ თვითონ შენ უნდა იცოდე, — შენ ხარ ღმერთი და ადამიანთა გულთა მხილავი. რასაკვირველია, მე ვნატრობ, სულითა და გულითა ვნატრობ რომ საუკუნოდ ვიყო უმანკოებით მოსილი, მაგრამ რა ვქნა, რომ მე პოლიკარპისა უნდა შევიქნე მაშინ, როცა კანონით სხვას ვეკუთვნი?

„განა შესაძლოა ჭეშმარიტი მეუღლეობა იმ კაცთან, რომელიც საზიზღარის გარყვნილობით, რომელმაც უნამუსოდ სხვას მიმყიდა? იგი ისე ეუცხოება ჩემს გულს, ისე ეუცხოვება, თითქო ჩემს თვალს თავის დღეში არ ენახოს. მაინც კიდევ, მერწმუნე, მე იმისათვის ცუდი არა მინდა რა, მე მსურს მხოლოდ თავის დღეში იგი თვალით აღარ ვინახულო.

„პოლიკარპი კი!... ჰოი, ნეტა ეხლა აქ იყოს!

„იმან ჰსთქვა რომ მე იმის საკუთრება ვარ, — თუმცა ამისი მიზეზი თავის დღეში არ მიმიცია, მაგრამ ეხლა კი!... იმას რომ რამე ფათერაკი, ან მწუხარება მოელოდეს, მე თუმცა ძნელად ვიტან ტკივილს და სიკვდილისაც მეშინიან, მაგრამ მაინც კი ხმა ამოუღებლივ ჯვარს გავეცმოდი, ლურსმით ზედ დაველურსმებოდი, თუ რომ იმითი დავიხსნიდი მას, როგორც ჰქმენ შენ, რათა დაგვიხსნა ჩვენ ყოველნი.

„ხოლო იმან უნდა იცოდეს კი მაშინ, რომ მე იმის გულისთვის ვკვდები. და როცა იგი თავის მშვენიერის თვალით ჩაიხედავდა ჩემს გასაქრობათ მილეულს თვალებში, მაშინ ვეტყოდი; აი როგორ გადაგიხადე შენი სიყვარული, რომელიც უზომოდ უმაღლესია სხვა

ყველა სიყვარულზედ რაც კი ამ დღემდი მე მინახავს და გამომიცდია. ნუ თუ იგი, რაც ასრე უზომოდ უმაღლესია ყოველს კაცობრიულზედ ღვთისაგან არ უნდა იყოს ზეგარდამო ჩაგონებული! ნუ თუ ამ გვარი სიყვარული ცოდვა უნდა იყოს! მე არ შემიძლიან ამის პასუხის-გება, იმიტომ რომ არა ვიცი რა, შენ კი, ჰოი ძეო ღვთისავ, ღმერთი ხარ და უნდა იცოდე. იგინი შენ კეთილ-მწყემს გიწოდებენ, მაშ შეგვყარე ჩვენ ერთმანეთს, ანუ გაგვაშორე, — ერთის სიტყვით, ჰქმენ ის, რაც უმჯობესია პოლიკარპისათვის და თუ შესაძლოა ერთმანეთი გვაჩვენე ერთის საათს მაინც! მარტო ის მინდა, შევატყობინო იმას, რომ მე ისეთი ბოროტი არა ვარ; რომ საწყალს სირონს სურდა მასთან შეერთება, მარტო მასთან და არავის სხვასთან. მინდა მარტო ეს შეეტყო იმას და მერე თუნდა მომკვდარიყავ კიდეც. კეთილო, ჰოი კეთილო მწყემსო, მიმიღე მეც შენს სამწყოში და წარნამძღვარ იქმენ ჩემი!"

ეგრე ილოცდა სირონა და ალერსით სავსე მშვენიერი სახე ჭაბუკისა თვალ-წინ ედგა.

მოეჩვენა რომ შევიდა ვითომ პოლიკარპის ოთახში და დაიწყო მილაგ-მოლაგება, პოლიკარპი კიდევ თვალს ადევნებს ყოველს მის მოძრაობას და თვალს არ აშორებს. უეცრად წამოვიდა სირონასაკენ; შედგა და... გაშალა ხელები რომ მოეხვიოს. სირონა შეკრთა, დაიფარა პირის სახე და გულდაკლდომით დაეცა მის გულზედ. წასქდა თვალთაგან სიხარულის ცრემლი, გაშალა ხელები რომ ყელზედ მოეჭიდოს საყვარელს კაცსა, მაგრამ ამ დროს ტკბილმა ოცნებამ უეცრად გაუფთხა. რაღაც ნათელმა გაიელვა მღვიმეში და გაანათლა სიბნელე. ზედ მოჰყვა გრიალი ქუხა-ქუხილისა.

ოცნებიდამ გამოსული სირონა მივიდა მღვიმის კარებთან და გაიხედა. ბინდი მწყვდიად ღამედ გარდაქცეულიყო, შავი ღრუბელი მოჰფენოდა ცას და სხვილი წვიმა შუილით მოდიოდა. პავლე კი არსად ჰსჩანდა. უფრო და უფრო მოუხშირა ქუხა-ქუხილმა და ელვამ; უფრო და უფრო ბნელდებოდა. საშინელმა შიშმა აიტაცა სირონა; დაუწ-

ყო უურება მთასა, რომლის წვერები ბნელ ზეწარში შეხვეულნი, ხანდისხან განათლდებოდნენ ხოლმე, როცა ელვა გაიკლაკნებოდა ცაზედ.

ერთი-ერთმანეთზედ ცეცხლის ისრები გველებსავით მიიგრიხებოდნენ შავს ღრუბლებშია, ერთი-ერთმანეთს მოსდევდა გრიალი ჭექა-ქუხილისა, თითქო უშველებელი ბუკია, ისე გაიხმაურებდა ხოლმე, მერე ერთი საშინლად დაიჭექებდა გრიალით წავიდოდა და შორს სადმე მიჰსწყდებოდა.

უეცრად ერთი საშინელი მეხი ჩამოვარდა და გაბრწყინდა ცა ელვისაგან, კლდე, სადაც სირონას ბადგური იყო, შეინძრა. მოიბუზა სირონა, კანკალით გაიქცა და მიიმალა მღვიმის კუნჭულში და ყოველთვის როცა ელვის ალი უეცრად გაინათებდა მღვიმეში, სირონა თრთოდა.

ბოლოს ელვამ თან-და-თან იკლო, ქუხილი ისეთის ძალით აღარ გრიალებდა და დასასრულს ყოველივე მიჰსწყდა: ავდარმა გადიარა და სამხრეთისაკენ დაეშო.

## XVI

მღვიმეში თვალ გაუვალი სიბნელე იყო, საშინელი სიბნელე და რამოდენადაც სიბნელე მატულობდა, იმოდენად მატულობდა შიში და ელდაც სირონასი. როგორც წყალ-წაღებულს წყლის ნაპირი ენატრება ისე სირონას ენატრებოდა სინათლე. ზოგჯერ თვალებს დაიხუჭავდა რამოდენადაც შესაძლოა მაგრად, სცდილობდა წარმოედგინა სხივოსანი შუქი ნათლისა.

შიშმა ამოუშრო გული სხვა და სხვა საშიშარის სურათითა და ელდითა. ვინ იცის, იქნება პავლემ სულაც თავი დამანება და დამაგდო ჩემის ბედის ანაბარად? იქნება ამ საშინელებაში მთებში მოსწრო პოლიკარპს ჩემს საძებნელად წამოსულსა და ბნელაში კლდეში სადმე გადიჩეხა, ანუ მეხი სადმე დაეცა და სული გააფრთხობინა? ან კლდე, მღვიმეს შემოსავალის თავზედ გადმოშვერილი, რომ მოირღვეს და გზა შემიკრას, რა მეშველებაო? მაშინ ხომ ცოცხლად დამარხულს აქ მარტოდ მარტო უნდა ნელ-ნელა ამომივიდეს სული, ისე მოვკვდე

რომ ვეღარა ვნახო ის, ვინც ასე მიყვარს, ისე გამოვესალმო ამ წუთის სოფელს, რომ ვეღარ უთხრა მას, რომ მე შენს გულს არ ვუმტყუნე.

ამ ფიქრებით ელდა ცემული სირონა წამოხტა და ხელების ფაცურით გაიგნო გზა და მღვიმეს გარედ გამოვიდა. ვეღარ აიტანა ეს ხმა-ამოუღებელი მარტოობა და საშინელი სიბნელე. მაგრამ ფეხი გააცილა მღვიმის შემოსავალს თუ არა, მოესმა ვიღაცის ფეხის ხმაურობა. ახალმა ელდამ შეიპყრო ქალი. ვის გაუბედნია ამ კლდეებზე სიარული ამ თვალ გაუვალ ბნელა ღამეში? იქნება პავლე იყოს? იქნება პოლიკარპიც არის და სირონას დაეძებს? ამ უკანასკნელის ფიქრით ატაცებულმა სირონამ წაივლო გულზედ ორივე ხელი, უნდოდა ხმა გაეცა, მაგრამ ენა დაუდუნდა და ხმა გაუწყდა.

თრთოლით და კანკალით სულ განაბული ყურს უგდებდა თან-და-თან ახლო და ახლო მომავალს ფეხის ხმაურობას. მომავალმა თვალი მოჰკრა თეთრს კაბას და ხმა მოჰსცა. ეგ იყო პავლე. პავლეს ხმაზედ გულზედ მოეშო სირონას, თითქო ერთი მძიმე ქვა აეცალათ და სალამზე სალამი მიჰსცა.

— მე მგონია, ჰსთქვა მეუდაბნოემ: ამისთანა საშინელებაში შიგნით ყოფნა უმჯობესი უნდა იყოს, ვიდრე გარედ. იმაზედ კი მაინც გული დაჯერებული მაქვს, რომ ამისთანა ჰაერში ყოფნა ვერავრად მოსაწონია.

— თვითონ შიგ მღვიმეშიაც საშინელება იყო, უპასუხა სირონამ: მე დიდი შიში და ელდა გამოვიარე ამ საშინელს სიბნელეში რომ მარტო ვიყავი. ჩემი პატარა ძაღლი მაინც მყოლოდა, — რაც უნდა იყოს სულიერი მაინც იყო.

— მე ძალიან ვეჩქარებოდი რამოდენადაც კი შესაძლოა, ადამიანისთვის. მაგრამ აქ გზები ისე გატკეცილი არ არის როგორც ალექსანდრიის ქუჩებში და მე რადგანაც ცერბერი არა ვარ და სამი თავი არ მაბია, ამისათვის ვამჯობინე ნელა ვიარო მეთქი და შინ მშვიდობით მივიდე მეთქი. ივრინველმა, რომელმაც ეგ ქარიშხალი მოგვიტანა,

ერთბამად შთანთქა თითქო მუმლიაორაც ვარსკლავები იყო, და ბებერი მთა ისე შეწუხდა ამ ამბავზედ, რომ ყოველ მხრიდამ მის ქვიანს ლოყებზედ წამოსქდა ნიაღვარი ცრემლისა. აქაც კი სისველეა! მღვიმეში შედი, ერთი სადმე მშრალს ადგილს გამაშლევინე რაც მოგიტანე: ხვალ საღამოს ბინდი ჩამოვარდება თუ არა, გზას შევუდგებით. გემი ვიშოვე, რომელიც კლეზღას მიგვიყვანს და იქიდამ მე თვითონ წაგიყვან ალექსანდრიამდე. აი ამ ტყავშია გახვეული ტანისამოსი და ჩადრი. თუ გინდა რომ გზა-კვალი დაუბნიო ფებიცის, ამ ტანისამოსით უნდა მოირთვა, თორემ თუ მაგ ტანისამოსით გნახეს, შენ ფებიცის ვერ დაემალები.

— მე მგონია, აქაც კარგადა ვარ დამალული, უპასუხა სირონამ: მე ზღვაში სიარულისა მეშინიან. ამასთანაც თუნდაც მშვიდობით მივიდე ალექსანდრიაში, მაინც კიდევ არ ვიცი როგორ...

— ეგ ჩემი საქმეა, შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე დავაბინავებ, გააწყვეტინა სიტყვა პავლემ: ხომ გაგიგონია ლომისა და ვირის ზღაპარი. აი ეგრეა ხოლმე, რომ ხშირად ლომს ვირის ტყავი აცვია. გუშინ შენ სიამოვნებით იგონებდი სრა-სასახლეების მედიდურობას და ნატრობდი მათში მცხოვრებელის ბედნიერებას. შენც ერთს იმისთანა მარმარილოს სრა-სასახლეში იდგები და როგორც პატრონი ისე მოიხმარებ, არავინ შეგეცილება. რაც შეეხება ტახტრევანს, ეტლსა, შინა მოსამსახურებს, იმისი მე ვიცი, ყველაფერს გიშოვნი. ნუ ეჭვობ, მე იმისთანას არას დაგპირდები, რომ ასრულება არ შემეძლოს, — დამიჯერე. აი წვიმასაც გადუღია, ეხლა ცეცხლს ავანთებ. ეხლა ღამე მშვიდობისა და დანარჩენი კი ხვალინდელს დღეს დავაცალოთ.

გაოცებული სირონა დაემორჩილა პავლეს ბძანებას. უწინ რამდენჯერ უნატრია სირონას ყოველივე ის, რასაც ეხლა ჰპირდება ეს უცნაური მამინაცვალი; ეხლა კი ყოველივე ეს არაფრად მიაჩნდა. გულში ჩაინერგა რომ არას შემთხვევაში არ აჰყვეს პავლეს რჩევას, რადგანაც პავლეზედ რაღაც ეჭვი დაებადა, ამიტომაც გულ-გრილად უპასუხა პავლეს გამომშვიდობებაზედ და უთხრა:

— ხვალ საღამომდე კიდევ ბევრი დროა, რომლის განმავლობაში შეგვიძლიან უფრო კარგად მოვიფიქროთ ყველაფერი.

პავლე ცეცხლის ანთებას შეუდგა და სირონა მაინც მარტო დარჩა ბნელაში და ხელახლად შიშმა წაიღო. დაუძახა პავლეს და უთხრა:

— მე ამ ბნელაში მეშინიან: დღეს დილით შენ კიდევ რაღაც ზეთი დაგრჩა, იქნება ჭრაქი მაინც მოვახერხოთ, თორემ ბნელაში ყოფნა საშინლად მაშინებს.

პავლემ სწრაფად წამოავლო ხელი რაღაც ნატეხს, ჩაასხა ზეთი, მოხსნა თავის ისეც დაფხრეწილს კალთას მჩვარი, დაგრიხა პატრუქათ, ჩადო ზეთში, მოუკიდა და მიაწოდა სირონას ამ სიტყვით:

— ჯერ დრომდე ამ ჭრაქმა გაგიწიოს სამსახური, ალექსანდრიაში კი მე ვეცდები გიშოვნო იმისთანა კანდელი, რომელიც ჩემზედ უკეთესის ოსტატისაგან იქნება გაკეთებული.»

სირონამ თახჩაში თავით დაიდგა ჭრაქი და მიწვა ლოგინზედ. როგორც ტყის ნადირი ფთხის ნათელზედ, ისეც შიში, რომელიც ამღვრევს ხოლმე კაცის მშვიდობიანობას. ყოველივე საშიშარი, ფიქრი თავიდამ მოშორდა სირონას.

გულ-დადინჯებული იწვა ლოგინზედ და მტკიცედ ჩაინერგა გულში რომ იმ დრომდე არ წავიდეს ამ მღვიმედამ და არ მიენდოს მეუღლეს, ვიდრე როგორმე არა ნახოს პოლიკარპე და იმასთან არ მოილაპარაკოს. ხომ იცის ეხლა სადაც ვარო, იფიქრა სირონამ. უთუოდ ამოვა დღეს თუ ხვალეო.

„ხვალ, იმედი მაქვს, ვნახავ, ამბობდა სირონა: ჩემს გულს მთლად გადვუხსნი. იგი ჩაიხედავს ჩემს გულში და ჰსცნობს რომ როგორც გადაშლილს წიგნში, მისი სახელი ჰსწერია ყოველს ფურცელზედ, ყოველ სტრიქონზედ. მე იმასაც ვუამბობ, რომ დღეს მე ჩემი ლოცვა მივმართე მის „კეთილს მწყემსს“ და მას შემდეგ გული დამიამდა, მწუხარება გამინელდა. მე ვეტყვი, რომ ისეთივე ქრისტიანათ ყოფნა მინდა, როგორც მისი დედაა, როგორც მისი დაა მარტანაა; დოროთეას ძალიან გაუხარდება ამას რომ გაიგებს; მე იმას თავის დღეში

ავ დედაკაცათ არ მივაჩნდი; ყოველთვის სიყვარულით მექცეოდა; პატარები ხომ რაღა... სიხარულით ხტომას დაიწყობენ.“

მხიარული სახენი პატარა ბავშვებისა წარმოუდგნენ თვალ-წინ, მერე ფიქრი ბურანმა ნელ-ნელა შეიპყრო და ბოლოს ნუგეშ-მცემელი ძილი ნაზად ჩაეპარა გულში და გაუფანტა უკანასკნელი ჩრდილი დღეთა ცხოვრების მზრუნველობისა.

ღიმილით ბაგეზედ, ჩაეძინა სიმონას როგორც გულუბრყვილო ბავშვსა, მისი უცნაური ზედამხედავი ამ დროს ისევ ცეცხლს დაჩხტრიალებდა და რაც შეეძლო უბერავდა სველს შეშას, რომელსაც ძნელად ეკიდებოდა. ზოგჯერ კი მოშორდებოდა ცეცხლს, წინ და უკან დადიოდა და მხურვალეს თვალით გაიცქირებოდა იქით, სადაც ჭრაქის შუქზედ მოჩანდა მძინარე სიმონა.

აქამომდე ჯერ კიდევ გონება არ მოეკრიფა, მას აქედ რაც პოლიკარპი დაამარცხა, ერთს წუთსაც არ შეუგნია იგი, რაც დღე დააყენა პოლიკარპს. სულ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ძირს დაცემა პოლიკარპისა უბედურობით გათავდა

ეგრე უნდაო იმისთანა კადნიერს და თავზედ ხელაღებულ კაცსაო! ვინ მისცა იმას ნება რომ სიმონას წამოსარჩლებოდაო, მაშინ როდესაც მე, პავლემ, სიმონა სიკვდილს გადავარჩინეო და ყოველივე მზრუნველობა მასზედ კისრად ვიდეო?

ჯერ პირველ შეხვედრაზედვე სიმონას სიტურფეამ ამოვნებით აავსო გული პავლესი, როცა იგი აღტაცებით შეჰყურებდა ლამაზს ქალს და გულ-მტკივნეულობით ყურს უგდებდა მის გულ-წრფელს ლაპარაკს. მხოლოდ პოლიკარპის ალსარებამ ჩაუგდო გულში ნაპერწკალი; და ეს ნაპერწკალი უშველებელ ცეცხლად გადააქცია იჭვმა და შიშმა რომ სიმონას სხვა წამართმევსო.

არ უნდოდა ეს ქალი დაეთმო ვისთვისმე, უნდოდა რომ სამუდამოდ ამაზედ მზრუნველობა თვითონ ჰქონოდა, უნდოდა რომ ის ქალი მარტო, მარტო ამის მადლობელი ყოფილიყო და სხვის არავისი. ამიტომაც ასე აჩქარდა, ასე გულ-მოდგინეთ სულით და გულით

შიეცა სამგზავროდ მზადებასა, რომ ეს ქალი მალე გააქციოს როგორმე. ავდარს და ნიაღვარს, ჭექა-ქუხილს, ღამის თვალ-განუწვდენელს სიბნელეს — არაფერს არ შეუშინდა და როცა თავიდამ ფეხამდინ გაწუწვილი, დაქანცული, ხელის ფაცურით გზას იკვლევდა, კლდიდამ კლდეზედ ხობლიაობდა სასიკვდილოდ თავ-გამომეტებული, იგი მხოლოდ სირონაზედ ჰფიქრობდა. ზრუნავდა მასზედ თუ როგორ მიიყვანოს მშვიდობით ალექსანდრიაში, როგორ დაბინაოს, როგორ მიანიჭოს ყოველისფერი, რითაც კი დედა-კაცის გული სიამოვნებს ხოლმე.

ბევრ-გვარი აზრი მოსდიოდა, ბევრ-გვარი სარისკა დაიწყო, მაგრამ ყოველს ამას მარტო სირონას სიამოვნებისათვის ლამოდა, — საკუთრივ თავისთვის კი არა უნდოდა რა, სრულიად არაფერი.

როცა ჭრაქი აანთო და ჭრაქის შუქზედ ხელახლად დაინახა სირონა, მისმა სიტურფემ თავ-ზარი დასცა. ხოლო დიდხანს ვერ დაჰსტკბა საუცხოვო ხილვითა: სირონამ მალე დაანება თავი და მარტოდ დააგდო წვიმის ქვეშ ღამის სიბნელეში.

მოუსვენარად დადიოდა წინა და უკან. უფრო და უფრო ცეცხლს უკიდებდა მწვავე სურვილი, რომ ერთხელ კიდევ ნახოს ჭრაქის შუქით განათებული სახე და ჭრაქისაკენ გამოწვდილი თოვლივით თეთრი ხელი: უფრო და უფრო უძლიერდებოდა გულის ფეთქა.

როცა მღვიმეს შესავალს წინ გაუვლიდა და შიგნიდამ შუქი გამოკრთოდა, რაღაც იდუმალი ძალი ეწეოდა შიგნით, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს მშვენიერი ქალი. ეხლა პავლე იმაზედ აღარ ფიქრობდა, როგორმე ლოცვით და გვემით მოიშოროს თავიდამ მაცდური წადილი, ეხლა საბუთს ეძებდა, რომ თავის-თავის წინაშე თავი იმართლოს, თუ რომ შიგ მღვიმეში შესვლა მოუხდებოდა. მიზეზიც მალე იპოვა: ცივი ღამეა, ტყავფუნჯი იქ მაქვსო.. განიზრახა შესვლა და გამოტანა, თუმცა აღთქმა დადებული ჰქონდა, რომ ტყავფუნჯს ტანზედ აღარ მიიკაროს. ახლა სირონა ვჰსთქვათ კიდევ ვნახეო, მერე რაო? ჰკითხა თავის-თავსა.

როცა დირკს ფეხი გადაადგილა, გულის ხმამ ურჩია უკან დაბრუნდიო, ეუბნებოდა, რომ მრუდე გზაზედ მიხვალო, ფეხის თითებზედ მიცოცავო, როგორც მპარავი და ქურდიო! მაგრამ აქაც თავი გაიმართლა: „ფეხის თითებზედ მივცოცავ მისთვის, რომ სირონას ძილი არ დავუფთხოვო." ამის შემდეგ ჩაუჩუმდა გულის-ხმა, იმიტომ-რომ მივიდა კიდეც იმ ადგილამდე, სადაც სირონას ეძინა.

სირონას ეძინა თავის ხმელს ლოგინზედ, ძილით მოცულს როგორც ფერიას. გარშამო ბნელოდა. სუსტი ნათელი ჭრაქისა შუქსა ჰსცემდა მარტო ერთს პატარა კუნჭულს მღვიმისას. ხოლო პირისახე, გულ-მკერდი და ხელები ქალისა, რომელთაც ჭრაქი შუქსა ჰფენდა, ჰნათობდნენ, თითქო საკუთარის შუქითაო და ძლიერებდნენ ჭრაქის სუსტს ნათელსაო.

პავლემ სული განაბა, დაეშვა მუხლებზედ და თვალნი აღტაცებით და მხურვალეთ გაუშტერა მშვენიერს სახეს მძინარისას. სირონა ამ დროს სიზმრებში იყო. მისი თავი, ოქროს თმებით გარემოცული, ბალახების ბალიშზედ ესვენა, პირის-სახე, ნაზად ვარდის ფერად წამოწითლებული, მიქცეული ჰქონდა მღვიმის ჭერისკენ. მისი ნელად მოკუმშული ბაგენი მოძრაობდნენ... აი ტოკვა დაიწყო ოდნავ მოხრილმა თეთრმა ხელმაც, რომელიც ესვენა შუბლზედ, ჭრაქის შუქით განათებული.

„განა ჰსთქვა რამე?" ჰკითხა თავის-თავს პავლემ და მაგრად მიეყრდო გამოშვერილს კედელს კლდისას, თითქო ამით უნდაო შეაყენოს ძარღვში აშფოთებული სისხლი, რომ თავში არ აუვარდესო. სირონას ხელახლად აუთრთოლდა ბაგენი. „ჰსთქვა რამე, თუ არა? იქნება მე მიხმოო?"

არა, ვერ იხმობდა, რადგანაც ქალს ეძინა. პავლეს კი უნდოდა, რომ ეგ ეგრე ყოფილიყო. უფრო ახლო და ახლო მიიწია; ბოლოს მოიხარა თავი და ხმა გაკმენდით მოჰყვა ყურის გდებას, მაგრამ ღონემ უღალატა, სუნთქვა დაუდგა, თავ-ბრუ დაესხა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ბალნიან ტუჩებით დაჰსწვდა ჯერ ხელს, რომელიც ქალმა

უვან წაიღო ძილში, მერე თვალნი უძრავად დააშტერა ორნივ განპო-ბილ ქალის სახეთა, რომელთაც შორის გამოჭკრთოდნენ თოვლივით თეთრი კბილები, ამ პატარა ბაგეთა კოცნის წყურვილმა შეიპყრო მთელი მისი არსება უძლეველის ძალითა.

მთელის ტანით მთრთოლარემ, დაიწია თავი რომ კოცნის წყურ-ვილი მოიკლას, მაგრამ უეცრად თავი მოარიდა, თითქო რაღაც მოჩ-ვენებამ თავ-ზარი დასცაო. ეხლა თვალნი მისნი მიეპყრნენ ლალის-ფერს ტუჩებს კი არა, არამედ ხელს, რომელიც ესვენა მძინარე ქა-ლის შუბლზედ.

შუქი ჭრაქისა სხივსა ჰსცემდა ოქროს ბეჭედს, რომელიც ხელ-ზედ ჰქონდა სირონას, და ბრწყინვალედ ანათებდა შიგ ჩასმულს ქვას, რომელზედაც გამოჭრილი იყო სახე ტიქეისა, ანტიოქიის ღმერთისა, თავზედ ბურთით და ხელში რქითა.

ეს რომ ნახა, სისხლი უფრო აემღვრა და გულმა უფრო ძლიერ დაუწყო ცემა. მაშინვე უბეს იკრა ხელი, და ამოიღო პატარა რვინის ჯაჭვი და ბეჭედი, რომელიც წინად გერმასის დედას შეხსნა, როცა იგი გადიცვალა. სინათლეზედ გასინჯა და ნახა რომ იმისთანავე ქვა ზის, იმისთანავე სახეა ამოჭრილი როგორც სირონას ბეჭედზედ. აკან-კალებული ხელი მასი ძირს ჩამოეშვა მისთვის მვირფასის განძითა, მერე ორივე ხელი წაივლო აბურძგნულს თმებში, ერთი საშინლად ამოიკვნესა და თითქო შენდობას ევედრებაო, რამდენჯერმე ახსენა სა-ხელი მაგდალინასი.

მერე ხმა-მაღლა დაუძახა სირონას და როცა შეშინებულმა გა-მოიღვიძა, ჰკითხა: ვინ მოგცა შენ ეგ ბეჭედი?

— ევბიციმ მაჩუქა და მითხრა, რომ ანტიოქიაში მაჩუქესო რამდენიმე წლის წინადაო. ეხლა მე ეს ბეჭედი არც კი მინდა რომ მქონდეს. თუ მოგწონს, წაიღე, შენი იყოს.

— გადააგდე! დაიძახა პავლემ: შენ ეგ ბედნიერებას არ მოგიტანს!

ამის შემდეგ, ხელახლად დაიმორჩილა თავი, ადგა, თავი და-ლუნა, გავიდა გარედ, მიეგდო სველ ქვებზედ და წამოიძახა:

— მაგდანილავ, შენ წმინდა ხარ! შენ გლიცერას გერქვა და წამებულ კი იქმენ ღვთისათვის და მით მოიპოვე გზა საუკუნო ცხოვრებისა. მეტი, მეტ მქონია დღენი სიმართლისანი და მაშინ ვბედავდი და ჩემს თავს პავლეს ვუწოდებდი,—ეხლა კი, ეხლა?

სასოწარკვეთილებით აღვსილი იცემდა თავში ხელს და გნესოდა: „წარხდა ყოველი ჩემთვისა, წარხდა!“

## XVII

ყოველს კაცს არ შეუძლიან იგრძნოს, რა არის ის საშინელი მწვავე ტკივილი, რომელსაც გამოივლის ხოლმე სული, თავის-თავზედ იმედ-გადაწყვეტილი და სასოწარკვეთილი. მაგრამ ესეც კია, რომ რამოდენადაც ამ შემთხვევაში ტანჯვა და ქენჯნა ძლიერია, იმოდენად ნატკივარს გულს შვებაც ეძლევა ხოლმე.

პავლეს ფიქრში აღარ მოსდიოდა ლამაზი მძინარე ქალი. იგი შეწუხებული იმ საშინელის სულის ქენჯნითა მიეგდო ტიტველა ქვებზედ და ჰგრძნობდა რომ ყოველივე ბრძოლა ამაოა და ფუჭი. როცა მან სხვის მაგიერად იკისრა ცოდვა და მიიღო სასჯელი, როცა კისრად იდო გერმასის სამარცხვინო საქციელი, მაშინ ეგონა, რომ მაცხოვარისაგან ნაჩვენებ გზას დავადექიო. ეხლა კი? ეხლა კი იგი ჰგვანდა იმ კაცს, რომელიც დაეწია თავის სასურველს საგანს და როცა ხელი უნდა წაევლო, წამოჰკრა ფეხი ქვას და ჩავარდა ლაფში.

„ღმერთი ხედავს წადილს და არა მოქმედებას“ ჰფიქრობდა გულში. რა დავაშავე მე სირონის წინაშე და რა არა,—ეგ სულ ერთია, ამას ვინ იკითხავს; როცა მე გავიწიე სირონისაკენ, მე მაშინ ვეყმე სატანას და ამით თანაზიარი გავუხდი დაუძინებელ მტერს მისას, ვისაც შევჰსწირე მე ჩემი სული და ხორცი. რას მიშველის მე, რომ გამოვეთხოვე წუთის სოფელს და აქ, ამ უდაბნოში ვგდივარ? ვინც ბრძოლას თავს არ იდებს, რასაკვირველია, შეუძლიან დაიკვეხოს მე ჯერ არავის დავუმარცხებივარო, მაგრამ ამით განა ის გმირად ჩაითვლება? დაფნის ფოთოლის ღირსი მარტო ის არის, ვინც ამ მშვენიერ ბრძოლაში არ გაიმრუდებს გზას ცისაკენ მიმავალს და არ შეიშ-

ლის სიარულს, მე კი ვხეტებოდი მარტოდ და როცა წინ შემხვდა ყმაწვილი კაცი თავისის მუქარითა და დედა-კაცი თავისის სილამაზითა, დავივიწყე ჩემი გულითადი საგანი და მსწრაფლს ჩავეშვი სატანის წუმპეში. ეგრე არ იქნება, მე აქ იმას ვერ ვიპოვი, რასაც ეძიებს სული ჩემი! მაშ როგორ და სად? განმანათლე მე, უფალო, და მასწავლე, რა უნდა ვჰქმნა.“

ამ ფიქრებში გართული პავლე წამოდგა, დაიჩოქა და გულ-მოდგინედ დაიწყო ლოცვა. როცა ბოლოს წარმოჰსთქვა „ამინ“ თავი გაუხურდა თითქო ეწვისო და ენა თითქო გაუშრაო.

ამასობაში ცამ ღრუბელი გადიყარა, მარტო ჩასავლეთისკენ კიდევ შავად მოჩანდნენ შეჯგუფებულნი. ხანდისხან სადმე შორს გამოჰკრთებოდა კიდევ ელვა და ანათებდა ჩაკბილულს წვერს კლდეებისას. მთვარეც ამოსული იყო; მაგრამ მისი კლებაში შესული დისკო დაფარულიყო მსწრაფლ მორბედ ღრუბლებითა. პირწყინვალე ნათელი ელვისა, ნაზი შუქი მთვარისა და სრულიადი სიბნელე ღამისა საოცარის სისწრაფით რიგ-რიგად მოიცვლებოდნენ. ბოლოს პავლე ადგა და დაეშვა წყაროსაკენ, რომ წყალი დალიოს და გაიგრილოს გახურებული შუბლი.

გზათ მიმავალი ამბობდა, რომ მე უნდა დავიწყო სხვა ახალი ცხოვრებაო და მინამ ამას შევუდგებიო, ჯერ პირველად წარსულთა ცოდვათა მონანიება მმართებსო; მძიმე საკანონო უნდა დავჰსდო ჩემს თავსაო. მაგრამ როგორი საკანონოო?

წყაროს პირს იდგა, როცა ეს ფიქრი მოუვიდა და დასალევად დაწაფვას ლამობდა. მაგრამ მინამ პირს დააკარებდა წყალსა, წამოდგა ისევ, ხელახლად გაჰსწორდა ტანში სახელდობრ იმიტომ-რომ წყურვილი ჰსწვავდა და უნდოდა უწყლობით დაესაჯა თავი.

სწრაფად მოარიდა თავი წყაროს და უკუიქცა, როცა ამ რიგად დაიმორჩილა თავი და იგრძნო რომ ცოტაოდენად მაინც ვძლიე ჩემ თავსაო, მის ამღვრეულს გულს ცოტა შვება მიეცა.

მას უნდოდა მოშორებოდა აქაურობას, ამ უდაბნოს, ამ წმინდა მთას და საითმე გადაკარგულიყო. მაგრამ საით და რად? ხომ მარტო წვალება უნდოდა თვითონ და წვალებაც ეგ იყო. ვის უნდა გაექცეოდა, ვის? ჰკითხავდა დაჟინებით თავის-თავს და ეს პასუხი იპოვა:

— „ის, ვისაც შენ გინდა მოშორდე და გაექცე — თვითონ შე-ნა ხარ. შენი მტერი — საკუთარი შენი „მე“ არის და სადაც უნდა გადიკარგო იგი ყველგან თან გამოგყვება, უფრო ადვილია მოიშორო თავიდამ შენი ჩრდილი, ვიდრე შენი „მე“.

პავლემ ეხლა სრულიად იგრძნო თავისი საკუთარი უძლურება და შემდეგ იმ წვალებისა, რაც ამ უკანასკნელს საათებში გამოიარა, სული მოიშალა ტანში, მოჰსწყდა და დიდს მწუხარებაში ჩავარდა.

ღონე მოკლებული, მისუსტებული, თავ და სიცოცხლე მოძუ-ლებული პავლე მიეგდო ქვებზედ და დაიწყო მასზედ ფიქრი, რაც ამ უკანასკნელ დღეებს და საათებში გამოიარა და შეემთხვა.

„ყველა სულელზედ, რომელიც კი ოდესმე მე მინახავს, მე შორს წაველ და ყველას გადავაჭარბე, ამბობდა თავის-თავად პავლე: ამასთან ისე ნაარად ავრიე ჩემი გზა და კვალი რომ ბრძენიც ვიყო ვეღარ გავასწორებ. ერთხელ ვიღაცამ მიამბო, რომ ყოფილა ვითომ ერთი ვი-ღაც უდაბნოელი, რომელსაც აქაო და სამლოცველში ჰსწერია მკვდრების დამარხვა უნდაო, აიღია და რადგანაც ცხედარი არსად ყო-ფილა, მოუკლავს მგზავრი, რომ სამლოცველის ამანება დამარხვის შესახებ მით აესრულებინა სწორედ ისე მომივიდა მეც: რადგანაც, იმისათვის რომ სხვა გადავარჩინო წვალებას და სხვის ბრალი კისრად ვიდო, მე უბედურებაში ჩავაგდე პატიოსანი ქალი და თვითონაც ცოდ-ვილ შევიქენ. რა წამსაც ირაჟრაჟებს მე სოფლისაკენ გავწევ და ყვე-ლაფერში გავუტოლდები პეტრესაც და ეპისკოპოს ჩლაპიტსაც. იგინი საკანონოს დამდებენ და მე ვეცდები რომ ის საკანონო უნაკლულოდ ავასრულო: რაც უფრო ნაკლებ შევიბრალებ ჩემს თავს, მით უფრო მალე შემიბრალებს ყოვლად მოწყალე და უკვდავი გამკითხველი ჩემი.

ადგა, შეხედა ვარსკვლავებს და რა ნახა რომ გათენება მალე იქნება, გაემართა სირონასთან წასასვლელად და გადადგა ფეხი თუ არა, ერთი შესაბრალისი კვნესა მოესმა. ყური დაუგდო, ხელმეორედ მოისმა უცნაური კვნესა. პავლემ იფიქრა იქნება დაჭრილი ნადირია სულის დალევამდე მისწეულიო, და გაჰსწია იქით საიდამაც კვნესის ხმა მოდიოდა.

კვნესის ხმა თან-და-თან უფრო გაძლიერდა და მოუხშირდა, თან-და-თან უფრო გულ-სატკივარი ხმა ისმოდა. მაშინ კი მიხვდა, რომ ის ხმა უსათუოდ ადამიანისა არის. მიიხედ-მოიხედა და ნახა რომ იქავ გადმოშვერილ კლდის ქვეშ გდია უძრავად ადამიანი.

,,იქნება მწყემსი ვინმეა, მეხისაგან გაფუჭებულიო", იფიქრა პავლემ. მივარდა ტანჯულს, ნელა წამოჰსწია და გულზედ მიიყრდნო სნეული და როცა ცხვირში ეცა სუნი თმებზედ ცხებულ სურნელოვანის ზეთისა, მაშინ დაებადა საშინელი წინად-გრძნობა.

,,პოლიკარპ, შენა ხარ?" დაიძახა პავლემ და უფრო ძალიან მოხვია ხელები სნეულსა. პოლიკარპი შეიძრა და ცოტა რამ წაიდუდუნა წყნარა და გაუგებრად, მაგრამ იმოდენად კი, რომ პავლემ გული დააჯერა, რომ მართლა პოლიკარპია.

გულ-მტკივნეულად ამოიოხრა პავლემ, გადეხვია დაუძლურებულს ყმაწვილ-კაცს, მერე სიფრთხილით ასწია და როგორც ბავშვი წაიღო წყაროსაკენ და იქ თავისი პატიოსანი ტვირთი დაუშვა ძირს ბალახზედა.

პოლიკარპი შეტოკდა და აახილა თვალები. ამ დროს გარიჟრაჟდა კიდეც, სუბუქს ღრუბლებს ცის აღმოსავლეთის მხრივ ვარდის ფერი ქობა გაუკეთდა და ახლად დაბადებული დღის ნათელი ლამოდა ბნელის ზეწრის ახდას და ქვეყნიერობის სახისა და ფერის გამოჩენასა.

ყმაწვილმა კაცმა იცნო უდაბნოელი, რომელიც აკანკალებულის ხელით ჰბანდდა წყლულს კეფაზედა. ცეცხლივით აენთო თვალები პოლიკარპს და შეიკრიბა რა უკანასკნელი ღონე, ჰკრა ხელი პავლეს, რომ თავიდამ მოიშოროს.

პავლემ უკან არ დაიწია და ხელის კვრა ისე მიიღო, როგორც მოკითხვა, როგორც ჯილდო და იფიქრა: „დიახ, ხანჯალიც რომ გქონოდა ხელში, მაშინაც ადგილიდამ არ დავიძროდი."

დაჭრილობა პოლიკარპისა მეტად მძიმე და დიდი იყო, ხოლო სისხლი თმებში ჩაჰკდომოდა და შეკრა პირი წყლულისათვის, ასე რომ სისხლის დენა ამით შემწყდარიყო. როცა პავლემ მოჰბანა წყლული, ხელახლად წამოჰსქდა სისხლი. სისხლის დენა მოემატა მას შემდეგ უფრო, როცა პოლიკარპმა თავის მტერს პავლეს შეუტია ხელის კვრით. ყოველ ამან დაასუსტა ისეც მისუსტებული პოლიკარპი და ამიტომაც იგი უგონობით გრძნობა მიხდილი დაეცა პავლეს მისაშველებლად გაწვდილ ხელებზედ.

სუსტმა დილის ნათელმა უფრო მეტად გააფითრა უსისხლობით გაფითრებული და ფერ მიღეული სახე ყმაწვილ-კაცისა, რომელიც თვალებ ამღვრეული და უკანასკნელ დღემდე მიხწეული ესვენა უდაბნოელის ხელებზედა.

„სულსა ჰლევსო" წაიდუდუნა პავლემ და ელდა ცემული სულ-განაბული ხან ცას შეხედავდა, ხან მინდვრებს გადაჰსცქეროდა თითქო ეძებსო ადამიანს, რომ იშველიოსო.

თვალ-წინ მოჩანდა დიდებული მთა, დილის სხივებით მორთული, რომელზედაც უფალმა ქვის ფიცარზედ დაჰსწერა კანონი თავის საკუთარის ერისათვის და მთელ ქვეყნიერობისათვისაც. პავლეს მოეჩვენა უზარ-მაზარი სახე მოსესი, რომელიც ვითომ გადმომდგარა ერთს მაღალ ცერზედ და ხმა-მაღლა ღაღადებს ყველაზედ უმძიმეს მცნებას: „არა კაც ჰკლა."

პავლემ თვალებზედ ხელი აიფარა და შიშის ზარით ელდა ცემული იდგა ხმა-ამოუღებლივ გულზედ მიყუდებულ ტვირთით. თვალებზე ხელი აიფარა იმიტომ რომ ეშინოდა დაენახა ფერ-მკრთალი სახე ყმაწვილ-კაცისა და უფრო მთა. მაგრამ ძლიერი ხმა მაღალის მთიდამ უფრო და უფრო ღაღადებდა, უფრო და უფრო ძლიერ ისმოდა; პავლეს გულში ხმაურობდა სასტიკი ხმა უფლისა: „არა კაც

ჰკლა; მერე მეორე: „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, და მესამე: „არა იმრუშო“ და ბოლოს მეოთხე: „არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.“

ვინც შეჰსცოდავს თუნდ ერთს რომელსამე მცნებას ამ ოთხიდამ იგი შეჩვენებული და წყეულია, მე კი, მე კი ოთხსავ ერთად შევცოდე, ოთხივ ერთად დავარღვიე ცხონების ეკლიანს გზაზედ. იძახოდა სასოწარკვეთილი პავლე თავში ცემით.

უნებლიედ ხელნი აიპყრო ცისა მიმართ, მძიმედ ამოიკვნესა და შეხედა მთას. რა ნახა მთაზედ? სინაის წვერზედ საყარაულო იყო, საცა მუდამ ყარაული იდგა მტრის საზვერად, იმ საყარაულოს წინ ფრიალებდა ალამი ნიშნად იმისა, რომ მტერი გამოჩნდა და მოდისო.

პავლე მართალი იყო. როცა ეს ამბავი დაინახა და მოსალოდნელის შიშისაგამო გონება ისევ მოიკრიბა, ნახა რომ ხმა რომელიც მას მთის წვერიდამ მოესმა, ყარაულის საყვირის ხმა იყო გასაფთხილებლად მცხოვრებთა და მეუდაბნოეთა.

გერმასი დაბრუნდა თუ არა? იქნება ბედუინელებმა გზა აუქციეს? რომელ მხრიდამ მოდის მტერი? აქ მომაკვდავთან უნდა დარჩეს პავლე, თუ მოვალეობა ითხოვს წავიდეს და თავისი ღონიერი მკლავი მოიხმაროს თავის მოძმეთა საშველად?

ამაების კითხვით და შიშით დაჰსცქეროდა იგი ფერ-მიღეულს სახეს ჯუანუკისას და გული ავსო მტკივნეულობით და სიბრალულით. რა მშვენიერი იყო ეს ნორჩი ყვავილი, რომელიც ყუნწში გადატეხილ იქმნა ამის ტლანქის ხელით! ამ შავ ხუჭუჭ თმასა ჯერ კიდევ გუშინ ათამაშებდა ხომ დედის ნაზი ხელი! უდაბნოელს თვალში ცრემლი მოერია, დაიხარა და, როგორც მამამ, ალერსით აკოცა უსისხლო ტუჩებს უსულო ჯუანუკისას.

სიხარულის ყრუანტელმა გაურბინა ტანში, იმიტომ-რომ ტუჩები პოლიკარპს ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა და აი ხელითაც ტოკვა დაიწყო. — მადლობა ღმერთს! ხელახლად თვალიც ახილა.

— მე კაცის მკვლელი არა ვარ, არა, უგალობდა პავლეს გულში ათასნაირი ხმა ლხენითა და სიხარულითა. მერე ჰსთქვა: ჯერ თავის მშობლებთან მივიტან ამას და მერე — ძმებთან!

უეცრად ხელახლად გაისმა ხმა საყვირისა და მყუდროება უდაბნოსი დარღვეულ იქმნა ადამიანის ძახილითა და კივილითა; თითქო ჯადომ ჩაუდგა სული ამ უსულო უდაბნოსაო და ქვებს და კლდეებს ხმა ამოაღებინაო ასეთი ყრიამული ადგა.

— გვიანღაა, გვიან! ჰსთქვა პავლემ: მე რომ შემძლებოდა, მე რომ მცოდნოდა...

— ჰაი, ჰაი, ღვთის მოშიშო პავლე! გააწყვეტინა ფიქრი ქალის ხმამ, რომელიც მაღლიდამ მოისმა: გერმასი კარგათ არის, გერმასი ხელახლად აქავეა! აბა შეხედე ზევით, იქ ბაირაღი ფრიალებს, იმიტომ რომ გერმასმა შეატყობინა ყარაულებს. ბლემიელები მოდიან და გერმასმა შენთან გამომგზავნა რომ გიპოვო სადმე. ჩქარა წამოდი, იმ ბურჯში გელოდება, რომელიც გზის მხარ-მარჯვნივ არის. ჩქარა! ნუ იგვიანებ! გესმის, ჩქარა მეთქი! იმის სიტყვას გეუბნები, ჩქარა მეთქი! ეგ გულზედ ვინა გყავს მიყრდობილი — ეგ ხომ...

— პოლიკარპია, პოლიკარპი, უპასუხა პავლემ: შვილი შენის ბატონისა, უკანასკნელ დღეშია. გაიქეც და შეატყობინე სენატორს, შეატყობინე დოროტეას...

— მე ეხლა სხვა საქმე მაქვს უპასუხა მირიამმა: გერმასმა ბევრგან სხვაგან გამგზავნა და იქ მივდივარ. სოფელში კი რომ ჩავიდე, ბატონები დამამწყვდევენ და არსად აღარ გამიშვებენ. რა დამართვია საწყალს? მაგრამ ეხლა ეგ რა საკითხავია! დღეს შენ უფრო მძიმე საქმე გაქვს. აქ მდგომა და სენატორის დიდის ნებიერ შვილზედ კნავილი დღეს არაფრად მოგიხდება: ჩქარა წადი გერმასთან, მეთქი, ეგ ან მანდ დააგდე, ან წაიღე შენს ახალს ბუდეში და გადაეცი შენს სატრფიალოს — ქალი უფრო კარგად მოუვლის...

— აი შე წუწუნო, დაუყვირა პამლემ და ქვას ხელი წამოავლო...

— დაანებე მაგას თავი მეთქი გეუბნები, უძახოდა მირიამი თორემ წავალ და ფებიცის შევატყობინებ. აბა ნუ ასრულებ ჯერმასის სიტყვას და მე გიჩვენებ რასაც გიზამ. მე ეხლა სხვებთან წავალ და იმედი მაქვს ბურჯში ვნახავთ ერთმანეთს. ჰა, დიდხანს არ დაგაგვიანოს შენმა ოქროს თმიანმა მეგობარმა — მე ღვთის მოშიშო პავლე, მეწმინდაო პავლევ!

მირიამმა ჰსთქვა ეს და მოჰყვა ხმა-მაღლივ ხარხარს და იმ ხარხარით კლდიდამ კლდეზედ მიფრინავდა თითქო ჰაერში ჰსცურავსო. პავლე გაკვირვებული თვალს ადევნებდა, ბოლოს იგრძნო, რომ კარგი ურჩივა, წამოიკიდა საწყალი პოლიკარპი და წაიღო თავისს მღვიმესაკენ. ჯერ არ მისულიყო მღვიმემდინ, მოესმა ფეხის ხმა და მწუხარე ოხვრა და კვება და რამდენსამე წუთს შემდეგ თვითონ სირონაც დაუდგა თვალ-წინ. გამწარებული სირონა გულ-მოწყლულის ხმით მოჰსთქვამდა:

— პოლიკარპია, პოლიკარპი! სწორედ ის არის, სწორედ! მაგის სიკვდილი შეუძლებელია, ეგ რომ მოკვდეს, მაშ თქვენი კაცთ-მოყვარე ღმერთი, ღმერთი მოწყალებისა და სიყვარულისა ულმობელი, უწყალო და შეუბრალებელი ყოფილა.

სხვა ველარა ჰსთქვა რა, რადგანაც ცრემლმა და ტირილმა ხმა წაართვა. პავლე კი წინ მიდიოდა და მის ვედრებას და გულის-წვას ყურს არ ათხოებდა. შევიდა მღვიმეში, დაასვენა გრძნობა დაკარგული ჭაბუკი სირონას ლოგინზედ და როცა სირონამ პოლიკარპის წინ ჩაიჩოქა და ტუჩებით ზედ დააკვდა ჭაბუკის ულონო ხელს, მაშინ პავლემ უთხრა წარბ-შეკვრით, მაგრამ ალერსით კი:

— თუ ეგ ყმაწვილი გიყვარს, ეხლა მაგ გოდებას თავი დაანებე. გუშინდელს აქეთ მძიმედ დაჭრილია თავში. მე ჭრილობა მოვბანე, ეხლა შენ შეუხვიე ფთხილად და კარგად დაუსველე ხოლმე შეხვეული ცივის წყლით. ხომ იცი სადა არის წყარო. როცა მოსულიერდება, ფეხები დაუზილე, პური აჭამე და რამდენიმე წვეთი ღვინოც დაალევინე. ღვინო აქავეა სარდაფში, იქავეა ზეთიც სანათურისათვის. მე კი-

უნდა წავიდე ჩემ სულიერ ძმებთან და თუ ხვალამდე ვერ დავბრუნდი, ეგ საწყალი ჭაბუკი დედას მისას ჩააბარე. ესეც უთხარი, რომ მე, პავლემ გაჯავრებულ გულზედ მოვიკალ შვილი თქო და თუ შეუძლიან შემინდოს დედამაც და მამამაც შენც შემინდე რაც შეგცოდე და თუ ომში მომკლეს, ილოცეთ ჩემთვის ღვთისა წინაშე რომ ძლიერ არ დამსაჯოს, რადგანაც ცოდვანი ჩემნი დიდნი და მძიმენი არიან.

ამ დროს მღვიმეში შემოესმა საყვირის ხმა. სიმონა შეფთხა და ჰსთქვა:

— ეგ რომაელების საყვირია, მე მაგ ხმას ვიცნობ. უსათუოდ ტებიცი აქ სადმე მოგზაურობს!

— იგი თავის მოვალეობას ასრულებს, გააწყვეტინა სიტყვა პავლემ: ერთი კიდევ რამ უნდა მეთქვა: მე წუხელ შენს ხელზედ ბეჭედი ვნახე.

— აი იქა გდია, უპასუხა სიმონამ და თითით მიანიშნა.

— მაშ იქავ იყოს, ჰსთხოვა პავლემ, ხელახლად გადეხვია სნეულს და აკოცა შუბლზედ, მერე პირჯვარი გადაჰსწერა სიმონას და გამოვარდა მღვიმედამ.

## XVIII

პავლეს ბძანების მორჩილმა გერმასმა გამოართვა საგზავროთ ფული პავლეს, შვილდ-ისარი მოიმართა, ჩაიწყო საგზლად პური და წყნარად გამოეთხოვა მძინარე მამას და წავიდა რაიტას.

თავი მოსწონდა რომ ამას მიანდეს ამისთანა თავ-მოსაწონებელი და ვაჟ-კაცის ღირსი მძიმე საქმე. გულში ჰგრძნობდა ღონეს და ვაჟ-კაცობას და უხაროდა. გზათ მიმავალი ჰფიქრობდა მარტო იმას, რომ რაც უნდა დამემართოს, თუნდაც მომკლან კიდეცა მე ჩემს მონდობილს საქმეს უნდა თავ-დადებით შევუდგეო. ამ აზრით გამხნევებული აჩქარებით მიდიოდა და მთვარიანი ღამე გზას უნათვიდა. სადაც გზას მისახვევ-მოსახვევი ჰქონდა, იმას თავს ანებებდა და პირდა-პირ მიბობღავდა კლდეებზედ, რომ მით გზა შეემოკლა და პირ-

და-პირ გადაეჭრა. გაკეზედ ისე გამალებული მიდიოდა, თითქო უკან მტერი მისდევსო. მზე რომ ამოვიდა, ცოტად დანაყრდა და ისევ გაუდგა გზას იმავე სიჩქარით. ამ გაცხარებულ სიარულში აღარ აგონდებოდა არც სიონა, არც თავისი ყოფილი ამბები; ის სულ იმაზედ ჰფიქრობდა თუ როგორ მივა დანიშნულს ადგილს, როგორ დაზვერავს ბლემმიელებს, როგორ გაიგებს განზრახვასა და როგორ მალე მოიქცევა უკან თავისიანებში.

ბოლოს როცა თან-და-თან უფრო და უფრო დაღლილობა გამოაჩნდა, როცა შუადღის სიცხემ შეაწუხა, სისხლი აუვარდა თავში და გულმაც ცემა მოუხშირა, გერმასს ყოველივე ფიქრი მოუსპო და ეხლა წინ ეწვოდა მას მარტო ერთი სურვილი დროზედ მისვლისა და დაბრუნებისა.

როცა გერმასი მივიდა რაიტაში ზღვის პირს და ეძებდა პატარა: რამ ნავი ექირავნა წასასვლელად, მაშინ ორი ცხენოსანი მოახლოვდა ნავთსადგურს სადაც მრავალთა გემთა შორის ერთი დიდი ხომალდი იდგა დაბმული. მენავემ, რომელსაც გერმასი ნავის ქირაობას ევაჭრებოდა, დაანახვა ის ორი ცხენოსანი და უთხრა:

— ეგენი ქარვასნს ელიან. აი ის უფრო ხნიერი რომ არის, დიდი სარდალია იმპერატორისა, იგი უფროსია აქაურებისა.

გერმასმა აქ პირველად ნახა ფებიცი და როცა ფებიცი წამოვიდა იქითკენ, სადაც გერმასი და მენავე იდგნენ, გერმასს ფიქრი მიეცა. პირველს გულის — თქმას რომ აჰყოლოდა, გერმასი უნდა გაქცეულიყო აქედამ, მაგრამ თვისი ბრწყინვალე თვალი რომ გაუსწორა მოქანცულს და გამჭვრეტავს თვალს ცენტურიონისას, აწითლდა, შედგა, დაიკრიფა გულზედ ხელები, თავ-მოწონებით მოიმარჯვა მხარ-ბეჭი და დაუწყო ცდა ფებიცის, მოვიდეს და აბა ვნახოთ რასა იქმსო.

მოვიდნენ ის ორი ცხენოსანი. ერთი ფებიცი იყო და მეორე თალიბი. თალიბს ენახა უწინაც გერმასი, ეხლა იცნო და ჰკითხა. დიდი ხანია აქა ხარო? გერმასმა შეატყო ესენი ამის სამეპნელად არ არიან წამოსულნი და გული დაიმშვიდა. სრულად გულ-დამშვიდებულ-

მა დაუწყო სინჯვა ცენტურიონს და პირსვე სიცილი მოადგა, როცა ნახა, რომ მჭლე ქანც-გაწყვეტილი ბებერი ისე დაღლილიყო ცხენზედ, რომ ძლივსღა იჯდა ზედ. მაშ ეს საშასხარო ადამიანია ქმარი — იმ ახლად გაშლილის და სიცოცხლით სავსე სირონასი!

გერმასს ისე მოუვიდა გული ფებიციზედ, რომ გულში ჰსთქვა: მაშ ამას იქით სანანურადაც არ უნდა მქონდეს, რომ ამისთანა მასხარად ასაგდებს ქმარს სახლში შეუვარდიო და როცა ფებიცამ ჰკითხა: ხომ არ გინახავს სადმე ქერა თმიანი ქალი პატარა ფეხ-მოტეხილ ძაღლითაო, გერმასმა მასხარად აიგდო და უპასუხა:

— როგორ არა, სწორედ მაგისთანა ქალი ვნახე, ძაღლიცა ჰყვანდაო, მაგრამ ძაღლს კი, მგონია, კოჭლობა არ ეტყობოდა.

— სადა ჰნახე, სად? მოუთმენლობით ჰკითხა ფებიცამ.

გერმასი გაწითლდა, იმიტომ-რომ ტყუილი უნდა ეთქვა და ტყუილით იქნება ევნო კიდეც რამ სირონასათვის: ამიტომაც არ მისცა პირ-და-პირი პასუხი და მხოლოდ ჰკითხა: — განა იმ ქალმა დაა-შავა რამ, რომ აგრე გამოჰსდგომიხართ?

— დიდად დააშავა, უპასუხა თალიბმა: ის ქალი ამ ბატონის ცოლია და....

— რაც დააშავა ეგ ჩემი საკუთარი საქმეა, მკვახედ გააწყვეტინა ფებიციმ სიტყვა თავის მხლებელს: რა გქვიან შენ, ჭაბუკო?

— გერმასი, უპასუხა მან: შენ ვინა ხარ?

ფებიცის ძალიან უნდოდა რომ ერთი მრისხანე პასუხი ეთქვა ამ კითხვაზედ, მაგრამ სურვილი მოიკლა და უპასუხა:

— მე ვარ ცენტურიონი იმპერატორისა და გკითხავ შენ: რა სახისა იყო შენგან ნახული ქალი და სად ნახე?

გაბოროტებული თვალი მხლებელისა და რიხიანი სიტყვა მის უფროსისა უმტკიცებდა გერმასს, რომ სირონას კეთილი არ დაეყრება, თუ ამათ ჩაუვარდათ ხელში და რადგანაც სრულებით არა სურდა რომ სირონას მდევნელთ რამემე გამოადგეს, სამასხაროდ მომართულმა გერმასმა მისცა თავს ნება და უპასუხა:

— მე ხომ ის ქალი არ მინახავს, რომელსაც თქვენ ეძებთ, იმიტომ რომ ის, რომელიც მე ვნახე სწორედ ამ ბატონის ცოლი არ იქნება, აბა როგორ იქნება, რომ ჩემგან ნახული ქალი ამას შვილი-შვილად ძლივს შეეფერება! მე რომ ქალი ვნახე ოქროს ფერი თმა ჰქონდა და ძაღლსაც, რომელიც თან მისდევდა, იამბას ეძახოდა.

— სად ნახე, მეთქი, დაუყვირა ცენტურიონმა.

— აიმ მეთევზების სოფელში, მთის ძირს. იქ ნავი იქირავა და ზღვით გაემგზავრა.

— საით, ჩრდილოეთისკენ? ჰკითხა ფებიციმ.

— მგონია, მაგრამ სწორედ კი არ ვიცი, იმიტომ რომ მე ჩემი საქმე მქონდა და თვალი ვერ გადევნე.

— მაშ კლისმაში უსათუოდ დავეწევით და დავიჭერთ, უთხრა ფებიციმ თავის მხლებელს თალიბს. ოღონდ ერთი ახალი ცხენები კი ვიშოვოთ ამ ოხერს უდაბნოში.

— ოთხის დღის სავალია, უპასუხა თალიბმა: და რა კი ელიმს გავცდებით ასეთი უწყლო ადგილებია, რომ წვეთს ვერ ვიშოვით მოსეს წყარომდე. მაგრამ თუ კარგი ცხენები ვიშოვეთ კი....

— თუნდაც რომ იშოვოთ, გააწყვეტინა სიტყვა გერმასმა: შენ, ცენტურიონო, აქაურობას არ უნდა მოშორდე, იმიტომ-რომ ბლემმიელები დაცემას თურმე აპირებენ. აი რაწამს ჩამობინდდება მე უნდა წავიდე იმათ დასაზვერავად.

ფებიციმ თავი დაჰკიდა და გაჯავრებით დაიწყო ძირს ყურება. ამასაც მოსვლოდა ამბავი, რომ ბლემმიელები აპირებენ დაცემას. მოტრიალდა, ზურგი შეაქცია გერმასს და უთხრა თალიბსა:

— შენ მარტო უნდა წახვიდე კლისმაში და ეცადე, როგორმე დაიჭირო. იმ უღირსის ქალის გულისათვის მე არ შემიძლიან ვუღალატო ჩემს სამსახურს და აქაურობას თავი დავანებო.

ცხენოსნები წავიდნენ, გერმასი შესცქეროდა წარმავალთ და გაიცინა, როცა დაინახა რომ ორნივ დუქანში შევიდნენ.

მინამ წასვლის დრო მოვიდოდა, გერმასი ჩაწვა ნავში და მიეცა
ღრმა ძილსა. მთვარის ამოსვლის დროს გააღვიძეს, რადგანაც ნათქვა-
მი ჰქონდათ, ჩაათრიეს ნავი ნაქირავნები, რომელიც ზღვის პირზედ
ქვიშაზედ ეგდო, მენავემ ჩასვა გერმასის ნავში პატარა ბიჭი, რო-
მელმაც ნავის ხმარება იცოდა, და გაისტუმრა. როცა გერმასმა თავის-
თავი ზღვაში ნახა და ზღვას სიომ დაჰკრა, გაუმხიარულდა გული,
როგორც არწივის ბახალას, როცა პირველად თავს ანებებს თავის დე-
დის ბუდეს, დაფრინდება და ნავარდზედ წავა. თავისუფლად, თავის-
ნებად ყოფნამ ისეთის ტკბილის ამოვნებით აუვსო გული, რომ გერ-
მასმა სიხარულით კინაღამ არ დაიძახა და პატარა ბიჭს, რომელიც
ჰმართავდა ნავს, გაუკვირდა, როცა ნახა რომ გერმასი თუმცა უხერ-
ხოდ, მაგრამ ისე ძლიერ ჰსცემდა ნიჩაბსა, რომელიც გერმასისათვის
მიენდო.

— ქარი სამყოფია, უთხრა ბიჭმა გერმასს და ამართა იალქანი.
უშენოდაც ძალიან კარგად მიდის ნავი. ისა ჯობია ღონეს გაუფ-
თხილდე.

— ნუ გეშინიან, მე ღონე სამყოფი მაქვს და გაფთხილება სა-
ჭირო არ არის, უპასუხა გერმასმა და გადიწია უკან რომ უფრო ღო-
ნიერად მოუსვას ნიჩბები. კარგა მანძილი რომ გაიარეს, გერმასმა
ნიჩბის სმას თავი დაანება და დაისვენა. მას გულს ურთობდა მთვა-
რე, რომელიც ზღვის ზედა პირზე კამკამებდა, როგორც სახე სარკეში.
მთვარის შუქმა მოაგონა პეტრეს ეზო, რომელიც ამ ფერისავე შუ-
ქით იყო განათებული იმ ღამეს, როცა ფანჯრიდამ ესტუმრა სირო-
ნას. წარმოუდგა სახე ლამაზის ქალისა, მისი თოვლივით თეთრი ხე-
ლები და ყოველმა ამან ცეცხლი შააპარა გულში.

ნელა ამოიოხრა ერთხელ, ორჯელ და როცა გულმა მეყსამედაც
დააპირა მტკივნეულობით ამოკვნესა, მოაგონდა ის საქმე რისთვისაც
წამოსული იყო, მოაგონდა რომ ყოველი ბორკილი შინ დააგდო
დამსხვრეული, გათამამდა, წაავლო ხელი ნიჩაბს და ისეთის ძალით მოუს-
ვა, რომ წინწკლური წვიმასავით ჩამოცვივდა ნავში და შიგ მსხდომთ

დაასველა. ხელახლად მოჰყვა ნიჩბის მოსმას და ჰსთქვა, რომ მე ეხლა უფრო უკეთესი საქმე მიძევს წინაო, ვიდრე ლამაზ ქალებზედ ოცნება და სიზმრებიო. ადვილად მოიშორა პირონაზედ ფიქრი, რადგანაც ამ ბოლონდელ დღეებში გული უცემდა მარტო ლაშქრობისთვის და ვაჟ-კაცობისთვის.

ორს საათს არ გაუვლია, მას აქედ, რაც რაიტიდამ გერმასი წამოვიდა ნავით რომ ფეხი დაადგა კიდეც სხვა მეორე ნაწილს ქვეყნისას *). ნავს კაი ადგილი უპოვა, დააბა და მაშინვე მოჰკურცხლა მთებისკენ, რომ იქიდამ დაეზვერა ბლემიელნი.

პირველ დღესვე შეემთხვა ერთს ვაკე ადგილს მთებშუა, სადაც ბლემმიელებს თავი მოეყარათ; მეორე დღეს როცა შეუტყეს მზვერაობა და დასაჭერად დაედევნენ, მაშინ როგორღაც მოუვიდა და დაიჭირა ერთი იმათი ჯარის-კაცთაგანი საზვერად გამოგზავნილი. მაგრა შეუკრა ხელები და მუქარით ბევრი რამ გამოათქმევინა. ჯარი, რომელიც აპირებდა დაცემას, დიდიაო, მაგრამ გერმას იმედი ჰქონდა, რომ მე ამათ წინ მივასწრობო, რადგანაც ტყვეთ დაჭერილმა მისწავლა, სადაც ჰქონდათ დამალული ნავები, ჯარების გადასაყვანად.

რაწამსაც ჩამობინდდა, გერმასმა გასწია თავის ნავისაკენ და როცა ბლემმიელებმა ბნელაში ჩამოათრიეს წყალში თავისი პირველი ნავი, გერმასი წინ წავიდა, დიდის ფათურაკით მიადგა მთის-ძირს დასავლეთის მხრივ და გაიქცა სინაისაკენ, რომ შეატყობინოს მთის ყარაულებს.

მინამ მზე ამოვიდა, გერმასი მთის წვერზედ ავიდა, გააღვიძა მძინარე ყარაულები და მინამ ესენი მდევარს დაიძახებდნენ, ალამს გამოჰკიდებდნენ და საყვირს დაუყვირებდნენ, გერმასმა გაჰკურცხლა, დაეშო დაბლა და თავის მამის მღვიმესთან მივიდა.

მას აქედ რაც გერმასი სხვაგან წასულიყო, მირიამი არა მორდებოდა სტეფანეს მღვიმეს და დილით, შუადღისას და საღამოს აზალს

---

*) ნახევარ კუნძული, რომელზედაც სინაის მთა არის, აზიაშია და ვიწრო ზოლით მეწამულის ზღვისა ჰყოფს სინაიას და ეგვიპტეს, რომელიც აფრიკაშია.

წყალს უზიდავდა. მირიამი იკვებებოდა მირხვენითა და პურითა, რომელსაც აძლევდა ხოლმე სნეული სტეფანე და ღამით იძინებდა კლდის ნახეთქში, რომელიც ჯერ უწინვე მწყემსობის დროს შემჩნეული ჰქონდა. მზის ამოსვლამდე წამოხტებოდა ხოლმე, წავიდოდა, მოუტანდა წყალს სტეფანეს, მერე მოუჯდებოდა და დაუწყებდა ლაპარაკს გერმანზედა. სიამოვნებით ემსახურებოდა მოხუცს, რადგანაც როცა კი მოვიდოდა, მოხუცი თავის შვილზე მოჰყვებოდა ლაპარაკს და მოხუცს კიდევ ესიამოვნებოდა ამისი მოსვლა, იმიტომ-რომ შვილზედ ლაპარაკის შემთხვევა ექნებოდა ხოლმე.

რამდენიმე კვირის განმავალობაში მოხუცი ისე შეეჩვია მოვლას და ლოლოებას, რომ სამსახურს მირიამისას არაფრად ჰსთვლიდა, თითქო მართლა და ეგ მირიამის ვალი იყო, თვითონ მირიამსაც კი ერთხელაც ფიქრადაც არ მოსვლია ეკითხნა: მითამ რაო ჩემო, რომ ამ სნეულს ვემსახურებიო.

სტეფანეს ადვილად შეეძლო გაეძლო უმირიამოთ, მირიამისთვის კი წყაროზედ მისვლა-მოსვლა და მოხუცთან ლაპარაკი წყურვილად გადიქცა, რადგანაც ჯერ არ იცოდა ცოცხალია გერმანი, თუ ფებიციმ მოაკვლევინა, თვითონ მირიამის დაბეზღების გამო.

იქნება ის რასაცა ამბობდა სტეფანე შვილის სადღაც გაგზავნაზედ, მოგონილი იყო პავლესაგან, იმისათვის რომ საწყალს მამას უეცარის ამბით გული არ გაუხეთქოს და ცოტ-ცოტათ შეაპაროს შვილის დაღუპვის ამბავი. მაგრამ მაინც უფრო ჰსწამდა, რომ გერმანი ცოცხალია და თუ მზის ამოსვლამდე მოვიდოდა ხოლმე სტეფანესთან და შუადღემდინ რჩებოდა, იმ იმედით რჩებოდა, რომ თუ გერმანი ცოცხალია, მოსვლის უმალვე აქ მამასთან მოვაო. საწყალს მირიამს ერთი წუთი მოსვენებაც არა ჰქონია, იმიტომ რომ ყველაფერი უფრთხობდა მოსვენას: ჩამოვარდებოდა თუ კლდიდამ მოგლეჯილი ქვა, ანუ მოესმოდა ფეხის ხმა ნადირისა, ყველა ეს აცქეტინებდა ყურებს ხოლმე საწყალს ქალს და აუხეთქებდა გულს იმდენად თავის ბატონის პეტრეს შიშით არა, რომელსაც გამოექცა, რამდენა-

დაც იმ კაცის ლოდინითა, რომელიც მტერთან დაანიშნა და რომლისათვის დღე და ღამ უკვნესოდა გული და ეტანჯებოდა.

როცა მირიამი წყალზედ მივიდოდა, თავის აბურძგნულს თმებს დაისველებდა ხოლმე და დაივარცხნიდა და ისეთის გულ-მოდგინებით იხეხამდა პირის სახეს, თითქო უნდაო შავგრემანი ფერი გადიტყავოსო. ყოველს ზმას გერმასისათვის სწვდიოდა, უნდოდა თავი მოეწონებინა ისე, როგორც მოაწონა თავი პირ-თეთრმა სირონამ, რომელიც ამოდენად ჰსძულდა მირიამს, რამოდენადაც უყვარდა გერმასი.

ბოლონდელს ღამეს, როცა იმისთანა საშინელი წვიმა, ჭექა და ქუხილი იყო, შიშის ნიავკარი შეუკვრდა მირიამს კლდის ნაპრალევში, სადაც დასამინად დადიოდა ხოლმე მას აქედ რაც ბატონს გამოექცა, თავიდამ ფეხამდე ამოწუწულმა, უბინაო, დევნილი სინიდის ქენჯნითა, შიშითა და მწვავის ნაღველითა, გამოვარდა კლდის ნაპრალევიდამ და ხან აქ ამოეფარა ქვას, ხან იქ, ხან ამ და ხან იმ კლდის ქვეშ ეძებდა თავის მისაფარებლად ადგილს. ამ დროვაში თვალი მოჰკრა ნათელს, რომელიც გამოდიოდა პავლეს ახალ მღვიმედამ, მივიდა დაინახა პავლე და იცნა, პავლე კი ვერა ხედავდა მირიამს, რადგანაც ცეცხლს პირ-არას იჯდა, ზურგი მირიამისკენ ჰქონდა შემოქცეული და ამასთანავე ღრმა ფიქრებში იყო წასული, ეხლა კი შეიტყო სადღეური გზნდევნილის პავლესი, რომელსაც ასე ხშირად ჰკითხულობდა ხოლმე სტეფანე. სნეულის ჩივილით და ტირილით უნუგეშოდ წამოცდენილ სიტყვებით მირიამმა შეიტყო, რომ მის მტერ-მოყვარეს სიროსს გაუბამს მახეში ღვთის მოშიში პავლე და დაუღუპნია.

როცა ალიონი გაქრა ცაზედ და რიჟრაჟი მოახლოვდა, მირიამმა გამოჰსწია სტეფანეს მღვიმესაკენ. გულში მოჰგუბებოდა ცრემლი და ვერას ღონით თვალთაგან ვერ წამოეწურა, რომ მით გულის ტკივილი დაეყუჩებინა და მწვავის მწუხარებისაგან შვება მიეღო. ამ დროვით მიუახლოვდა სტეფანეს მღვიმესა უნდოდა აქავ დაცემულიყო და სული დაელია, რომ სიკვდილით მაინც მოეშორებინა ის ტანჯვა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო და მოხუცის ძილის გაკრთობას მოერიდა. მაგრამ ვერას გზით ვერ იშორებდა წუწრვილს, რომ ვინმე გაეხმაუროს, ვინმემ უთხრას სიტყვა, თუნდაც მრისხანე და გულ-საკლავი, ოღონდ კი უთხრას რამ, იმიტომ-რომ ეგრე ნადირსავით ყოფნა, სულის შემხუთველი და გულის მომწყვლელი, ვაება მარტოობისა, ძლიერ ჰსტანჯავდნენ საწყალსა.

მირიამი ჯერ არ შესულიყო მღვიმეში, რომ მაღლიდამ მოესმა ქვების რახა-რუხი და ადამიანის ძახილის ხმა. განცვიფრდა, კისერი გაიწვდინა და დაუწყო გულ-მილეულობით ყურის გდება. ერთბამად ხმა-მაღლა დაიკივლა გახარებულმა და ხელები გაშლილი გაიქცა, რომ წინ აეგებოს.

— გერმას! გერმას! ჰყვიროდა გახარებული ქალი და ბრწყინვალე, როგორც მზე, ნეტარება მისის სულისა ისე ცხადად და უმანკოდ გამოჰკრთა ამ ძახილში, რომ ჭაბუკის გულში თანაგრძნობის სიმნი შეიძრნენ და იმანაც სიხარულით სავსე სალამი მოჰსცა პასუხად.

ასეთი ტკბილი და ალერსიანი სალამი თავის დღეში გერმასისაგან არ ენახა და როგორც წუწრკილით მომაკვდავს წყაროს წყალი საყვარელის ხელით მიწვდილი, ისე გერმასის ტკბილი სალამი ნეტარებათ გადაექცა საბრალოს და დატანჯულს სულს მირიამისას. ალტაცებამ და სიხარულმა, რომელიც აქამომდე არასოდეს არ ეგრძნო, დაურბინა მთელს აგებულებაში და რადგანაც გერმასი ასე კარგად მოექცა, თვითონაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ არც მე ვარ უმადური, მეც შემიძლიან სიკეთის სამაგიეროს გადახდაო. აი ამ მიზეზით ყველაზედ უწინარეს ეს უთხრა გერმასს:

— მე მამა შენს ერთს წუთსაც არ მოვშორებივარ, სულ იმასთან ვიყავ, დილით ადრე და ღამით გვიან წყალს უზიდავდი, რამდენიც კი საჭირო იყო.

სიწითლე კი მოსდიოდა, რომ თავის-თავს ასე აქებდა, მაგრამ გერმასმა უპასუხა:

— კარგად გიქნია, კარგად და მე თავის დღეში მაგას არ დავივიწყებ. შენ—ერთი ნადირსავით ფრთხალი, უგუნური ბავშვი ხარ; მაგრამ მგონია, რომ ვისზედაც გული საკეთილოდ გეთქმის, ის შენში არ მოტყუვდება არას დროს.

— აბა მცადე! უპასუხა ქალმა და გაუწოდა ხელი.

გერმასმა ხელზედ ხელი დასჭკრა, და უთხრა:

— აგე გესმის საყვირის ხმა? მე ყარაულებს შევატყობინე კიდეც: ბლუმმიელები მოდიან. პავლე მამასთან არის?

— არა, მაგრამ ჯიცი კი სადაა.

— მაშ წადი დამალე, გააწყვეტინა სიტყვა ყმაწვილ-კაცმა: ჯერ პავლე, მერმე სხვანი მეუდაბნოენი, ვისაც კი ნახავ. უთხარი, ყველამ თავი მოიყაროს ბურჯში; აი დიდს გზაზედ რომ არის. მე მამა ჩემსაც აქ გადმოვიტან; შენ კი დაემშურე შენს საქმეს და დაამტკიცე, რომ ვინც შენ მოგენდობა, არ ანანებს.

ამ უკანასკნელ სიტყვებზედ გერმასს უნდოდა მოხვევნა, მაგრამ მირიამმა ითაკილა, გამოუსხლტა ხელიდამ, გაიქცა და შორიდამ დაუძახა:

— დაიცა, მაგას ყველას შევატყობინებ, ყველას!

მღვიმის კარებში, სადაც პავლე ეგულებოდა, სიონა დახვდა, მაგრამ არ შეჩერდა, ერთი ორიოდე მკვახე და საწყენი სიტყვა მიარტყა და კისკასით დაეშვა თავდაღმართზედ.

ჩაირბინა წყაროსაკენ, იქ იპოვა პავლე, უთხრა რაც სათქმელი იყო, მერე დაურბინა ყველა მღვიმეებს, ვინც ნახა, გერმასის დაბარებული უთხრა და ასე აასრულა გერმასის მინდობილობა.

## XIX

ციხის კედლის უკან, დიდის გზის პირზედ თავი მოიყარეს ყველამ იმ უცნაურმა კაცებმა, რომელთაც ზურგი შეაქციეს ამ წუთის სოფელს, გამოეცალნენ მის ცხოვრების ღელვას, მის ლხინსა და ჭირსა, მის ტირილსა და სიცილსა, გვემას და სიხარულსა, მოშორდნენ სახლს, კარს, ცოლ-შვილს, თვისსა და ტომსა, და გა-

მოცვივდნენ და შეეფარნენ უსიხარულო უდაბნოს, ყველა გულის წადილი მოიკლეს და მიეცნენ მხოლოდ ერთს საგანს რომელიც ხორციელ ცხოვრებაზედ უმაღლესია. ამ მიყრუებულს უდაბნოში, სადაც ქვეყნიერების მაცდური ხმები ვერ მოსწვდებოდნენ, უფრო ადვილად შესაძლო იყო კაცს თავისი ხორციელნი წადილნი მოეკლა, მოეკლა გულის თქმანი და ვნებანი და ამ სახით მიემსგავსებინა ადამიანის არსება, ამაობაზედ გადაგდებული ცოდვისა და ხორცისაგამო, წმინდა, და ხორცთ-უსხმელ ღვთაების არსებისათვის. ყველა ეგენი ქრისტიანენი იყვნენ და როგორც მაცხოვარი ნებსითის წამებით შეიქმნა მხსნელად, ისეც ესენი ცდილობდნენ მარხულობის განმწმედელის მალითა განთავისუფლებულიყვნენ ადამიანის უწმინდურის ბუნებისაგან და მძიმე სინანულითა მიემართათ თავისი სიცოცხლე, ისე რომ გამოეხსნათ თავნი თვისნი და მთელი ტვისი ხალხი ცოდვათაგან. დევნულობის ძალმა კი არ გამოიყვანა ეგენი უდაბნოში, არამედ სასოებამ რომ ამ ძნელს ძლევა-მოსილობას მოიპოვებენ.

ყველა ბერ-მონაზონნი, ბურჯთან თავმოყრილნი, ეგვიპტელნი და სირიელნი იყვნენ. შიშიანობამ მალე მოუყარა თავი ამ წუთისოფლის და საქაო ცხოვრების მოძულეთა. მარტო ერთი მოხუცი კოსმასი დარჩა თავის მღვიმეში და თავის თანა-მოძმეს გელაზის, რომელიც ურჩევდა ციხეში თავის შეფარებას, უთხრა: „ჩემთვის სულ ერთია ყოველი ჟამი და ყოველი ადგილი, საიდამაც კი მიმიწვევს უფალი და ღვთის ნებაზედ დამოკიდებულია, — რამ უნდა განმეღოს საიქიოს კარი: სიბერემ, თუ ისარმა მტრისამ.

სულ სხვას ჰფიქრობდნენ დანარჩენნი განდეგილნი, რომელნიც ისეთის მოუთმენლობით ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ იჭედებოდნენ ბურჯის ვიწრო კარებში და თვითონ პატარა ბურჯიც სულ ავსეს. პავლემ ნახა რომ ამისთანა ვიწროობა კარგს არას მოასწავებს. იძულებულ შეიქმნა აღარავინ შეეშვა.

არაფერი ჭირი, არაფერი შესაფარი ისე მალე არ გადედგება ერ-

თის ცხოველისაგან მეორეს, ერთის ნაყოფისაგან სხვას, როგორც შიში და ყველა ერთის კაცისაგან მეორეს.

ვისაც შიში უფრო ძალიან მორევოდა, ის რასაკვირველია, ყველაზედ უწინარეს მოვარდა ბურჯთან და თავი შეაფარა. ტირილით დაუხვდებოდნენ ხოლმე წინად მოსულნი ახალ მოსულებს და საცოდავი სანახავი იყო, რომ ეს ფარა, პირად ისე ხმა-მაღლა და სასოებით ღვთის ნებაზედ თავ-დადებული, შიშისაგან ხელებს იმტვრევდა და ცდილობდა თავისი პატარა თან-მოტანილი ქონება გადერჩინა ჯერ თავის თანა-მოზიარეთა ხარბობისაგან და მერედ მოლოდინებულის მტრისაგან.

პავლესთან ერთად მოვიდნენ სერგია და იერემია, რომელთაც პავლე გზა-და-გზა ანუგეშებდა. ეს სამივე იმედს აძლევდნენ შიშით ატაცებულთა. ბოლოს პავლემ უთხრა: „ამ ორიოდ კვირის წინად ბევრმა თქვენგანმა დიდი მონაწილეობა მიიღო ქვებისა და ხეების აზიდვაში აი იმ ფერდობზედ, ქვები და ხეები მოვაგროვეთ მაშინ იმისთვის, რომ ხელცარიელები არ დავხვედროდით მტერებსა და ქვისა და ხეების დაგორებით მტერი მოგვეგერებინა. ეხლა დრო მოვიდა, ძმანო, წავიდეთ და ჩვენი ვალი ავასრულოთ.“ ამის გამგონემ ზოგმა გულში ჰსთქვა: „ნეტა სხვანი წავიდნენ და მე კი აქ მამ-ყოფაო.“

ბევრი არ გამოჰყვა ბურჯიდამ პავლეს, მერე კი როცა გერმასი გამოჩნდა და ნახეს რომ ზურგზედ მამა ჰკიდია და თან მირიამიც მოზდევს, პავლემ უთხრა, თავის მოძმეებს, ერთი გამოიხედეთ და თქვენის თვალით ნახეთ გულის მოსალბობი მაგალითი მამა-შვილურის სიყვარულისაო, მაშინ ცნობის მოყვარეობამ ყველანი, ვინც კი ბურჯში შემწყვდეულნი იყვნენ, გარედ გამოიწვია. თვითონ პავლე კი წავიდა, წინ მიეგება სტეფანეს, ჩამოართვა იგი ზურგიდამ ხვნეშით მომავალს ჭაბუკს, თვითონ წამოიკიდა და წამოვიდა ბურჯისაკენ. ხოლო სტეფანეს, როგორც ძველს მეომარს, ეთაკილებოდა ბურჯში დამალვა და ჰსთხოვდა თავის მეგობარს აქავ კედელთან მამყოფეო:

პავლემ აუსრულა სურვილი, მერე გერმასი წაიყვანა და ავიდა ბურჯის თავზედ რომ იქიდამ მოჩხრიკოს მტერი.

რაწამსაც პავლე მოშორდა, სტეფანე მიუბრუნდა ბერ-მონაზნებს და უთხრა:

— ეს ქვები ვერ გაუმაგრებიათ რიგიანად და მე თუმცა ღონე მოკლებული ვარ, მაგრამ მეც კი შემიძლიან მათი გადმონგრევა. როცა საქმე ომზედ მივარდება, ჩემი ბებერი ომში გამოცდილი თვალები, ეხლა დაუძლურებულნი, თქვენის საკუთარის თვალების მოშველებით, ცოტას რასმეს გამოგადგებიან რაშიმე. ყველაზედ უწინარეს აქ ერთი უნდა იყოს ბძანებელი, რომელსაც ყველანი უნდა ემორჩილებოდნენ, თუ გინდათ, რომ იმ ავაზაკებს ადვილად არ დარჩეს გამარჯვება.

— შენ, ჩვენო ძმაო, უპასუხა სირიელმა: ჯარში ხამყოფი კაცი ხარ და ამ ბოლონდელს მტრის მოსვლაზედ შენი ვაჟ-კაცობა და საომარი ხერხი დაამტკიცე კიდეც. იყავ ბძანებლად ჩვენდა!

სტეფანემ დაღონებით გაიქნია თავი და უთხრა: მე ხმა დამიუძლურდა გულში დაჭრილობითა და ხანგრძლივის სნეულებითა. ისინიც კი ვერას გაიგებენ ჩემგან ომის ჟახა-ჟუხში, რომელნიც ჩემს ახლო იდგებიან. მოდით, პავლე ამოვირჩიოთ უფროსად, ის ღონიერია, ფრთხილია და ვაჟ-კაცია.

ბევრი ბერ-მონაზონთაგანი დიდიხანია უყურებდა პავლეს როგორ თავის იმედს ყოველს გაჭირებაში, რადგანაც ყველასაგან პატივცემული იყო და ბევრს შემთხვევაში გამოეჩინა ღონე და გამბედაობა; მაგრამ ამხანად ერთმანეთს შეხედეს გაოცებით, ეჭვით და უკმაყოფილობით.

სტეფანემ შეატყო იმათ ეს ამბავი და უთხრა:

— მან შესცოდა და ღვთის წინაშე იგი რასაკვირველია, უკანასკნელია თქვენს შორის, ხოლო ვაჟ-კაცობით და ღონით ყველაზედ პირველია. რაკი იმას იწუნებთ, აბა მაშ ვის გინდათ უფროსობა?

— ორიონი დავაყენოთ, ორიონი! დაიძახა ერთმა განდეგილმა: დიდიც არის და ღონიერიც. თუ მოინდომა...

ორიონმა უარი ჰსთქვა და როცა ანდრიამ და იოსებმაც თავიდამ მოიშორეს ეს ძნელი მოვალეობა, სტეფანემ ჰსთქვა:

— აი ხომ ხედავთ სხვა გზა არ არის, ისევ პავლეს უნდა ჰსთხოვოთ უფროსობა მიიღოს მინამ მტერი კარზედ გვედგება, მერე კი აღარ, აი თვითონაც მოდის. ვუთხრა თუ არა?

თუმცა ყველამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაგრამ ძალაუნებურად კი, უსიამოვნოდ. პავლემ, რომელსაც ჰსწყუროდა თავი დაედვა და სისხლი დაეღვარა უძლურთა დახსნისათვის და რომელიც აღვიცხებული იყო ომის სურვილითა, მიიღო სტეფანეს წინადადება, როგორც თავის-თავად საგულისხმო, და შეუდგა საქმეს, როგორც სარდალი, თავის იმედ დაკარგულ მომხრეთა შორის.

ზოგი გაჰგზავნა ყარაულად ბურჯის თავზედ, ზოგს ქვის ამოზიდვა შეუკვეთა, ზოგს კიდევ უბძანა ქვები და ხეები დააგორეთო, როცა მტერი მოგვადგებაო. უფრო სულ-დაცემულთ ჰსთხოვა ერთად მოიყარეთ თავიო, ილოცეთ მეომართათვისაო, იგალობეთ საგალობელნიო და ყველას აცოდინა თავისი ნიშნები, ომისათვის საჭირო. პავლე ხან იქ მივარდებოდა, ხან აქ, საქმობდა დიდის გულ-მოდგინებით და მხიარულებით ასე რომ თავისი მხიარულება და იმედი მშვიდობით გადარჩენისა მხდლებსაც კი შეჰყარა.

ამაობაში გერმასი გამოესალმა პავლეს და თავის მამას, რადგანაც მოესმა ხმა საომარის საყვირისა და დაფის ცემისა. ეგ ხმა იმ ჯარისა იყო, რომელიც, ფებიცის წინამძღვარობით, გამოვიდა სოფლიდამ მტრის დასახვედრად. გერმასმა იცოდა სადაც არიან ბლემმიელნი და რაწამსაც მივიდა ჯართან, მაშინვე აცნობა ფებიცის.

ფებიციმ მაშინვე იცნო გერმასი, რადგანაც, რაიტაში რომ პირველად შეხვდა, მას აქედ ვეღარ დაევიწყა გერმასის თვალები, რომელნიც გლიცერის თვალებს ძლიერ ჰგვანდა. ფებიცი მოკლედ ჰკითხავდა ხოლმე გერმასს და გერმასიც სწრაფად და ცხადად აძლევდა პასუხს

და პასუხის გვარად ფებიცი აძლევდა მხლებელთ რიგიანს და გო-ნიერს ბძანებასა.

ერთს მესამედს ჯარისას უბძანა წინ წასვლა დაფის და ბუკის ცემითა ვიდრე მტერს წინ შეეხლებოდნენ და როცა შეხვდებოდნენ უკან დაიწიეთო ბურჯისაკენაო. თუ ბლუმშიელნი ამით მოტყუვდნენ, მაშინ მეორე მესამედი უნდა დაეცესო მემარცხენე ჯარს მტრისას, თვითონ მე კი დანარჩენის ჯარით ჩავესაფრებიო კლდის იქით, საცა ბურჯიაო და უეცრად გამოვალ და დავეცემიო. გერმას კი უბძანა, წაიყვანე ცხლავ რამდენიმე კაციო, წადიო და საცა იცოდე, იქ რაც ნავე-ბიაქვთ ბლუმშიელებს სულ წყალში დანთქეო. თუ გაჭიჭირდებოდა რამე, ფებიცის შეეძლო ციხეში შესულიყო და იქ გამაგრებულიყო, ვიდრე სხვა მხრებიდამ ჯარები მოეშველებოდა, რადგანაც ყველგან გაეგზავნა კაცები.

ბძანება ფებიცისა მაშინვე აღსრულებაში მოიყვანეს. გერმასი გაუძღვა თავის პატარა ჯარს ისეთის თავმოწონებით, თითქო იმპე-რატორის სარდალიაო და შეჰყავს მისი ლეგიონები ომშიაო. ზურ-გზედ ეკიდა შვილდი და ისრები და ხელში ეჭირა ნაჯახი, რომელიც რაიტში ეყიდნა.

მირიამსაც უნდოდა თან-გაჰყოლოდა გერმასის ჯარს, მაგრამ გერმასმა შეამცნივა ეს და დაუყვირა: „ბურჯში წადი, სულელო, ბურ-ჯში მამა ჩემთან“ მწყემსი-ქალი მაშინვე დაემორჩილა.

მეჯდაბნოენი ციხისანი მოგროვდნენ გადმოსახედავზედ და იქი-დამ დაინახეს, რომ ჯარი მოდის. დაიწყეს ყვირილი, უძახოდნენ ჩვენ მოგვეშველენითო, მაგრამ ეგ იმედი მალე გაუმტყუნდათ, რადგანაც ჯარები თავის გზაზედ წავიდნენ.

სტეფანემ ჰსთხოვა პავლეს ერთი შემატყობინე, ის ჯარები საით მიდიან და როგორ დაყოფილან, მე იქამდი თვალი არ მიჭრისო. პავ-ლემ უამბო რაცა ნახა და სტეფანე როგორც გამოცდილი მეომარი მიხვდა ყოველს დაწყობილობას ცენტურიონისას.

ახლა გერმასის ჯარმა აუარა გვერდზედ ბურჯს და უმაწვილმა-

გაცმა ნიშნითა და სიტყვითა მოკითხვა და სალამი გაუგზავნა მამას. სტეფანემ, რომელსაც ყური უფრო უჭრიდა ვიდრე თვალი, იცნო შვილის ხმა და რამოდენადაც შეეძლო ხმა-მაღლა გამოემშვიდობა შვილს მამობრივის ლოცვითა და კურთხევითა.

პავლემ მოხუცის გძელი ლოცვა და კურთხევა ერთს სიტყვაში გამოჰკრა, ზედ დაართო თავისი დალოცვაცა და გადაჰხსმახა თავის მეგობრის შვილს საომრად მიმავალს. გერმასმა მოისმინა ყველა ეს და თუმცა ძალიან მიხვდა გულს მამის გამოთხოვება და პავლესი, მაგრამ ვერა უპასუხა რა სიტყვით და მარტო ნიშნებით გამოჰსთქვა ამ გამოსალმების პასუხი. მშობელი მალე იპოვის ხოლმე თუნდ ათას სიტყვას კურთხევისათვის — ვიდრე შვილი ერთს სიტყვას მადლობისას.

როცა გერმასი კლდეს მიეფარა პავლემ უთხრა:

— შენი შვილი ისე მიდიოდა, როგორც ძველი გამოცდილი ჯარის-კაცი და სხვანი ისე მიზდევდნენ, როგორც ცხვარი ბელადს ყოჩს, ეჰა — გესმის? უთუოდ პირველი გუნდი ჩვენების ჯარისა დაეტაკა მტერს. აგე ხმაურობა და კიჟინა უფრო ახლო და ახლო მოდის.

— მგონი ეხლა საქმე კარგად დაბოლოვდეს, ჰსთქვა მხიარულად სტეფანემ: თუ ჩვენებმა როგორმე შემოიტყუეს აქედ ვაკეზედ, მე მგონია მტერმა საფლავი აქ გაითხაროს. ჩვენ აქედამ შეგვიძლიან თვალი ვადევნოთ ომის მსვლელობასა და თუ ჩვენებს საქმე გაუჭირ-რეს, — ესეც კი მოსალოდნელია — მაშინ ჩვენები ციხეში შამოცვივიან. მაშასადამე ქვების წარამარა სროლას და უბრალოდ ხარჯვას უნდა მოვერიდნეთ, იმიტომ-რომ თუ ჩვენს ბურჯზედ მოდგება საქმე, ქვები ძალიან დასჭირდება ჯარს.

ამ სიტყვებს ზოგიერთმა მეუდაბნოემ ყური მოჰკრა და როცა ომის ხმაურობა და მეომართა კიჟინა ახლო მოისმა, შეშინებულით მეუდაბნოეთა თავი დაანებეს თავის ადგილებს, დაიწყეს ტყუილ-უბრალო ფაცა-ფუცი, წინა და უკან რბენა, თუმცა პავლე ჯავრობდა ამა-

ზედ. ამათ პავლეს სიტყვა არ დაიჯერეს, წავიდნენ ჩადგნენ მოხუცებში და უძლურებში და მოჰყვნენ ტირილით ლოცვას და თავში ცემას. პავლე ჩადგა მათ-შორის შუაში, დაიწყო გაკიცხვა სულ-მოკლეობისათვის, ტკბილის სიტყვით ემუდარა თავიანთ ადგილებზედ დაბრუნებულიყვნენ და აღმოსავლეთის მხრივ კედელი მაინც გაემაგრებინათ, ზოგნი დაემორჩილნენ კიდეც, მაგრამ როცა დააპირეს ასრულება, უეცრად მოესმათ ბურჯის კედლის ძირში ერთი საშინელი ღრიალი და კიჟინა ბლემიელების, რომელნიც უკან მოსდევდნენ გამოქცეულს ჯარს ცენტურიონისას.

ზარ-დაცემულნი ისევ ერთი-ერთმანეთს მიეკვრნენ მეუდაბნოენი. სირიელმა სალატიმ გაბედა, ამოუდგა უკან სტეფანეს და ძირს გადიხედა. გადახედვისავე უმალ, ციბრუტივით მოტრიალდა შეშინებული და კანკალით დაიძახა: ვაი! ჩვენები გამოუქცევიათო. —გულაზიმ ამ ამბავზედ გულში ხელი ჩაიკრა, წაივლო თმებში ხელი და გულ-ამომჯდარმა დაიყვირა; „ღმერთო, რაი გწადიან ჩვენგან? ნუ თუ წასაწყმედათ გამოგვიმეტე და არა გსურს შველა ჩვენი? ჩვენ რომ წარმართებმა დაგვამარცხონ, მაშინ უღმერთობა და თვით-რჯულობა დაქადებს თავის ძლევა-მოსილობას მართლ-მადიდებლობაზედ და ჭეშმარიტებაზედ.“

პავლემ რომ ვერა გააწყო რა, დაანება ამათ თავი, მივიდა სტეფანესთან და დაუწყო ყურება ომს. ბლემიელები ბევრი ყოფილიყვნენ, იმათი იერიში ისეთი ძლიერი იყო, რომ ჯარი ვერ გაუმაგრდა, უკუიქცა და მიმწყვდეული იქმნა იქ, სადაც გზა ვიწროვდებოდა.

— საქმე ისე არ მიდის, როგორც იმედი გვქონდა, ჰსთქვა სტეფანემ.

— ამ მხდალმა ხროვამ, ამ პირუტყვებმა კიდევ, დაიყვირა პავლემ გულზე მოსულმა: დაანებეს თავი თავის ადგილებს, ბურჯის კედლები უპატრონოდ დააგდეს და იმის მაგიერ რომ ან კედლები გაიმაგრონ, ან იომონ, აქ დამდგარან და ღმერთსა ჰგმობენ.

მეუდაბნოებმა შეატყეს რომ პავლემაც იმედი გადიწყვიტა ამათ გამო და მათ შორის სერგიამ დაიყვირა:

— ნუ თუ მართლა იმედი აღარაფერისაა! რატომ არ ჩამოვარდება ციდამ ცეცხლი და არ შთანთქავს ჩვენზედ მოსეულს ავაზაკებს? რადა მდუმარებს ჭექა ქუხილი? სად არის მეხი, რომელიც ანათებდა სინაის წვერსა? რატომ მზე არ დაბნელდება, რომ წარმართებს თავზე ზარი დასცეს? რატომ დედა-მიწა არ გაირღვევა, რომ ისინი თან ჩაიტანოს, როგორც....

— ძალა უფლისა, ჰსთქვა დულასიმ: გაუქმდა ჩვენთვის. ღმერთმა აიღო ხელი ჩვენზედ, თითქო ჩვენ ღირსნი არ ვიყვნეთ!

— არცა ხართ ღირსნი, არა, შეჰსძახა პავლემ, რადგანაც ყური მოჰკრა უგანასკნელ სიტყვებს, როცა მიჰყვანდა, ანუ უფრო მიჰქონდა სტეფანე აღმოსავლეთის კედლისკენ, რომელიც სულ უკაცოდ იყო დაგდებული: დიახ, არა ხართ ღირსნი, არა, რადგანაც იმის მაგიერ რომ მტერს წინა-აღუდგეთ, თქვენ ჰგმობთ ღმერთსა და თავზედ ლაფს ისხამთ თქვენის სასიზღარის ჯაბნობითა. ამ სნეულის მოხუცისა მაინცა გრცხვენოდეთ! აი ეს აპირებს მტრის ხელისაგან დაგიფაროთ თქვენ ახლავ დაემორჩილებინათ უდრტვინველად ჩემს ბძანებას, თორემ, ვფიცავ უოველთა წამებულთა წმინდა სისხლსა, რომ თმებში და ყურებში ჩავავლებთ ხელს და ისე მიგათრევთ თქვენს ადგილებამდე და....

არ დაასრულა მუქარა, რადგანაც მძლიერმა ხმამ გააწყვეტინა სიტყვა. კედლის ძირიდამ ამოვიდა ის ხმა და პავლეს სახელი ახსენა.

— აღაპიტი ბძანდება! ჰსთქვა სტეფანემ: თხრილზედ ამიყვანე პავლევ და იქ დამსვი.

ვიდრე პავლე ამას აუსრულებდა თავის მეგობარს, აღაპიტი გვერდთ ამოუდგა კიდეც.

აღაპიტი ყმაწვილობაში ჯარში ყოფილა. ეხლა როცა შეეტყო მტრის შემოსევა, შინ ჯდომა ვერ მოითმინა, უბძანა ღვდლებსა და დიაკვნებსა დედა-კაცები და წვრილ-ფეხობა სულ საყდრებში დახიზნე-

თო და იმათთან ერთად ილოცეთ მეომართათვისაო. თვითონ კი ორი თანა-შემწე და ერთი გზის მცოდნე წამოიყვანა და წამოვიდა, რომ ომში დაესწროს. როცა თავისიანებმა და სხვა მღვდლებმა დაუშალეს, უპასუხა: „სადაც სამწყსოა, იქ უნდა იყვეს მწყემსიცაო.“

რისხვით ანთებულის თვალით იდგა ეხლა ეპისკოპოზი პავლეს წინ, წყრომით აიღო ხელი მაღლა, დაემუქრა და უთხრა:

— შენ როგორ ჰბედავ — შენ, განდევნილო მართალთაგან — რომ მაგ სახით ელაპარაკები ძმათა შენთა? შენ, ეშმაკის თანა-მოზიარევ როგორ ჰბედავ და ბძანებას ჰკადრებ ღვთის მსახურთა და მოსავთა! რასაკვირველია, შენ ძალიან გინდომებია მაგ საფალავნო მკლავებითა ხელახლად დაიბრუნო სახელი და დიდება, რომელსაც გამოაკლდა შენი სული, დაუძლურებული ცოდვითა და ბრალეულობითა. აქ მომ-ყევით, ძმანო ჩემნო, უფალი ჩვენთან არს და იგი გვიხსნის ჩვენ!

პავლემ ხმა-ამოუღებლივ მოისმინა სიტყვანი ეპისკოპოზისა და სხვათა მეუდაბნოეთა შებრ თვითონაც აიპყრო მაღლა ხელნი, როცა ალაპიტი ჩადგა მათ-შორის და წარმოჰსთქვა მოკლე და ძლიერი ლოცვა. მერე ეპისკოპოზმა, სარდალისამებრ, ყველას თავისი ადგილი დაუნიშნა ბურჯის კედლებზედ, დაარიგა როგორ მოიქცნენ და ხმა-მაღლა დაიძახა:

— დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ მსახურნი უფლისა!

ეპისკოპოზს ყველა დაჰმორჩილდა და როცა თვითეულმა თავ-თავისი ადგილი მოირიგა, თითონ ეპისკოპოზი გადადგა იერდობზედ და დაათვალიერა საომარი ადგილი.

ომის საქმე ეხლა კარგად მიდიოდა. როცა ჯარმა უკან დაიწია და ბლემმიელნიც უფრო გაბედვით მოაწყდნენ, მაშინ ოლებიცი უეცრად გამოვარდა თავისის ჯარით საფარიდამ, თავ-დაესხა ბლემმიელებს, ასე-თი ყოფა დააწია, რომ ბლემმიელების ჯარი შუა გააპო და საშინელი ხოცვა და ჟლეტა დაჰმართა ბლემმიელებს. იმათი მოთავეებმა დაინახეს თუ არა, რომ საქმე ცუდად არისო, შეჰქმნეს ერთი უცნაური ძახილი

და მყის მთელი მათი ჯარი, როგორც ბუმბულის კონა ქარისაგან, გაიშალა და სხვა და სხვა მხრივ გაიფანტა,

ალაპიტმა ეგ საომარი ხერხი ბლემმიელებისა გაქცევათ მიიღო, გულ-დამშვიდებით ამოისუთქა, მობრუნდა, დააპირა ბურჯიდამ მისდორზედ გასვლა, რომ ნუგეში ჰსცეს დაჭრილთა თანა-მორწმუნეთა. მაგრამ თვითონ ბურჯშიაც გამოუჩნდა საქმე სასულიერო. წინ ედგა მირიამი, რომელმაც რიდით, მაგრამ სხარტად, სწრაფად მოახსენა:

— სნეული სტეფანე, ძმა გერმასისა, გთხოვთ ბატონო ეპის-კოპოზო, მობძანდეთ იმასთან, რადგანაც წყლული ხელახლად აეშალა და ჰგონია, რომ სულის დალევის დღე მოახლოებია.

ალაპიტმა მაშინვე გაჰსწია სნეულისაკენ; მივიდა და ნახა რომ პავლეს და ორიონს შეუხვევიათ კიდეც წყლული. ეპისკოპოზმა ისე-თის ჭეშმარიტის გულ-მტკივნეულობით მოიკითხა, როგორითაც არ მოიკითხავდა ხოლმე ბევრს სხვას მეუდაბნოეს.

სტეფანემ ხელი გაუწოდა, ეპისკოპოზსი გვერდით მოუჯდა, უბ-ძანა იქ მდგომთ, მოგვშორდითო და ყურადღებით დაუგდო ყური სნეულის დაბალ-ხმით მოთქმასა.

როცა სტეფანემ გაათავა თავის-თავის ამბავი, ალტაცებით უთხრა:

— მე როგორც შენ ვადიდებ უფალსა, რომ შენს დაკარგულს ცოლს გზა სიმართლისა აპოვნინა და შენი შვილიც, ღვთის მადლით, იმისთანავე კარგი მეომარი შეიქმნება, როგორც შენ იყავ. შენი საა-ქაო ცხოვრება კეთილად იყო მოწყობილი, ხოლო მეორეს, საუკუნო ცხოვრებისათვის როგორ მოამზადე თავი შენი, ჩემო ძმაო?

— მე მთელი თვრამეტი წელიწადი მარხულობაში, სინანულში და ლოცვაში გამიტარებია, უთხრა სტეფანემ: ბევრი ტანჯვა გამომივ-ლია. მე ზურგით უკან დამიგდია ეს ქვეყნიერობა და იმედი მაქვს გა-მეხსნას გზა, მიმავალი ცისაკენ.

— მეც მაგას ვიმედეულობ შენთვის და შენის სულისათვის, უპა-სუხა ეპისკოპოზმა; შენ ბევრი მძიმე საქმე გადაგხედია ამ წუთის-

სოფელში. ცდილხარ, რომ წრფელის გულით მიუტევო მათ, ვისაც ყველაზედ დიდი მწუხარება მოუყენებია შენთვის და შეგიძლიან გულ-მართლად ჰსთქვა ეხლა: „და მომიტევე ჩვენ თანამდებნი ჩვენი ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა ჩვენთა." ხომ გახსოვს სიტყვანი სამღვთო წერილისანი: „უკეთუ თქვენ მიუტევებთ კაცთა ცოდვათა მათთა, მოგიტევებთ თქვენც მამა თქვენი ზეციერი."

— გლიცერას არამც თუ მივუტევე, უპასუხა სნეულმა: არამედ ხელახლად გადვუშალე სიღრმე გულისა ჩემისა; ხოლო იმ კაცს, რომელმაც ურცხვად აიყოლია იგი, იმ ბედ-შავს, რომელმაც, იმდენის ჩემმიერ სიკეთის ნაცვლად, მომატყუა მე, გამცარცვა, თავ-ლაფი დამასხა, იმასაც...

— უნდა მიუტევო, უთხრა ალაპიტმა: რომ შენც ყოველივე მოგეტევოს.

— მე აი თვრამეტი წელიწადია ვცდილობ დავჴოცო მტერი ჩემი და ამას იქითაც ვეცდები....

აქამდე ეპისკოპოზი მარტო სნეულის ლაპარაკში იყო გართული; ეხლა კი ყოველ მხრივ ამას უწოდნენ და ბოლოს გელაზიმ დაუძახა:

— გვიშველე, მამაო! წარმართნი კლდეზედ ამოდიან.

ალაპიტმა აკურთხა სტეფანე და ხელახლად გულ-წრფელობით უთხრა:

— მიუტევე და ზეცა შენია!

მინდორზედ ბევრი დახოცილი და დაჭრილი ეყარა. ჯარი ისევ იქან დაწეულიყო ბილიკისაკენ, რადგანაც ბლემმიელები არ გაქცეულიყვნენ კი, არამედ გაფანტულიყვნენ, ამოსხდომოდნენ კლდებს და იქიდამ აყრიდნენ წვიმასავით ისრებს.

— რომაელნი სადარიან, ჰკითხა აჩქარებით ალაპიტმა ორიონს.

— ხეობისაკენ დაიწიეს, გზა რომ მოდის ჩვენკენ, უპასუხა ორიონმა: ერთი შეხედე მაგ წარმართებს! ღმერთო, შეგვიწყალე! ისე მობობღამენ კლდეებზედ როგორც კოსალა ხეზედ

— აბა თქვენი ჭირიმე ქვები, ქვები! დაუყვირა ალაპიტმა იქ მდგომს მეუდაბნოებს: ქვევით კედლებთან ვინ არის? გესმისთ? რომაელების საყვირის ხმაა: გული მოიცეთ, ძმანო, იმპერატორის ჯარი მოადგა ჩვენს ბურჯს საშველად. აბა აქეთ! აი ხომ ხედავ სანათურიდამ ტანშიშველა კაცებს, ბლემმიელები არიან. აბა მოათრიეთ ხე და დაუშვით ძირს. ჰო, ეგრე, უყურეთ ეგ ხე რასა იქმს. ნეტავი ხე არას გამოედოს კი! მადლობა ღმერთს, არამ დაუშალა, და დაეცა! აი ეგრე უნდა, აი! ექვსი კაცი კი გამოასალმა წუთის სოფელს და!

— აი იქ კიდევ სამი კაცი ჰსჩანს, დაიძახა ორიონმა: აბა ერთი მიშველეთ, ხე დავცეთ თავში.

პირველმა წარმატებამ ისე გაამხნევა მეუდაბნოენი, რომ ალაპიტი ძლივს იჭერდა, გაუფრთხილდით ცუდ-უბრალოდ ნუ ჰყრით ხეებსაო.

იმ დროს როცა, ალაპიტის განკარგულებით, მეუდაბნოენი ქვებს და ხეებს აყრიდნენ თავზედ მტერსა, პავლე იჯდა სტეფანესთან და თავი ჩაეღუნა.

— რატომ არა შველი იმათ? ჰკითხა სტეფანემ.

— ალაპიტი მართალია, უპასუხა პავლემ: მე ბევრში მმართებს მონანიება და ბრძოლას კი სიამოვნება მოაქვს. რამოდენად არის ეგ სიამოვნება დიდი, მაგას მე ვგრძნობ იმით რომ გული მიკვდება, სხვანი ომობენ და მე კი აქ გულ-ხელ-დაკრეფილი ვზივარ. შენ ეპისკოპოზმა გულ-კეთილად გაკურთხა.

მე აღსასრული მომიახლოვდა, დაიწყო სტეფანემ თრთოლით: ალაპიტმა დამიქადა სამოთხე თუ მე წმინდის გულით მივუტევებ ჩემის ცოლის მომტაცებელს. დეე მიეტეოს, ყოველივე მიეტეოს და დეე ყოველივე განზრახული კეთილად აუსრულდეს და ბოროტად არ გადექცეს! ხომ ხედავ, რა რიგად მიცემს გული! ვიდრე ცემას სამუდამოდ შეჰსწყვეტს, ხელახლად გამიმხნევდა. თუ მოვკვდე, გერმასს უთხარ ყოველი რაც ჩემგან იცი, დალოცე ათასჯერ, ათი-ათასჯერ ჩემ მაგიერ და დედის მაგიერ. ხოლო არას დროს არ

უთხრა რომ დედა მისი გაჰყვა ერთს საძაგელს, ერთს კაცს, ისე იგი, ერთს ბედ-კრულს, რომელსაც მე ყოველისფერი მივუტევებ. გერმანს ეს ბეჭედი მიეც. ჩემს მღვიმეში ბალახებ ქვეშ ლოგინზედ წიგნსაც იპოვი, ისეც მიე როცა ბეჭედს აძლევდე. იმ წიგნით თავის ბიძას-თან მივიდეს და ის უშოვის ჯარში ადგილს, რადგანაც ჩემი ძმა წინ წამდგარი კაცია იმპერატორის წინაშე. ყური დაუგდე, აღაპიტო როგორ ამხნევებს ჩვენებსა. იქ ჩვენები გულადად იბრძვიან! ეგ რომაელების საყვირის ხმაა! აი ნახავ, ეხლა ჩვენი ჯარი აქ ბურჯში შემოვა და აქედამ დაუწყებს სროლას წარმართებსა. თუ აქ მოვლენ, მე შიგნით ბურჯში შემოუყვანე. მე ღონე მიმეხადა და მინდა ერთხელ კიდევ ღონე მომეკრიფა და გულიანად მელოცნა, რომ ღმერთმა მომცეს ძალა მივუტევო იმ კაცს მარტო პირით კი არა, გულითაცა.

— აი იქ ხედავ, რომაელები მოდიან კიდეც, გააწყვეტინა პავლემ სიტყვა.

მერე ძირს გადასძახა:

— აქედ, აქედ, მარცხნივ სათეხურებია.

— ჩვენ აქ ვყოფილვართ, უპასუხა მკვახედ ერთმა: ხალხო, თქვენ ამ ყურეზედ დადექით და თვალი არ მოაშოროთ ბურჯს. თუ რამ მოხდეს, საყვირით დამიძახეთ. მე ზევით ავალ, რადგანაც ზემოდამ უფრო ადვილად დავინახავ, ის ძაღლები სად ჯანაბას წავიდნენ!

მინამ ეს ხმა მოდიოდა, სტეფანე ყურს უგდებდა და ძირს გადაიყურებოდა. როცა რამდენსამე წუთს შემდეგ ფებიცი მაღლა ამოვიდა და დაიძახა: „ვინ არავინ არის, რომ ხელი მომაწოდოს და მაღლა ამომიყვანოს?“ — მაშინ სტეფანე მიუბრუნდა პავლეს და უთხრა:

— ერთი ამაყენე და მიშველე ფეხზედ დავდგე; ჩქარა!

ისე მარდად წამოდგა სტეფანე თვითონ, რომ პავლე გაოცდა. წამოდგა თუ არა, გადიხარა კედელზედ სწორედ იქ საცა — ფებიცი

იყო. დააცქერდა პირისახეს, შეთრთოლდა, ძალა დაატანა თავის-თავს და ჩააწოდა თავისი გამხმარი ხელი.

— სერჟიან! დაიძახა ფებიციმ, რომელსაც ამ ადგილას სტეფანეს ნახვამ გულ-მუცელი გადმოუბრუნა და რომელიც ამაოდ ცდილობდა არაფერი შეემცნივა და გაოცებით უყურებდა ხან მოხუცებულს სტეფანეს და ხან პავლეს.

ვერც ერთმა ხმა ვეღარ ამოიღო; ორივეს სიტყვა პირში გაუშრა, სტეფანეს თვალი მიეკრა ლურსმანივით ფებიცის პირის-სახეს და რამდენსაც უყურებდა, იმდენად უცვივდებოდა საკუთარი ლოყები და ტუჩები — უფითრდებოდა. მაგრამ ხელი მაინც გაწვდილი ჰქონდა, იქნება, მიტევების ნიშნადაც.

ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა. ბოლოს ფებიცის მოაგონდა რომ როგორც ერთგულმა იმპერატორისამ არ უნდა დაივიწყოს თავისი მოვალეობა, ადგა თითებზედ და მარდად წაავლო ხელი მოხუცებულის ხელს. რაწამსაც სტეფანემ იგრძნო ხელ-შეხება ფებიცისა, დაბარბაცდა თითქო მეხი დაეცაო, ხრინწიანის ხმით დაიკივლა, ეცა თავის დაუძინებელს მტერს, რომელსაც კედლის პირას ერთის დამპალს ხეზედ ფეხი ძლივს ემაგრა.

პავლეს ელდა ეცა ეს საშინელი სანახაობა რომ დაინახა, მერე ხმამაღლა, გულით და მწუხარებით დაუძახა:

— თავი დაანებე, მიუტევე, რომ ზეცამ შენც მოგიტევოს.

— რა ზეცა, რა მიტევება! უკიოდა ბებერი: წყეულიმც იყოს, წყეულიმც.

მინამ პავლე მიეშველებოდა, დამპალმა ხემ ამ ორ მტერების ჭიდილს და ძიძგინს ვეღარ გაუძლო, ჩატყდა, და ორნივ ერთად გადაცვივდნენ თვალ ჩაუწვდენელ ხევში,

პავლემ საშინელი გოდება ამოუშვა გულის სიღრმიდამ და ცხარეს ცრემლით თვალში, — წაიბუტბუტა:

— ქსეც იბრძოდა, მაგრამ აგრეთვე ამაოდ!

# XX

ომი გათავდა და ჩამავალმა მზემ სხივი მოჰფინა ბევრს მკვდარს ბლემმიელებისას. ბოლოს მზეც ჩავიდა, მწუხრი დადგა და მოწმენდილი ცა მოიჭედა ვარსკვლავებით. სოფელი მთვარის შუქზედ განათდა.

საყდრებიდამ ხალხი შეხიზნული გამოვიდა. ალაპიტმა მაიწვია უველანი მკვდრების სანახავად, ლოცვისათვის და დამარხვისათვის. ხმაამოუღებლივ მოგროვდა საზოგადოება დახოცილ მოძმეთა გარშამო და გულ-მტკივნეულობით ისმენდა ლოცვასა და კურთხევას, რომელსაც მოჰსთქვამდა ეპისკოპოზი პატიოსან გვამთა ზედა; ძმათა სახსნელად თავ-დადებულთა და სისხლ დანთხეულთა. ლოცვის შემდეგ თითოეულს ცხედარს თავზედ დაადგა ტირილით და გოდებით თავისიანი. არა ერთი და ორი ცხარე ცრემლი დაეცა დედა-მიწაზედ დედის, ანუ ცოლის თვალთაგან, არა ერთი და ორი კვნესა ამოვიდა მამის გულიდამ და წარემართა ცისაკენ.

იმ საკაცესთან, რომელზედაც სტეფანე ესვენა, სხვა საკაცეებიც იყო, და ამ საკაცებ შორის იდგა დაჩოქილი გერმასი და ტიროდა. მეგობრულმა ხმამ ზევით აახედა საწყალი ჭაბუკი.

— პეტრევ, შენა ხარ! დაიძახა ჭაბუკმა და ჩამოართვა სენატორს გამოწვდილი ხელი. მინამ საწყალი მამა ცოცხალი მყავდა — სულ სხვაგან მიწევდა გული და ეხლა კი, როცა მამა ჩემი სამუდამოდ გამშორდა, რა რიგის სიამოვნებით განუშორებლივ მასთან ვისურვებდი ყოფნას!

— იგი მოკვდა სახელოვანის სიკვდილითა, იგი მოკვდა თავისიანთათვის, უპასუხა სენატორმა.

— პავლე იმასთან იყო როცა გადავარდა, უპასუხა გერმასმა: ამ ბურჯის სახსნელად იყო, რომ გადიჩეხა კედლიდამ. მაგრამ აქ მოიხედე, შეხედე ერთი ამ ქალს, ამ უბედურს ბავშვს, რომელიც თხებს ამოვებდა ხოლმე: იგი მოკვდა ვაჟ-კაცთა სიკვდილითა. საწყალი, ფრთხალი

მირიამი! რამდენს კეთილს ვისურვებდი შენთვის, შენ რომ ეხლაც ისევ ცოცხალი იყო.

ამ სიტყვებზედ გერმასმა წყნარად აიღო მირიამის ხელი, აკოცა პატარას და გაცივებულს ხელს და ფრთხილად დაუკრიფა გულზედ.

— როგორ მოხდა რომ ქალი ვაჟ-კაცთა ომში გაერია? ჰკითხა პეტრემ: მაგრამ მაგას მერეც მიამბობ შინ რომ წავალთ. ჩვენთან გთხოვ და იყავ ჩვენთან სტუმრათ რამდენს ხანსაც გენებოს. ჩვენ ყველანი შენგან დავალებულნი ვართ.

გერმასი წამოწითლდა და თავ-დაბლობით აიცილა ქება, რომელსაც ყველანი გარშამო ეუბნებოდნენ. როგორც მსხნელსა მტრის ხელისაგან.

როცა მივიდნენ მომტირალე დედა-კაცები, გერმასმა ერთხელ კიდეც დაიჩოქა მამის თავით, უკანასკნელად შეხედა სიყვარულით მშვიდობიანს სახეს მირიამისას, ადგა და გაჰყვა პეტრეს, რომელმაც ხელახლად მიიწვია თავის სახლში.

სენატორი და ჭაბუკი ერთად შევიდნენ ეზოში. გერმასმა უნებლიედ შეხედა ფანჯარას, სადაც არა ერთხელ ენახა სირონა და ანიშნა ფებიცის სახლზედ, ჰსთქვა: „ისიც მკვდარია.“ პეტრემ თავი დაიქნივა ჰოს ნიშნად და შეაღო კარი თავის სახლისა. განათებულს დერეფანში გამოეგებათ დოროტეა და აჩქარებით იკითხა:

— მაინც ჯერ კიდევ პოლიკარპისაგან ამბავი არა არის რა.

ქმარმა უარ-ყოფის ნიშნად თავი გაიქნივა; დოროტეამ მაინც განაგრძო:—არც უნდა იყოს ჯერ! კლიზმიდამ უნდა მოეწეროს, ან იქნება თვითონ ალექსანდრიიდამაც.

— მეც ეგრე მგონია, უპასუხა პეტრემ და თავი ძირს ჩაღუნა. მერე გერმასი წარუდგინა ცოლს. დოროტეამ მხურვალის მონაწილეობით მიიღო ყმაწვილ-კაცი, იცოდა რომ მამა მოუკვდა და თვითონ გერმასმაც სახელი გამოიჩინა. ვახშამი მზად იყო და გერმასი მიიწვიეს ვახშამზედ.

დოროთეამ ანიშნა თავის ქალს მართანას, რომ სტუმარს ქვეშ-საგები მოუმზადოს, ხოლო პეტრემ დააყენა მართანა და უთხრა:

— გერმასი ანტონიოს ქვეშსაგებზედ მოისვენებს, ის ამაღამ არ მოვა, მუშებთან საქმე აქვს. იეტრო სადღაა შინა-მოსამსახურებით?

— იმათ ვახშამი გაათავეს კიდეც, უპასუხა დოროთეამ.

ცოლ-ქმართა ერთმანეთს შეხედეს და პეტრემ მწარედ გაიღიმა და ჰსთქვა: მე მგონია ისინი მთაში არიან.

დოროთეამ ცრემლი მოიწურა და ჰსთქვა:

— იქ ანტონიას ნახვენ. ნეტავი პოლიკარპიც იპოვნონ? მე ამას შენს სანუგეშებლად კი არ ვამბობ — უფრო დასაჯერია, რომ ის მკვდარი არ არის და წასულია ალექსანდრიაში, რადგანაც უნდოდა ამ ადგილებს მოშორებოდა ცოტას ხნობით, იმიტომ-რომ აქ ბევრი რამ მოაგონებდა ხოლმე იმისთანა რამეებს, რომელნიც გულს უწყლავდნენ. მგონი კარი გაიღო?

მარდად წამოხტა, და გადიხედა ეზოსკენ. მერე მოუბრუნდა მართანას, რომელიც საჭმელს აწვდიდა გერმასს და ჰსთქვა გულის ტკივილით:

— ჩვენი ანუბისია.

რამდენსამე ხანს ყველანი გულ-დამძიმებულებსავით ისხდნენ გაჩუმებულნი. ბოლოს პეტრე მიუბრუნდა თავის სტუმარს და უთხრა:

— შენ გინდოდა გვამბნა, როგორ მოკვდა ომში ჩვენი მწყემსი მირიამი. ის ჩვენის სახლიდამ გაიქცა...

— მთაში ავიდა, დაუმატა გერმასმა: და ისე უვლიდა მამა ჩემს როგორც ღვიძლი შვილი.

— აი, დედი, ხომ ხედავ, ჩამოართვა სიტყვა მართანამ: ავის გულისა არ იყო მეთქი; მე ამას ყოველთვის ვამბობდი.

— დღეს დილით, განაგრძო გერმასმა: მირიამი თან მოჰყვა მამა ჩემს ბურჯში და როცა მამა ჩემი გადიჩეხა, მაშინვე გამოიქცა თურმე ჩემთან ამ მწუხარე ამბის მოსატანად — ეს მითხრა პავლემ. მირიამმა მნახა მე საითაც წაველი ჩემის ჯარით, იქით წამოვიდა, და მალე მი-

პოვნა, იმიტომ რომ თვალი მშველისა ჭქორილა და ყური დაუთხალის ფრინველისა. არც ძნელი იყო იმ ჟამად ჩემი პოვნა, რადგანაც მაშინ ჩვენ ვომობდით ბედუინებთან ხეობაში, რომელიც მთიდამ ზღვამდე ჩამოჰსდევს. ისინი ბევრნი იყვნენ, წინადამ და უკანიდამ, მარცხნივ და მარჯვნივ მოგვიარეს, რადგანაც ის წყეულები ისე დახტიან კლდეებზედ, როგორც ფსიტები, მოგვექცნენ მთის წვერებზედ და იქიდამ მოგვაყარეს ქვები და ისრები. სამმა თუ ოთხმა ისარმა მეც გამკობლა და ერთმა კიდევ თუმცა თავზედ გადმიარა, მაგრამ თმებში მომხვდა და იქ დარჩა. ვერას გეტყვით ომის მსვლელობაზედ, იმიტომ-რომ სისხლი თავში ამივარდა, მარტო მახსოვს რომ ვყვიროდი და ვიძახოდი გიჟსავით, ხან იქ ვცემოდი, ხან აქ რომელსამე წარმართს და ჩემმა ნაჯახმა ერთსა და ორს კი არ გაუშო მაშინ თავი. ამ ყოფაში შევასწარ თვალი, რომ ზოგმა ჩვენთაგანმა გაქცევა დააპირა და კიდეც მე დავუძახე, დაბრუნდით მეთქი, მობრუნდნენ და ისევ გამომყვნენ მე. ერთხელ გაცხარებულს ომში თვალი მოვჰკარ მირიამს, რომელიც გაფითრებული მიჭყუდებოდა კლდეს და უყურებდა ომს. მე დავუძახე, რომ იქიდამ წასულიყო და მამი-ჩემისათვის მიეხედნა. იმან უარის ნიშნად თავი გაიქნივა, ფეხი არ მოიცვალა იქიდამ და ასეთის მწუხარის და გულ-მტკივნეულობის თვალით დაიწყო ცქერა, რომ თავის დღეში არ დამავიწყდება. ხელებით და თვალებით მანიშნებდა, რომ მამა ჩემი ცოცხალი აღარ არის და მეც თუმცა ამას ვერ მივუხვდი, მაგრამ გავიგე კი, რომ ჩემს თავზედ რაღაც დიდი უბედურობა მოსულა. მე აღარ დამცალდა სწორე შემეტყო რამ, იმიტომ რომ მინამ რასმეს ვკითხავდი, თავზედ დამეცა ბელადი ბედუინებისა და მირიამის თვალ-წინ ცხარედ დავეტაკენით ერთმანეთს. ჩემი მოპირდაპირე ღონიერი იყო და მე დავუმტკიცე მარიამს, რომელიც ხშირად მაყვედრიდა ქალაჩუნობას, რადგანაც მამის მორჩილი ვიყავ, მე დავუმტკიცე მეთქი, რომ ის არა ვარ რაც ვეგონე. მე ვერ ავიტანდი, რომ მის წინ დავემარცხებინე ვინმეს, დედა-მიწაზედ დავანარცხე წარმართი და ნაჯახით იქავ სული გავათხობინე. ამ დროს წინადამ მომესმა საშინე-

ლი ხმა: ვიღაცამ დაიკივლა; გავიხედე და ჩემ თვალთა-წინ ძირს დაეცა სისხლში მოსვრილი მირიამი. ერთი ბლუმმიელი თურმე მომპარვოდა, როცა მე გულზედ მუხლი დავაბჯინე და ვკლავდი მის ამხანაგს, და ეტყორცნა ჩემთვის შუბი, მაგრამ მირიამმა... მირიამმა...

— დაგიხსნა შენ სიკვდილისაგან და თავისა საკუთარი სიცოცხლე შემოგწირა, ჩამოართვა პეტრემ სიტყვა უმაწვილ-კაცს, რომელსაც ამ ამბის მოგონებაზედ ხმა გაუწყდა და თვალები ცრემლით აევსო.

გერმასმა ჭოს ნიშნად თავი დაიქნივა და ხმა-დაბლა ჰსთქვა:

— საწყალმა ხელები მაღლა აიშვირა და ჩემი სახელი წამოიძახა, როცა შუბი ეცა გულში ჩემმაგიერ. ობედიანის უფროსმა შვილმა მაგიერი გადუხადა იმის მკვლელს. მე კი მივვარდი მაშინვე მირიამს და როცა მომაკვდავი უნდა გადაქცეულიყო მივისვენე გულზედ და ჩავძახე: მირიამ, მირიამ — მეთქი. იმან თვალები ერთხელ კიდევ წამოახილა, შემომხედა ნაზად და ისეთის სიტკბილით, ისე მეგობრულად ახსენა ჩემი სახელი, რომ ჟრუანტელმა გამიარა ტანში. მე ჩემს დღეში არ დავიჯერებდი, რომ განადირებულს მირიამს ასე ტკბილად შეეძლო ხმის ამოღება. საშინლად დამიწყო გულმა ტკივილი და მე თვალები და ტუჩები დავუკოცნე. მერე ერთი კიდევ შემომხედა, დიდხანს დამაცქერდა, მიყურა, მიყურა სიყვარულით და მადლითა — და ამ ყურებაში დალია კიდეც სული.

— კერპთ-მსახური იყო, ჰსთქვა დოროტეამ და მოიწმინდა ცრემლი: მაგრამ მაგ გვარის სიკვდილის გამო ღმერთი ბევრს რასმეს მიუტევებს.

— მე იგი ეხლა უფრო შემიყვარდა და რაც საუკეთესო ყვავილია იმით მოურთავ საფლავსა, ჰსთქვა მართანამ: ნებას მომცემ დედი, რამდენიმე შტო მოვსჭრა შენს აყვავებულს მირტს გვირგვინისათვის?

— ხვალ, ხვალ, ჩემო კარგო, უპასუხა დოროტეამ: ეხლა წადი, დაიძინე, ძლიერ გვიან არის.

— ნება მომეცით ცოტა კიდევ დავრჩე, ჰსთხოვა ქალმა: მინამ ანტონი და პეტრო მოვლენ.

— მე სიამოვნებით გიშველით, რომ თქვენი შვილი იპოვოთ, ჰსთქვა გერმასმა: და გნებავთ წავალ რაიტას და კლისმას და მენავეებს ვკითხავ. განა ცენტურიონმა თავისი ცოლი ვერ იპოვა?

ამ კითხვაზედ მორცხობით თავი დაიღო ძირს და ძირს დაიწყო ყურება.

— სირონა ჯერ არ მოუყვანიათ, უპასუხა პეტრემ: და ვინ იცის იქნება... მაგრამ შენ ამას წინად პავლე ახსენე, შენიც მახლობელი იყო და მამი-შენისაც. ნუ თუ არ იცი, რომ იმან ურცხვად არივა ცენტურიონის ოჯახის მშვიდობიანობა?

— პავლემ? დაიძახა გერმასმა: როგორ დაგიჯერებიათ ეგ ამბავი!

— ფებიცემ იპოვა იმისი ტყაპუჭი თავის ცოლის ოთახში, ხუმრობა გაშვებით უთხრა პეტრემ: ჩვენ თვალ-წინ ურცხვმა ალექსანდრიელმა ადიარა თავისი ცოდვა და ჰსთხოვა ფებიცეს დამსჯელო. სწორედ იმ ღამეს მოახდინა ეს სამარცხვინო ამბავი, როცა შენ წახველ მტრის დასაზვერავად.

— ფებიცემ ჰსცემა კიდეც? დაიძახა გულ-ამღვრეულმა გერმასმა: და საწყალმაც კისრად იდო სირცხვილი და თქვენი კიცხვა — მარტო ჩემის გულისათვის! ეხლა მე მესმის რა უნდა ექნა! ომის შემდეგ დამხვდა, მითხრა მამის სიკვდილი და როცა გამომეთხოვა მეუბნებოდა, რომ მე დიდად დიდი ცოდვილი ვარო; რომ სოფელში ყველგან და ყველანი ამას გეტყვიანო. მე კი ვიცი რაც არის: იგი სულ-გრძელია და გულ-კეთილი და მე ვერ მოვითმენ, რომ იგი ჩემის გულისათვის შერცხვენილ და გაკიცხულ იქმნას.

ამ სიტყვაზედ გერმასი წამოხტა ფეხზედ და ნახა რომ მასპინძლები გაოცებით შემოჰყურებენ, უთხრა:

— პავლეს თვალითაც თავის დღეში არ ენახა მაშინ სირონა და მე გარწმუნებთ, თუ ქვეყანაზედ ვინმე წმინდაა, კეთილი და უცოდველი, — პავლე იმათში პირველია. ჩემის გულისათვის რომ მე გადამარჩინოს სასჯელს და მამა ჩემი წყენას, თვითონ უკისრნია ჩემი ბრალი და ის ცოდვა, რომელიც თავის დღეში არ უქმნია. ამისთანა

საქმეზედ მარტო იმას შეუძლიან თავ-დადება, მარტო იმას, იმ ერთგულს და პატიოსანს მეგობარსა! ამას იქით არც ერთს წუთსაც იმაზედ არაფერი ეჭვი აღარ უნდა იყოს.

— შენ მაგას ამბობ იმ კაცთან, რომელიც შენზედ ბევრით უფროსია, გააწყვეტინა ჭაბუკს ძლიერი სიტყვა: შენმა მეგობარმა თავის საკუთარის პირით აღიარა...

— ეგ უტყუვნია თავის გულ-კეთილობისა გამო, დაუყვირა გერმასმა სენატორს: ცხვრის ტყაპუჭი, რომელიც ფებიცის უპოვნია, ჩემია. მაშინ როცა თავის ღმერთის მიტრას ღამეს უთევდა, მე სირონასთან შეველი, მამი-ჩემისათვის ღვინო უნდა მეთხოვნა და სირონამ კიდეც ნება მომცა და მე ცენტურიონის ტანისამოსით მოვირთე. როცა უეცრად სახლში დაბრუნდა, მე ვკარ ფეხი და ფანჯრიდამ გადავხტი. ტყაპუჭი იქ დამავიწყდა, გამოქცეულს წინ პავლე შემხვდა, მითხრა რომ ყველაფერს მე ჩავათვარცხებო, შენ წადიო და შენ მაგიერ მე გავცემ პასუხსაო, თორემ მამა შენს ეწყინებაო. მე სულელობა მომივიდა, რომ იმ ღამეს სირონასთან შეველ, მაგრამ გეფიცებით მამი-ჩემის სულს, რომელიც დღეს ღმერთმა მიიბარა, რომ სირონა ისე მექცეოდა მე, როგორც პატარა ბავშვსა და ნება არ მამცა იმის მშვენიერ ოქროს თმებს ხელით მაინც მივკარებოდი. ღმერთის მოწამე და მამი-ჩემის სული, რომ მართალს ვამბობ, მართალს ვამბობ, რომ პავლეს იმასთანა ბრალი აუღია კისრად, რომელიც თავის დღეში არ უქმნია: და თუ თქვენ სირონას გაგიკიცხავთ, უსამართლობა ჩაგიდენიათ, იმიტომ-რომ არამც თუ პავლეს გამო, არამედ ჩემ გამოც იმას თავის დღეში ქმრისათვის არ უღალატნია.

დოროტეამ და პეტრემ ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. ყმაწვილი კაცი კი ძირს იყურებოდა და ხმა აღარ ამოიღო. ბოლოს თითქო გამოფხიზლდაო სხარტადა სთქვა:

— მე ნება მომეცით წასვლისა; მე მინდა საწყალი პავლე ვიპოვნო სადმე. მე მადლობელი ვარ თქვენის გულ-კეთილობისა, მაგრამ აქ დარჩენა არ შემიძლიან, უნდა მთაში წავიდე!

სენატორი და ცოლი ეხვეწებოდნენ დარჩენას, მაგრამ არ დარჩა და როცა გაცილეს და კარი დაკეტეს რაღაც მძიმე სევდა დააწვათ ორივეს გულზედ, პეტრემ მტკივნეულობით ამოიოხრა, დოროტეა მივიდა და ნუგეშინის სიტყვები უთხრა.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ ძაღლები უეფას მოჰყვნენ და პეტრე გულ-დამძიმებული, თითქო ცუდს რასმეს ელისო, ადგა და ხმა დაბლა ჰსთქვა:

— იქნება, ისინი არიან.

დოროტეამ ხელი ხელს ჩაჰკიდა ქმარს, მაგრამ მაშინვე ხელი გამოაცალა, როცა კარის რახუნი მოესმა.

— ეს არც იეტრო უნდა იყოს და არც ანტონიო, ჰსთქვა პეტრემ: იმათ გასაღები თან აქვთ.

მართანა მამასთან მივიდა, როცა ის გადიხარა თვანჯრიდამ და დაუძახა:

— ვინა ხარ მანდ კარს რომ არახუნებ?

ძაღლებმა ასე ხმა-მაღლა დაიწყეს ყეფა, რომ ვერც კაცებმა და ვერც დედა-კაცებმა ვერ გაიგეს რა პასუხი იყო.

— ერთი არგუსას შეხედეთ, ჰსთქვა დოროტეამ: ასე იცის ხოლმე ყეფა როცა ან შენ მოდიხარ, პეტრევ, ანუ ჩვენებიანი ვინმე, ან კიდევ როცა უხარიან რამე.

პეტრემ ტუჩებზედ თითი მიიდო; ვილაცამ ძალიან დაუშტვინა, ძაღლებმა ხმა გაიკმინდეს, თითქო დაუჯერესო. მაშინ პეტრემ დაუძახა:

— ვინა ხარ ემანდ? ხმა ამოიღე თუ რომ გინდა კარი გაგიღო.

პასუხი დაუგვიანდა, პეტრეს უნდოდა კიდევ ხმა გაეცა, მაგრამ ამ დროს ჭიის კარიდამ მოისმა ტკბილი ხმა, რომელმაც რიდით და კრთომით ჰსთქვა:

— მე ვარ, პეტრევ, მე, — გაქცეული სირონა.

რაწამსაც ეს გაიგონა მართანამ, გამოუსხლტა მამას ხელიდამ, რომელიც მხარზედ ედო, ჩაირბინა კიბე და ეცა ჭიის კარებსა.

— სარონავ, ჩემო კარგო, ჩემო საცოდავო სირონავ! უყვირო-და ქალი მინამ ურდულს გამოუყრიდა და როცა კარები გაიღო და

სირონამ ეზოში ფეხი შემოდგა, ყელზედ გადეხვია მართასას, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა, შეჰხაროდა თითქო ამის ღვიძლი და ყოფილიყოს.

მართანამ აღარა ათქმევინა რა, წაავლო ხელი და ნუგეშის ცემით წაიყვანა დედ-მამასთან. კარებში პეტრე და დოროტეა მოეგებნენ, უკანასკნელმა მიიზიდა თავისკენ სირონა, აკოცა შუბლში და უთხრა:

— საწყალო! ჩვენ შევიტყეთ, რომ უსამართლოდ მოგექეცით და ვეცდებით ყველაფერი გავასწოროთ.

ხენატორიც მივიდა, ჩამოართვა ალერსით ხელი, მოიკითხა მამობრივად. სირონამ ვერა უპასუხა რა, რადგანაც არ იცოდა რა ეთქვა.

როცა მთიდამ ძირს ჩამოდიოდა და უგზო-უკვლოდ მიდიოდა ბნელაში ეგონა რომ, როგორც გაიცხულს, გარედ გამოაგდებდნენ. ფეხთ-საცმელი დაჰფხრეწოდა პირიან ქვებზედ და ძლივსღა შერჩენოდნენ დაკაწრულ ფეხებზედ; ლამაზი თმა აწეწოდა ქარისაგან და თეთრი კაბა კიდევ მთხოვარის ძონძებს დაჰმგზავსებოდა, რადგანაც დაეჭრა, რომ წყლული შეეხვია პოლიკარპისათვის. ყველაფრის ამის მომლოდინე სიხარულით კი მიიღეს პოლიკარპის მამამ, დედამ, დამ და ძველებურად ალერსით მოეგებნენ!

განუზომელ ლმობიერებით და მადლობით აავსო გული ამის მნახველს სირონას, გული ამოუჯდა, წასქდა ცრემლი და ტირილი ველარ შეიმაგრა. ამ ტკბილის გრძნობით დიდხანს ვერ დარჩა, რადგანაც ბედნიერება უპოლიკარპოთ ამისთვის სრულები უქმი იყო. განა პოლიკარპის გულისათვის არ შეჰბედა ამ ბნელაში ამ საშიშარს გზას? მართანა ხელახლად მიუახლოვდა და ნაზად დაუწყო ალერსი, მაგრამ სირონამ არ დაასცალა და ჰსთქვა:

— ეხლა მაგისი დრო არ არის, ჩემო კარგო! ისეც მთელი ერთი საათი ტყუილად დავკარგე აქა-იქ ხეტებაში. პეტრევ, მოემზადე, უნდა მთაში წამომყვე, იმიტომ რომ...... ნუ შეშინდები, დოროტეავ! პავლემა ჰსთქვა, რომ ეხლა ფიქრი არაფრისა აქვსო და თუ პოლიკარპიო......

— ღვთის გულისათვის, თუ იცი რამე ჰსთქვი, დაიკივლა დო-

როტეამ და სისხლი თავში აუვარდა, პეტრე კი გაფითრდა, გააწყვეტინა სიტყვა თავის ცოლს და მღივსლა ჰკითხა:

— სად არის პოლიკარპი და რა დამართვია?

— ცუდს ამბავს გეტყვით, უპასუხა სირონამ და ასეთის თვალით შეხედა ცოლ-ქმარს, თითქო ბოდიშს იხოვსო: პოლიკარპი დაეცა ქვებზედ და თავი გაიტეხა. დღეს დილით პავლემ, ბლემმიელებთან საომრად წასვლის წინად, ზურგით მოიტანა ჩემთან და მე ჩამაბარა. მეც გულ-მოდგინებით წყლით ვუგრილებდი წყლულს; შუადღის დროს თვალი გაახილა, მე მიცნო და ჰსწუხდა თქვენს შეწუხებაზედ. მგე რომ ჩამოვიდა, ჩაეძინა, ეხლა ცოტა სიცხე აქვს. პავლე მობრუნდა თუ არა, მე აქეთ გამოვიქეც, მინდა საყუათო სასმელი რამ გამოვართვა და ეხლავ უკანვე წავიდე.

ცრემლით თვალში მოჰსთქვამდა ამას სირონა და დედ-მამა როგორც გლოვის ზარს ყურს უგდებდნენ, ჰსწუხდნენ და იმედოვნებდნენ კიდეც რომ შვილი მოურჩებათ.

— ჩქარა, ჩქარა, მართანავ, დაიძახა იმედ-მოცემულმა დოროტეამ: ჩქარა მოიტანე არტახების კალათა; სასმელს მე თვითონ მოვუმზადებ.

პეტრე მივიდა სირონასთან ახლო და ხმა-დაბლა ჰკითხა:

— მართლა ისეა საქმე როგორც შენ ამბობ? მაშ არაუშავსრა? მართლა ცოცხალია და პავლემაც......

— პავლე ამბობს, რომ თუ კარგად მოუარესო, პოლიკარპი ორ-სამ კვირაზედ ფეხზედ ადგებაო, უპასუხა სირონამ.

— ახლა შეგიძლიან მე წამიყვანო, გზა ხომ არ აგერევა?

— ვაიმე! დაიძახა სირონამ: იქნება მე უბედურმა გზა ვეღარ გავიგნო, რადგანაც არსად ნიშნები არ დავაგდე. მაგრამ მაიცა! შემფვიძიდამ რომ მეუდაბნოე იყო, ის ეხლა ხან რომ გადიცვალა, ხომ იცი...

— ჰო, ის ბებერი სერაპიონი? ჰკითხა სენატორმა.

— დიაღ, ის ეძახდნენ! უთხრა სირონამ: იმისი მღვიმე ხომ იცი.

— საიდამ მეცოდინება. იქნება აღაპიტმა იცოდეს...

— მაშ არც წყარო იცი, რომელსაც პავლე თურაჯების წყაროს ეძახის.

— თურაჯების წყაროს, უპასუხა სენატორმა: ეგ კი ვიცი. ღრმად ამოიოხრა, აიღო თავისი ჯოხი და უთხრა დოროტეას: სასმელი მოამზადე, შესაკრავები, ჭრაქები და შენი ტახტრევანი, მე კი წავალ ჩემს მეზობელს მაგალონთას, ბიჭები მაშველიოს.

— მეც თან გამოგყვები, უთხრა მართანამ.

— არა, არა, შენ დედა შენთან უნდა დარჩე.

— შენა გგონია მე კი აქ დაგიწყებ ლოდინს თუ? ჰსთქვა დოროტეამ: მეც თქვენთან მოვდივარ.

— შენ აქაც ბევრი საქმე გაქვს, უთხრა პეტრემ: მერე ჩვენ ძალიან ჩქარა უნდა ვიაროთ.

— მე მართალია ისე ჩქარა ვერ მოგყვებით, ჰსთქვა ამოოხვრით დოროტეამ: მართანა მაინც წაიყვანეთ; სუბუქი და ბედნიერი ხელი აქვს.

— თუ შენ საჭიროდ ჰხადი, წამოვიდეს, უთხრა სენატორმა და გავიდა ოთახიდამ.

როცა მართანამ კალათა აავსო წამლებითა, ტილოს შესაკრავებითა, ღვინითა და წმინდა წყლითა, აჩვენა სირონას. სირონამ მოუწონა და უთხრა:

— მაშ ერთი წყვილი მაგარი წუღებიც მე მათხოვე, თორემ ჩემები სულ დამეგლიჯა ქვებზედ და ფეხ-შიშველა ვერ მივყვები კაცებს, რადგანაც ქვები დანასავით ფეხებს მიშაშრავენ.

აქ მართანამ პირველად დაინახა სისხლი სირონას ფეხებზედა; მაშინვე წამოავლო ხელი სანთელს, ძირს დადგა, დაიჩოქა სირონას წინ, ხელით აუწია თეთრი თოვლივით ფეხი, გაუსინჯა დაჭრილობა და დაიძახა:

— ღმერთო, ამას რას ვხედავ! რა რიგად დაგიშაშრია ფეხები!

მსწრაფლ მოიტანა ჯამით წყალი, ჩამოჰბანა სისხლი და ფეხები შეუხვია კარგად. როცა შეუხვია ფეხები, სირონა წამოდგა და უნდოდა შეეტყო წყლული უშლის სიარულს თუ არა, მაგრამ ძალიან გაუძნელდა სიარული, ასე რომ როცა პეტრე დაბრუნდა თავის მეზობლიდამ შინ, სასტიკად აუკრძალა თან გაყოლა.

მანამ სენატორი თავის ქალით ოთახიდამ დააპირებდა გასვლას, რაღაც წასჩურჩულა ცოლს, მერე მივიდა სირონასთან და უთხრა:

— იცი, რა დაემართა შენს ქმარს?

სირონამ თავი დაუქნია და უთხრა: — მე პავლემ მითხრა. ეხლა მე უბინაოდ ვარ დარჩომილი.

— სულაც არა, დაატანა ზედ პეტრემ: ჩვენი სახლი შენი ჭირის სანაცვლო იყოს, აქ ჩვენს ჭერს-ქვეშ საფარველსაც იპოვნი და სიყვარულსაც, როგორც საკუთარის მამის-შენის სახლში. ჩვენ მადლობის გადახდას არ ვითხოვთ, ისეც ძალიან დავალებული ვართ შენგან. შვილობით, ჩემო ცოლო! წამო მართანავ, ეხლა ყოველი წუთი ძვირად გვიღირს.

როცა სირონა და დოროტეა მარტო დარჩნენ, დოროტეამ უთხრა:

— წავალ, ქვეშსაგებს მოგიმზადებ, ძალიან დაღალული იქნები და დასვენება საჭიროა.

— ნუ, ნუ, დაემუდარა სირონა: მე შენთან ვიქნები და მოვიცდი: სულ ერთია, არ დამეძინება, მანამ არ შევიტყობ იმის ამბავს.

ეს სიტყვები ისე ტკბილად და გულიანად იყო ნათქვამი, რომ დოროტეამ მადლობის ნიშნად ხელი გაუწოდა ახალ-გაზრდა ქალს. მერე უთხრა:

— ცოტას ხანს მარტო გაგიშვებ, გული ჩემი ასე სავსე ყოველ გვარის ეჭვითა და შიშითა, რომ უნდა ვილოცო და შევევედრო ღმერთს, რომ ჩემს შვილს მიჰსცეს შემწეობა და მე — სიმაგრე და ღონე.

— მეც თან წამიყოლიე, დაემუდარა სირონა: ჩემს უბედურობაში მე გადვუხსენ გული ჩემი თქვენს კეთილს და მოწყალე ღმერთსა და ამას იქით თავის დღეში აღარ თაყვანს-ვცემ სხვა ღმერთსა. მარტო ერთი ფიქრი თქვენს ღმერთზედ გულს მიმაგრებს და ნუგეშს მცემს და ეხლა მისი შველა უფრო მიჭირს, ვიდრე როდესმე.

— ჩემო შვილო, ჩემო კარგო! დაიძახა სიხარულით სენატორის ცოლმა; გადეხვია სირონას, დაუწყო კოცნა შუბლზედ, ტუჩებში, მოჰკიდა ხელი და წაიყვანა თან. როცა შეიყვანა თავის ოთახში, უთხრა:

— აი აქ ვლოცულობ ხოლმე, თუმცა აქ არც საკურთხეველია, არც ხატი. ჩემი ღმერთი ყველგან არის და ყოველს ადგილას უსმენს მავედრებელსა.

ორმავე დედა-კაცმა მუხლი მოიდრიკა ერთმანეთთან ახლო, ორივე ერთსა და იმავე ღმერთს ევედრებოდნენ მოწყალებას, არა თავისთვის, არამედ სხვისთვის და ორნივ მწუხარებაში ღმერთსა ჰმადლობდნენ: სირონა იმისათვის. რომ დოროტეაში დედა იშოვა და დოროტეა იმისათვის, რომ სირონაში იშოვა შვილი, ძვირფასი შვილი.

## XXI

როცა პოლიკარპი ტახტრევანში ჩასვეს, წინ მაშხალებით გაუძღვნენ და წაიყვანეს, პავლე მღვიმეს გარედ გამოვიდა, დაჯდა და თვალს ადევნებდა მაშხალებს, რომელთა ნათელიც თან-და-თან თვალ-წინ ქრებოდა, რადგანაც მთებიდამ დაბლა ვაკეზედ ჩადიოდნენ ტახტრევანის წამღებნი და მაშხალები გზას უნათებდნენ. მამა და დაი თან მისდევდა თავ-გატეხილს პოლიკარპსა.

— ერთი საათი კიდევ, ჰსთქვა პავლემ: და დედა გადაეხვევა კიდევ თავის შვილსა; კიდევ ერთი კვირაც და პოლიკარპი ქვეშსაგებიდამ წამოდგება; ერთი წელიწადიც და მარტო ნიშნადა მოაგონებს პოლიკარპს გუშინდელ დღეს. ჩემთვის უფრო ძნელია ამ დღის დავიწყება. კიბე, რომელიც ამდენს წელიწადს ვაშენე, რომლითაც მინდოდა ავსულვიყავ ცამდე და რომელიც მეგონა საკმაოდ მაღალია და საიმედოა-მეთქი, უეცრად ჩამომენგრა და განაცრებული მიგდია თვალ-წინ და ხელი, რომელმაც იგი დაფუშა იყო ხელი საკუთარის ჩემის უძლურებისა. მე მგონია რომ ეგ უძლურება უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე შინაგანი ღონე, იმიტომ-რომ მან ერთს წუთს დაანგრია ის, რაც იმდენი წელიწადი შინაგანმა ღონემ ააშენა. მარტო უძლურებაში ვყოფილვარ მე დევი და სხვა არაფერში.

უკანასკნელ სიტყვებზედ პავლე ჟრჟოლამ აიტანა, რადგანაც ძალიან ციოდა იმ დღიდამ როცა გერმასის ბრალი თვითონ იკისრა, აღთქმა დაჰსდო, რომ თავის დღეში თავის ტანს თბილი რამ არ მიაკაროს და ტანი მისი დაჩვეული სითბოს, უფრო მეტად ჰგრძნობდა სიცივეს ეხლა, როცა სისხლი უდუღდა უფრო ძლიერ მეტის-მეტის ჯავრისა, უძილობისა და უკანასკნელ დღეების მღელვარებისაგან. სიცივით აკანკალებული შეეხვია უფრო მაგრად მასში, რაც ეცვა და ჰსთქვა: მე ეხლა იმ მდგომარეობაში ვარ, რა მდგომარეობაშიაც ცხვარია, რომელსაც მატყული შუა ზამთარში გაჰპარსეს. მე ეხლა თავი ისე მიხურს როგორც ხაბაზს, რომელმაც ეს-ეს არის ეხლა ამოიღო თორნიდამ პური. ბავშვს შეუძლიან ეხლა პირაღმა გადამაქციოს და თვალებიც მელულება. ლოცვა მწყურიან და ასე საჭიროა, მაგრამ ლო-

ნე არ მომდევს რომ ვილოცო, მე გამოვექეც წუთის-სოფელს და ამ მთას შემოვეკედლე, ხოლო წუთის-სოფელი უკან მომყვა აქ და თავის მახეში გამიბა ფეხები. მე უნდა სხვა უდაბნო მოვნახო, სადაც ჩემს მეტი არავინ, არავინ არ უნდა იყოს, რომ მარტო დავშთე ჩემს ღმერთთან და ჩემს საკუთარ თავთან. მე იქნება გზა სიმართლისა კიდევ მეპოვნა, რომ ის, ვისაც ჩემი „მე" ჰქვიან და რომელშიაც ისახება მთელი ქვეყანა თავისის წადილითა, გულის თქმითა და ვნებითა, თან არა მდევდეს და არ მიუქმებდეს ყოველს ღვაწლს; ვისაც თავისი „მე" თან გაჰყოლია უდაბნოში, ის მარტოობას ნუ დაიქადებს."

პავლემ მძიმედ ამოიოხრა და ხელახლად ჰსთქვა: რა რიგად თავი მომწონდა, როცა გერმასის მაგიერ მე შივიდე გვემა! მე მაშინ მთვრალსა ვჰგვანდი, რომელიც კიბეზედ ფეხ-წასხლეტილი ერთის საფეხურიდამ მეორეზედ ეცემა. საწყალს სტეფანესაც აგრევე წაუსხლტა ფეხი, თუმცა ისე ახლო იყო თავის გასზრახულზედ. იმოდენა ძალა აღარ ჰქონდა, რომ შეენდო და სენატორი'ს კი, რომელსაც თითქმის შვილი მოვუკალი, ხელი მომცა შენდობის ნიშნად. შევატყე, რომ მან წმინდის გულით მომიტევა. ქვეყანაში კია და დილით საღამომდე მარტო წუთის სოფლის საქმეებშია გართული."

ხელახლად სიცივემ მოუჭირა და გაუფანტა აზრები. როცა ირაჟრაჟა, ასეთი აცივდა, რომ ცეცხლის ანთება მოიწადინა.

როცა ადგა და ცეცხლს დაუწყო ნთება, გერმასი მოვიდა, სალამი მისცა.

პოლიკარპის წამლებთაგან შეეტყო, სადაც იმყოფებოდა პავლე, და მოვიდა თუ არა, მივარდა, ხელი ჩამოართვა და მხურვალეს გულით მადლი გადუხადა მისთვის, რომ თავი გაიწირა და იმის მაგიერ მიიღო სამარცხვინო სასჯელი.

პავლემ უარ-ჰყო მადლობა, სიტყვა გადუსხვაფერა და დაუწყო გერმასს ლაპარაკი მამაზედ და მერე იმაზედ თუ საკუთრად შენთვის რას ჰფიქრობო.

როცა გათენდა, გერმასმა დაპირა სოფელში ჩასვლა, რომ უკანასკნელი პატივის ცემა გადუხადოს მას და ჰსთხოვა შენც წამოდიო, მაგრამ პავლემ უპასუხა:

— ვერა, ვერა, ეხლა არ იქნება, არა. ეხლა ხელახლად რომ გავერიო ადამიანებში, ისე დავიშლები, როგორც ძველი ტიკი, დაუდუღარის ღვინისაგან. ჩემს თავში თითქო მთელი გუნდია ფუტკრისა და გულში კიდევ ჯიანჭველისა. წადი და დამანებე თავი, რომ მარტო ვიყო.

როცა მამა დამარხა, გერმასი გამოეთხოვა ალაპიტ'ს, პეტრეს, დოროთეას, წავიდა ისევ პავლესთან და იმასთან ერთად გაჰსწია იმ მღვიმისაკენ, სადაც მისი მამა ჰსცხოვრებდა.

აქ პავლემ მიჰსცა მამის ამანათი და წიგნი და უწინდელზედ უფრო მეტის სიყვარულით დაუწყო ლაპარაკი.

ღამე ორნივ ერთს მღვიმეში დაწვნენ, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არც ძილი მოუვიდა, არც გული ჰქონდა დამშვიდებული. ხანდისხან პავლე კი გულის-ტკივილით ოხრავდა და ამბობდა თავის-თავად:

— წარხდა, წარხდა ჩემთვის ყოველისფერი! .. მე ვეძებ, მაგრამ ვინ არის, რომ გზა მიჩვენოს!

ჯერ გათენება არ იყო, რომ ორივე ფეხზედ იდგნენ.

გერმასი ერთხელ კიდევ ჩავიდა წყაროზედ, მუხლი მოიყარა, გამოესალმა და გაიხსენა გულის-ტკივილით თავისი მამა და საწყალი მირიამი. მის გულში გაიღვიძა ათასნაირმა გრძნობამ, მოაგონდა ბევრი რამ. ყოვლად შემძლებელია ძალი სიყვარულისა: სახე საწყალის, შავ-გრემანის მწყემსი-ქალისა ეხლა წარმოუდგა ათასჯერ უფრო მშვენივრად, ვიდრე სახე მშვენიერის სიროხასი.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ პავლემ წაიყვანა გერმასი მეთევზედა სოფელში, მიიყვანა თავის მამის ნაცნობ ებრაელთან, მიაცემინა საჭირო ფული უხვად, ჩასვა ნავში — კლიისმაში წასასვლელად.

როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, ძალიან დაუმძიმდათ განშორება და როცა გერმასმა პავლეს თვალში ცრემლი ნახა და ხელის კანკალი შეამცნია, უთხრა:

— ჩემთვის ნუ შეჰსწუხდები, პავლევ. კიდევ ვნახავთ, ღვთის მადლით, ერთმანეთს. მე შენცა და მამა ჩემიც ყოველთვის მეხსომებით.

— დიდა შენიც, დაუმატა პავლემ: შენ, მართალია, ჩემთან აღარ იქმნები, მაგრამ მე სხვას აღარ დავეძებ წვალების და მწუხარების მეტს.

ერის ვისმეს რომ შეეძლოს გაისაკუთროს მწუხარება მთელის ქვეყნისა და ყოველს ამოსუნთქვაზედ გულის წვა იგრძნოს, რა წყურვილით დაუწყობდა ლოდინს ხმასა მაცხოვრისასა, საიქიოდ მიმწოდებელსა!

გერმასი ტირილით გადეხვია ყელზედ და როცა მხურვალე ტუჩები მეუდაბნოისა იგრძნო შუბლზედა, შეშინდა.

ბოლოს მენავეებმა ახსნეს გემი. პავლე ხელახლად მიუბრუნდა გერმასს და უთხრა:

— შენ ეხლა შენს საკუთარს გზაზედ დაადგები. ნუ დაივიწყებ ამ უდაბნოს და დაიხსომე, აი კიდევ რა: ყველა ცოდვაზედ უმძიმესნი შემდეგნი სამნი არიან: ამაოთა ღმერთთა თაყვანისცემა, ნდომა ცოლისა მოყვასისა შენისა და სასიკვდილოდ ხელის გამოღება. ერიდე ამ ცოდვებს! და ყველა კეთილზედ უფრო ძნელი და ამასთანავე უფრო დიდი ორი კეთილია: გულ-მართლობა და თავ-დაბლობა ესენი უნდა აღასრულო. ყველა ნუგეშ-მცემელზედ უკეთესი ნუგეშ-მცემელი ორი რამ არის: ერთი იმის რწმენა, რომ სიმართლეს ადგეხარ, წყურვილი გაქვს,

იუნდაც ზოგჯერ შეჰსცდე ხოლმე და წაიბორძიკო ადამიანობის უძლურებისა გამო და მეორე — ლოცვა!

ერთხელ კიდევ გადეხვია გამგზავრებულს, მერე წამოვიდა ზღვის პირ-პირ მთებისაკენ ისე, რომ უკან აღარ მიუხედნია.

დიდხანს თვალი არ მოუშორებია გერმასს თავის კეთილ-მყოფელისათვის, და ჰსწუხდა, როცა ხედავდა რომ მისი ღონიერი მეგობარი ბარბაცებდა, როგორც მთვრალი და ხშირად ხელს იდებდა შუბლზედ, რომელიც ისე უნდა გახურებული ჰქონოდა, როგორც ტუჩები.

ახალ-გაზდა მეომარმა ვეღარ ინახულა ამის შემდეგ ვერც მთა და ვერც პეტრე, ხოლო როცა სახელი იშოვა და სამსახურში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა, მაშინ შეხვდა პოლიკარპს, პეტრეს შვილს, რომელიც დიდის პატივით მოეწვია და დაესახლებინა ვიზანტიის იმპერატორს და რომლის სახლშიაც უვლებდა როგორც ერთგული და საყვარელი ცოლი-სირონა.

პავლე კი გერმასის მოშორების შემდეგ დაიკარგა. ბევრს ეძებდნენ მეუდაბნოენი და ეპისკოპოზი აღაპიტი, რომელმაც პეტრესაგან შეიტყო, რომ საწყალი პავლე უბრალოდ დასჯილ და განდევნილ იქმნა და ამის გამო უნდოდა საკუთარის პირით შენდობა ეთქვა და ნუგეში მიეცა. ბოლოს ათის დღის შემდეგ ორიონმა იპოვა პავლე ერთს მეტად გადაკარგულს მღვიმეში.

ანგელოზი სიკვდილისა ის იყო იბარებდა მის სულსა; ჯერ კიდევ ფეთქავდა და მთლად გაცივებული არ იყო. იგი ჯერ კიდევ მუხლმოდრეკილი იყო შუბლით კლდეზედ მიყუდებული და მისი გაჭნავებული ხელები მაგრად ჩაჰსჭიდებოდნენ მაგდალინას ბეჭედს.

როცა ამხანაგებმა საკაცეზედ დადეს, მისი პატიოსანი სახე მოირთო წმინდისა და განათებულის ღიმილითა.

ძალიან მალე გავარდა ხმა მისის სიკვდილისა, ყველამ შეიტყო, სოფლელებმა, მღვიმეებში მცხოვრებელთა და ამალიკიტელთ მწყემსებმაც კი.

დიდ-ძალმა ხალხმა გააცილა იგი უკანასკნელ სადგურამდე, ყველაზედ წინ მიუძღოდა ეპისკოპოზი აღაპიტი წარჩინებულის სამღვდელოებითა და დიაკვნებითა, მერე მიდიოდა პეტრე თავის სახლეულობით, რომელთა შორის თვითონ სირონაც იყო.

ავადმყოფობისაგან განთავისუფლებულმა პოლიკარპმა შენდობის და შერიგების ნიშნად მიიტანა და ყვავილების გვირგვინი დაადვა მის საფლავს, რომელიც ბოლოს შეიქმნა იმათ სალოცავად, რომელთაც საწყალი პავლე იდუმალად შველოდა.

პეტრემ ქვა გაუკეთებინა და პოლიკარპმა ზედ ამოსჭრა შემდეგი სიტყვები, რომელიც თვითონ პავლეს ნახშირით თავის მღვიმის კარებზედ დაეწერა:

«ილოცვდეთ ჩემთვის ცოდვილისათვის. რამეთუ კაცი ვარ!»

X. რუსეთის მიმოხილვა.

გარეშე და შინაგანი მდგომარეობა რუსეთისა ომიანობის შემდეგ.— გულგრილობა საზოგადოებისა გარეშე საქმეთადმი მზრუნველობა შინაობისათვის.—უფულობა და ჭირი.—მთავრობის თავდარიგი.—ჟურნალ-გაზეთობა.— გაჭირებული მდგომარეობა და მოლოდინი. . . . . . **159**

X. პოლიტიკა

წინა-სიტყვაობა.—ევროპის სახელმწიფოთა აწინდელი მდგომარეობა საზოგადოდ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 167

XI. დამატება: რამეთუ კაცი ვარ (დასასრული).

თ 383
1879

## გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად გამოცემული წიგნები

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, რომანი ღ. არდაზიანისა. ტფილისი 1878 წ. ფასი . . . . . . . . . 30 კ.

ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან. წიგნი მეორე ტფილისი 1879 წ. ფასი . . . . . . . . . 40 კ.

სამშობლო ხმები, სახალხო სიმღერები გადაღებული ნოტებზე მ. მაჩავარიანისაგან. ტფილისი 1879 წ. ფასი . . . 1 მ.

მეფე ლირი, ვილიამ შექსპირისა, თარგმნილი ივ. მაჩაბელის და ილია ჭავჭავაძისა, ფასი . . . . . . . . . 1 მ.

აგრეთვე ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები.

გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ წიგნები ამ ადრესით: **Тифлисъ, книжный магазинъ Григорія Чарквіани.**

---

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.